ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე

IV

ბათუმი - 2021

აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის შრომების კრებულია. მასში ასახულია, აღმოსავლეთის ისტორიის, პოლიტიკის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი საკითხები.

რედაქტორი: პროფესორი ემზარ მაკარაძე
ტექნიკური რედაქტორი: ნატალი გიორგობიანი

სარედაქციო საბჭო: აკადემიკოსი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; პროფესორი გიორგი სანიკიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი ნანი გელოვანი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი დარეჯან გარდავაძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი გიული ალასანია (ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი გიორგი ლობჟანიძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი მირიან მახარაძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი); პროფესორი სულხან კუპრაშვილი (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი ნიკო ახალკაცი (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი როინ ყავრელიშვილი (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე, საქართველო. ყარსის კავკასიის უნივერსიტეტი, ყარსი, თურქეთი); აკადემიკოსი შაჰინ მუსტაფაევი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აზერბაიჯანი); პროფესორი ფარდა ასადოვი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აზერბაიჯანი); პროფესორი ნურიე მურატოვა (ბლაგოევოგრადის სამხრეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი, ბლაგოევოგრადი, ბულგარეთი); პროფესორი ირინა კობიაკოვა (სუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კიევი, უკრაინა).ასოცირებული პროფესორი ჰარუნ ჩიმქე (რ.თ. ერდოღანის უნივერსიტეტი, თურქეთი).

რეცენზენტი: პროფესორი ზაზა შამიკაძე

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისს.
© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი. გამომცემლობა ,,დანი" 2018 . ქ. თბილისი ა. წერეთლის 112 .
ISSN 2587–490X

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

Faculty of Humanities

Department of Oriantal Studies

HERALD OF ORIANTAL STUDIES

IV

Batumi - 2021

Herald of Oriantal Studies is the collection of papers of the department of Oriental Studies at the faculty of Humanities at Batumi Shota ProfessRustaveli State University. The papers are about the noteworthy issues of history, politics, archaeology, ethnology, introduction to linguistics and literary studies of the Eastern countries.

EDITOR: Professor Emzar Makaradze
Technical Editor: Natalie Giorgobiani

EDITORIAL BOARD: Academician Roin Metreveli, Georgian National Academy of Sciences; Professor Giorgi Sanikidze (Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Ilia State University); Professor Nani Gelovani (Institute of Oriental Studies, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University), Professor Darejan Gardavadze (Institute of Oriental Studies, Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Professor Giuli Alasania (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities, Institute of Oriental Studies); Professor Giorgi Lobzhanidze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities, Institute of Oriental Studies); Professor Mirian Makharadze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities, Institute of Oriental Studies); Professor Sulkhan Kuprashvili (Kutaisi Akaki Tsereteli State University); Professor Niko Akhalkatsi (Samtskhe-Javakheti State University); Professor Roin Kavrelishvili (Samtskhe-Javakheti State University, Akhaltsikhe, Georgia. Kars Caucasus University, Kars, Turkey); Academician Shahin Mustafaev (National Academy of Sciences of Azerbaijan, Azerbaijan), Professor Farda Asadov (National Academy of Sciences of Azerbaijan, Azerbaijan); Professor Nurie Muratova (South-West University of Blagoevgrad, Blagoevgrad, Bulgaria); Professor Irina Kobyakova, (Sumy State University, Kiev, Ukraine); Associate Professor Harun Çimke (RT Erdoɔбoban University, Turkey).

REVIEWERS: Professor Zaza Shashikadze

© **Department of Oriental Studies**
Address: Rustaveli/Ninoshvili Str. 32/35, Batumi, Georgia, 6010, Batumi Shota Rustaveli State University, Department of Oriental Studies, Room46
E-mail : emzar.makaradze@bsu.edu.ge
Publishing House „Dani" 2018
Tbilisi, A. Tsereteli Str. 112. Tel.: 599 789 003
ISSN 2587-490X

ისტორია, პოლიტიკა, წყაროთმცოდნეობა
HISTORY, POLITICS, PRIMARY SOURCE STUDIES

მარიამ ჩალაბაშვილი
იაპონური აზროვნების ლაბირინთებში----------8
Mariam Chalabashvili
In labyrinths of Japanese way of thinking
ბექა მაკარაძე
თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების პოლიტიკური ანალიზი თანამედროვე ეტაპზე----------20
Beka Makaradze
Political analysis of Turkish-American relations at the present stage
მაია კაპანაძე
ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში-------37
Maia Kapanadze
Gulf countries in Saudi Arabia's foreign policy
დავით ანდღულაძე
ჩინეთისადმი დამოკიდებულების ცვლილება ოცდამეერთე საუკუნის რუსულ მედია სივრცეში----------61
Davit Andguladze
ATTITUDE CHANGES TOWARDS CHINA IN RUSSIAN MEDIA IN 21ST CENTURY
გიორგი ახალკაციშვილი
ჯემ „სულთნის" ბრძოლა ტახტისთვის და პაპი ალექსანდრე VI ბორჯა----------77
George Akhalkatsishvili
Cem „Sultan" fight for the throne And Pope Alexander VI Borgia
შალვა ჩიხლაძე,ოთარ ჭიღლაძე
ქართველები ჩინეთში XX საუკუნის პირველ ნახევარში----------93
Shalva Chikhladze, Otari Tchigladze
Georgians in China in the first half of the 20th century
სიმონ გურეშიძე
ტალიბანის დაბრუნება - წინაპირობები და რეგიონულ აქტორთა განწყობები----------117

Simon Gureshidze
Return of the Taliban – Preconditions and the interests of regional key players
ზაზა ბერიძე
თურქეთი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ----------143
Zaza Beridze
Turkey on the road to European Union

არქეოლოგია, ეთნოლოგია
ARCHEOLOGY, ETHNOLOGY

ლუკა თანდილავა
ლაზები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეთნოკულტურული ასპექტები)----------155
Luka Tandilava
The Lazs in Adjara (historical, ethnographic and ethnocultural aspects)

ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა
LINGUISTICS, LITERARY CRITICISM

ანა ახალაძე
საერთო სემანტიკის მქონე ქართულ და თურქულ იდიომთა სტრუქტურა----------180
Ana Akhaladze
The Structure of Georgian and Turkish Idioms With the Same Semantics
ნათელა ფარტენაძე
ზმნა და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი მარადიდულ კლარჯულში----------192
Natela Phartenadze
Verb peculiarities in Maradid Klarjuli

ლილე თანდილავა
თურქული ელემენტები მარადიდის მეტყველებაში----------213
Lile Tandilava
Turkish elements in Maradidi's speech

თარგმანი
TRANSLATION

თევფიქ ფიქრეთი (1867-1915) - „ნისლი“. თურქულიდან თარგმნა **ასმათ ჯაფარიძემ** ----------227
Tevpik Pikreti (1867-1915) – „Fog“. Translated from Turkish by **Asmat Japaridze**

რეცენზია
REVIEW

ალმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი
რეცენზია - პროფესორ ნანი გელოვანის მონოგრაფიაზე - „თბილისის მუსლიმური თემი“ (1801-1917), თბილისი, 2021---------233
ოთარ გოგოლიშვილი
რეცენზია - პროფესორ ჯაბა სამუშიას მონოგრაფიაზე - „დიდგორის ბრძოლა“ ძლევაჲ საკვირველი, თბილისი, 202---235

იუბილე
JUBİLEE

ლილე თანდილავა - 60 ----------239
Lile Tandilava - 60

იაპონური აზროვნების ლაბირინთებში

მარიამ ჩალაბაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შორეული აღმოსავლეთის ახალი
და უახლესი ისტორიის მაგისტრი
ORCID identifier: 0000-0002-8411-8676
Chalabashvili.mariam@gmail.com
571103101

აბსტრაქტი

იაპონური აზროვნების სტილი დღემდე გამოცანად რჩება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისთვის, მათ შორის - საქართველოსთვის. ბევრია ისეთი იაპონური სიტყვა თუ ფრაზა, რომლის თარგმანიც არსს ვერ სწვდება, სწორედ ასეთია: *იკიგაი*(生き甲斐)და *ვაბი-საბი* (わび さび). თუმცა ორივე მათგანი არა მხოლოდ სიტყვებად, არამედ ცალკე აღებულ აზროვნების სტილად თუ ცხოვრების წესად შეიძლება განვიხილოთ.

იკიგაის (ცხოვრების მიზეზი, ღირებულება) სიტყვის ეტიმოლოგიას უკავშირებენ ჰეიანის პერიოდს (794-1185). როგორც იაპონელი კლინიკური ფსიქოლოგი აკიჰირო ჰასეგავა აღნიშნავს, იკიგაის შემადგენელი *გაი* მომდინარეობს იაპონური სიტყვიდან *კაი* - ნიჟარა, რაც ჰეიანის პერიოდში (და ბევრად ადრეც) ღირებულ ნივთს წარმოადგენდა, თამაშ - კაიავასეში გამოიყენებოდა და ხელოვანები დაკავებულები იყვნენ მათი ხელით მოხატვით. *გაი* აგრეთვე გვხვდება სიტყვაში *ჰატარაკიგაი* (შრომის ფასი) და ფრაზაში- *იარიგაიგაარუ* (გაკეთების ფასი, ღირებულება, გაკეთებად ღირს), *ასობიგაი* (თამაშის ფასი, ღირებულება)[6]. შესაბამისად, *გაი* ღირებულებას უკავშირდება და იკიგაიც შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც "სიცოცხლის ღირებულება", „ის, რისთვისაც ცხოვრება ღირს". იგი შესაძლოა შევადაროთ მზესუმზირის ყვავილს, რომლის ცენტრშიც მზესუმზირის მარცვლები იკიგაის

წყაროა, ყვავილის ფურცლები კი - იკიგაი-კანის გრძნობა, რომელიც ადამიანს იკიგაის წყაროსადმი უჩნდება. იაპონიაში არსებობს ასეთი გამოთქმა: "ათი ადამიანი, ათი ფერი", და მართლაც, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი იკიგაი შეიძლება არსებობდეს. იაპონელები ისე მიჰყვებიან საკუთარ იკიგაის, რომ არ სჭირდებათ თავად სიტყვის ხსენება.

რაც შეეხება ვაბი-საბის[1](რომლის პესიმისტური აღქმაც XIV საუკუნიდან თანდათან შეიცვალა), ეს იაპონური კონცეფცია გვთავაზობს სილამაზის დანახვას წარმავლობაში, დაუსრულებლობასა და ნაკლოვანებაში. იგი იაპონელების ყოველდღიურობასთან ისეა შესისხლხორცებული, რომ მისი მნიშვნელობის გადმოცემა სიტყვიერად იაპონელებს უჭირთ, თუმცა მისი არსის აღქმა შესაძლებელია კინცუგის ხელოვნებასა თუ იაპონური სახლების დიზაინში.

საკვანძო სიტყვები: იკიგაი; ვაბი-საბი.

მეთოდი

ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაზე.

შედეგები

1. იკიგაის არსის განსაზღვრა.
2. ვაბი-საბის არსის განსაზღვრა.

შინაარსი

იკიგაი

იკიგაის ფსიქოლოგიის დედად შესაძლოა მივიჩნიოთ ფსიქიატრი, მწერალი და მთარგმნელი მიეკო კამიია(1914-1979). მან დაიწყო იკიგაის ფსიქოლოგიის კვლევა მაშინ, როდესაც შეამჩნია,

---

[1]ვაბი - □ □კი მომდინარეობს არქაული ზმნიდან □□ -ვაბუ რაც შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც დამწუხრება, დადარდიანება. საბი-□ □უკავშირდება არქაულ ზმნას - საბუ (□)□და ზედ.სახელს - საბიშიი - □□ □რაც ნიშნავს ეულს, მარტოსულს. საბის ლიტერატურული მნიშვნელობა უკავშირდება პოეტ ფუჯივარა ნო ტოშინარის (1114-1204), რომელიც ვაკას მიმდინარეობის ინოვატორი იყო იაპონურ პოეზიაში.

რომ მისი პაციენტები ცხოვრების მიზეზს ვერ პოულობდნენ და დაებადა ასეთი კითხვა: "რამ შეიძლება ადამიანს აგრძნობინოს, რომ სიცოცხლე ღირებულია?"[**9**]. სწორედ ამ კითხვაზე პასუხების ძიებაში,მან დაიცვა დოქტორის ხარისხი ოსაკას უნივერსიტეტში 1960 წელს.

კამიიამ გამოყო იკიგაის ორი გაგება: პირველი, როდესაც ადამიანი ამბობს: "ეს ბავშვი არის ჩემი იკიგაი", გულისხმობს იკიგაის წყაროს, ობიექტს ან სამიზნეს... და მეორე - როდესაც შევიგრძნობთ იკიგაის, როგორც აზროვნების სტილს - იკიგაი-კან (იკიგაის ობიექტის მიმართ ჩვენი გრძნობები) [**9**].

საკუთარ წიგნში - „იკიგაის შესახებ“, კამიიამ გამოყო შვიდი სახის საჭიროების დაკმაყოფილება იმისათვის, რომ ადამიანმა განიცადოს იკიგაი-კან:

- ცხოვრებით კმაყოფილების მოთხოვნილება;
- ცვლილებებისა და ზრდის მოთხოვნილება;
- ნათელი მომავლის მოთხოვნილება;
- რეზონანსის მოთხოვნილება;
- თავისუფლების მოთხოვნილება;
- საკუთარი თავის აქტუალურობის მოთხოვნილება;
- მნიშვნელობისა და ღირებულის მოთხოვნილება

მაგრამ თითოეული მათგანი შესაძლოა შეიცვალოს ინდივიდის მოთხოვნილებების მიხედვით და იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენს პიროვნებისათვის იკიგაის წყარო. ამ თვალსაზრისით, ადამიანებს გააჩნიათ მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოთხოვნილებები [**9**].

აკიჰირო ჰასეგავა კი აღნიშნავს, რომ ადამიანისთვის იკიგაის წყარო შეიძლება იყოს ჯანმრთელობა, მოგონებები, მეგობრები, ოჯახი, ჰობი. რაც შეეხება იკიგაის შესახებ ჩვენს გრძნობებს, ეს შეიძლება იყოს ცხოვრებით კმაყოფილების, კონტროლის, არსებობის შეგრძნება და სხვა [**6**].

აღსანიშნავია ამერიკელი მკვლევარისა და მწერლის დენ ბუტნერის კვლევაც ლურჯი ზონების შესახებ. მან გამოყო ხუთი ლურჯი ზონა: ოკინავა - იაპონიაში, სარდინია - იტალიაში, ლომა - ლინდა - კალიფორნიაში, ნიკოიას ნახევარკუნძული - კოსტა რიკაში, იკარია-საბერძნეთში, სადაც ადამიანები ჯანმრთელები არიან და დიდხანს ცოცხლობენ. ამ ზონებიდან პირველი ოკინ-

ავაა, რომელიც ყველა სხვა დანარჩენიდან იმით განსხვავდება, რომ აქ ადამიანებს აქვთ საკუთარი იკიგაი - ცხოვრების მიზეზი, ის, რისთვისაც ადამიანი ცხოვრობს **(Garcia,&Miralles,2017).**

ის აზრი, რომ ყველას ერთნაირი იკიგაის წყარო აქვს, უცილობლად სწორი ვერ იქნება, რამდენადაც რამდენი ადამიანიცაა, იმდენივე ცხოვრების მიზეზი შეიძლება არსებობდეს. იკიგაის ძიება შესაძლოა მთელი ცხოვრება გაგრძელდეს, თუმცა არსებობს ძირითადი კითხვები, რომლებიც მის პოვნაში გვეხმარება(მარკ ვინის დიაგრამის მიხედვით): რა გიყვარს? რა სფეროში ხარ კარგი? რაში შეიძლება მიიღო ანაზღაურება? რა სჭირდება სამყაროს შენგან?

როგორც მიეკო კამიია აღნიშნავს, იკიგაი მიახლოვებულია ბედნიერებასთან, მაგრამ გარკვეული ნიუანსებით განსხვავდება; მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ახლა თავს უსუსურად გრძნობდე, იკიგაი გაძლევს იმის საშუალებას, რომ იყურო წინ და გააგრძელო ცხოვრება **[9].**

და მაინც, რა არის იკიგაი? ოგიმის მაცხოვრებელთა ცხოვრების წესის შესწავლის შედეგად გამოიყო იკიგაის ათი წესი **(Garcia, &Miralles, 2017):**

- იყავი აქტიური. ის, ვინც თავს ანებებს იმას, რაც უყვარს, ცხოვრების მიზანს კარგავს;
- არ იჩქარო;
- არ დანაყრდე;
- იყოლიე კარგი მეგობრები;
- იყავი ფორმაში;
- გაიღიმე;
- დაუკავშირდი ბუნებას;
- იყავი მადლიერი;
- დატკბი მომენტით;
- მიჰყევი შენს იკიგაის

იმისათვის, რომ იკიგაი შევინარჩუნოთ, უნდა ვიყოთ აქტიურნი, თუნდაც პენსიაზე გასვლის შემდეგ. ის, ვინც თავს ანებებს იმას რაც უყვარს, ცხოვრების მიზანს კარგავს. იაპონელი ჰაიკუისტი მიცუო აიდას სიტყვები - *იმა კოკო* (□ □) ⊩ „ახლა, აქ“, გულისხმობს, რომ ვიყოთ ახლა და აქ, სიჩქარე და მოვლენების დაჩქარება საჭირო არაა, „იარე ნელა და წინ წახვალ“ **(Garcia,&**

Miralles,2017). იაპონელი ასაკოვანი ადამიანების ცხოვრების სტილს თუ დავუკვირდებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი სწორედ პენსიაზე გასვლის შემდეგ იწყებენ ცხოვრებით ტკბობას, მოგზაურობას და არ კარგავენ ცხოვრების აზრს.

ჰოკაიდოს მცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვანია იაპონური ცნობილი გამოთქმა-*ჰარა ჰაჩი ბუ* (腹八分), რომელიც საკვების მირთმევას ისე გვასწავლის, რომ ვერ ვიგრძნოთ დანაყრება. ხოლო იაპონელების მაგიდის გაწყობას თუ დავაკვირდებით, იაპონიაში ტიპიური საჭმელი რესტორანში ხუთ ჭურჭელზეა განთავსებული, რაც იმის ილუზიას ქმნის, რომ ბევრს ჭამ **(Garcia,&Miralles,2017).**

იაპონიის სოფელ ოგიმის მაცხოვრებელთათვის მნიშვნელოვანია მეგობრების ყოლაც, სადაც მოაის (ადამიანთა არაფორმალური ჯგუფი) წევრები, ერთმანეთზე ზრუნავენ და ეს ჰოკაიდოს მკვიდრთათვის იკიგაის შემადგენელი ნაწილი ხდება. ისინი ყოველთვიურად აგროვებენ გარკვეულ თანხას სხვადასხვა აქტივობისათვის, დარჩენილი თანხა კი რიგრიგობით თითო-თითო წევრს გადაეცემა.

ამგვარად, მოაი ეხმარება ჯგუფის წევრებს ემოციური და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებაში. თუ ვინმეს ფინანსური გასაჭირი აქვს, ის იღებს დამატებით დახმარებას ჯგუფის წევრებისგან **(Garcia,&Miralles,2017).**

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰოკაიდოს მაცხოვრებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფიზიკურ ფორმაში ყოფნას, რისთვისაც მიმართავენ იოგას და სხვა პრაქტიკას. აღნიშნული ფიზიკური აქტივობა არამხოლოდ ფიზიკურ მდგომარეობაზე, არამედ განწყობაზეც მოქმედებს და ღიმილისთვისაც ადამიანს მეტი ძალა ეძლევა.

ალბათ, წარმოუდგენელია იაპონელის ცხოვრება ბუნებასთან კავშირის გარეშე და ეს კავშირიც იკიგაის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამისათვის სულაც არაა აუცილებელი ქალაქგარეთ ცხოვრება; დილის გასეირნება და საკუთარი ოთახის მცენარეების მოვლაც შეიძლება აღვიქვათ ბუნებასთან კავშირად. ამგვარად, თუკი ჩვენს ცხოვრებას შევადარებთ ყვავილს, მაშინ იკიგაი იქნება ყვავილის გული, რომელიც კრავს ფურცლებს, ეს ფურცლები კი ჩვენი ინტერესებია **(Longhurst, 2018).**

შესაძლოა ზოგიერთ ადამიანს მიაჩნია, რომ ყოველდღიურობა ერთფეროვანია და თუ რაიმე ამაღელვებელი არ ხდება, სიხარულის საბაბიც არ გვაქვს. მაგრამ იაპონური გამოთქმა *იჩი გო იჩი ე* („ერთი მომენტი, ერთი ნახატი"), გულისხმობს, რომ უნდა დავაფასოთ მომენტი, რომელიც განუმეორებელია და გაგვაჩნდეს მადლიერების გრძნობა (**Garcia,&Miralles,2017**). მიცუო აიდა, რომლის იკიგაიც ჰაიკუ და შოდო იყო, ამბობდა, რომ „ბედნიერებას ყოველთვის შენი გული წყვეტსო" (**Garcia,&Miralles,2017**) და თუ ჩვენს გულს კარგად მოვუსმენთ, ჩვენი იკიგაისგანაც მივიღებთ გამოხმაურებას.

ვაბი-საბი

ვაბი-საბი, ისევე როგორც იკიგაი, შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ცხოვრების სტილი, მოვლენებისა თუ საგნების ესთეტიკური აღქმა. *საბის* ლიტერატურული მნიშვნელობა უკავშირდება პოეტ ფუჯივარა ნო ტოშინარის (1114-1204), რომელიც იაპონურ პოეზიაში *ვაკას* მიმდინარეობის ინოვატორი იყო. ვაბი-საბის თავდაპირველი მელანქოლიური დატვირთვა XIV საუკუნიდან თანდათან შეიცვალა. ვაბი-საბის მნიშვნელობას ბრწყინვალედ გადმოსცემს ძენ ბუდისტური ლეგენდა, რომლის თანახმად, დიდი ხნის წინ ვეფხვისგან კლდესთან მიმწყვდეული კაცი იქვე, ხის ტოტს ჩაეჭიდა. მანამ, სანამ კაცი იქ ეკიდა, მეორე ვეფხვიც გამოჩნდა. ამ დროს კაცმა კლდეზე ამოსული ველური მარწყვი შენიშნა, მოწყვიტა და შეჭამა იმ ტკბილ-მწარე ფიქრით, რომ ეს მისი უკანასკნელი შეჭამანდი იქნებოდა (**Jupiter,2003**). სწორედ ეს ტკბილ-მწარე ფიქრი და შეგრძნება ასახავს ვაბი-საბის არსს.

პერიფერიულად ვაბი-საბი დაკავშირებულია ტაოიზმთან და ძენ-ბუდიზმთანაც, რომელთათვისაც დამახასიათებელია სიმარტივე, სისადავე, ბუნებრივობა და რეალობისთვის თვალის გასწორება. ვაბი-საბის ესთეტიკის დასაწყისი კი უკავშირდება ძენ-ბუდისტ ბერს მურატა შუკოს (1423–1502), რომლის მოღვაწეობის პერიოდშიც ჩაის სმა და მისთვის საჭირო ჭურჭელი პრესტიჟის გარკვეულ ელემენტს წარმოადგენდა, მაგრამ შუკო სულაც არ იყო პომპეზურობის მოტრფიალე და უპირატესობას სადა, ადგილობრივ ჭურჭელს ანიჭებდა. სწორედ აქედან იწყება

ვაბი-საბის ესთეტიკის დამკვიდრება ჩაის ცერემონიაში. ვაბი-საბის აპოთეოზი კი უკავშირდება იაპონელ ჩაის ცერემონიის ოსტატ სენ ნო რიკიუს (1522-1591), რომელსაც ჩაის ცერემონიის მიმართ ინტერესი 17 წლის ასაკში გაუჩნდა. მან დაიწყო მოღვაწეობა შიოგუნი ტოიოტომი ჰიდეოშის (1537-1598) კარზე, სადაც ადგენდა ჩაის სმის ცერემონიის პროტოკოლს დანარჩენ ჩაის ოსტატებთან ერთად. თუკი ჰიდეოში პომპეზური ჩაის სმის ოთახს ანიჭებდა უპირატესობას, რიკიუს ყურადღება სისადავემ მიიპყრო და ვაბი-საბის დახასიათებისას ის ფუჯივარა ტეიკას (1162-1241) ჰაიკუს ახსენებდა:

გარშემო, ყვავილები არ ყვავილობენ
და არც ნეკერჩხლის ფოთლები მოსჩანს,
მხოლოდ მეთევზის ქოხი დაისისას
სანაპიროზე,
ამ შემოდგომის საღამოს **(Koren,1994).**

მიუხედავად იმისა, რომ ჩაის ცერემონიისათვის მნიშვნელოვანი იყო სუფთა გარემო, რიკიუ არ ითხოვდა გარემოს სრულ სტერილიზაციას. ერთხელ, როდესაც რიკიუს დავალებით ჩაის ცერემონიისათვის მისმა შვილმა დალაგებას მთელი დღე მოანდომა; გულმოდგინედ გახეხა ქვით მოკირწყლული ბილიკი, მოგავა ნეკერჩხლის ფოთლები, რიკიუ მივიდა ნეკერჩხლის ხესთან და მიზანმიმართულად დააყრევინა ფოთლები. სწორედ ეს არის ვაბი-საბის გამოხატულება, როგორც ბუნებისა და კაცის შრომის ერთგვარი სიმბიოზი **(Jupiter, 2003).**

ვაბი-საბის შინაარსის გადმოცემა უფრო მარტივია მოცემული კონტრასტებით **(Longhurst, 2018):**

- ასიმეტრია, ვიდრე სიმეტრია;
- უბრალოება და თავმდაბლობა, ვიდრე პომპეზურობა, ქედმაღლობა;
- ზრდა და არა სტაგნაცია;
- ბუნებრივი გარდაცვალება;
- ნელი, ვიდრე სწრაფი;
- თავშეკავებულობა და არა სიხარბე;
- არა მატერიალიზმი;

- ღირსეულობა და არა უღირსება;
- მინიმალური და არა ჭარბი;
- მოქნილი და არა უხეში;
- დაუსრულებელი და არა დასრულებული;
- პატარა და არა დიდი მომენტები

თუ დავაკვირდებით, როგორც იაპონურ მხატვრობაში, ისე ლიტერატურაშიც წარმოჩენილია სეზონების ცვლა, რაც ვაბი-საბის პრინციპებს ეხმიანება და ერთგვარ *მონო ნო ავარეს* (物の あわれ) შეგრძნებას ბადებს - გვიბიძგებს წარმავალი ბუნებრივი სილამაზის აღქმისა და დაფასებისაკენ.

ვაბი-საბი იმდენად შესისხლხორცებულია იაპონელების ცხოვრების ყველა ასპექტთან, რომ თავად იაპონელებს თუ დავეკითხებით ვაბი-საბი რა არისო, პასუხის გაცემა ძალიან გაუჭირდებათ და მართლაც, მისი ახსნა რთულია, თუმცა შეგრძნება შესაძლებელია, თუნდაც კინცუგის ხელოვნების ნიმუშებში. ლეგენდის თანახმად, კინცუგის (ოქროთი დაკავშირება) ხელოვნება უკავშირდება შიოგუნ აშიკაგა იოშიმასას (XIV საუკუნე), რომელიც ძალიან დამწუხრდა, როდესაც მისი ერთ-ერთი საყვარელი კერამიკული ნივთი ცუდად შეუკეთეს და იაპონელ ხელოსნებს სთხოვა, ესთეტიკური გზა ენახათ კერამიკის შესაკეთებლად. სწორედ აქედან დაიბადა კინცუგის ხელოვნებაც **(Jupiter,2003)**, რომელშიც შეწებებული დეტალი ადამიანის სულიერ ჭრილობებს შეიძლება შევადაროთ. სწორედ ეს ჭრილობები გამოარჩევს ინდივიდს სხვა ადამიანებისგან, მაგრამ ეს არ უნდა მივიჩნიოთ ისე, თითქოს ადამიანმა მთელი ცხოვრება მწუხარებაში უნდა გალიოს, არამედ უმჯობესია, თვალი გავუსწოროთ ამ ჭრილობებს, გამოცდილებად დავტოვოთ როგორც ოქროს დეტალი და ვისწავლოთ მასთან ერთად წინსვლა.

ვაბი-საბის ესთეტიკის პრინციპები ასახვას ჰპოვებს ტრადიციული იაპონური სახლების არქიტექტურაშიც. ამ ტიპის სახლები სადა დეკორაციით გამოირჩევა და ის ელემენტები, რაც ყოველდღიური ცხოვრების შედეგად ჩნდება, ადამიანებისთვის მნიშვნელოვან მოგონებებს ინახავს. და რა არის ადამიანის ცხოვრება თუ არა მისი მოგონებები?!

მნიშვნელოვანია აღინიშნოს იაპონელი მწერალი ჯუნიჩირო ტანიძაკი (1886–1965), რომელიც თავის წიგნში „ჩრდილის ხოტბა-შესხმა“, საუბრობს ტრადიციულ იაპონურ საპირფარეშოზე. მისი განმარტებით, თუ დასავლურ კულტურაში საპირფარეშო ასოცირდებოდა სიბინძურესთან, ზოგიერთი იაპონელი შემოქმედისათვის მთავარი შენობის მოშორებით, ფოთლებისა და ხავსის სურნელში გახვეულ იაპონურ საპირფარეშოში გატარებული დრო ინსპირაციის წყაროც კი გამხდარა. იაპონელი მწერალი ნაცუმე სოსეკიც (1867-1916) აღნიშნავდა, რომ დილის გასეირნება საპირფარეშოში „ფიზიოლოგიურ სიამოვნებას“ წარმოადგენდა **(Tanizaki,1997).** შესაბამისად, ვაბი-საბის ესთეტიკური აღქმა გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ სილამაზე არასრულყოფილებაშიც; როგორც ტანიძაკი აღნიშნავს, „იაპონელები სილამაზეს პოულობენ არა საგნებში, არამედ ჩრდილში, სინათლისა და სიბნელის წინააღმდეგობაში, რასაც ისინი ერთად ქმნიან... ჩრდილი რომ არა, არ იქნებოდა სილამაზე“ **(Tanizaki,1997).**

დასკვნა

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იკიგაის წყაროს ძიება შესაძლოა მთელი ცხოვრება გაგრძელდეს, ის შესაძლოა იყოს ერთი, ანდაც რამდენიმე, მისი აღმოჩენა კი სიცოცხლის ენერგიით გვმუხტავს და გვეხმარება ბედნიერ, ხანგრძლივ ცხოვრებაში. რაც შეეხება ვაბი-საბის ესთეტიკას, იგი საშუალებას გვაძლევს სილამაზე აღვიქვათ სინათლისა და სიბნელის ჭიდილშიც, ერთგვარად თვალი გავუსწოროთ ჩვენ წინ არსებულ წინაღობებს, ნაკლოვანებებსა თუ ცხოვრების წარმავლობას და თითოეული მომენტით ტკბობა შევიგრძნოთ, თუნდაც ეს მომენტი უკანასკნელი იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Garcia, H. &Miralles,F. (2017). Ikigai-The Japanese Secret to a Long and Happy Life. New York. Penguin Random House of LLC.;
2. Jupiter, A. (2003). Wabi-sabi- Japanese art of Impermanence. United States. Tuttle Publishing;
3. Koren, L. (1994).Wabi-Sabi for Artists, Designers, Poets and Philosophers. United States of America. Stone Bridge Press;

4. Longhurst, E. N.(2018).A little Book of Japanese Contentments: Ikigai, Forest Bathing, Wabi-sabi, and More. United States of America. Chronicle Books LLC.;
5. Tanizaki, J. (1997). In Phraise of Shadows.Leete's Island Books.Inc.;
6. https://ikigaitribe.com/ikigai/podcast01/(24.03.2021);
7. http://www.aisf.or.jp/~jaanus/deta/s/sabi.htm(24.03.2021);
8.https://gri-blog.hatenablog.com/entry/2020/03/31/224640(24.03.2021);
9. https://ikigaitribe.com/ikigai/mieko-kamiya/ (21.11.2020);
10. https://1200irori.jp/content/learn/detail/case25(25.03.2021).

In labyrinths of Japanese way of thinking

Mariam Chalabashvili
Tbilisi Ivane Javakhishvili State University
Master of Far East Modern
and Contemporary History
ORCID identifier: 0000-0002-8411-8676
Chalabashvili.mariam@gmail.com
571103101

Abstract

Japanese mainstream way of thinking prevails as a puzzle for the whole world including Georgia. Several Japanese words and phrases are hard to grasp even after the translation; Ikigai (生き甲斐) and Wabi-sabi (わびさび) are the two striking examples. Both of them could be deemed as not only words, but also as the way of thinking or the way of life.

The word etymology of Ikigai (the reason, value of life) derives from the Heian period (794-1185). According to the clinical psychologist Akihiro Hasegawa, *Gai* comes from the Japanese word *Kai* - *shell*; during the Heian period (as well as much earlier) shells were perceived highly valuable as artists decorated them by hand, and used them in a shell-matching game called *Kaiawase*. *Kai*s also used in other Japanese words and actual verbs such as *hatarakigai* (the value of working); *yarigai* (the value of doing) and asobigai (the value of playing). Since *Gai* relates to *value,* Ikigai could also be translated as *the value of life*, *something worth living for*. The concept of Ikigai could be compared to a sunflower, the sunflower seeds in the center could be perceived as the source of Ikigai and petals of the flower as one's feeling about the ikigai object - Ikigai-kan (Ikigai feeling). As the Japanese proverb goes, "ten people, ten colours". Therefore, Ikigai could be as diverse as the number of people and the Japanese tend to follow their own Ikigai, without clarifying the word.

Another Japanese concept - Wabi-sabi (which gradually transformed its initial gloomy connotation since 14th century) offers us

to perceive beauty even inimpermanence, incompletion andimperfection. Even though, the concept is intricately entangled with the everyday life, that makes it very difficult for Japanese people to convey the meaning, the essence of Wabi-sabi could be comprehended in the ancient craft of Kintsugi and Japanese house design as well.

Key words: ikigai; wabi-sabi.

თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობების პოლიტიკური ანალიზი თანამედროვე ეტაპზე

ბექა მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის
დეპარტამენტის დოქტორანტი
საქართველო, ბათუმი.
ORCID ID : 0000-0002-6276-7819
beka.makaradze@bsu.edu.ge
551042395

აბსტრაქტი

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის 10-იან წლებში თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში აღმავლობას დაღმავლობა ენაცვლებოდა. აშშ-თან ურთიერთობა არ ვითარდებოდა თურქეთის მოლოდინის შესაბამისად. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის სომხეთის, სირიის, ისრაელის, ირანის, ქურთების საკითხები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი და მგრძნობიარე იყო ანკარისათვის.

XX საუკუნის 90-იან წლებში, „ცივი ომის“ დამთავრებამ და პოლიტიკური რუკიდან თურქეთის უმთავრესი საფრთხის - საბჭოთა კავშირის „წასვლამ“, ანკარას მისცა რეგიონში დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა, რომელმაც აქტიური სახე მიიღო XXI საუკუნის დასაწყისში.

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკა ბევრი თავისებურებით გამოირჩევა. ეს გახლავთ „ახალი თურქეთის“ მოდელი, რომელიც განსაკუთრებით კონცენტრირებულია ახლო აღმოსავლეთსა და ისლამურ ქვეყნებზე. პოლიტიკის მთავარი მიზანი კი ამ რეგიონის მუსლიმ მოსახლეობაზე ზეგავლენის მოხდენა და

ნეო-ოსმალური ღირებულებების გავრცელებაა. თურქეთის საგარეო ურთიერთობები საკუთარ როლს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ისინი თვლიან, რომ ბალკანეთი - კავკასია - ახლო აღმოსავლეთის სამკუთხედში თურქეთს წამყვანი ადგილი უჭირავს და ლიდერობასაც ითავსებს და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ თურქეთის სუბიექტურ თვითაღქმას უკავშირდება. ამ მდგომარეობამდე თურქეთის რესპუბლიკა სხვა დასავლური სახელმწიფოების დამოკიდებულებამ მოიყვანა. თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობას XX საუკუნის შუა წლებიდან ჩაეყარა საფუძველი, თუმცა თურქეთის, როგორც სეკულარული, დემოკრატიული მუსლიმური სახელმწიფოს იდეა უფრო ფართოდ ცნობილი მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისში გახდა.

XXI საუკუნის დასაწყისში, თურქეთის საგარეო პოლიტიკის განახლებულმა მიდგომებმა, რა საკვირველია, სხვა ქვეყნებთან მის ურთიერთობებზეც იმოქმედა. უპირველეს ყოვლისა გარკვეული ცვლილებები მოხდა თურქეთის რესპუბლიკასა და მის დიდი ხნის სტრატეგიულ პარტნიორს, ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

თურქეთს, რომელსაც სურს იქცეს „უმაღლესი რანგის მსოფლიო ეკონომიკის“ ქვეყნად და გახდეს ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფო, აუცილებლად მოუხდება აშშ-თან კავშირების გამყარება, რაც მისგან ნაწილობრივ მოითხოვს თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების უფრო მკაფიო გამოკვეთასა და დაზუსტება - წარმართვას.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი; ამერიკის შეერთებული შტატები; პოლიტიკური ანალიზი.

შესავალი

თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზი თანამედროვე ეტაპზე განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სწორედ ამ პერიოდში XX საუკუნის 90-იან წლებში, „ცივი ომის“ დამთავრებამ და პოლიტიკური რუკიდან თურქეთის უმთავრესი საფრთხის - საბჭოთა კავშირის „წასვ-

ლამ“, ანკარას მისცა რეგიონში დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა, რომელმაც აქტიური სახე მიიღო XXI საუკუნის დასაწყისში.

თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობების საკითხების შესწავლას თანამედროვე ეტაპზე ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა, არ მოგვეპოვება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფუნდამენტური სამეცნიერო შრომები.

წინამდებარე სტატიაში თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზი თანამედროვე ეტაპზე უწყვეტ ჯაჭვში განვიხილავთ, რაც საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვადგინოთ როგორც საკითხის ისტორიული ასპექტი, ისე მისი დღევანდელი რეალობა. ჩვენ შევეცადეთ მკვეთრი ზღვარი გაგვევლო იმ პრობლემებზე, რომლებმაც აქტიურად იჩინეს თავი თანამედროვე ეტაპზე თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობაში. მკითხველის განსასჯელია, თუ რამდენად შევძელით ეს.

მეთოდი

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზი თანამედროვე ეტაპზე. ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

შედეგები

თურქეთ-ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზის საკითხების შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა, ნათლად გაგვეაზრებინა თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობების საკვანძო საკითხები და ისტორიული ასპექტები.

სტატიაში გამიჯნულია თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ურთიერთობების ცალკეული საკითხები და ახლებურადაა წარმოდგენილი თანამედროვე მდგომარეობა.

მსჯელობა

თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკა ბევრი თავისებურებით გამოირჩევა. თურქეთის საგარეო პოლიტიკის განახლებულმა მიდგომებმა, კერძოდ „ახალი თურქეთის“ მოდელმა, უპირველეს ყოვლისა გარკვეული ცვლილებები მოახდინა თურქეთის რესპუბლიკასა და მის დიდი ხნის სტრატეგიულ პარტნიორს, ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

ქრონოლოგიური უზუსტობის თავიდან ასარიდებლად მოვლენებს მივყვეთ ეტაპობრივად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თურეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის პირველი გაფრთხილება და მცირე ინციდენტი შეერთებული შტატებისადმი, 2003 წელს მომხდა, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყში შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო, თურქეთმა და კერძოდ მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა, აშშ-ს არ მისცა საჰაერო ბაზის პლაცდარმად გამოყენების უფლება. ეს ნაბიჯი მაშინ საკმაოდ ხისტ პასუხად აღიქმებოდა სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან, თუმცა დღეს, 18 წლის შემდეგ, როდესაც პრეზიდენტ ერდოღანის ქმედებებს ყოველდღიურად ვადევნებთ თვალს, ამგვარი ქმედების მიზეზი საკმაოდ ცხადი ხდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის რესპუბლიკასა და აშშ-ს შორის ურთიერთობების ცვლილების ყინული სწორედ ამ დროიდან დაიძრა. თურქეთში ინჯირლიკის საჰაერო ბაზა ამის შემდეგაც არაერთხელ გამხდარა უთანხმოების მიზეზი. 2014 წელს უკვე ტერორისტული ორგანიზაცია ISIL (ISIS)-ის წინააღმდეგ იერიშების განხორციელებაზე უარი უთხრა ერდოღანმა შეერთებულ შტატებს **(მაკარაძე,ზ.2019:112)**.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის ფაქტორიც, რომელმაც, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებზე. საუბარია თურქეთში 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობაზე, რამაც რეჯეფ თაიფ ერდოღანს სამოქმედო ნაბიჯების მთელი პალიტრა გადაუშალა. სამხედრო გადატრიალების მცდელობის საკმაოდ ხისტად ჩახშობის შემდეგ კი, შეიძლება ითქვას, ერდოღანი შეტევაზეც გადავიდა. კერძოდ, მისი მთავრობის ოფიციალურმა პირებმა ღიად დაადანაშაულეს ამერიკის შეერთებული შტატები ამბოხის სავარაუდო მეთაურის, ფეთულაჰ გიუ-

ლენის, მფარველობაში. თურქეთი პროპაგანდისტული მეთოდებით ცდილობდა სამხედრო გადატრიალების მცდელობაში ამერიკული ნიშნების არსებობის დადასტურებას **(Aydın, A.,2016: 152).** ის უნდობლობა, რომელიც დღითი-დღე იზრდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის მკვლევარების ნაწილი ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს აბრალებდა, სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ორივე მხარეს მხსნელად იმ პერიოდში დონალდ ტრამპი ესახებოდათ. პირველ რიგში კი ეს ყველაფერი ტრამპის შეხედულებებით იყო განპირობებული. იგი გახლდათ რესპუბლიკელი კანდიდატი, კონსერვატორული შეხედულებების მქონე პიროვნება, რომელიც თავიდანვე საკმაოდ მკაფიო და მკაცრ განცხადებებს აკეთებდა. შესაბამისად, ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაშიც გაჩნდა იმის იმედი, რომ დონალდ ტრამპი თურქეთის საკითხს და კერძოდ ერდოღანთან ურთიერთობას მკაცრად მიუდგებოდა.

დონალდ ტრამპი ავტორიტარი ლიდერებისადმი საკმაოდ ლოიალური გამოდგა. რითიც ისარგებლა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა და გადაწყვიტა რუსეთისაგან შეეძინა ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა S-400. აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ნატო-ს წევრობის სტანდარტებს, არამედ იგი პოლიტიკურ-დიპლომატიურადაც მიუღებელია. ყოველივე ამან უკმაყოფილება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ელიტაშიც და წარმომადგენლობითმა პალატამ არა ერთხელ სცადა თურქეთისათვის სანქციების დაწესების პროცესის დაწყება, თუმცა მისი ყველა მცდელობა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უგულებელყო. თურქეთი ამ ნაბიჯით კი კიდევ უფრო დაახლოვდა რუსეთის ფედერაციასთან უსაფრთხოების თანამშრომლობის სფეროში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, არსებობს კიდევ უამრავი ქმედება, რამაც თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობებს ჩრდილი მიაყენა. ამ მიზეზებში ერთიანდება როგორც პოლიტიკური საკითხები, ისე ეკონომიკური ქმედებები, ადამიანის უფლებათა თემები, თუმცა, ვფიქრობ, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი თურქეთის მზარდი როლია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. პრეზიდენტი ტრამპის ბოლო წლების მთავარი სამოქმედო გეგმა ახლო აღმოსავლეთიდან ამერიკული

ჯარების გაყვანა და მათთვის დამოუკიდებლად განვითარების საშუალება იყო. შესაბამისად, მივიღეთ მოცემულობა, რომლის მიხედვითაც გაჩნდა რეალური შანსი იმისა, რომ რეგიონში ათი ათასობით ამერიკული სამხედრო კონტიგენტი მნიშვნელოვნად შემცირებულიყო. რეჯეფ თაიფ ერდოღანმა კი გადაწყვიტა ამ ქმედების შედეგად დარჩენილი უფსკრულის ამოვსებაზე ფიქრი თავადვე დაეწყო. სწორედ ამიტომ ჩვენ ვიღებთ მოცემულობას, სადაც თურქეთი განსაკუთრებით აქტიურდება ახლო აღმოსავლეთში. იგი პარალელურად ებმება რამდენიმე საომარი სიტუაციაში სირიასა და ლიბიაში. მეტიც, სირიაში იგი აღწევს შეთანხმებას რუსეთთან, რის მიხედვითაც ორი სახელმწიფო ერთობლივ პატრულირებას ახორციელებს იდლიბის პროვინციაში. ამ უკანასკნელმა კი კიდევ უფრო დაძაბა ვითარება თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის **(მაკარაძე,ე. 2019:227)**.

თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ შეერთებული შტატები თურქეთის ამგვარ ქმედებებს უყურადღებოდ ტოვებდა და ტრამპის ლოიალური დამოკიდებულებისდა მიუხედავად საპასუხო ზომებს არ იღებდა. რა საკვირველია, ეს ასე არ ყოფილა.

რეჯეფ თაიფ ერდოღანის საკმაოდ ხისტმა ნაბიჯებმა შეერთებული შტატების პოლიტიკურ ელიტაში შეიძლება ითქვას განაშის სიგნალი გაგზავნა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტად გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ ამერიკაში ალტერნატიულ რეალობაზე დაეწყოთ ფიქრი. რასაკვირველია, თურქეთს მტრად შეერთებულ შტატებში არავინ აღიქვამს, თუმცა ცხადია, რომ მისდამი ნდობის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა. დასავლურ მედიაში სულ უფრო გახშირდა მოწოდებები თურქეთის დასავლური ალიანსიდან გარიცხვის შესახებ, რაც კვლავ მის თანამშრომლობას უკავშირდებოდა რუსეთის ფედერაციასთან თავდაცვის სფეროში. თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ამგვარი მოწოდებები უფრო მეტად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და რეალურად საჭირო იყო უფრო მკაცრი, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ცხადია, რომ არც ერთ მხარეს არ სურს არსებული ვითარების გამწვავება და ორივე დაძაბულობის განმუხტვისაკენ

ისწრაფვის. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ შედეგის მისაღებად უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო. რთული წარმოსადგენია, რომ მათ შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა დაირღვეს და მეგობრობა მტრობამ ჩაანაცვლოს, თუმცა ფაქტია დაძაბულობა დღითი-დღე იზრდება. ბოლო პერიოდში პალესტინა-ისრაელს შორის დაწყებულმა დაპირისპირებამაც მეტად დაძაბა ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთში. თურქეთი პალესტინელებს მხარდაჭერას უცხადებს ისეთივე შემართებით, როგორც აზერბაიჯანელებს მთიან ყარაბაღში.

აშშ-ის ახალ პრეზიდენტ ჯო ბაიდენი, ხისტ პოლიტიკას იკავებს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანისადმი (რასაც თურქულ-ამერიკული ურთიერთობების გაციებას მიაწერენ).

ამდენად მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუს შორის 2021 წლის 24 მარტს ბრიუსელში გამართული შეხვედრა, რაც ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალის ფარგლებში ჩატარდა **(მაკარაძე,ზ.2019:112)**.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შეხვედრის შემდეგ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ბლინკენმა კიდევ ერთხელ მოუწოდა თურქეთს უარი თქვას რუსული წარმოების S-400-ებზე.

გავრცელებული ინფორმაციით, ბლინკენმა თურქი კოლეგა დამატებით გააფრთხილა, რომ ანკარამ არ შეიძინოს არც S-400-ების მეორე პარტია და არც რუსული წარმოების სამხედრო თვითმფრინავები SU-57 და SU-35-ები, რასაც შესაძლოა თურქეთის სამხედრო მრეწველობის კომპლექსის წინააღმდეგ უკვე მოქმედი სანქციების მეორე ტალღა მოჰყვეს.

როგორც ჩანს, თურქულმა მხარემ უარი არ თქვა უკვე შეძენილ S-400-ებზე, რადგან შეხვედრის შემდეგ ჩავუშოღლუმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სისტემები უკვე შეძენილია და „შეთანხმება შემდგარია“. თუმცა, მას არაფერი უთქვამს S-400-ების მეორე პარტიასა და SU-57/SU-35-ებზე.

სამაგიეროდ, ჩავუშოღლუმ გაიმეორა თურქეთის წინადადება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთობლივი კომისიის შექმნის თაობაზე, რომლის მიზანიც უნდა იყოს „ტექნიკური საკითხების

დაზუსტება“. ანკარის სურვილია, ასეთი მექანიზმის საშუალებით აშშ და ნატო დაარწმუნოს სისტემების უსაფრთხოებაში, რათა პერსპექტივაში საერთოდ მოიხსნას მის წინააღმდეგ არსებული სანქციები. თუმცა გამოჩნდა, რომ ვაშინგტონი ამ წინადადებას ენთუზიაზმით არ შეხვედრია. უფრო მეტიც, ბლინკენმა თურქ კოლეგას განუმარტა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელისუფლების შტოებში ძალთა განაწილების სისტემა თეთრ სახლს არ აძლევს არსებული სიტუაციის თურქეთის სასარგებლოდ შეცვლის საშუალებას.

ბლინკენ-ჩავუშოღლუს შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ მათ ასევე განიხილეს ყველა ის აქტუალური საკითხი, რაც ორივე ქვეყნის ინტერესთა სფეროში შედის, როგორიცაა: სირიისა და ლიბიის სამოქალაქო ომები, ერაყში არსებული სიტუაცია და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვაში თურქეთ-საბერძნეთის ბოლოდროინდელი დაპირისპირება.

2021 წლის 24 აპრილს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა აღიარა სომეხთა გენოციდის საკითხი, რითაც გადალახა „პოლიტიკური რუბიკონი“ თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში.

აშშ-ის პრეზიდენტის მიერ 106 წლის წინანდელი მოვლენების გენოციდად აღიარება ცალსახად პოლიტიკური ნაბიჯია, რომელსაც თავისი მიზნები და ამოცანები აქვს **(ბატიაშვილი.2021)**.

ეს, თავის მხრივ, არაერთგვარ დამოკიდებულებას იწვევს საერთაშორისო არენაზე და საინტერესოს ხდის თურქეთის პოზიციას ახალ რეალობაში.

აღიარების საკითხში გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტა (როგორც დემოკრატები, ისე რესპუბლიკელები) საკმაოდ შეშფოთებულია ბოლო პერიოდში ნათლად გამოკვეთილი თურქეთის ქმედებების გამო, რისი მიზანიცაა ვაშინგტონისგან მაქსიმალურად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება რეგიონში. ამერიკელები სწორედ ამ კონტექსტში განიხილავენ თურქეთის მიერ რუსული წარმოების საჰაერო თავდაცვის სისტემების შეძენის ფაქტს, რასაც, მართალია, შედარებით მსუბუქი, მაგრამ ფსიქოლოგიურად მაინც მნიშვნელოვანი ამერიკული სანქციების ამუშავება მოჰყვა.

გენოციდის აღიარებისთვის შესაფერისი დროის შერჩევისას ვაშინგტონმა, სავარაუდოდ, ის ფაქტიც გაითვალისწინა, რომ თურქეთი ამ ეტაპზე სერიოზულ ეკონომიკურ სირთულეებს (კოვიდით გამოწვეული ლოკადაუნებით განპირობებული სოციალურ-ეკონომიკური სახის პრობლემები, ქვეყნიდან დასავლური ინვესტიციების გადინება, თურქული ლირის გაუფასურება, გაზრდილი უმუშევრობა, სავალუტო რეზერვების შემცირება და ა.შ.) განიცდის და მას არ აქვს ფუფუნება ქმედითი ნაბიჯები გადადგას აშშ-ის წინააღდეგ, რაც უპირველესად ისევ ანკარასა და მის ეკონომიკას დააზარალებდა.

თურქეთ-დასავლეთის ურთიერთობებში არსებული არაერთი სირთულის მიუხედავად, ანკარას, საკუთარი პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე, არ შეუძლია დასავლეთისთვის ზურგის შექცევა და რუსეთთან უპირობო დაახლოება. თავის მხრივ, არც მოსკოვს შესწევს უნარი, რომ ანკარას შესთავაზოს ალტერნატიული უსაფრთხოების გარანტიები ან ფინანსური დახმარება.

ანკარას ვერ უშველა ვერც რამდენიმე კვირის წინ მონტროს კონვენციის შესაძლო გადახედვის თაობაზე დასავლეთისთვის გაგზავნილმა მესიჯებმა და ვერც უკრაინის მიმართ გამოხატულმა ღია მხარდაჭერამ - თეთრმა სახლმა უბრალოდ არ გაითვალისწინა ეს ფაქტორები.

ამერიკული მხარის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარება ასევე წარმოადგენდა ერთგვარ მხარდაჭერას სომხეთის პრო-დასავლელი პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის მიმართ, რომელსაც ყარაბაღის მეორე ომში სომხური მხარის დამარცხების შემდეგ წინ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ელის და რომლის ხელისუფლებიდან ჩამოშორებასაც რუსეთში დიდი ხანია ცდილობენ.

ანკარაში ფიქრობენ, რომ მიუღებელია ამ თემის პოლიტიზაცია. ამიტომ მათი წინადადებაა თურქი და სომეხი მეცნიერების მონაწილეობით ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლებიც იმუშავებდნენ ორივე ქვეყნის არქივებში, რისი მიზანიც იქნებოდა სიმართლის დადგენა.

თურქეთში ეჭვობენ, რომ შემდგომ ეტაპზე გენოციდის მსხვერპლთა ან გადარჩენილთა შთამომავლებმა შესაძლოა მოით-

ხოვონ კომპენსაცია, მათ შორის, ზოგი იმასაც შიშობს, რომ შესაძლოა გაძლიერდეს ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებზე.

2021 წლის 21 მაისს, საქართველოსთვის არცთუ სასიამოვნო ამბავი განაცხადა თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოულუმ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადანაშაულა ამერიკის შეწერთებული შტატები თურქეთში გადატრიალების მოწყობის მცდელობაში და განაცხადა, რომ უსაფრთხოების სფეროში წყვეტს ვაშინგტონთან თანამშრომლობას **(ბატიაშვილი. 2021)**.

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ნატოს ორ ძლიერ წევრ ქვეყანას (აშშ და თურქეთი) შორის რაც შეიძლება ახლო თანამშრომლობა არსებობდეს, რაც, სამწუხაროდ, არ გამოდის და როგორც ჩანს, მომავალში კიდევ უფრო ბევრი პრობლემა წარმოიქმნება მათ შორის.

ნატოს შიგნით ბზარის გაჩენა და დაპირისპირება კი მხოლოდ რუსეთის ინტერესებშია, რასაც ბოლო წლებია მოსკოვი ძალიან ოსტატურად ახერხებს კიდეც.

დასკვნა

როგორ შეიძლება შევაფასოთ თურქეთ-აშშ-ის დამოკიდებულება ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით? რა თქმა უნდა ეს ურთიერთობები ორივე მხარისათვის სასიცოცხლო ღირებულებისაა. მიუხედავად, მათ შორის გარკვეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობისა და წინააღმდეგობისა, შეიძლება ითქვას, თურქეთი დღესაც არის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ის დასაყრდენი. რომელიც მეტად არასტაბილურია, მისი მეზობელი სახელმწიფოების, ნებსით თუ უნებლიეთ, მრავალგვარი სახის კონფლიქტში ჩართულობის გამო.

თურქულ-ამერიკული ურთიერთობების ამჟამინდელი მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება „ცივი ომის“ ეპოქის დროინდელისგან. მაშინ, როდესაც საბჭოთა საფრთხის გამო ორმა ქვეყანამ მალე შეძლო საერთო ენის გამონახვა, ვაშინგტონის „ქოლგის“ ქვეშ ყოფნა თურქეთის ხელისუფლებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. თანამედროვე ეტაპზე კი, თურქეთისათვის აშშ-თან ასეთი გამაერთიანებელი საფრთხე აღარ არსებობს და ქვეყნის სათავეშიც სხვა ტიპის პოლიტიკური

ლიდერი დგას. თურქეთის დღევანდელი პოლიტიკური კურსი, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, უფრო მეტად ქვეყნის ინტერესებზეა ორიენტირებული.

თურქეთისა და აშშ-ის დღევანდელ ლიდერებს რიგ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული პოზიციები და შეხედულებები აქვთ. ისინი განსხვავებულად აღიქვამენ თავიანთი ქვეყნების ადგილსა და როლს საერთაშორისო ურთიერთობებში.

წლების განმავლობაში ამერიკულ-თურქულ ურთიერთობებში რიგი პრობლემა დაგროვდა, მათი გადაჭრა დროში გაიწელა. კრიზისის წარმოშობის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კი გვიჩვენა, რომ თურქულ - ამერიკულ ურთიერთობებში დაძაბულობა გრძელვადიანია და არ უნდა ველოდოთ მის სწრაფ მოგვარებას.

მკვეთრად დაძაბული ურთიერთობის ფონზე დღის წესრიგში არ დამდგარა არც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ნატოს სამხედრო ბაზის ფუნქციონირების და არც ნატოდან თურქეთის გასვლის საკითხი, რაც დადებითი მოვლენაა და იძლევა იმის იმედს, რომ მომავალში სიტუაციის შემობრუნების საკმაო შანსები კიდევ არსებობს, მაგრამ დაზღვევის მიზნით, აშშ აქტიურად მუშაობს სათადარიგო გეგმაზე იმ შემთხვევისათვის, თუ თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობა ჩიხში შევა, ამოქმედდება ამერიკის „გეგმა ნომერი 2“, რომლითაც რუმინეთში, იორდანიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში ლაგდება აშშ-ის სამხედრო ბაზები.

თურქეთი არაერთხელ დაემუქრა აშშ-ს, რომ ინჯირლიქის ბაზაზე წვდომას ჩამოართმევდა. სამწუხარო ისაა, რომ რასაც რ. თ. ერდოღანი აქამდე აშშ-თან მოლაპარაკების ტაქტიკად იყენებდა, ახლა ეროვნულ სენტიმენტად იქცა. თურქეთს მილიონზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს ნატოში და რაოდენობით აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი უკავია.

თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობათა ისტორიაში, ასეთი დაძაბული ვითარება ჯერ არ ყოფილა. რ.თ.ერდოღანის მმართველობის საწყის ეტაპზე, ვაშინგტონში ბევრს არ სჯეროდა, რომ ის თურქეთს დააშორებდა აშშ-ს, მაგრამ დღეს გაჩნდა ეჭვი, ამ

საკითხთან დაკავშირებით. ისმის ის მოსაზრებაც, რომ აშშ-ისათვის თურქეთი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერდოღანს მოთხოვნები უნდა დაუკმაყოფილონ, თუმცა იმ ადამიანების რიცხვი იზრდება, რომლებიც ფიქრობენ, რომ ერდოღანი თუ მიიღებს რაც სურს, მაშინ უბრალოდ ახალ მოთხოვნებს წამოაყენებს.

თურქეთი ნაციონალური იდეოლოგიის ქვეყანაა და მის პრეზიდენტს რ.თ.ერდოღანს, არ უჭირს ამ მიმართულებით ერის გაერთიანება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანაში მთელ მედიაგარემოს აკონტროლებს და ამით სურს აჩვენოს აშშ-ს, რომ მათთან საგარეო საკითხებზე განსხვავებული პოზიციები და დამოკიდებულება თურქი ერიდან არის ნაკარნახევი, რითაც ზრდის მოსახლეობაში დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის სულისკვეთებას.

ანკარის ვაშინგტონთან დისტანცირების პარალელურად იზრდება თურქეთის რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი.

ისმება კითხვა - რუსეთი სარგებლობს თურქეთსა და ამერიკას შორის დაძაბული ურთიერთობით? ცხადია, რუსეთი ამით სარგებლობს. პუტინი დიპლომატიას, როგორც წესი, ნულოვანი ჯამის თამაშის ჭრილში ხედავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ამერიკამ წააგო, ეს რუსეთისთვის მოგება იქნება. 15 წლის წინ თურქეთი ამერიკის განსაკუთრებული პარტნიორი იყო. დღეს ეს ასე აღარ არის და იმაზეც კი მიდის აქტიური დებატები, უნდა იყოს თუ არა თურქეთი ნატოს წევრი. ეს, რა თქმა უნდა, პუტინს ძალიან აძლევს ხელს.

დასავლეთთან მუდმივი დაპირისპირების ფონზე, თურქეთს უჩნდება განცდა, რომ საგარეო პოლიტიკაში ის პუტინის თანასწორია, რომ მასაც იგივე წონა აქვს საერთაშორისო არენაზე, როგორც პუტინს.

პუტინს მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გაცილებით მეტი ძალა აქვს ვიდრე ერდოღანს და რუსეთი გაცილებით ძლიერი ქვეყანაა, ვიდრე თურქეთი.

თურქეთსა და აშშ-ს შორის დაძაბულობის გაგრძელების შემთხვევაში, მოსალოდნელია აშშ-ის მხრიდან ახალი სახის ეკო-

ნომიკური და სამხედრო სანქციების შემოღება თურქეთის წინააღმდეგ.

თურქეთს, რომელსაც სურს იქცეს „უმაღლესი რანგის მსოფლიო ეკონომიკის“ ქვეყნად და გახდეს ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფო, აუცილებლად მოუხდება აშშ-თან კავშირების გამყარება, რაც მისგან ნაწილობრივ მოითხოვს თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების უფრო მკაფიო გამოკვეთასა და დაზუსტება - წარმართვას.

თურქეთსაც გააჩნია საკუთარი ინტერესები აშშ-თან მიმართებაში. მისთვის პრიორიტეტულია სტრატეგიულ პარტნიორობისა და ნატოს ფარგლებში არსებული პროექტები. მხედველობაშია ეკონომიკური პროექტების, სამხედრო შენაერთების გაძლიერება, აშშ-ს სამხედრო ბაზების არსებობა საკუთარ ტერიტორიაზე, რომელიც უსაფრთხოების გარანტიებს ქმნის და ა.შ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აშშ-ს შუამავლის როლი ევროკავშირთან, რომ მოხდეს მისი ინტეგრაცია.

თურქეთის რესპუბლიკა ადვილად არ დათმობს საკუთარ სურვილს აწარმოოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. შესაბამისად, დიდი ალბათობით, გაგრძელდება ნელი სვლით სიარულს ამ მიმართულებით.

ყოველივე ამას, შეიძლება მოჰყვეს ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ეკონომიკურის სანქციების კიდევ უფრო გაძლიერება.

XXI საუკუნის 20-იან წლებში, მოვლენათა განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ეს პრობლემები და სირთულეები თურქეთ-დასავლეთის ურთიერთობებში გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაგრძელდება.

ურთიერთობებში არსებული გაუგებრობების მიუხედავად, უახლოეს ხანში ნაკლებად მოსალოდნელია ამერიკის შეერთებული შტატებისაგან თურქეთის სრულად დისტანცირება.

ფაქტია, რომ, თურქეთი ვერ გახდება რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე, რადგან ამ ორ ქვეყანას სრულიად განსხვავებული და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის საპირისპირო გრძელვადიანი ინტერესები აქვთ. რუსეთ-თურქეთის რეალური და-

ახლოება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, თუ თურქეთი უარს იტყვის ნატოს წევრობაზე.

თურქეთს, რომელსაც სურს იქცეს „უმაღლესი რანგის მსოფლიო ეკონომიკის“ ქვეყნად და გახდეს ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფო, აუცილებლად მოუხდება აშშ-თან კავშირების გამყარება, რაც მისგან ნაწილობრივ მოითხოვს თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების უფრო მკაფიო გამოკვეთასა და დაზუსტება - წარმართვას.

თურქეთისა და შეერთებული შტატების ურთიერთობები დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ცხადია, რომ არც ერთ მხარეს არ სურს არსებული ვითარების გამწვავება და ორივე დაძაბულობის განმუხტვისაკენ ისწრაფვის. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ შედეგის მისაღებად უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო. რთული წარმოსადგენია, რომ მათ შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა დაირღვეს და მეგობრობა მტრობამ ჩაანაცვლოს, თუმცა ფაქტია დაძაბულობა დღითი-დღე იზრდება. ორივე მხარე ფიქრობს ალტერნატივებზე და საკუთარ დღის წესრიგს დამოუკიდებლად აყალიბებს. მხარეთა ეროვნული ინტერესები და საგარეო პოლიტიკის თავისებურებები ერთმანეთისაგან რიგ საკითხებში განსხვავდება, თუმცა საერთაშორისო უსაფრთხოებისაკენ სწრაფვა ყოველი სახელმწიფოს მოწოდება უნდა იყოს. თავისთავად საინტერესოა მოვლენათა განვითარება აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პირობებშიც. თურქეთსაც და შეერთებულ შტატებსაც საკუთარი მყარი პოზიცია უკავიათ საერთაშორისო სისტემაში, შესაბამისად ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთისათვის მუდამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე იქნება. ხოლო ამ ურთიერთდამოკიდებულების თანამშრომლობაში გამოხატვა ყველასთვის უფრო ხელსაყრელი და მომგებიანი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Batiashvili, Z. (2021). Riti Dasrulda Baiden-Erdoganis Shexvedra? Axlo agmosavletshi Mimdinare Movlenebis Mimoxilva №16.) ბატიაშვილი,ზ.(2021) რითი დასრულდა ბაიდენ-ერდოღანის

შეხვედრა? ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მვლენების მიმოხილვა, №16. https://www. gfsis. org/publications/view/2987;
2. Makaradze, B. (2019). Turket-Amerikis Seertebuli Shttebis Urtiertobebi „Civi Omis“ Shemdgom Periodshi). Tbilisi). მაკარაძე, ბ.(2019). თურქეთ - ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში (2000-2017 წწ.), თბილისი;
3. Makaradze, E. (2019). Turketis istoria 1918-2018 Wlebshi (Salekcio Chanawerebi), Tbilisi). მაკარაძე, ე. (2019). თურქეთის ისტორია 1918-2018 წლებში (სალექციო ჩანაწერები), თბილისი;
4. Aydın, A., Bakıncak, E., Uluslararası Güç Dengesi veİki Kutupluluk Arasındaki İlişki, C.Ü. İktisadı ve İdari Bililer Dergisi, 17 (1) 2016;

Political analysis of Turkish-American relations at the present stage

Beka Makaradze
Doctoral student
At Department of Oriental Studies,
Batumi Shota Rustaveli StateUniversity.
Georgia, Batumi.
ORCID ID: 0000-0002-6276-7819
Email: beka.makaradze@bsu.edu.ge
Tel: 551042395

Abstract

At the end of the XX century and in the 10s of the XXI century, there was observed some tension in Turkish-American relations, that were not developed in accordance with the expectations of Turkey. This was due to problems related to Armenia, Syria, Israel, Iran, Kurds, which were the most important and sensitive for Ankara.

The end of the „cold war" in the 1990s and the "withdrawal" from the political map of Turkey's main threat - the Soviet Union - provided Ankara with an opportunity to act independently in the region, And at the beginning of the XXI century, Turkey began to work most actively in this direction.

Turkey's modern foreign policy is distinguished by many features. This is the „New Turkey" model, which is especially concentrated on the Middle East and Islamic countries. The main goal of the policy is to influence the Muslim population of this region and spread neo-Ottoman values. Turkey attaches great importance to its international relations.

Turkey occupies a leading position and is at the head of the triangle of the Balkans - Caucasus - Middle East, and it should not be thought that all this is connected only with the subjective self-

realization of Turkey. The Turkish Republic was brought to this state by the attitude of other Western states. Relations between Turkey and the United States began in the middle of the XX century, although the idea of Turkey as a secular, democratic Muslim state became more widely known only in the early XXI century.

At the beginning of the XXI century, Turkey's renewed foreign policy approaches, of course, also influenced its relations with other countries. First of all, there have been some changes in relations between the Republic of Turkey and its long-standing strategic partner, the United States.

Turkey, which wants to transform itself into a country with a „world-class economy" and become a state with a liberal democracy, will inevitably have to forge ties with the United States, which in part will require it to clarify its foreign policy priorities.

Keywords: Turkey; UnitedStates of America; Political analysis.

ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში

მაია კაპანაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ORCID ID 0000-0002-74605374
maia.kapanadze@ciu.edu.ge
558766887

აბსტრაქტი

საუდის არაბეთი, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის, ასევე ყურის ქვეყნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა. საუდის არაბეთი ცდილობს ყურის ქვეყნებში ლიდერის როლი შეასრულოს. თავის მხრივ ყურის ქვეყნები ცდილობენ და ზოგი მათგანი ახერხებენ კიდეც, რომ მათზე საუდის არაბეთის გავლენა შეასუსტონ, რაც არც თუ ისე პოზიტიურად აისახება საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაზე არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, არამედ რეგიონს გარეთაც. ხშირად საუდის არაბეთი ცდილობს ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ვექტორი შეცვალოს თავის სასარგებლოდ და ასევე გარკვეული ცვლილებები შეიტანოს მათ დამოკიდებულებაში, როგორც საკუთრივ საუდის არაბეთთან, ისე ერთმანეთთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ყურის ქვეყნები ცდილობენ საუდის არაბეთისგან დამოუკიდებლად იმოქმედოს, არ მოექცეს მისი გავლენის ქვეშ (კატარი, ქუვეითი) და დამოუკიდებლად დაგეგმონ თავისი საგარეო პოლიტიკა.

ყურის ზოგიერთი ქვეყნის ეს მცდელობა ხშირ შემთხვევაში მათთვის შედეგიანად მთავრდება. ხშირად ისინი თვითონაც

ახდენენ გარკვეულ გავლენას საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკურ კურსზეც.

ეს უკანასკნელი სხვადასხვა მეთოდებთან ერთად ყურის ქვეყნებზე გავლენის მოსაპოვებლად ცდილობს გამოიყენოს „ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო“, რის მეშვეობითაც ხშირად კიდეც აღწევს მისთვის სასურველ შედეგს. იმავე ორგანიზაციას იყენებენ ასევე ყურის ქვეყნებიც საუდის არაბეთის პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენადაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო“ ერთ-ერთი ქმედითუნარიან ორგანიზაციადაა მიჩნეული.

ყურის ქვეყნებისგან საუდის არაბეთს პრობლემები ყველაზე მეტად აქვს ირანთან. მათი პრობლემური ურთიერთობები ყოველთვის თავს სხვა ქვეყნაში იჩენს ხოლმე. ირანი არაა „ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს“ წევრი და აქედან გამომდინარე, საუდის არაბეთი ამ ორგანიზაციას ვერ იყენებს ირანზე გავლენის მოსახდენად.

საკვანძო სიტყვები: ყურის ქვეყნები; საუდის არაბეთი.

შესავალი

ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სწორედ ამ პერიოდში საუდის არაბეთი, როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის, ასევე ყურის ქვეყნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანა ცდილობს ლიდერის როლი შეასრულოს.

ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის საკითხების შესწავლას თანამედროვე ეტაპზე ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა, არ მოგვეპოვება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფუნდამენტური სამეცნიერო შრომები.

წინამდებარე სტატიაში ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი უწყვეტ ჯაჭვში განვიხილავთ, რაც საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვადგინოთ როგორც საკითხის ისტორიული ასპექტი, ისე მისი დღევანდელი რეალ-

ობა. ჩვენ შევეცადეთ მკვეთრი ზღვარი გაგვევლო იმ პრობლემებზე, რომლებმაც აქტიურად იჩინეს თავი ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე. მკითხველის განსასჯელია, თუ რამდენად შევძელით ეს.

მეთოდი

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია ყურის ქვეყნები საუდის არაბეთის საგარეო პოლიტიკაში. ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

შედეგები

სპარსეთის ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის საკითხების შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა, ნათლად გაგვეაზრებინა საუდის არაბეთის საკვანძო საკითხები და ისტორიული ასპექტები.

სტატიაში გამიჯნულია სპარსეთის ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ცალკეული საკითხები და ახლებურადაა წარმოდგენილი თანამედროვე მდგომარეობა.

მსჯელობა

სპარსეთის ყურე მოიცავს 8 ქვეყანას: არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, ბაჰრეინს, ერაყს, ირანს, კატარს, ომანსა და საუდის არაბეთს. მათ ყურის ქვეყნებს უწოდებენ. ყურის გეოპოლიტიკის ჩამოყალიბება დაკავშირებულია გასული საუკუნის 70-იან წლებთან, როდესაც ყველა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ამ ქვეყნების უპირატესობები იცვლება რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე. რეგიონალური ურთიერთობების განვითარებაზე უმთავრესი როლი ითამაშა ირანის ისლამურმა რევოლუციამ, რომელიც შეშფოთებას იწვევდა მეზობელი არაბული ქვეყნებში.

ყურის ქვეყნები საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია არა მხოლოდ აქ თავმოყრილი ნავთობისა და გაზის რესურსების გამო, არამედ რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების გამოც.

ყურის ქვეყნებს შორის აქტიური და ამბიციური პოლიტიკით გამოირჩევა საუდის არაბეთი. მან შეძლო პოლიტიკური

პრესტიჟის მოპოვება თავისი აქტიური მონაწილეობით არა მარტო საკუთრივ ყურისქვეყნების, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონის კონფლიქტების დარეგულირება

საუდის არაბეთმა ირან-ერაყის 1980-1988 წლის ომის შემდეგ კავშირების გამყარება დაიწყო ყურის სხვა სახელმწიფოებთან, რათა ყურის პატარა ქვეყნებზე გარკვეული გავლენა მოეპოვებინა. ასე ხანდახან, საუდის არაბეთი არა თუ უმნიშვნელო სამხედრო-პოლიტიკურ ძალად იქცა, არამედ ცდილობს საყრდენი იყოს ყურის ქვეყნებისთვის და უკარნახოს მათ თავისი პირობები (**Rashed,2002:79-83**).

ოფიციალური ერ-რიადის მიერ მიღებული ხისტი პოლიტიკური გადაწყვეტილებებიყურის ქვეყნების მიმართ ხშირად საკვანძო მისი პოლიტიკური ინტერესებისათვის და გამომდინარეობს უსაფრთხოებიდან. საუდის არაბეთის პირდაპირ ინტერესში შედის გავლენის სფეროების ზრდა. საუდიანთა დინასტიათავის უმთავრეს მეტოქედ ყურის ქვეყნებს შორის მიიჩნევს ირანის ისლამურ რესპუბლიკას.

ირანი ბუნებრივი რესურსებითა და სამხედრო-პოლიტიკური გავლენით მნიშვნელოვან რეგიონულ ძალას წარმოადგენს. ორივე დაპირისპირებულ მხარეს ურთიერთსაწინააღმდეგო გეოპოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ინტერესები გააჩნიათ.

მათი დაპირისპირება ძირითადად რელიგიურ ნიადაგზეა წარმოქმნილი, რამაც გავლენა მოახდინა, ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში რელიგიური დაპირისპირების მკვეთრი ზრდაზე. სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირება რეგიონის პოლიტიკურ მიდგომებზე მნიშვნელოვნად აისახება. სუნიტური საუდის არაბეთი სუნიტების დამცველად წარმოადგენს თავს და მისი მიზანია, არ დაუშვას თავის საზღვრებთან პროირანულად განწყობილი მთავრობის არსებობა, ვინაიდან შიიტური ირანი მოკავშირეებს იკრებს ყურის ქვეყნებში ოპოზიციურად განწყობილი შიიტი მოსახლეობის მფარველობის ხარჯზე. ოფიციალურად ირანსა და საუდის არაბეთს ერთმანეთისთვის ომი არ გამოუცხადებიათ, თუმცა მრავალი წელია აწარმოებენ ომს „სხვისი ხელებით“ (proxy war). ყურის ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბოლო წლებში განვითარებულმა რეგიონულმა კონფლიქტებმა **(როზაქიძე, 2020:241).**

სწორედ ამიტომ, ოფიციალური ერ -რიადი მაქსიმალურად ცდილობს განსაკუთრებით შეასუსტოს ირანის გავლენა იმ ქვეყნებში, სადაც უმრავლესობა მოსახლეობისა შიიტია. მათი დაპირისპირება ყველაზე მეტად გამოიხატა ერაყის, ბაჰრეინის, კატარის, იემენის და ლიბანის, (ეს უკანასკნელი არაა ყურის ქვეყანა - მ. კ.) შემთხვევებში.

ისლამური რევოლუციიდან რამდენიმე წლის შემდეგ ირანმა სცადა საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა. მან პირველ რიგში მეზობელ არაბულ, მათ შორის ყურის ქვეყნებთან ურთიერთობის აღდგენითდაიწყო. 1991 წელს დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინა საუდის არაბეთთან. თუმცა ის კვლავ გაწყდა 2017 წელს, როდესაც თეირანში მოახდინეს საუდის არაბეთის საელჩოს შენობის დაწვა, რისი პროვოცირებასაც საუდის არაბეთმა შეუწყო ხელი, მოახდინა საკუთარი 47 შიიტი მოქალაქის სიკვდილით დასჯა, რომელთა შორისაც იმყოფებოდა შიიტი სასულიერო პირი ნიგრ ბაქრ ალ ნამირი, შიიტების უფლებების დამცველი საუდის არაბეთში. ოფიციალურმა თეირანმა აღნიშნული ფაქტის გამო ერ-რიადს ბრალი დასდო რელიგიური ნიშნით შიიტი მუსლიმების დევნაში, რასაც საპროტესტო გამოსვლებიც მოჰყვა. ამავე პერიოდში საუდის არაბეთმა შექმნა ანტიირანული კოალიცია, სადაც ბაჰრეინი და გაერთიანებული არაბული საამიროებიშევიდნენ.

ბაჰრეინის მოსახლეობის უმეტესობა შიიტია. ქვეყანას კი სუნიტი ალ-ხალაფას საგვარეულო დინასტია მართავს. მოსახლეობის სურვილი ხელისუფლების შეცვლის შესახებ აღქმულ იქნა, როგორც შიიტი მოსახლეობის წაქეზება ირანის მხრიდან. საუდის არაბეთმა კი ბაჰრეინში გამოსვლების ჩასახშობად ამ ქვეყანაში „ყურის თანამშრომლობის საბჭოს“ ეგიდით ჯარი შეიყვანა. ბაჰრეინი საუდის არაბეთთან და არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან ერთად მიიჩნევს, რომ ირანმა თავის დროზე ყურის სამ სადავო კუნძულს ძალით დაეუფლა.

ბაჰრეინი ზომიერ როლს ირგებს რეგიონულ პოლიტიკაში. მას მჭიდრო ურთიერთობები აქვს აშშ-სთან და საუდის არაბეთ-

თან. ის ძირითად საკითხებთან მიმართებაში დამთხვევაში მოდის საუდის არაბეთის სამეფოსთან. ბაჰრეინმა თავის დროზე გაწყვიტა ურთიერთობა ირანთან და კატართან და იგიჩაერთო იემენის სამოქალაქო ომში შიიტი ჰუთიების წინააღმდეგ. თუმცა, საუდის არაბეთისგან განსხვავებით, ბაჰრეინი შეუთანხმდა ისრაელს, მასთანსრული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე, რადგან ეს ქვეყანა ამ ნაბიჯის გადადგმას ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ შესაძლებლობად განიხილავს **(გაჩეჩილაძე,2019:176).**

საუდის არაბეთის მცდელობა, ლიბანში შეემცირებინა ირანის გავლენა, კრახით დასრულდა. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გამოჩნდა, რაც საუდიანთა სამეფო ოჯახის მოკავშირე ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი საად ჰარირი გადაყენეს თანამდებობიდან. შიიტებით დასახლებულ რეგიონებს ლიბანში კი, ირანის მოკავშირე სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „ჰეზბოლა“ აკონტროლებს. აღნიშნული ორგანიზაცია შექმნილია შიიტების მიერ. მას ფინანსურად და ლოჯისტიკურად კი ირანი უზრუნველყოფს და განიხილება ირანისმიერ ლიბანში გავლენის გავრცელების საშუალებად. მისი როლი და გავლენა ლიბანის პოლიტიკურ არენაზე საკმაოდმნიშვნელოვანია საუდის არაბეთის ეგიდით 2016 წელს „ყურის თანამშრომლობის საბჭოს“ მოთხოვნა, „ჰეზბოლა“ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულიყო, უარი მიიღო. ამის შემდეგ საუდის არაბეთმა ლიბანს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა. უშედეგო აღმოჩნდა 2017 წელს ლიბანის სუნიტი პრემიერის საად ჰარირის ერ-რიადიდან გაკეთებული განაცხადი გადადგომის შესახებ. მის განცხადებაში ირანი და „ჰეზბოლა“ დესტაბილიზაციის ხელმშეწყობებად გამოვიდნენ. საად ჰარირის ამ განცხადების მთავარი მიზანი, გაეზარდათ საუდის არაბეთის გავლენა ლიბანში, უშედეგო აღმოჩნდა. ჰარირის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული ლიბანის პრეზიდენტის მიშელ უნის მიერ, რომელმაც აღნიშნული გარემოება საუდის არაბეთის ზეწოლად შეაფასა. ამ გარემოებამ ლიბანში მოსახლეობის უკმაყოფილების განცდა საუდის არაბეთის მიმართ კიდევ უფრო გაზარდა. საბოლოოდ ჰარირი გადაყენებულ იქნა „ჰეზბოლას“ მიერ, რამაც კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი „ჰეზბოლას“გავლენის გაზრდას ლიბანში **(კაპანაძე,**

2020:35). საუდის არაბეთის როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური ჩართულობა იემენში არსებულ კონფლიქტში, რომელიც უკვემეექვსე წელია მიმდანრეობს, გამოწვეულია ირანის შეკავებით რეგიონში მისი გავლენის შესასუსტებლად, რადგან იემენში შიიტი ჰუთიების გამარჯვება პირდაპირ ნიშნავს შიიტური ირანის გავლენის გაძლიერებას ამ ქვეყანაში. საუდის არაბეთმა 2015 წლის დასაწყისში შექმნა იემენის ცენტრალური ხელისუფლების მხარდამჭერი კოალიცია, რომელშიც 8 არაბული ქვეყანა გაწევრიანდა. იმავე წლის მარტში მათ მიერ განხორციელებული იქნა ოპერაციები „გადამწყვეტი შტორმი“ და „იმედების აღდგენა“, რომლის ფარგლებში სამხედრო-საჰაერო იერიშები იქნა მიტანილი ჰუთიების პოზიციებზე, თუმცა ამ სამხედრო ოპერაციებით სასურველი შედეგი ვერ იქნა მიღწეული. აღნიშნული კოალიციის მიერ ვერც მაშინდელმა და ვერც მისმა შემდგომმა აქტიურობამ ირანის მიერ მხარდაჭერილი ჰუთიების პოზიციების შესუსტება ვერ მოახერხა. პირიქით, ჰუთიტებმა მოახდინეს საუდის არაბეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საავიაციო ბაზაზე სარაკეტო იერიშის მიტანა. 2019 წლის 14 სექტემბერს საბრძოლო დრონების მეშვეობით იმავე ჰუთიებმა განახორციელეს საუდის არაბეთის ნავთობსაბადო ხუროსზე დარტყმის მიყენება და „ARAMCO“-ს ინფრასტრუქტურის დაზიანება. ამ სამხედრო შეტევების განხორციელებაში საუდის არაბეთმა ღიად დასდობრალი ირანის ხელისუფლებას მათი დახმარებისთვის. მისი ეს ვარაუდიგაამყარა გაეროს მიერ 2019 წელს გამოქვეყნებულმამოხსენებამ, სადაც აღნიშნულია, რომ ირანი ფინანსურად და შეიარაღებითაც ეხმარება ჰუთიებს და მათ სამხედრო გადამზადებაში მისი როლი დიდია. ეს ცხადჰყოფს, რომ იემენის სამოქალაქო ომი სცდება შიდასახელმწიფოებრივ ფარგლებს და დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური რყევების გამოწვევა შეძლო.

ყურის ქვეყნების საზღვრები ერთმანეთთან და მეზობელ სახელმწიფოებთან დადგინდა დიდიბრიტანეთის მიერ, ან მისი შუამავლობით. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ომანის შეიხებმა საუდის არაბეთს არ დაუთმეს რუბლ-ალ-ხალის უდაბნო. ბრიტანეთის მანდატის დასრულების შემდეგ სირთულეები კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. 1974 წელს აბუდაბის მმართველმა

საუდის არაბეთის მეფე ფაისალს გაუცვალა 25 კმ სიგრძის გასასვლელი ყურეში კატარის სამხრეთით, ექვსი მცირე ოაზისის სანაცვლოდ. საუდის არაბეთის მეფე ფაისალიმ აღიარა სანაცვლოდ მისი საზღვრები და დამოუკიდებლობა. გაერთიანებული არაბულ საამიროების რეგიონული პოლიტიკა თანხვედრაში მოდის საუდიანთა სამეწფოსთან **(გაჩეჩილაძე, 2019:179)**. ამ გარიგების შემდეგ კატარს მხოლოდ ერთი მეზობელი ჰყავს საუდის არაბეთის სახით.

კატარის საუდის არაბეთსა და ირანს შორის მდებარეობს. იგი 1992 წლიდან აშშ-სთან თანამშრომლობს. მათ შორის დადებული „სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება“ 2013 წელს 10 წლით გაგრძელდა. კატარში მდებარეობს აშშ-ის ალ-იუდეიდის საავიაციო ბაზა და „ამერიკის ცენტრალური სარდლობის კომბინირებული საჰაერო ოპერაციების ცენტრი“.სწორედ ეს აძლევს კატარს საშუალებას, მეტ-ნაკლებად თანაბარ დონეზე ესაუბროს საუდის არაბეთსაც და ირანსაც. უფრო მეტიც, კატარის ამირა, როგორც ყურის ქვეყნების მიმართ, ისე მთელს რეგიონში დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს, რითიც იწვევს საუდის არაბეთის უკმაყოფილებას. კატარი ეწინააღმდეგება ირანის დემონიზაციას საუდის არაბეთის მიერმიერ. შესაბამისად, ის თანამშრომლობს ირანთან და მასთან იყოფს ყურის შელფზე მდებარე მსოფლიოში უდიდეს გაზის საბადოს „სამხრეთ ჰარსს“. კატარი ფლობს მსოფლიოში სიდიდით მესამე ბუნებრივი გაზის მარაგს. მასზე მოდის გათხევადებული გაზის ექსპორტში მსოფლიო მოცულობის 28%. კატარის ხელისუფლება არ მიიჩნევს საჭიროდ, აღიაროს საუდის არაბეთის ხელმძღვანელი როლი „ყურის თანამშრომლობის საბჭო“-ში. არსებობს პიროვნული დაპირისპირება მის მმართველ დინასტიებს შორის - ორივე მათგანი საკუთარ თავს მიიჩნევს ვაჰაბიტური ისლამის მთავარ მცველად. კატარში მდებარე ტელე-კომპანია „ალ-ჯაზირა“ აკრიტიკებს არაბული ქვეყნების ლიდერებს. განსაკუთრებით კი საუდიანთა დინასტიას.

დაპირისპირებას ამწვავებს კატარის თანამშრომლობა რადიკალურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა „ალ-კაიდა“, „ჰამასი“, „მუსლიმი ძმები“, რომლებსაც ის არ აღიარებს ტერორისტულ

ორგანიზაციებად. კატარის მჭიდრო ურთიერთობა თურქეთთან კი იწვევს საუდის არაბეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად გამწვავებას. თურქეთი აღიქმება ქვეყნად, რომელიც საუდის არაბეთს ეცილება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ლიდერობას. თურქეთი ღიად უჭერს მხარს კატარს იქ მდებარეობს მისი სამხედრო ბაზა .

კატარი, რომელიც მთლიანადაა დამოკიდებული სურსათის იმპორტზე, შეძლო გაეძლო ბოიკოტისთვის, რომელიც მას გამოუცხადა საუდის არაბეთმა და ყურის სხვა ქვეყნებმა. 2017 წელს საუდის არაბეთმა, გასმა და ბაჰრეინმა შეწყვიტა მასთან დიპლომატიური ურთიერთობები ირანთან თანამშრომლობის გამო. ამ ქვეყნებმა დიპლომატიური ურთიერთობები უკვე თანდათან აღადგინეს კატართან. კატარისათვის დახურულ იქნა სატრანსპორტო და საჰაერო დერეფნები. შესაბამისად, იგი იმპორტს მთლიანად აწარმოებს ირანიდან და თურქეთიდან. კატარმა შეძლო ღრმაწყლოვანი ნავსადგურის ჰამადის აგება და ყურის ნავსადგურებზე დამოკიდებულების შემცირება. ამ ქვეყნის ხელისუფლებამ უარი განაცხადა ურთიერთობის გაწყვეტაზე ირანთან და ასევე ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ დახურვაზე. 2017 წლის 24 აგვისტოს კატარმა განაცხადა, რომ იგი მზადაა ირანთან სრული დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს.

რაც შეეხებაქუვეითს, ის იყო ქვეყანა, რომელიც ინიციატივით გამოვიდა ხართუმის კონფერენციაზე, დახმარება აღმოეჩინა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომში დაზარალებული „არაბი ძმებისთვის“. ამ ქვეყანას მჭიდრო ურთიერთობა აქვს აშშ-სა და საუდის არაბეთთან, რომლებსაც განმათავისუფლებლად მიიჩნევს. ერაყთან კონფლიქტის დროს სწორედ საუდის არაბეთის ეგიდით ჩატარდა 1990 წლის 3 აგვისტოს კაიროში „არაბულ სახელმწიფოთა ლიგის“ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი და მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც გმობდა ერაყის შეჭრას ქუვეითში. კოალიციის ძალების ფინანსურ სპონსორს საუდის არაბეთი **(გელოვანი,2008:245-266)** წარმოადგენდა, რომლის ხარჯებმა 55 მლრდ დოლარი შეადგინა. თავისთავად ქუვეითიც ცდილობდა შეესრულებინა შუამავლის როლი საუდის არაბეთსა და კატარს შორის და ბიძგი მიეცა მათი ურთ-

იერთობების დარეგულირებისთვის. ქუვეითს ძირითადად შიდა პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, როგორებიცაა განხეთქილება მოქალაქეებსა და ქვეყანაში მომუშავე უცხოელებს შორის და ძირითადი საარჩევნო კანონი.

ნავთობითა და გაზით მდიდარი ერაყი კი 60 წელზე მეტია პრობლემების ეპიცენტრშია. 1958 წლის რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური არასტაბილურობა ნორმად ითვლებოდა ამ ქვეყანაში ვითარება შედარებით გაუმჯობესდა სადამ ჰუსაინის დიქტატორული რეჟიმის დამყარების შემდგომ, რომელმაც ქვეყანა არა ერთ პოლიტიკურ ავანტიურებში ჩაითრია. მათ შორის.

მცდელობა, ესარგებლა ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომ ქვეყნის დასუსტებით და მოეხდინა ნავთობით მდიდარი ხუზესთანის ოსთანის დაპყრობა, გაგრძელდა მათ შორის 8 წლიანი (1980-1988 წწ.) ომით, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა ორივე მხარისთვის, ომამდელი საზღვარი უცვლელი დარჩა. არც არაბულ ქვეყნებს, არც დასავლეთს, არ შეუშლია ხელი ჰუსაინის ქმედებისთვის, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ერაყს ომი ირანთან არ უნდა წაეგო. ამ ომში ფიანანსური დახმარება საუდის არაბეთმა და ქუვეითმა გაუწია ერაყს.

ვითარების გაუარესება გამოიწვია ს. ჰუსაინის მიერ გამოცხადებულმა პრეტენზიამ ქუვეითზე, რომელსაც ის თავის პროვინციად თვლიდა. ერაყის ქმედება ქუვეითთან მიმართებაში (იგულისხმება ერაყის მიერ ქუვეითის დაკავება - მ.კ.) შეფასებული იქნა, როგორც სამომავლო მუქარა ყურის სხვა ქვეყნების მიმართ. ანტიერაყული კოალიცია სწრაფად შეიქმნა, სადაც არაბული ქვეყნებიც შევიდნენ, მათ შორის საუდის არაბეთმა პირველად დაუთმო თავისი ტერიტორია ანტიერაყულ კოალიციის სამხედრო ძალებს და ოპერაცია სახელწოდებით „უდაბლოს ქარიშხალით“ სწაფად იქნა დასრულებული ქუვეითში.

ს. ჰუსაინის რეჟიმის დამხობის შემდეგ (2003 წ.) ერაყში ახალი მთავრობის ფორმირება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საბოლოოდ, 2008 წელს შეიქმნა ხელისუფლება შიიტი არაბებისა და ქურთების კოალიციისგან, თუმცა ტერორიზმი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ამ ქვეყანაში. ერაყის ქურთისტანში კი ჩამოყალიბდა ავტონომიური მთავრობა საკუ-

თარი არმიით. ერაყის მოსახლეობის 60% შიიტია და კეთილ-განწყობილია ირანის მიმართ.

მიუხედავად ვითარების შედარებით დალაგებისა, ერაყში არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე ჯერ საუბარიც კი ზედმეტია. ნათელ წერტილად შეიძლება მივიჩნიოთ საუდის არაბეთის მიერ გამოცხადებული მზადება საელჩოს გახსნის შესახებ ბაღდადში (**გაჩეჩილაძე,2019:157).** ომანსა და საუდის არაბეთს შორის უთანხმოება წარმოიშვა ნავთობის საბადო ელ-ბურაიმის გარშემო. მათ 1990 წელს მოახდინეს საზღვრების დემარკაცია. ომანს საუდის არაბეთისაგან განსხვავებული მიდგომა ძირითადად აქვს ირანთან ურთიერთობის დათბობასთან დაკავშირებით.

ყურის თითოეული ქვეყნის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების მიღწევა ერთმანეთთან ურთიერთობის გარეშე რთულია. მათ შეძლეს საერთო ინტერესების განსაზღვრა, საერთო საფრთხის გარშემო გაერთიანება და შექმნეს ალიანსის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. 1981 წელს შეძლეს „ყურის თანამშრომლობის საბჭოს“ შექმნა. რომელიც დღეისთვის ყველაზე წარმატებულ და ქმედითუნარიან საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს არაბულ სამყაროში.

ირან-ერაყის 1980-1988 წლების ომმა, ერაყის მიერ ქუვეითის 1990 წლის ანექსიამ და 2003 წლის მოვლენებმა ერაყში, სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა საერთაშორისო საზოგადოება, ყურის ქვეყნები და არაბული სამყარო.

მოკლედ განვიხილავ თითოეულ მათგანს. ირანსა და ერაყს შორის დაპირისპირება გამოიწვია: სასაზღვრო-ტერიტორიულმა უთანხმოებამ- სასაზღვრო მდინარე შატტ-ელ არაბისა და მასთან მდებარე ნავთობსაბადოების ექსპლუატაციის პრობლემამ. ასევე დაპირისპირებამ ორ ქვეყანას შორის ყურის ზონაში ლიდერობისთვის და შიიტური ირანის გამოსვლამ სუნიტური ხელისუფლების მიერ შევიწროებული ერაყის შიიტური მოსახლეობის მფარველის როლში.

აქვე აღვნიშნავ, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სადამ ჰუსაინის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ერაყის გადაქცევა

ყურის წამყვან სახელმწიფოდ, რის გამოც მან ქვეყანა პოლიტიკურ ავანტიურებში ჩაითრია.

1968-1972 წლებში ერაყიდან გაასახლეს 70 ათასამდე ირანელი წარმოშობის ერაყელი და ამავე დროს თავშესაფარი მისცა ირანის ყოფილ გენერალ ბახთარს, რომელსაც ბრალად ედებოდა შაჰის წინააღმდეგ ქმედებები. ირანი თავის მხრივ დახმარებას უწევდა ქურთ აჯანყებულებს ერაყის წინააღმდეგ. მათ შორის ურთიერთობის დათბობებიც შეიმჩნეოდა, რაც გამოიხატა კიდეც 1975 წლის „ალჟირის დეკლარაციაში' **(ANDERSON,2004:60).** შეთანხმების მიხედვით : -ირანი უარს ამბობდა ქურთ აჯანყებულთა დახმარებაზე, სახმელეთო საზღვარი იწყებოდა თურქეთის, ერაყისა და ირანის საზღვრების გადაკვეთის ადგილზე და გრძელდებოდა 1500 კმ-ის მანძილზე მდ. შატტ-ელ-არაბამდე. ირანს უნდა დაებრუნებინა ქასრე შირინ მანდალისა და ნიფათ შაჰის ტერიტორიები. აღნიშნული პირობა ირანმა არ შეასრულა.

ამ ომში ყურის ქვეყნები (საუდის არაბეთი, ქუვეითი, გას-ი...) ერაყს უწევდა ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ერაყსა და საუდს არაბეთს შორის მტრული დამოკიდებულება იყო კარგა ხნის განმავლობაში. ირანის ისლამურმა რევოლუციამ (1978-1979 წწ.) საუდის არაბეთი დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა, რამაც ერაყის არმიის მიმართ მისი მხარდაჭერა განაპირობა. 1979 წელს საუდის არაბეთსა და ერაყს შორის დაიდო ხელშეკრულება თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ **(ANDERSON,2004:60),** რაც ამყარებდა ფაქტს, რომ ერაყ-ირანის კონფლიქტის დროს საუდელებიდახმარებას გაუწევდნენ ერაყის ხელისუფლებას. რევოლუციური ტალღის გადადება ერაყელ შიიტებზე იწვევდა ერაყის ხელისუფლების შეშფოთებას. ისლამური რევოლუციის შემდეგ სადამ ჰუსაინმა ბრალი დასდო ირანს ალჟირის შეთანხმების შეუსრულებლობაში და ცალმხრივად მოახდინა შეთანხმების გაუქმება. 1980 წლის 22 სექტემბერს კი ერაყმა საომარი მოქმედებები დაიწყო ირანის წინააღმდეგ. ჰუსაინის იმედი იოლი გამარჯვება მოეპოვებინა ირანზე, არ გამართლდა და ეს ომი 8 წელი გაგრძელდა. მიუხედავად იზოლაციისა, ირანმა მოახერხა მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა, რაზეც დააფიქრა საუ-

დის არაბეთი. მას კარგად ესმოდა, რომ ერაყის დ დამარცხება ამ ომში მის ინტერესებში არ შედიოდა, თუმცა ერაყის გამარჯვების შემთხვევაში საუდის არაბეთი დაკარგავდა გავლენას ყურეში, ამიტომ არსებული სიტუაცია სიფრთხილეს მოითხოვდა. ომის გაჭიანურება გამოიწვევდა საომარი ტალღის გადადებას ყურის სხვა ქვეყნებში, თუმცა ორივე მის რეგიონულ მეტოქეს დაასუსტებდა. ირან-ერაყის ომმა არცერთ მხარეს არ მოუტანა არც პოლიტიკური და არც სამხედრო უპირატესობა. 1988 წდლს მათ შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას თეირანში.

ერაყის წინაშე არსებული პრობლემები ირანთან ომმა ვერ გადაჭრა. გაიზარდა ეკონომიკური კრიზისი. ს. ჰუსაინისმიერ ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოსვლის მარტივი გზამეზობელი ქუვეითის ანექსიაში გამოიხატა. ერაყის ხელისუფლების მიერ სწორად ვერ იქნა შეფასებული ვითარება, ჰუსაინის მიერ ვერ მოხდაგათვალისწინება იმისა, რომ საუდის არაბეთი არ დაუშვებდა ქუვეითის ანექსიას. სწორედ საუდის არაბეთმა შეასრულა ქუვეითის გათავისუფლების როლი, მას შემდგე რას 1990 წლის 1 აგვისტოს ერაყმა განახორციელა სამხედრო მოქმედებები ქუვეითის წინააღმდეგ.

1990 წლის 3 აგვისტოს ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, საუდის არაბეთის ეგიდით მოწვეულ იქნა "არაბულ სახელმწიფოთა ლიგის" (ასლ-ის) შეხვედრა, სადაც მიღებულმა რეზოლუცი დაგმო ერაყის შეჭრა ქუვეითში. ოფიციალურმა ერ-რიადმა აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკებების საფუძველზე მიაღწია ქუვეითის გათავისუფლების იდეას მშვიდობიანი, ან სამხედრო გზით. საუდის არაბეთის მეფემ დახმარებისაკენ მოუწოდა აშშისა და საერთაშორისო საზოგადოებას" **(Rashed, 2002:97).** ერაყმა უარი განაცხადა გაეროს რეზოლუციების პირობების შესრულებაზე და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ყველანაირი გზა მოჭრა. შეიქმნა ანტიერაყულიკოალიცია, რომელშიც 34 ქვეყანა შედიოდა.

1991 წლის 17 იანვარს საერთო კოალიციის ძალებმა განახორციელეს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი". საუდის არაბეთის ულემთა უმალესმა საბჭომ გამოსცა ფათვა და ერაყის წინააღმდეგ ომი ნებადართულად გამოაცხადა. საუდიანთა დინასტია იყო

კოალიციის ძალების მთავარი ფინანსური მხარდამჭერი (55 მლრდ.დოლარი შეადგინა).

კოალიციის მიერ ქუვეითი მალე გათავისუფლდა (**გელოვანი,2008:255**). ამ ომის შემდეგ ქუვეითმა მოახდინა ერაყის საზღვართან თავდაცვითი ნაგებობების აშენება და ოფიციალურად მოუხადა მადლობა საუდის არაბეთის სამეფოს გაწეული დახმარებისთვის (**GRALG,2004**).

ერაყის მორიგი კრიზისი დაკავშირებულია 2002 წლის 8 ნოემბრის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციასთან. რომელიც მოითხოვდა ერაყის ხელისუფლების თანამშრომლობას ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან. ანუ, უნდა მომხდარიყო შემოწმება ყველა იმ ობიექტისა, სადაც არსებობდა ეჭვი, რომ ინახებოდა მასობრივი განადგურების იარაღი. ერაყი მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შემდეგ იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო, თუმცა სამუშაოს სრულად შესრულება ვერ მოხდა, რამაც გამოიწვია ეჭვები. საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიღებული რეზოლუციები, რომელთა შედეგადაც არ გამოირიცხებოდა სამხედრო ჩარევა. არაბული დამათ შორის ყურის ქვეყნების პოზიცია არაერთგვაროვანი იყო, თუმცა ყველა თანხმდებოდა იმაზე, რომ უნდა შენარჩუნებულიყო ერაყის ტერიტორიული მთლიანობა და ხელისუფლება საკუთარი ნებით უნდა გადამდგარიყო. ოფიციალურმა ერ-რიადმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ერაყი უნდა იყოს ერთიანი, თავისუფალი და დამოუკიდებელი. ამავე დროს ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებებს, საუდის არაბეთი არ მიიღებდა მონაწილეობას ომში და მისი სამხედრო ძალები არ შევიდოდნენ ერაყის ტერიტორიაზე. ომი უნდა დამთავრებულიყო მასობრივი განადგურების იარაღის აღმოჩენისთანავე. 2003 წლის 20 მარტს აშშ-ის, ბრიტანეთისა და ავსტრალიის კოალიციურმა ჯარებმა დაიწყეს სამხედრო ოპერაციაერაყში, რის შედეგადაც მოხდა სადამ ჰუსაინის რეჟიმის დემონტაჟი, მაგრამ მგი ვერ იპოვეს. ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად ერაყი არეულობამ მოიცვა. 2005 წლიდან კი ერაყში ახალი ეტაპი იწყება. ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია. 2006

წელს გასამართლებული და სიკვდილით დასჯილი იქნა სადამ ჰუსაინი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო.

ყურის თითოეული ქვეყანა ცდილობდა თვითონ ეტვირთა სტაბილურობის გარანტის როლი. მათგან ერთიანი თავდაცვითი ბლოკის შექმნის იდეა გაჩნდა, რომელშიც გაერთიანდებოდნენ საერთო ინტერესების გარშემო. მსგავსი ბლოკის შექმნის პროექტები წარდგენილ იქნა ირანის, ომანისა და ერაყის მიერ, მაგრამ უარყვეს ყურის დანარჩენმა ქვეყნებმა. ამ პროექტის ხორცშესხმაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირანის ისლამურმა რევოლუციამ.

1981 წლის 25 მაისს საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში ყურის ექვსმა ქვეყანამ: საუდის არაბეთმა, კატარმა, გაერთიანებულმა არაბთა საამიროებმა, ომანმა, ქუვეითმა და ბაჰრეინმა დააარსეს „ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო“ – GCC (GULF COOPERATION COUNCIL), რომელიცარა მხოლოდ არაბულ სამყაროში, არამედ მსოფლიოშიც ყველაზე წარმატებულ რეგიონულ ორგანიზაციას წარმოადგენს. ამ ორგანიზაციის საყრდენი საუდის არაბეთია, თუმცა თითოეული ქვეყანა ცდილობს მასშისაკუთარი ინტერესების წინ წამოწევას. ორგანიზაციაში უპირატესობა ენიჭება ერთიანი პოლიტიკის გატარებას. ყურადღება გამახვილებულია ძალისმიერი პოლიტიკის მნიშვნელობაზე საერთო საფრთხის წინააღმდეგ. საერთო საფრთხედ კი ყურის ქვეყნებმა აღიქვეს-ირანი და ავტორიტარული ერაყი, შესაბამისად სოლიდაროზა გამოუცხადეს ერთმანეთს. მისი მიზანია წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანობის მიღწევა, მათი ურთიერთობის გაღრმავება სხვადასხვა სფეროში. საბჭომ უნდა მოახდინოს წევრი ქვეყნების საერთო რეგიონული პოლიტიკის გატარება. საერთო საფრთხის აღქმა და მის წინააღმდეგ ერთიანი ქმედებების წარმართვა. საბჭოს შტაბ-ბინა მდებარეობს ერ-რიადში, გენერალური მდივანი ირჩევა სამი წლის ვადით.

საბჭომ შექმნა "ნახევარკუნძულის ფარის ძალები“, რომელშიც გაერთიანებულია ყურის ექვსივე ქვეყნის სამხედრო ნაწილები. ის წარმოადგენს ე.წ. კოლექტიური თავდაცვის პაქტს, უნდა უზრუნველჰყოს ყურის ქვეყნების უსაფრთხოება და სტაბ-

ილურობა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს წევრმა ქვეყნებმა არ უნდა დააფინანსონ ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც საფრთხის შემცველებად მოიაზრებიან მათთვის.

გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს ამ ქვეყნებს შორის, მაგრამ მათაკავშირებთ საერთო წარსული, ყველა მათგანი წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთის ყოფილ კოლონიას, ან მისი პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა. სასაუბრო ენააარაბული, საერთო რელიგია-ისლამი, რომელიც მათი პოლიტიკის ძირითადი წარმარმთველი ძალაა. ყურის ქვეყნებს შორის საერთო ერთიანობის მიღწევისთვის დიდი ნაბიჯები იქნა გადადგმული. სწორედ ზემოთ აღნიშნული დამაკავშირებელი ფაქტორები განსაზღვრავენ ერთობას რეგიონული ინსტიტუციონალიზმის თეორიის მიხედვით.

საგარეო პოლიტიკაში ყურის თითოეული ქვეყანა დასავლეთთან, განსაკუთრებით კი აშშ-თან ახლო კავშირზე არიან ორიენტირებულნი და შესაბამისად, ანტიირანულ განწყობილებას ამჟღავნებენ. თუმცა, კატარის დამოკიდებულება ირანთან განსხვავდება ყურის დანარჩენი ქვეყნებისაგან, რაც იწვევს კატარის ურთიერთობების გამწვავებას საუდის არაბეთთან.

ყურის ქვეყნებიდან კატარი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს და იგი მაქსიმალურად ცდილობს ლავირება მოახდინოს ორ მნიშვნელოვან სახელმწიფოს, ირანსა და საუდის არაბეთს შორის.

კატარ-ირანის მჭიდრო ეკონომიკური კავშირები განსაზღვრავენ მათ შორის კარგ პოლიტიკურ ურთიერთობებს. ეს ორი ქვეყანა ყურის შელფზე არსებულ უდიდეს გაზის საბადოს „სამხრეთ პარსს“ შეთანხმებულად და მშვიდობიანად იყოფენ. ოფიციალური დოჰა ძირითად შემთხვევებში თავს იკავებს ირანის შიდა და საგარეო პოლიტიკის კრიტიკისაგან. ირანსა და კატარს შორის შედგა რამდენიმე მაღალი რანგის შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა თანამშრომლობის საკითხები უსაფრთხოებისა და ეკონომიკის სფეროებში. ჯერ კიდევ ყურის ომების დასრულების შემდეგ, 1991 წელს კატარის ამირა ჰამად ბინ ხალიფა მიესალმა ირანის მონაწილეობას ყურის უსაფრთხოების საკითხებში. თუ-

მცა, ირანის ჩართულობა ვერ მოხდა ყურის ქვეყნების წინააღმდეგობის გამო.

კატარმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა ბაჰრეინში განვითარებული მოვლენების გამო. მან არ მოახდინა ირანის კრიტიკა, თითქოსდა მისი მხრიდან ხდებოდა შიიტ ამბოხებულთა მხარდაჭერა ლიბანში.

კატარის ამირას მიერ გატარებული პოლიტიკით უკმაყოფილო საუდის არაბეთმა და ყურის დანარჩენმა ქვეყნებმა 2014 წელს მას ბრალი დასდეს ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებაში და ასევე გააკრიტიკეს ირანთან მჭიდრო ურთიერთობის გამო.

მათ შორის დაპირისპირება იმდენად გამწვავდა, რომ ბაჰრეინმა, საუდის არაბეთმა და გას-მა შეწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები კატართან, გამოიწვიეს ელჩები იქიდან და გამოუცხადეს მას პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადა. ბაჰრეინისგან წამოვიდა მოწოდება, შეეჩერებინათ კატარისთვის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრობა.

მიუხედავად ყურის ქვეყნების ასეთი ნაბიჯისა, კატარმა ღიად დაგმო 2016 წელს ირანში საუდის არაბეთის საელჩოზე თავდასხმა და აღნიშნული ფაქტი მიუღებლად გამოაცხადა საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან და გამოიწვია ელჩი თეირანიდან, თუმცა აღნიშნულმა ფაქტმა ვერ შეამსუბუქა კატარის მდგომარეობა. ბლოკადამ იგი მძიმე ვითარებაში ჩააგდო, ვინაიდანმკვეთრადაა დამოკიდებული სურსათის იმპორტზე. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო ირანის პოზიცია, ოფიციალური თეირანი დიალოგისკენ მოუწოდებდა ყურის ქვეყნებს კატართან და ამავე დროს სთავაზობდა ამ ქვეყანას სრულ დახმარებას. თეირანმა გახსნა თავისი საჰაერო სივრცე კატარის ავიახაზებისთვის და ყოველდღიურად ახდენდა სურსათის მიწოდებას კატარის მოსახლეობისთვის. 2017 წლის 23 აგვისტოს კატარის ამირამ გააკეთა განაცხადი საელჩოს კვლავ გახსნის შესახებ თეირანში. რასაც მოჰყვა კიდეც ყურის ქვეყნების მიერ საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სივრცეების დახურვა.

დოჰას განცხადებით, იგი ინფორმაციული ომის მსხვერპლი აღმოჩნდა. თითქოსეს ქვეყანაფინანსურად მხარს უჭერდა რადიკალურ ისლამისტურ ორგანიზაციებს; „მუსლიმ ძმებს“, „ჰამას“-ს და ირანს „ისლამური სამყაროს ღერძად“ მოიხსენიებდა. ოფიციალური კატარის განცხადებით, ყურის ქვეყნების მიერ მიღებული გადაწყვეტილება უსაფუძვლოა და ეყრდნობა ცრუ ფაქტებს.

ქუვეითი შუამავლის როლს ასრულებდა კატარსა და დანარჩენ ყურის ქვეყნებს შორის. წარდგენილი იქნა ყურის თანამშრომლობის საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტი, რომელიც 13 პუნქტისგანშედგებოდა, რომლითაც კატარისგან მოითხოვდნენ: ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ დახურვას, დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას ირანთან, სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტას თურქეთთან და თურქული სამხედრო ბაზის გაუქმებას კატარის ტერიტორიაზე.

კატარი მზად იყო მოლაპარაკებების საწარმოებლად ყურის ქვეყნებთან, თუ მათ მიერ წარმოდგენილი ბრალდებები გამყარებული იქნებოდა შესაბამისი არგუმენტებით. აღნიშნული მოთხოვნები კატარის მხრიდან შეფასებულ იქნა როგორც რეალობას მოკლებული. არსებული ვითარება პირდაპირ ნიშნავს კატარის დამოუკიდებელ პოლიტიკაში ჩარევას. საუდის არაბეთის პოზიცია უცვლელი დარჩა, კატარისადმი ბოიკოტი გაგრძელდებოდა მანამ, სანამ ის არ მოახდენდა თავისი საგარეო პოლიტიკის ცვლილებას.

თუმცა, აქტიური მოლაპარაკებებისა და საერთო არაბული სტაბილურობის მიღწევის გამო, 2021 წლის იანვრის დასაწყისში ყურის ქვეყნებმა განაცხადეს მზადყოფნა დიპლომატიური ბლოკადის მოხსნის შესახებ და გაუხსნეს საზღვრები კატარს. ქუვეითმა, ბაჰრეინმა, გასმა, და საუდის არაბეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კატართან კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით.

ყურის ორი ძლიერი ქვეყნის - ირანის და საუდის არაბეთის ურთიერთობები ასევე 2021 წლის დასაწყისიდან თანდათან სტაბილურდება. ამ ორი ქვეყნის მაღალი რანგის დიპლომატებმა შეხვედრები გამართეს როგორც ერ-რიადში, ისე თეირანში. ეს

იმაზე მეტყველებს, რომ ირან-საუდის არაბეთს შორის დიდი ხნის განმავლობაში არსებული ცივი ურთიერთობა, რომელსაც ამ ორ ქვეყნებს შორის „ცივ ომსაც“ კი უწოდებენ, ნელ-ნელა სტაბილურდება **(კაპანაძე, 2020:35).**

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ საუდის არაბეთსა და ირანს შორის ურთიერთობის დაძაბვის ერთ-ერთი მიზეზი აშშ-ისადმი მათი განსხვავებული დამოკიდებულებაა, აქვე აღვნიშნავ, რომ ამ მხრივაც ვითარება მეტ-ნაკლებად იცვლება. ირანსა და ექვს ქვეყანას შორის (მათ შორის აშშ) კვლავ განახლდა მოლაპარაკებები 2015 წლის ბირთვული შეთანხმების ფორმატში დასაბრუნებლად. ვფიქრობ ეს დადებითად აისახება ირანისა და საუდის არაბეთის ურთიერთობებზე. ყურის ქვეყნების საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ამავე დროს საინტერესო ფაქტორი. უნდა აღინიშნოს, რომ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ ინტენსიურად ხდებოდა ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების დათბობის პროცესი, რომლის მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტ არაბულ ქვეყანას დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელთან (https://forbs.ge). აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ის გარემოება, რომ აშშ-ის მაშინდელი ადმინისტრაცია აქტიურობდა ყურის ქვეყნებთან მიმართებაში. ამ მხრივ ნაბიჯები გადაიდგა კიდეც ისრაელ-ბაჰრეინის და ისრაელ-გას-ს შორის. ამ ორმა ყურის ქვეყანამ 2019 წლის ოქტომბერში დადო თანამშრომლობის შეთანხმება ისრაელთან, რასაც სერიოზული კრიტიკა მოჰყვა ყურის დანარჩენი ქვეყნებისგან, ასევე სხვა მუსლიმური სახელმწიფოებისგანაც.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობების დათბობის გარკვეული კონტურები მოიხაზა ყურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეყანასთან საუდის არაბეთსა და ისრაელს შორის. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საუდის არაბეთს მთლიანად ისლამური სამყაროსთვის აქვს სერიოზული დატვირთვა, რადგანაც მუსლიმთა პირველი და მეორე წმინდა ქალაქები მექა და მედინა საუდის არაბეთშია. მუსლიმების მესამე წმინდა ქალაქ იერუსალიმზე კი პრეტენზიას აცხადებენ, როგორც ებრაელები, ასევე მუსლიმები. ისრაელის მიერ აშშ-ის მხარდაჭერით იერუ-

სალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადება არც თუ სასურველია საუდის არაბეთისთვის. მოკლედ შევნიშნავ, რომ მიუხედავად ისრაელსა და ყურის აღნიშნულ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზებისკენ გარკვეული ნაბიჯების გადადგმისა, მათ შორის ურთიერთობის შემდგომი გაღრმავება ჯერჯერობით არ მომხდარა.

დასკვნა

საუდის არაბეთი ყურის ის ერთ-ერთ ქვეყანაა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ლიდერობაზე. მის ამ ამბიციას ის ფაქტორი უწყობს ხელს, რომ მისი ფართობი მოცულობითია. ასევე აქვს ნავთობისა და ბუნებრივი აირის უდიდესი მარაგი.

საუდის არაბეთი ყოველთვის ერთვება ყურის ქვეყნების პოლიტიკურ პრობლემებში მისი ინტერესებიდან გამომდინარე. აქვე ხაზგასასმელია, რომ ის ერთ-ერთ აქტიური და მნიშვნელოვანი ორგანიზაციის „ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს“ გადაწყვეტილებების მიმღები ქვეყანაა.

იქიდან გამომდინარე, რომ საუდის არაბეთი ცდილობს, იყოს მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში თუ არა, ყურის ქვეყნებში მაინც ერთ-ერთი ლიდერი, მას სერიოზული წინააღმდეგობები აქვს ყურის დანარჩენ ქვეყნებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია პრობლემები ყურის უმნიშვნელოვანეს ქვეყანა, ირანთან, რომელთა შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ ირანის ისლამური რევოლუციის დროს დაიძაბა. ისინი ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს არა საკუთარ ტერიტორიაზე, არამედ სხვაქვეყნებში და ცდილობენ საკუთარი გავლენის სფეროების გაზრდას. ამ მხრივ თვალშისაცემია იემენის პოლიტიკური კრიზისი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სწორედ ირანისა და საუდის არაბეთის ჩართულობის გამო გაჭიანურდა იემენის სამოქალაქო ომი, რადგან ისინი ცდილობენ საკუთარი ძალების დემონსტრირებას, რაც მთლიანობაში აისახება რეგიონის უსაფრთხოებაში უარყოფითად. ირან-საუდის არაბეთის „დაძაბული ურთიერთობის“ ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს მათ შორის წინააღმდეგობა კატართან მიმართებაში.

საუდის არაბეთსდა ირანს შორის არასტაბილური დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად, ისინი გამოირჩევიან პრაგმატ-

ული პოლიტიკით. ბოლო პერიოდში სერიოზული კონტურები მოიხაზა საუდის არაბეთსა და ირანს შორის ურთიერთობების დათბობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gachechiladze, R.(2019). Axlo Agmosavleti. T. II. Tbilisi). (გაჩეჩილაძე, რ.(2019). ახლო აღმოსავლეთი. ტ. II. თბილისი);
2. Gelovani, N.(2008). Tanamedrove Arabuli Qveynebi. Tbilisi). (გელოვანი, ნ. (2008). თანამედროვე არაბული ქვეყნები. თბილისი);
3. Kapanadze, M.(2020). Dapirispireba Saudis Arabetis da Arabetis da Irans Shoris Axlo Agmosavletis Regionis Liderobisatvis. "POLITO/LOGOS'. II. Tbilisi). (კაპანაძე, მ. (2020). დაპირისპირება საუდის არაბეთის და ირანს შორის ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ლიდერობისათვის. "POLITO/LOGOS'. II. თბილისი);
4. Petriashvili, Al. (2019). Iqneba tu ara omi? jurnali `forbsi“, 23 seqtemberi. (პეტრიაშვილი, ალ. (2019). იქნება თუ არა ომი? ჟურნალი "ფორბსი', 23 სექტემბერი, 2019. http://forb es.ge/blog/390/iqneba-Tu-ara-omi);
5. Robaqidze, G.(2020). Iemeni: Samoqalaqo Omi Shors Mimavali Sedegebit. " „POLITO/LOGOS“, II. Tbilisi). (რობაქიძის, გ. (2020). იემენი: სამოქალაქო ომი შორს მიმავალი შედეგებით. " POLITO/LOGOS', II. თბილისი);
6. Sigua, SH. (2021). Axlo Agmosavletis Islamuri Qveynebis Pozicia Israel-Bahreinis da Israel-Gas-is Shetanxmebastan dakavshirebit. „Saqartvelo-iranis politikuri, ekonomikuri da Kulturuli Urtiertobebisadmi Midzgvnili Meotxe da Mexute Saertashoriso Samecniero Konferenciebis Shromebi“, Tbilisi). (სიგუა, შ. (2021). ახლო აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნების პოზიცია ისრაელ-ბაჰრეინის და ისრაელ-გას-ის შეთანხმებებთან დაკავშირებით. „საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთირთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე

და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების შრომები“, თბილისი);
7. ANDERSON, STANSFIELS. (2004). https:/en.mehrnews. .com/ news/ 137124/iran;
8. CRAIG UNGER HOURS of BUSH HOUSE of SAUD THE HIDDEN RELATIONSHIP BETWEEN THE WORLDSTWO MOST POWEREULl DYNASTIES 2004;
9. Heimze Marie-Christien, Yemen and the Search for Stability; Power, Politics and Society offer the Arab Spring. London 2018;
10. Rashed, M.(2002). A History of Saudi ArabiaArabia;
11. Secretariat General of the Gulf Cooperation Council, GCC 2021 https://WWW.gcc-sg.org/;
12. ZEALAND ADAM, the article-GCC, Gulf States,https/ /www. britanica.com/topic/Gulf-Cooperation-Counocil
13. https://ru.euronews.com/2021/01/05/ru-saudia-arabia-and-qatar-agreement.

Gulf countries in Saudi Arabia's foreign policy

Maia Kapanadze
Doctor of Historic Science
Caucasus International University
ORCID ID 0000-0002-7460-5374
maia.kapanadze@ciu.edu.ge
558766887

Abstract

Saudi Arabia is one of the most important countries in the Middle East and the Gulf countries. Saudi Arabia is trying to play a leading role in the Gulf countries.In turn, the Gulf states are trying, and some are even trying, to weaken Saudi Arabia's influence on it, which is not so positively reflected in Saudi Arabia's foreign policy not only in the Middle East but also outside the region.

Often Saudi Arabia tries to change the foreign policy vector of the Gulf countries in its favor and also to make some changes in their attitude, both towards their own Saudi Arabia and towards each other. Nevertheless, some Gulf countries try to act independently of Saudi Arabia, not to be influenced by it (Qatar, Kuwait) and to plan its foreign policy independently.

This attempt by some Gulf countries often ends in fruitfu for them. Often they themselves have some influence on the foreign policy course of Saudi Arabia as well.

The latter, together with various methods, tries to use the "Gulf Cooperation Council" to gain influence in the Gulf countries, through which it often achieves the desired result. The same organization is also used by Gulf countries to influence Saudi policy.It should also be noted that the Gulf Cooperation Council is a nation-wide organization.

Saudi Arabia is one of the Gulf states, which has the problems with Iran the most. Their troubled relationships always differ from those of other countries. Iran is not a member of the Gulf Cooperation

Council, and therefore Saudi Arabia cannot use the organization to influence over Iran.

Keywords: Gulf countries; Saudi Arabia.

ჩინეთისადმი დამოკიდებულების ცვლილება ოცდამეერთე საუკუნის რუსულ მედიასივრცეში

დავით ანდღულაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ისტორიის მიმართულების დოქტორანტი
საქართველო, თბილისი
ORCID identifieris 0000-0002-4899-0096
Dandg11@freeuni.edu.ge
555 45 01 01

აბსტრაქტი

სტატია ეხება თანამედროვე მსოფლიოს ორი დიდი სახელმწიფოს - რუსეთისა და ჩინეთის - ურთიერთ მიმართებას ოცდამეერთე საუკუნეში, კერძოდ, რუსულ მედიასივრცეში ჩინეთის პოზიტიურ აღქმას, რაც, ბოლოწლების განმავლობაში, ერთგვარ ტრენდად იქცა, რასაც, ბუნებრივია, თავისი მიზეზები და მიზნები გააჩნია.

როგორც ცნობილია, მედია დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცნობიერების, სტერეოტიპების, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე, შესაბამისად, მედიასივრცის კონტროლი, გარკვეულწილად, საზოგადოებრივი აზრის კონტროლსაც ნიშნავს. ასეთი ტიპის კონტროლის შესაძლებლობები მით უფრო დიდია, რაც უფრო ნაკლებად დემოკრატიულია ქვეყანა. ასეთ ქვეყნებში, მედიაზე კონტროლის გამკაცრება შეიძლება განპირობებული

იყოს ბევრი ფაქტორით - პოლიტიკურით, ეკონომიკურით, კულტურულით და ა.შ.

თანამედროვე რუსეთმა თავი ბევრი მიმართულებით რთულ მდგომარეობაში ჩაიყენა. დასავლეთის მიერ ინიცირებული სანქციები უბიძგებს რუსეთის ხელისუფლებას აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ კი, ჩინეთისაკენ. ბოლო ათლწულის განმავლობაში მოსკოვსა და პეკინს შორის კავშირი უპრეცედენტოდ მჭიდროა, რის გამართლებასაც სპეციალური კამპანია სჭირდება ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სადაც მოსახლეობის და პოლიტიკური ელიტების ჩინეთისადმი დამოკიდებულება, ტრადიციულად ფრთხილი და ნეგატიურია. აღმოსავლური გეზის გასამართლებლად რუსულ მედიასივრცეში ინტენსიურად ხდება ჩინური კულტურის, ენის, ეკონომიკური წარმატების, პოლიტიკური მოწყობის და ა.შ. პოპულარიზება, შექმნილია სპეციალური საინფორმაციო აპლიკაციებიც კი.

სტატიაში განხილული ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზის შედეგად ცხადი ხდება, რომ დასავლეთთან დაპირისპირების ფონზე, რუსეთის დამოკიდებულება ჩინეთზე სულ უფრო მეტად იზრდება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ჩინეთის პოზიტიური როლის ზრდას რუსულ მედიასივრცეში.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობები; სიძინფ ინგი; ჩინეთის მედიაკორპორაცია.

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნე ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, როდესაც მას უკვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნედ მოიხსენებდნენ. ინფორმაციული ტექნოლოგიები ეტაპობრივად ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში აღწევს (კორონავირუსის პანდემიამ ცხადყო, რომ თვით საკრალურ-რელიგიური სფეროც კი შეიძლება მნიშვნელოვნად აღმოჩნდეს მათზე დამოკიდებული). თანამედროვე მსოფლიოში არსებული დაუწერელი კანონის მიხედვით, რეალური მოვლენები მხოლოდ მაშინაა მნიშვნელოვანი, როდესაც საზოგადოებას მასმედიის საშუალებით ეუწყება მათ შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე მედიასა-

შუალებები არამხოლოდ ინფორმაციის ტრანსლატორები, არამედ, გარკვეულწილად, რეალობის მაყალიბებლებიც არიან.

თავის ნაშრომში „ევროპის აღსასრული“ ოსვალდ შპენგლერი წერდა: „უახლოეს მომავალში სამი ან ოთხი მსოფლიო გაზეთი წარმართავს პროვინციული გაზეთების აზრებს და მათი მეშვეობით კი - „ხალხის ნებას“. ყველაფერი გადაწყდება ამ გაზეთების მაკონტროლებელი ადამიანების მიერ, რომელთა სახელები, შესაძლოა, არც იყოს ცნობილი, მაგრამ მეორე ხარისხოვანი პოლიტიკოსების, რიტორებისა და ტრიბუნების, დეპუტატებისა და ჟურნალისტების მეშვეობით ხელს შეუწყობენ უდაბლეს ფენებში სახალხო თვითგამორკვევის ილუზიის არსებობას“ **(Шпенглер,1998:73).**

ცხადია, მსგავსი სცენარის განხორციელება შედარებით რთულია დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ გაცილებით უფრო მარტივია ავტორიტარული რეჟიმების არსებობის შემთხვევაში.

კონსტიტუციაში მიღებული ბოლო ცვლილებები ცხადჰყოფს, რომ თანამედროვე რუსეთი (ისევე, როგორც ჩინეთი), სულ უფრო მეტად იხრება ავტორიტარიზმისაკენ, რაც, ცხადია, ზრდის წნეხს მედიასაშუალებებზე. მართალია, რუსეთში ჯერ კიდევ არის თავისუფალი მედია პლატფორმები („Эхо Москвы“, „Дождь“, “Медуза”, „Слон“ და ა.შ.), მაგრამ, საინფორმაციო ველის უდიდესი ნაწილი პროსახელისუფლებო მედიასაშუალებებს უჭირავს („ОРТ“, „НТВ“, „Россия“ და სხვ.). ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი ბეჭდური მედიის უდიდესი ნაწილი ასევე კრემლის დაკვეთებს ასრულებს (მაგ. «Комсомольская правда», «Аргументы и факты»). შესაბამისად, რუსეთის საშუალო სტატისტიკური მოქალაქე ინფორმაციას იღებს, რომელიც კრემლს სურს, რაც, ბუნებრივია, დიდ გავლენას ახდენს მის (მოქალაქის) მსოფლმხედველობაზე.

თანამედროვე მსოფლიოში ძალთა ბალანსი რუსეთისათვის არა სახარბიელოდ იცვლება. სიძინფინგის[2]ჩინეთი რადიკალ-

---

[2]აქაც და სხვაგან ჩინური სახელები და ტერმინები მოცემულია ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესების მიხედვით. http://enadep. gov.ge/index.php?m =42&news =147&lang&fbclid=IwAR0brWhYzbobgFdNfTBXFfSKvg3RgG2TAzXtg2r8frRdHz 67fB2NkxJvnw

ურად განსხვავდება მისი წინა მორბედებისაგან, „ახალი აბრეშუმის გზის“ მასშტაბური პროექტი, რომლის მეშვეობითაც ჩინეთს თავის ეკონომიკური გავლენის გლობალურად გავრცელება სურს, ამის ნათელი დადასტურებაა. ბუნებრივია, დასავლეთისაგან იზოლაციაში მოქცეული რუსეთი სულ უფრო მეტად სუსტდება, ხოლო საერთაშორისო-პოლიტიკურ სივრცეში მის ადგილს ჩინეთი იკავებს. დეკლარირებულად, ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობები სამაგალითოდ მეგობრულია. ამის ფონზე საინტერესოა ჩინეთის შესახებ არსებული ინფორმაციის ხასიათი, რომელიც რუს მკითხველსა და მაყურებელს მიეწოდა და, ასევე, ამ ხასიათის განმსაზღვრელი საკვანძო ელემენტები.

მეთოდი

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობების ბოლოდროინდელი დინამიკის ასახვა რუსულ მედიასივრცეში. ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ მედიარესურსებსა და სამეცნიერო წყაროებზე.

შედეგები

ეტაპზე რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობების გარკვეული ასპექტების შესწავლამ, საშუალება მოგვცა დაგვენახა ამ ორ დიდ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების კომპლექსურობა და სირთულე.

სტატიაში განხილულია რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის ოცდაათწლიანი მონაკვეთი და ნაჩვენებია ამ ურთიერთობების გარდამტეხი მომენტი, მისი განმაპირობებელი ფაქტორები და დღეს არსებული ურთიერთობების რეალური, არაოფიციალური ტრენდები.

მსჯელობა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობებში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა. იმდროინდელი რუსეთი, ძირითადად, დასავლეთზე აკეთებდა აქცენტს, შესაბამისად რუსულ მედია სივრცეშიც დასავლეთი დომინირებდა. ამის ფონზე, 1992 წლის დეკემბერში, რუსეთის პრეზიდენტი ბ. ელცინი ჩავიდა პეკინში. მიუხედავად გარკვეული დაძაბულობისა, შეხვედრამ პოზიტიურად ჩაიარა **(Москва-Пекин: Полоса испытаний»,1992).**

1996 წელს ბ. ელცინის ვიზიტისას ორი ქვეყნის ურთიერთობა ახალ - „სტრატეგიული თანამშრომლობის " ეტაპზე გადავიდა. ეს გამოწვეული იყო რუსეთის შიგნით მიმდინარე ცვლილებებით. ასევე ჩეჩნეთთან ომში რუსეთს ჰქონდა ჩინეთის მხარდაჭერა. იმდროინდელი რუსული პრესა წერდა, რომ საზღვრის პრობლემა 98%-ით არის მოგვარებული და რომ ჩინეთთან კარგი ურთიერთობა რუსეთისათვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის (ჩინეთი) აზიურ ბაზარზე მნიშვნელოვანი მოთამაშეა **(ЖИХАРЕВ,1996).** ამ დროისათვის, რუსეთში მიიჩნეოდა, რომ ჩინეთი ძლიერი რეგიონული ლიდერია, რომელთან კარგი ურთიერთობების ქონა რუსეთს ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი გაფორმდა ბ. ელცინსა და ძიანგზემინს შორის მოსკოვში, 1997 წლის აპრილში. გაზეთ „კომერსანტის" ცნობით, ლიდერებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ მათთვის მიუღებელია უცხო ძალების მიერ ნაკარნახევი პოლიტიკური დღის წესრიგი. დოკუმენტში შეშფოთება იყო გამოთქმული „ზოგიერთი სამხედრო ბლოკის" გაფართოების ტენდენციებთან დაკავშირებითაც. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთისა და ჩინეთის ლიდერების შეხვედრა გაცილებით უფრო მაღალმიზანს ემსახურებოდა, ვიდრე დასავლეთის წინააღმდეგ გაერთიანებაა. საუბარი შეეხო ეკონომიკურ, სამხედრო, ენერგეტიკულ და სასაზღვრო საკითხებსაც **(МАКАРОВ, 1997).** თუმცა, უკვე გაესვა ხაზი იმას, რომ რუსეთისათვის ჩინეთი შეიძლება წარმოადგენდეს ალტერნატივას. ელცინის რუსეთის დამოკიდებულება ჩინეთის მიმართ პოზიტიურობით, მაგრამ სიფრთხილით გამოირჩეოდა. როგორც წესი, ურთიერთობები არ სცდებოდა ვალდებულებების არმქონე ხელშეკრულებებსა და მომავალი თანამშრომლობის სურვილებს.

ხელისუფლებაში ვ. პუტინის მოსვლამ (2000 წ) გააუმჯობესა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები. თავის სტატიაში „რუსეთი: ახალი აღმოსავლური პერსპექტივები" (2000 წ. ნოემბერი) ის წერდა:

„რუსეთი ყოველთვის განიცდიდა საკუთარ თავს ევროაზიულ ქვეყნად. ჩვენ არასოდეს არ გვავიწყდებოდა, რომ რუსეთის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი აზიაში მდებარეობს. თუმცა,

სიმართლე უნდა ითქვას, ყოველთვის არ ვიყენებდით ამ უპირატესობას. ვფიქრობ, მოვიდა დრო რომ ჩვენ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში შემავალ ქვეყნებთან ერთად გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე - გავაძლიეროთ ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა კავშირები. თანამედროვე რუსეთში ამისთვის ყველანაირი შესაძლებლობა არის“ **(Путин,2000).**

ეს ნიშნავდა იმას, რომ ურთიერთობები რუსეთსა და ჩინეთს შორის ახალ სტადიაზე უნდა გადასულიყო. გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე თვეში პუტინი ვიზიტით ეწვია პეკინს, ხოლო 2001 წელს ორ სახელმწიფოს შორის გაფორმდა კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. (Договор о добрососедстве, дружбе и сотрудничестве между Российской Федерацией и Китайской Народной Республикой, 2001) ხელშეკრულება არ გულისხმობდა არანაირი ალიანსის შექმნას, ხაზი ესმებოდა იმას, რომ ქვეყნებს შორის არ არსებობს სერიოზული წინააღმდეგობები.

იმდროინდელ რუსეთში ამას არანაირი სერიოზული გამოხმაურება არ მოჰყოლია, რუსული მედია საშუალებებისათვის არც პუტინის მიერ აზიური კურსის დეკლარირება და არც პეკინში ვიზიტი უზარმაზარი მნიშვნელობის საკითხი არ ყოფილა. მაგალითად, 2001 წლის 13 ივნისის პუბლიკაციაში, გავლენიანი რუსული მედიასაშუალება “РБК” ეხება პუტინის ვიზიტს ჩინეთში **(Кара-Мурза,2005**), სადაც მართალია, ნახსენებია „საუკუნის ხელშეკრულება“, მაგრამ, სტატია ორიოდე აბზაცისაგან შედგება.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა რუსეთ-ჩინეთს შორის საზღვარზე საბოლოო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც სადავო ტერიტორიები შუაზე გაიყო. (2005-2008 წწ.), მიუხედავად დიდი საზოგადოებრივი პროტესტისა, კრემლთან აფილირებულ მედიასაშუალებებმა თავშეკავებული პოზიცია გამოხატეს.

მიუხედავად ამისა, პროტესტი საკმაოდ ძლიერი იყო. ხაბაროვსკის მხარეში არ წყდებოდა გამოსვლები, ხოლო დუმაში დემარკაციის პროცესს აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ მხოლოდ კომუნისტები. 2005 წლის პირველი ივნისით დათარიღებულ სტატიაში, გაზეტა. რუ იუწყებოდა, რომ „პუტინმა გადასცა კუნძულები ჩინეთს“. დუმის ერთ-ერთი დეპუტატი აღნიშნავდა, რომ „(ჩინეთს) გადასცეს 337 კვ.კმ! ეს ძალიან დიდი ტერიტორია,

მასზე განლაგებულია რუსეთის მოქალაქეების სააგარაკო ნაკვეთები, რომლებისთვისაც კომპენსაციაზე არავინ საუბრობს". სკეპტიკურად განწყობილი ექსპერტების ვარაუდით, ეს დათმობა მხოლოდ წაახალისებდა ჩინეთისა და სხვა მეზობელი ქვეყნების პრეტენზიებს **(Жегулев,2005).**

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ 21-ე საუკუნის პირველი დეკადის რუსული მედია შედარებით იშვიათად აქცევდა ყურადღებას ჩინეთს და ხშირად, ეს ნეგატიურ კონტექსტში ხდებოდა. ეს მუხტი მეორე დეკადაშიც გადავიდა. მაგალითად, 2015 წლის 14 დეკემბერს, „ვედომოსტი" წერდა, რომ რუსეთის მოსახლეობის 47%-ისათვის უცნობია თუ რაა საერთო რუსეთსა და აზიას (ჩინეთს) შორის, და ამ დაახლოებას მათი უმრავლესობა ნეგატიურად უყურებს. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობისათვის ჩინეთი საფრთხეს წარმოადგენდა **(Аптекарь,2015).** მართალია, „ვედომოსტი" მსხვილი არასამთავრობო მედიასაშუალებაა, მაგრამ თავის მონაცემებში ის ოფიციალურ სტატისტიკას ემყარებოდა, რომელიც სადღეისოდ ან არ არსებობს ან საკმაოდ ძნელად მისაწვდომია.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2018 წლიდან ბევრი მსხვილი რუსული მედიასაშუალება თანამშრომლობს ჩინეთის მედია კორპორაციასთან. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მედია ორგანიზაციების ეს კონგლომერატი არც ისე დიდი ხნის წინ სიძინფინგის ბრძანებით შეიქმნა. ორგანიზაციის მიზანია ჩინეთის გაპიარება უცხოურ მედია საშუალებებში**(Ковалев,2020).** ამ მედია კორპორაციასთან თანამშრომლობის გამო, რუსულ მედია სივრცეში ძალიან იმატა ჩინეთის ინფორმაციულმა წილმა.

რუსულ მედიაში ჩნდება სტატიები სათაურით „სინძიანში არ ირღვევა ადამიანის უფლებები" **(В Синьцзяне не нарушаются права человека, 2020)** და ა.შ. ხშირად იგრძნობა, რომ ამ სტატიების ენა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მუშაკთა მეტყველების ნორმებს უფრო ემორჩილება, ვიდრე თანამედროვე რუსული ენისას. ნიშანდობლივია ისიც, რომ მსგავსი ტიპის სტატიების ტირაჟირებას რუსული სამთავრობო მედია საშუალებები «Россия сегодня» და «Российская газета» ეწევიან.

რუსულ მედია სივრცეში ჩინეთის ფაქტორის ზრდას, ცხადია, თავისი განმაპირობებელი მიზეზები გააჩნია.

უკრაინაში წარმოებული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამო რუსეთი რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა, რის გამოც მისმა ურთიერთობამ ჩინეთთან კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. მართალია, რუსეთის ენერგო ექსპორტის უდიდესი ნაწილი ევროპაზე მოდიოდა, თუმცა განვითარების ვექტორმა აშკარად აღმოსავლეთით გადაინაცვლა. რუსეთისათვის აღარ არის პრიორიტეტული ე.წ. „სამხრეთის ნაკადი", მის ნაცვლად გაზპრომის ერთ-ერთი უმთავრესი პროექტი „ციმბირის ძალა" გახდა, რომელიც ჩინეთისათვის დაახლოებით 38 მლრდ. კუბ. მ გაზის მიწოდებას ითვალისწინებს, არის 30 წლიანი პროექტი, რომლის ღირებულება $400 მლრდ-ს შეადგენს **(გამყრელიძე, 2014).**

ცხადია, ჩინეთს თავისი კერძო ინტერესები აქვს რუსეთთან მიმართებაში. გარდა ეკონომიკური სარგებლისა, ჩინეთს რუსეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები აქვს, რომელთაც, რათქმაუნდა, ღიად არ აცხადებს. ჩინეთს არამხოლოდ ენერგო რესურსებით მდიდარი მიწები, არამედ სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ვარგებული მიწებიც აინტერესებს. დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ჩინეთი ღარიბი რეგიონია, იქ მოსახლეობაც მცირეა და საწარმოებიც, თუმცა ჩრდილოეთი ბევრად მჭიდროდაა დასახლებული.

მართალია, გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიები არსებობს, მაგრამ პეკინში ესმით, რომ რუსეთი ბირთვული სახელმწიფოა და მასთან კონფრონტაცია, განსაკუთრებით არსებულ საერთაშორისო - პოლიტიკურ ვითარებაში, მხოლოდ წამგებიანი შეიძლება იყოს. ჩინეთს სჭირდება რუსეთის ბუნებრივი რესურსები და მას შეუძლია მათი შესყიდვა (2014 წლის შემდეგ თავისთვის სულ უფრო მომგებიანი პირობებით).

ტრადიციულად, რუსეთი აბრკოლებდა ჩინეთის მონაწილეობას ციმბირში რესურსების მოპოვებაში, თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთის ეკონომიკური სიტუაცია გართულდა ის ამ დათმობებზეც წავიდა. 2015 წელს კრასნოიარსკის ეკონომიკურ ფორუმზე ვიცე პრემიერმა ა. დვორკოვიჩმა განაცხადა, რომ ვერ ხედავს პრობლემას ჩინეთისათვის სტრატეგიული საბადოების

50%-ზე მეტის მიყიდვაში (**Макаров, 2015**). ამასთანავე, თავის დროზე ჩინეთმა არ მისცა უფლება „გაზპრომს“ მონაწილეობა მიეღო ტარიმ-შანგხაის გაზსადენის მშენებლობაში.

რუსეთის უმსხვილესი ენერგო კომპანიები ჩინელებთან ერთად მრავალმილიარდიან პროექტებს აწარმოებენ (მაგ. კომპანია „როსნეფტი“-სა და ჩინეთის ნავთობის ეროვნული კორპორაციის პროექტი აღმოსავლეთ ციმბირში გაზისა და ნავთობის საერთო მოპოვებაზე). უნდა ითქვას, რომ ჩინეთსა და რუსეთს შორის უთანხმოება ნავთობის ფასზე ათწელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, და საბოლოოდ რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებოდა ჩინურ ფასს. 2011 წელს, აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობსადენის გახსნიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჩინური მხარე „როსნეფტს“ არასრულად უხდიდა თანხას, რასაც განმარტავდა იმით, რომ ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის თვითღირებულება უფრო იაფია მატარებლით გადაზიდულისაზე. საბოლო ოჯამში, რუსეთს მოუწია ბარელზე $1.5-ის დათმობა, რის გამოც $3 მლრდი ზარალა (**Пусенкова , 2013:20**).

ეს ნიშნავს იმას, რომ კრიზისმა რუსეთი ჩინეთზე იმაზე მეტად დამოკიდებული გახადა, ვიდრე ის ამას ისურვებდა. ამის პარალელურად, ჩინეთიც დილობს საკუთარი ენერგობაზრის დივერსიფიკაციას. მაგალითად, ის აქტიუტრადაა ჩართული ცენტრალური აზიის ქვეყნებთან სავაჭრო-ენერგეტიკულ ურთიერთობებში, რაც კრემლში ძალიან მწვავედ აღიქმება - პოსტსაბჭოთა სივრცის ეს ქვეყნები რუსული გავლენის სფეროა, ხოლო ჩინეთი დღეს გაცილებით უფრო ძლიერი და სარფიანი პარტნიორია.

2009 წელს კრემლი, გაზპრომის მეშვეობით, ცდილობდა თურქმენეთზე ზეწოლას, იმისათვის, რომ მას გადაეხედა ჩინეთთან დადებული გრძელვადიანი ენერგო კონტრაქტისთვის. საპასუხოდ, ჩინეთმა გამოუყო თურქმენეთს რამდენიმე მილიარდიანი სესხი, რითიც დაეხმარა მას რუსული ზეწოლის გადატანაში. რუსეთისათვის გასაგები გახდა, რომ მისი გავლენა რეგიონში შესუსტდა, მაგრამ ჩინეთთან დაპირისპირებას თავი აარიდა. ჩინეთი მაქსიმალურად ცდილობს ბაზრის დივერსიფიკაციას, იმისათვის რომ შეინარჩუნოს ენერგო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა რუსეთისაგან (**Kaczmarski, Katz,&Tiilika, 2018:27**).

აბრეშუმის გზის პროექტმა საბოლოოდ შეასუსტა რუსეთის როლი ცენტრალური აზიის რეგიონში, მით უფრო, რომ 21-ე საუკუნეში რუსეთის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის განვითარება, რაც არსებულ რეალობაში ჩინეთის მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს. ამას ამყარებს ისიც, რომ 2014 წლის 20 მაისს რუსეთმა და ჩინეთმა განაცხადეს ყოვლისმომცველი პარტნიორობისა და სტრატეგიული ურთიერთანამშრომლობის ახალი ეტაპის დაწყების შესახებ. პარალელურად დაიდო რამდენიმე ათეული კონტრაქტი რომელიც გრძელვადიანად აბამს რუსეთის ეკონომიკას ჩინეთისაზე და, ფაქტობრივად, მის „ნედლეულის დანამატად“ („сырьевой придаток“) აქცევს.

რაც შეეხება რუსეთს, ის ხსენებული პროექტის მონაწილეა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, თვითონაც არასახარბიელო მდგომარეობაშია. დასავლეთის სანქციები აიძულებენ რუსეთს გააღრმავოს ურთიერთობები ჩინეთთან. მაშინ როდესაც ჩინეთს სხვა ალტერნატივები აქვს (ახლო აღმოსავლეთი, საკუთარი ფიქალის გაზი და ა.შ), რუსეთი მთლიანად ხდება დამოკიდებული ჩინეთზე. ეს ჩანს იმ მოდუსიდანაც, რომლითაც დღეს რუსეთში ჩინეთის შესახებ საუბრობენ. თუ საბჭოთა კავშირითავს ჩინეთის „უფროს ძმად“ მიიჩნევდა, თანამედროვე რუსეთი თავისთავს, არც მეტი, არც ნაკლები - „უფროს დას“ ადარებს, რომელიც, მართალია მემკვიდრე არ არის, მაგრამ უმცროსი ძმისგან პატივისცემა ეკუთვნის“ **(Поликарпов & Поликарпова, 2016:386).**

ავტორთა ნაწილი ჩინეთთან რუსეთის ურთიერთობას დადებითად მიიჩნევს, ნაწილი კი - უარყოფითად. მაგალითად, მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი თვლის, რომ ჩინეთის „ყვითელი დრაკონი“ არასანდო, შოვინისტური პარტნიორია, რომელსაც რუსეთი მხოლოდ რესურსებისთვის სჭირდება **(ЛУЖКОВ,2014).** ნებისმიერ შემთხვევაში, თითქმის ყველა ვინც რუსეთში ჩინეთზე საუბრობს, უკეთეს შემთხვევაში, უფროს პარტნიორად მოიხსენიებს მას.

ჩინეთთან მიმართებაში რუსეთის როლის დაკნინება ჩანს იქედანაც, რომ 2018 წლის თებერვალში აშშ-ის მიერ გამოცემულ „ბირთვული მდგომარეობის მიმოხილვის“ დოკუმენტში აშშ-ს ნომერ პირველ ანტაგონისტად ჩინეთია დასახელებული. აშშ

ჩინეთიდან მომავალ საფრთხეს არამხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ სამხედრო სფეროშიც, მათ შორის ბირთვულშიც, ხედავს.

დღეს რუსეთში არსებობს სპეციალური აპლიკაცია **„Россия — Китай: главное"**[3] **(რუსეთი-ჩინეთი:** მთავარი), რომელიც ასევე წარმოადგენს ჩინეთის მედია კორპორაციის პროდუქტს. მართალია, აპლიკაცია არ სარგებლობს დიდი პოპულარობით მოსახლეობაში, მაგრამ, ფაქტია, კრემლი აქტიურად ცდილობს საკუთარ მოსახლეობაში ჩინეთის პოზიტიური ხატის შექმნას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩინეთშიც აქტიურად იწერება სტატიები რუსეთის შესახებ. რუსეთთან მიმართებაში ნეგატიური კონტექსტი, ფაქტობრივად, აკრძალულია. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთის ხელისუფლებას მარტივად შეუძლია თავისთვის სასურველი ინფორმაციის განთავსება ჩინურ მედიასივრცეში. მაგალითისათვის, შეუძლებელია ყირიმის ანექსიის პოზიტიურ კონტექსტში გატანა, მართალია, ნეგატიური ინფორმაციაც არ ვრცელდება, მაგრამ გასაგებია, რომ ჩინეთი ამ საკითხთან მიმართებაში განსხვავებულად ფიქრობს. მეტიც, გაურკვეველი მიზეზების გამო ჩინეთში არ გამოქვეყნდა ვ. პუტინის სტატია მეორე მსოფლიო ომის შესახებ. "Sputnik"-ის ჩინურენოვანი თარგმანი ჩინეთის ხელისუფლებამ თავისთვის არა სასურველად მიიჩნია. (Китай заблокировал статью Путина о Второй мировой войне, 2020) ამასთანავე, რთული წარმოსადგენია თანამშრომლობის ფარგლებში რუსეთს შეეძლოს სიძინფინგის რომელიმე სტატიის დაბლოკვა.

ამას მარტივი ახსნა აქვს - ჩინეთისათვის პრიორიტეტი არის დასავლეთი. ჩინური პროპაგანდა გაცილებით უფრო მეტ სახსრებს დებს ინგლისურენოვან სტატიებში, რუსეთი კი არ განიხილება იმავე მნიშვნელობის პარტნიორად. პეკინში შესანიშნავად ესმით, რომ მოსკოვს სხვა ალტერნატივა ამ ეტაპზე არ გააჩნია, შესაბამისად, მაქსიმალურად იყენებენ ამ უპირატესობას.

---

[3]https://play.google.com/store/apps/details?id=com.cmstop.zett&hl=en_US&gl=US

დასკვნა

რუსული მედია საშუალებების კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩინეთის შეფასებამ რუსულ მედია სივრცეში ნეგატიურ-ნეიტრალურიდან, ნეიტრალურად-პოზიტიურისა და პოზიტიურისაკენ გადაინაცვლა, რისი განმაპირობებელი მიზეზიც არის რუსეთის ჩინეთზე მზარდი დამოკიდებულება. ყირიმის ანექსიამ და დასავლეთის მიერ ინიცირებულმა სანქციებმა რუსეთს უბიძგა აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ, ჩინეთისაკენ. დღეს რუსეთში ოპოზიციის დევნა გამოიწვევს დასავლეთთან კიდევ უფრო მეტად დაშორებას და ჩინეთთან დაახლოებას, რასაც, თავის მხრივ, მოყვება ჩინეთის პოზიტიური ინფორმაციული წვლილის ზრდაც რუსულ მედია სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Пусенкова , Н. (2013 წლის აპრილი). Российская энергетическая политика на востоке: китайская.მოპოვებული IFRI: https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ifri_rnv_70_poussenkova_rosneft_rus_april_2013.pdf;

2. «Москва–Пекин: Полоса испытаний». (1992 წლის 24 მარტი). მოპოვებული Ельцин Центр: https://yeltsin.ru/day-by-day/1992/03/24/12403/;

3. Gamqrelidze, m. (2014, ivnisi 11). *"gazp'romis" megak'ont'rakt'is megap'roblemebi da evraziuli manevri.* გამყრელიძე, მ. (2014 წლის 11 ივნისი). *"გაზპრომის" მეგაკონტრაქტის მეგაპრობლემები და ევრაზიული მანევრი.* მოპოვებული ივერია: http://iveria.biz/552--.html;

4. Kaczmarski, M., Katz, M., & Tiilika, T. (2018 წლის 12 დეკემბერი). *The Sino-Russian and US-Russian relationships: Current developments and future trends.*მოპოვებული VALTIONEUVOSTO STATSRADET: http://julkaisut. valtioneuvosto.fi/bitstream/handle/10024/161208/69-2018-CHANGING%

20GREAT%20POWER%20RELATIONS%20AND %20FINLAND.pdf;

5. *Nuclear Posture Review 2018.* (2018 წლისთებერვალი). მოპოვებული U.S. Department of Defense: https://dod.defense.gov/ News/SpecialReports/2018NuclearPostureReview.aspx-დან;

6. Аптекарь, П. (2015 წლის 14 დეკემბერი). *Поворот на Восток остается непонятным для граждан.*მოპოვებული Ведомости: https://www.vedomosti.ru/opinion/articles/2015/12/ 15/62 0964-povorot-vostok-ostaetsya-neponyatnim-dlya-grazhdan;

7. *В Синьцзяне не нарушаются права человека.* (2020 წლის 18 ივლისი). მოპოვებული РОССИЙСКАЯ ГАЗЕТА: https://rg.ru /2020/07/18/v-sincziane-ne-narushaiutsia-prava-cheloveka.html;

8. *Договор о добрососедстве, дружбе и сотрудничестве между Российской Федерацией и Китайской Народной Республикой.* (2001 წლის 16 ივლისი). მოპოვებული Kremlin: http://www. kremlin.ru/supplement/3418;

9. Жегулев, И. (2005 წლის 1 ივნისი). *Путин отдал китайцам острова.*მოპოვებული Газета.Ru: https://www. gazeta.ru/politics /2005/06/01_kz_294483.shtml;

10. ЖИХАРЕВ С., С. В. (1996 წლის 24 აპრილი). *Визит Ельцина в Китай.*მოპოვებული Коммерсантъ: https://www. kommersant.ru /doc/131731;

11. Кара-Мурза, В. (2005 წლის 21 მაისი). *Государственная дума ратифицировала соглашение о демаркации российско-китайс кой границы.*მოპოვებული РБК: https://www .rbc.ru/po litics/ 13/ 06/2001/5703b2609a7947783a5a1c91 ;

12. Китай заблокировал статью Путина о Второй мировой войне, 2. (2020 წლის 28 ივლისი). *Китай заблокировал статью Путина о Второй мировой войне.*მოპოვებული finanz.ru: https:// www. finanz.ru/novosti/aktsii/kitay-zablokiroval-statyu-putina-o-vtor oy - mirovoy-voyne-1029435620;

13. Ковалев, А. (2020 წლის 27 ივლისი). *Это полный фейспалм Китай начал агрессивно продвигать себя через российские СМИ, но результат получается комичный. Оказалось, что КНР не хватает умелых пропагандистов.*მოპოვებული Медуза: https://meduza.io /feature/2020/07/27/eto-polnyy-feyspalm;

14. ЛУЖКОВ, Ю. (2014 წლის 16 დეკემბერი). *«ЖЕЛТЫЙ ДРАКОН» ЗАГРЕБАЕТ ЖАР РАСПРИ ЕВРОПЫ И РОССИИ.* მოპოვებული Совершенно секретно: https://www. sovsekretno. ru/ articles/zheltyy-drakon-zagrebaet-zhar-raspri-evropy-i-rossii/;

15. Макаров, О. (2015 წლის 27 თებერვალი). *Дворкович допустил участие Китая в освоении стратегических месторождений.* მოპოვებული РБК:https://www.rbc.ru/economic s/16/ 06 /2017 /59 43c3a 79a7947bc02e219a7;

16. МАКАРОВ, С. (1997 წლის 24 აპრილი). *Ельцин с Цзян Цзэминем -Россия и Китай предупредили США.*მოპოვებული Коммерсантъ: https://www.kommersant.ru/doc/176745;

17. Поликарпов, В., & Поликарпова, Е. (2016). *Красный Дракон: Китай между Америкой и Россией . От Мао Цзэдуна до Си Цзиньпина.* Москва: Алгоритм;

18. Путин, В. (2000 წლის 9 ნოემბერი). *Россия: новые восточные перспективы.*მოპოვებული Kremlin: http://kremlin.ru /events/p resi den t/transcripts/21132;

19. О. (1998). *Закат Европы: Очерки морфологии мировой истории. Т. 1: Образ действительности.* Москва: Мысль.

PERCEPTIONAL TRANSFORMATION TOWARDS CHINA IN THE RUSSIAN MEDIA IN 21ST CENTURY

Davit Andguladze
PhD student in History
Faculty of Humanities
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi
ORCID identifier is 0000-0002-4899-0096
Dandg11@freeuni.edu.ge
555 45 01 01

Abstract

The article covers recent relationship of modern world's two great powers – Russia and China, with main focus on identifying causes and goals behind positive reflection of China in the Russian media, which is becoming a trend during last couple years.

As it is known, the media has a great influence on the formation of public awareness, stereotypes, attitudes, therefore, the control of media space, to some extent, also means control of public opinion. Less democratic the country is, more opportunities for such kind of control it has. In such countries, the tightening of control over the media can be caused by many factors - political, economic, cultural, and so on.

Modern Russia has put herself in a difficult position in many directions. The sanctions initiated by the West are pushing the Russian government towards the East, particularly China. The connection between Moscow and Beijing over the past decade has been unprecedentedly close, which needs to be justified by a special campaign in a country like Russia, where the attitude of the population and political elites towards China is traditionally cautious and negative. Chinese culture, language, economic success, political, etc. arrangement are being intensively promoted in the Russian media to justify the Eastern path. Even special information applications have been created.

By analyzing political and economic relationship of those countries in the article it is obvious that in contrast to the disagreement with the West, Russia is becoming more dependent on

China. Accordingly, it is enhancing the positive role of China in the Russian media.

Keywords: Russia-China relationship, Xi Jinping, China media corporation

ჯემ „სულთნის“ ბრძოლა ტახტისთვის და პაპი ალექსანდრე VI ბორჯა

გიორგი ახალკაციშვილი
ისტორიკოსი / თურქოლოგი
საქართველო, თბილისი,
0000-0003-4011-0450
Georgeakhalkatsishvili@yahoo.com
599-87-24-31

აბსტრაქტი

XV საუკუნის მეორე ნახევარი ოსმალეთის ისტორიაში და მისი ევროპასთან დიპლომატიური კავშირების განხილვა წარმოუდგენელია ჯემ „სულთნის“ ისტორიის გარეშე, რადგანაც ამ პროცესებმა დიდი როლი შეასრულეს ოსმალეთ-ევროპის, განსაკუთრებით კი რომთან ურთიერთობებში. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ოსმალეთის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ეხება უფლისწულ ჯემის ბრძოლას ძმის - სულთან ბაიაზიდის წინააღმდეგ და მის ევროპულ ვოიაჟს.

უფლისწულ ჯემის ბრძოლა ტახტისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში დეტალურად შესწავლილი არ არის. ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ ზოგადი ცნობები არსებობს, რამაც წინამდებარე სტატიის დაწერა განაპირობა. ნაშრომზე მუშაობის პროცესში, შევეცადეთ ამ საკითხთან დაკავშირებული ქართველი, თურქი და უცხოელი ავტორების (ჰ. ინალჯიკი, დ. ემეჯენი, ი. ჰ. უზუნჩარშილი და ნ. იორგა, გ. ჯაფარიძე, ი. ხუბაშვილი, მ. სვანიძე, მ. მახარაძე და სხვა) მოსაზრებებს გავცნობოდით. შეძლების დაგვარად შეგვესწავლა წყაროები და კრიტიკული ანალიზის მეშვეობით წარმოგვედგინა შინაარსობრივად პირველი ვრცელი ნაშრომი უფლისწულ ჯემის

ტრაგედიაზე (რომელიც სიცოცხლის ბოლომდე თავს „სულთანს“ უწოდებდა), რაც თავისთავად სიახლეს წარმოადგენს.

უცხოურ ლიტერატურაზე მუშაობისა და თარგმნის დროს, პირველ რიგში, ვიცავდით ინფორმაციის სიზუსტეს, ვადარებდით სხვა მასალებთან და არგუმენტებით ვამყარებდით მოსაზრებას. აღნიშნული საკითხი აქტუალურია, ვინაიდან ის ეხება არა მარტო ოსმალეთის ევროპულ პოლიტიკას, არამედ რომის პონტიფექსებისა და ევროპის ქვეყნების საგარეო პოლიტიკასაც - Res Orientalis. ნაშრომში ნაჩვენებია როგორ ცდილობდა ყველა მათგანი ჯემის გამოყენებას საკუთარი მერკანტელური და პოლიტიკური მიზნებისათვის.

ბოლოს კი უნდა ვთქათ, რომ ევროპა-ოსმალეთის ურთიერთობები შუა საუკუნეების ისტორიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი და მკვლევართა გაუნელებელი ინტერესის საგანია. ამიტომ შესაძლოა, ახალი წყაროების აღმოჩენამ სულ სხვაგვარი რეალობა დაგვანახოს და ისტორიაში კიდევ ერთი ახალი ფურცელი გადაიშალოს.

საკვანძო სიტყვები: ოსმალეთის იმპერია; ევროპა XV საუკუნეში; რომის პაპები; ჯემ „სულთანი“; პაპი ალექსანდრე VI ბორჯა.

მეთოდი

წინამდებარე სტატიაში კრიტიკული ანალიზის გამოყენებით შესწავლილია XV საუკუნის ოსმალეთის იმპერიაში დატრიალებული ტრაგედია, რომელიც უფლისწული ჯემის ხელისუფლებისთვის უთანასწორო ბრძოლას და მის ევროპულ ვოიაჟს ასახავს.

შედეგი

სტატიაში ნათლადაა გადმოცემული XV საუკუნის ოსმალეთის იმპერიის შიდა პოლიტიკური ვითარება, უფლისწული ჯემის ხელისუფლებისთვის ბრძოლა და ამ უკანასკნელის დაღუპვა ბაიაზიდ II-ისა და პაპი ალექსანდრე VI ბორჯას ინტრიგების გამო.

მსჯელობა

XV საუკუნის პირველ ნახევარში ოსმალეთის იმპერიაში მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო. 1402 წელს თემურ-ლენგის (1370-1405) ანატოლიაში შეჭრით და ანკარის (ანგორის) ბრძოლაში ამ უკანასკნელთან ოსმალების სასტიკი დამარცხებით სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. სულთან ბაიაზიდ I (1389-1402) ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა და სამარცხვინო ვითარებაში ტყვეობას თავის მოკვლა არჩია (20 ივლისი). ისედაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ იმპერიაში ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა უფლისწულებს შორის ტახტისთვის ბრძოლამ (1402-1413), რომელიც საბოლოოდ მეჰმედ I ჩელების (1413-1421) გამარჯვებით დასრულდა. თემურ-ლენგის შემოსევებმა, ანატოლიაში მიმდინარე სამოქალაქო ომმა და გლეხთა აჯანყებებმა ოსმალეთის იმპერია დაასუსტა. ვითარება დასტაბილურდა სულთან მურად II-ის (1421-1444 / 1446-1451) და მისი შვილის – მეჰმედ II-ის (1444-1446 / 1451-1481) მმართველობის დროს. ოსმალეთი თანდათან ძლიერდებოდა აზიისა და ევროპის ტერიტორიაზე, მაგრამ ამ ტერიტორიების გასაერთიანებლად საჭირო იყო კონსტანტინოპოლის აღება, რაც 1453 წლის 29 მაისს შეძლო სულთან მეჰმედ II-მ და ორად გაყოფილი იმპერიის მიწები გააერთიანა. კონსტანტინოპოლი, შემდგომში - სტამბოლად წოდებული, იმპერიის დედაქალაქად გამოცხადდა.

მეჰმედ II-მ ოსმალეთში შემოიღო ახალი კანონები, მათ შორის ყველაზე ინოვაციური იყო „ძმათა მკვლელობის კანონი“, რომლის მიღების აუცილებლობაც გამოიწვია 1402-1413 წლებში სულთან ბაიაზიდის შვილებს შორის ატეხილმა შიდა ომებმა, რომლებმაც საგრძნობლად დააზარალეს სახელმწიფო. კანონის არსი შეადგენდა შემდეგს: ოსმალეთის უფლისწულებიდან, რომელიც სულთანი გახდებოდა (ანუ ძმებზე ადრე ჩავიდოდა სატახტო ქალაქში) სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ძმები უნდა დაეხოცა. აღნიშნული კანონის განსახორციელებლად ნებართვას (ფეტვას) სტამბოლის შეიხი ულ-ისლამი გასცემდა.

1481 წლის 3 მაისს, მეჰმედ II-ის გარდაცვალების შემდეგ (ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ის მოწამლა სპარსმა ექიმმა

უფლისწულ ბაიაზიდის ბრძანებით), დაიწყო იენიჩართა დიდი აჯანყება და ბრძოლა უფლისწულებს შორის. უფროსი უფლისწული ბაიაზიდი (1481-1512) ამასიის სანჯაყს განაგებდა, ხოლო უმცროსი, ჯემი (სრული სახელი ღიას ად-დინ ჯემი) – კონიის სანჯაყს. ბაიაზიდის მომხრეებმა დაუყოვნებლივ აცნობეს უფლისწულს მამის გარდაცვალების ამბავი. ეს უკანასკნელი სასწრაფოდ ჩავიდა სტამბოლში და 19 მაისს ტახტი დაიკავა . ი. ჰ. უზუნჩარშილი მის ტახტზე ასვლას ათარიღებს რაბი' ალ-ავალის 886 წლით [1481 წლის 20 მაისით], ხოლო რ. ს. ჰატოქსი რაბი' ალ-ავალის 886 წლით [1481 წლის 18 მაისი] და თავის სტატიაში (Qaytbay's Diplomatic Dilemma Concerning the Flight of Cem Sultan (1481–82) იმოწმებს ორუჩის სიტყვებს: ,,მეჰმედის სიკვდილისა და იენიჩარების აჯანყების შემდეგ, ბაიაზიდმა ტახტი დაიკავა შაბათს, რაბი' ალ-ავალის 886 წელს (1481 წლის 18 მაისს)“ **(HATTOX,გვ,17).**

დიდი ვეზირი ყარამანლი მეჰმედ ფაშა (1477-1481) უფლისწულ ჯემს ემხრობოდა. მან სასწრაფოდ მაცნე გაგზავნა მასთან, რომ პირველს ჩაესწრო სტამბოლში, მაგრამ მაცნე გზაში შეიპყრეს და უფლისწულმა მამის გარდაცვალების ამბავი გვიან შეიტყო. ყარამანლი მეჰმედ ფაშას ღალატში დასდეს ბრალი და იმავე წელს სიკვდილით დასაჯეს. სულთან მეჰმედის შემოღებული კანონით, უფლისწული ჯემიც სიკვდილით უნდა დაესაჯათ, მაგრამ უტახტოდ დარჩენილმა და სიკვდილისთვის განწირულმა ძმა-სულთნის წინააღმდეგ ამბოხება დაიწყო. 1481 წლის 8 მაისს ჯემი ოთხი ათასიანი ჯარით დაიძრა ბურსასკენ. 28 მაისს მან დაამარცხა ბაიაზიდი [რაბი' ალ-ავალის 886 წელი], დაიპყრო ბურსა და თავი სულთნად გამოაცხადა. ჯემიმ აღავლინა ხუტბა და მოჭრა საკუთარი მონეტა, რომელზეც ეწერა – „ჯემი ძე სულთან მეჰმედ ხანისა“. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ჯემ „სულთანმა“ საკუთარი მმართველობის დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოაცხადა, რაც ბურსაში სულ 18 დღე გაგრძელდა. სულთანი ბაიაზიდი ვერ შეეგუა ჯემის ასეთ წარმატებას და დიდი მხედრობა დაძრა მის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში გედიკ აჰმედ ფაშა (ჯემის ყოფილი აღმზრდელი [ლალა], დიდი ვეზირი 1474-1477, კაპუდან ფაშა [ადმირალი] 1478-1480 წწ.) ჩაუყენა. ამ უკანასკნელმა 1481 წლის 20 ივნისს

(რასაც ადასტურებს თურქი მკვლევარი უზუნჩარშილიც (**Uzunçarşılı, 1983:163**). განსხვავებული მოსაზრება აქვს ნ. იორგას, რომელიც ამ ბრძოლის დღედ ასახელებს 22 ივნისს (**JORGA, 1908:506**) იენიშეჰირთან, დაამარცხა უფლისწულ ჯემისა და ყარამანის მმართველის ქასიმის ჯარები. 887 წლის 29 რაბი ასსანის თვეში [1482 წლის 17 ივნისს] ის გაიქცა ყარამანის ბეილიქში (არსებობდა 1250-1487 წლებში), საიდანაც შიკრიკი აფრინა ბაიაზიდთან და შეუთვალა, რომ ოსმალეთის მცირე ნაწილის გამგებლობა დაებრუნებინა მისთვის(**Gibb,1902:75**). ასეთი მოთხოვნა სულთნის რეზიდენციამ დაგმო; მხოლოდ ერთ დათმობაზე წავიდა ბაიაზიდი და შეუთვალა ჯემს, რომ ყოველწლიურად ერთ მილიონ აქჩეს გადაუხდიდა თუ ტახტზე უარს იტყოდა და იერუსალიმში დარჩებოდა; ჯემმა ამაზე მტკიცე უარი განაცხადა (**Ágoston,2009:128-129**). დამარცხებული ჯემ სულთანი ჯერ კონიაში ჩავიდა (25 ივნისს), ხოლო შემდეგ თარსუსში, რომელიც რამაზანოღლუების ბეილიქის (არსებობდა 1352-1608 წლებში), მამლუქთა მოკავშირეების, დაქვემდებარებაში იყო. მოგვიანებით ჯემი მამლუქთა სასულთნოში გადავიდა და 6 მაისს [17 რაბი ულ-ევველის 887] ჩავიდა დედაქალაქ კაიროში (**Uzunçarşılı, 1983:167**).

მამლუქთა სასულთნო მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას. ცენტრალური პოზიცია ეკავა ეგვიპტეს, ხოლო კაირო მამლუქთა სასულთნოს დედაქალაქი და სულთნების მთავარი რეზიდენცია იყო(**ახალკაციშვილი,2020:65**). მამლუქები 1250 წელს მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში და საკუთარი გამგებლობა დაამყარეს არა მარტო ეგვიპტეში, არამედ სუდანში, სირიაში, პალესტინაში, არაბეთის ნახევარკუნძულის ნაწილზე და წმინდა ქალაქებზე, მექა-მედინაზე. XIII-XV საუკუნეებში მამლუქთა სასულთნო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო და მისი მმართველის, სულთნის ტიტული შერწყმული გახლდათ „იმამისა“ და „ხალიფას“ ტიტულთან (**სვანიძე, 2007:92**), რაც იმ პერიოდის მუსლიმურ სამყაროში უმაღლეს წოდებად ითვლებოდა. უფლისწულმა ჯემმა 4 თვე გაატარა კაიროში, ამისშემდეგ გაემგზავრა მექაში, ჰაჯის (**ისლამი,1999:233**) მოსალოცად. მოლოცვის შემდეგ ისევ კაიროში დაბრუნდა, 1482 წლის 20 თებერვალს.

ამ დროისათვის მამლუქებსა და ოსმალებს შორის დაძაბული ვითარება იყო და მამლუქთა სულთანმა ალ-აშრაფ კა'ით ბეიმ (1468-1495) უფლისწული ჯემი სიხარულით მიიღო და ბაიაზიდის წინააღმდეგ გამოიყენა. ბაიაზიდი, როდესაც ჯერ კიდევ უფლისწული იყო, მამამისმა, სულთან მეჰმედ II-მ ამასიის სანჯაყ-ბეის თანამდებობაზე დანიშნა, რომელიც ესაზღვრებოდა მამლუქთა ჩრდილოეთ საზღვარს (**MUSLU,2014:180**). სწორედ იმ დროს გაეცნო ის მამლუქებისა და დულქადიროღლუების ურთიერთობას და იქორწინა ამ უკანასკნელის მმართველის, ალაუდდევლეს ქალიშვილზე, აიშე ხათუნზე; ასე დაუნათესავდა მათ და უფრო გაიღრმავა ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით. ალაუდდევლე ოსმალეთს მიემხრო. ეს ფაქტი, აღმოსავლეთის ისტორიის პრობლემების მკვლევართა, მაგალითად მარგარეტ ვენზკეს (**Venzke, 2000:427-428**), ჯეინ ჰეითვეის (**Hathaway, 2009:94-96**), ნეჯათ ლუღალის და ადნან ერზის (**NECATİ LUGAL&ADNAN ERZİ,1956:69-71**), აზრით, აგრეთვე მიიჩნევა ოსმალეთ-ეგვიპტის ომის დაწყების საბაბად. 1472 წელს მამლუქები და დულქადიროღლუები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რამაც გამოიწვია 1482 წელს ბაიაზიდისა და მისი სიმამრის გაერთიანება. ბაიაზიდისა და ალაუდდევლეს გაერთიანებიდან ორი წლის შემდეგ, 1484 წლის გაზაფხულს, დულქადიროღლუს და ოსმალთა შენაერთები მალათიამდე მივიდნენ (**MUSLU,2014:183**]. გაერთიანებული ჯარები მამლუქთა საზღვრებში შეიჭრნენ, თუმცა მანამდე, 1484 წლის 24 სექტემბერს მამლუქებმა სძლიეს ამ უკანასკნელთ რის გამოც ლაშქრობა დროებით გადაიდო (**MUSLU, 2014: 183**). სულთანმა კა'ით ბეიმ 1485 წელს შექმნილი პოლიტიკურად რთული ვითარების გამო და ზიანის ანაზღაურების მიზნით, ბაიაზიდთან გაგზავნა ელჩობა, რომელსაც ჯანიბეგი მეთაურობდა. ამ უკანასკნელს დიდი დიპლომატიური გამოცდილება და თვით მამლუქთა სულთნის ნდობაც ჰქონდა.

ჯანიბეგის ელჩობა სტამბოლში, მართლაც რომ მძიმე პერიოდს დაემთხვა, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამარცხებული და ძმის წინააღმდეგ მემბოხე ჯემ ,,სულთანი" სწორედ ეგვიპტეში იმყოფებოდა, ოსმალეთის ტახტის უსაფრთხოება ისევ ეჭვქვეშ იყო, რადგანაც ბაიაზიდის უფლებებს ოსმალეთის ტახტზე მამლუქები არ აღიარებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც,

რომ სანამ მამლუქთა ელჩობა ჩავიდოდა სტამბოლში, ბაიაზიდს უკვე რამდენიმე აუდიენცია ჰქონდა გამართული: თუნისის, ჰაფსის დინასტიის წარმომადგენლის, სულთან ოსმანის (1435-1488), აყ-ყოიუნლუს (თეთრბატკნიანთა ირანის) მმართველის სულთან იაყუბის (1487-1490. უზუნ ჰასანის (1453-1478) შვილის), აზერბაიჯანიდან შირვანის მმართველის, ფერუჯ იაშარის (1463-1500) და უნგრეთის მეფის, მათიუშ კორვინუსის (1458-1490) ელჩების დელეგაციებთან **(MUSLU,2014:184).** 1484 წლის ზაფხულში აღნიშნულმა დიპლომატებმა აღიარეს სულთან ბაიაზიდის უფლებები ტახტზე და მიულოცეს მისი პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება, რაც დე იურედ აღიარებასთან ერთად ნიშნავდა იმასაც, რომ ოსმალეთის შემადგენლობაში გადავიდა ჩრდილოეთ შავ ზღვისპირეთში მდებარე ქ. კილი (კილია. ოდესის ოლქი) და აკერმანი (ბელგოროდ-დნესტროვსკი) **(MUSLU, 2014:184).** სულთანთან აუდენციაზე მყოფ უცხოელ დიპლომატებს შორის ეგვიპტის ელჩები არ ფიქსირდებოდნენ, რაც ცნობილი ისტორიკოსის იბნ ქემალის გადმოცემით სულთანს შეუმჩნეველი არ დარჩენია **(Ibn Kemal,გვ,184).**

ეგვიპტის ელჩების სტამბოლში ჩასვლის შემდეგ, ჯანიბეგს სულთანი დივანის სხდომაზე შეხვდა და მოისმინა კა'ით ბეის მოთხოვნები. ეს უკანასკნელი ბაიაზიდს ანატოლიის სამხრეთ მიწების მამლუქთა სამფლობელოებად აღიარებას სთხოვდა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო და ეს გახდა მათ შორის ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც გაგრძელდა 1491 წლამდე.

ბაიაზიდმა მოაწყო ლაშქრობები ალექსანდროპოლისა და ალეპოს დასაკავებლად, მაგრამ ეგვიპტეს მიეხმარა ვენეცია და საფრანგეთი, რომლებიც სირიაში სავაჭრო პრივილეგიებით სარგებლობდნენ **(სვანიძე, 2007:92)** და ოსმალთა წარმატება მათ დიდად დააზარალებდათ. ლაშქრობა უშედეგოდ დასრულდა. 1491 წელს სულთანი კა'ით ბეი დაუზავდა ოსმალებს, ხელსაყრელი პირობებით **(ჯაფარიძე, 2016:129),** მაგრამ არცერთ მხარეს არ ჰქონია რაიმე ტერიტორიული წინსვლა. ზავი მყარი არ იყო. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ პერიოდში მიმდინარეობდა რომის პაპების აქტიური მოწოდებები ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად, სადაც დასავლეთი მამლუქების ოსმა-

ლებთან კონფრონტაციაზე ამყარებდა იმედებს, განსაკუთრებით კი უფლისწულ ჯემს აქეზებდნენ სულთან ბაიაზიდის წინააღმდეგ (**ხუბაშვილი, გვ.147**). მაგრამ როდესაც ორ სახელმწიფოს შორის საბრძოლო მოქმედებები დასრულდა, სულთან კა'ით ბეისთვის ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობა მიმზიდველი აღარ აღმოჩნდა (**ჯაფარიძე,2016:129**).

ჯემ „სულთნის“ მზერა კვლავ ძმის ტახტისკენ იყო მიმართული. ქასიმ ყარამანოღლუს რჩევით, მან რუმელიაში მოინდომა გადასვლა. ამისათვის საჭირო იყო, როდოსის კუნძულზე გამაგრებულ ჰოსპიტალიერ (იგივე იოანიტების ორდენი. დაარსდა 1070 წ.) რაინდებთან კავშირი გაეფორმებინა, რაც სისრულეში მოიყვანა 1482 წლის 10 ივნისს (887 წლის 24 ჯუმადას თვეს). ჯემმა ხელშეკრულება გააფორმა დიდ მაგისტრ პიერ დე'ობიუსიონთან (1476-1503), რისთვისაც ჰოსპიტალიერები მას ბალკანეთზე გადაყვანას დაპირდნენ. ჰ. ინალჯიკის აზრით, ჯემი კუნძულ როდოსზე 1482 წლის 30 ივნისს (887 წლის 13 ჯუმადა ას-სანის თვეს) უნდა გადასულიყო (**İnalcık, 1991:529-531**). უფლისწული კუნძულზე გადავიდა და შეიძლება ითქვას, რომ ამით ქრისტიანულ სამყაროს „დიდი დახმარება“ გაუწია ოსმალებთან ბრძოლაში. დიდმა მაგისტრმა მაშინვე აცნობა რომის პაპს ინოკენტიუს VIII-ს (1484-1492), რომ უფლისწული ჯემი კარგი იარაღი იქნებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ჯემი პატიმარი აღმოჩნდა როდოსზე მყოფი ჰოსპიტალიერთა ორდენისთვის, რომელიც წესდებიდან გამომდინარე, მხოლოდ პაპს ემორჩილებოდა (როგორც სხვა დანარჩენი სასულიერო-რაინდული ორდენები). და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ევროპელი მონარქები, განსაკუთრებით კი უნგრეთის მეფე მოლაპარაკებებს განაგრძობდნენ პაპთან ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებაზე (**İnalcık,2009:268**). ჯემის იმედები, რომ ბალკანეთში გადასულიყო, უდავოდ განწირული იყო. აპრილის თვეში, ორდენის ჩანაწერების თანახმად, სულთან ბაიაზიდის ელჩი, ჰუსეინ ფაშა, როდოსზე ჩავიდა და მოლაპარაკებები აწარმოა დიდ მაგისტრთან (**Vatin,გვ.35-44**). 1482 წლის სექტემბერში (887 წლის შაბანი) სულთანი სამშვიდობო დიპლომატიური გზით ითხოვდა ჯემის დატყვევებას და მის გამოკეტვას ორდენის ციხე-სიმაგრეში, რის სანაცვლოდაც დიდ

მაგისტრს წელიწადში 40 000 დუკატს ჰპირდებოდა. (ეს აღნიშნული იყო სულთნის გაგზავნილ წერილშიც) **(Vatin, გვ. 35-44).** ასე აღმოჩნდა ჯემი პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლი. ბაიაზედის წინადადებასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა გედიკ აჰმედ ფაშამ, რომელმაც სულთნის ასეთ ქმედებას სამარცხვინო ვაჭრობა და ოსმალეთის იმპერიისთვის შეუფერებელი უწოდა **(Fisher,1948).** აჰმედ ფაშა ბაიაზიდმა სიკვდილით დასაჯა **(Uzunçarşılı,1983:355-361).** ჯემის უბედურებას ისიც ემატებოდა, რომ მისი ოჯახის წევრები დაფანტულნი იყვნენ. მცირეწლოვანი (სამი წლის) უფლისწული ოღუზი, ბაიაზიდმა სტამბოლში სიკვდილით დასაჯა, რაც უკიდურესი სასჯელი იყო ძმისთვის.

1482 წლის 1 სექტემბერს (887 წლის 17 რაჯაბი) უფლისწულმა ჯემმა კუნძული დატოვა და საფრანგეთისკენ გაემართა. ამ პროცესში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ჯემმა არ იცოდა „ტყვეობის“ შესახებ და საკუთარი გეგმების დაწყობას აგრძელებდა. ამავდროულად, მას საფრანგეთის მეფე - ლუი XI (1461-1483) თვალთმაქცურად აიმედებდა და ოსმალეთის ტახტზე მის პრეტენზიას ემხრობოდა. სულთანმა ბაიაზიდმა ვენეციელებთან წამოიწყო მოლაპარაკება, რომ როდოსის დატოვებისთანავე შეეპყროთ ჯემი, სანაცვლოდ კი მათი ოსმალეთში მდებარე სავაჭრო ფაქტორიების უსაფრთხოებას ჰპირდებოდა. ჰ. ინალჯიკის გადმოცემის თანახმად, უფლისწულის დასაჭერად ვენეციის 8 ხომალდი იბრძოდა. სულთან ბაიაზიდისთვის მთავარი პრობლემა იყო ის, რომ ჯემი უნგრეთის მეფეს არ ჩავარდნოდა ტყვედ. ამიტომაც ევროპაში ჯაშუშები გაგზავნა, მათ შორის იყო ჰუსეინ ბეი, რომელიც სულთნის ელჩის რანგში საფრანგეთის მეფის კარზე ჩავიდა **(İnalcık, 1991:529-531).** იმ დროს საფრანგეთს უკვე შარლ VIII ვალუა (1483-1498) მართავდა.

ე.გიბბი გადმოგვცემს: „როდესაც ჯემი საფრანგეთისკენ მიდიოდა, ის და მისი თანმხლებნი მოყვნენ საშინელ ქარიშხალში, რის შემდეგაც ნეაპოლის მეფის ფერდინანდ I-ის (1423-1494) ხომალდებს ჩაუვარდნენ ტყვედ. როგორც ჩანს, მეფემ ისინი გაუშვა, რადგანაც ოქტომბერში უკვე ნიცას პორტში ჩავიდნენ“ **(Gibb,1902:77).** ჯემი თავს ტყვეობაში არ გრძნობდა. როგორც

აშიკ ფაშა-ზადე მოგვითხრობს, უფლისწული ფრანგი დიდგვაროვნების მასპინძლობით სარგებლობდა და დიდად კმაყოფილიც იყო. ჯემს ნიცა ძალიან მოსწონებია, შეუდარებელი ქალაქი უწოდა და ხოტბაც შეუსხამს საკუთარ წერილში : *„რა შესანიშნავია ქალაქი ნიცა, სადაც ყველა, ვინც რაიმეს აკეთებს, რჩება მასთან"* **(Gibb,1902:77).** ნიცაში მან ოთხი თვე გაატარა, მაგრამ ქალაქში გავრცელდა შავი ჭირის ეპიდემია და ჰოსპიტალიერებმა ის მალევე გადაიყვანეს სენ-ჟან-დე მორენში (საფრანგეთი) **(Gibb,1902:79).** ამ პერიოდში ჯემი უკვე მიხვდა, რომ ის არა როგორც „სტუმარი", არამედ ტყვე იყო ჯვაროსნების ხელში. უნგრეთის მეფე მატიაშმა ვერ მიაღწია თავისას და უფლისწული ვერ გამოიყენა ოსმალებთან ბრძოლის იარაღად, მაგრამ ამ უკანასკნელმა 7 წელი გაატარა ჯვაროსნების სხვადასხვა ციხეებში : 1. ნიცაში, 2. სენ-ჟან-დე-მორენში, 3. ლეზ-ეშელში, 4. როშე შინარში, 5. ლე-მონტე-ო-ვიკონტში, 6. ბურგანიოფში, 7. ტულონში **(Gibb,1902:77).**

1489 წლის 4 მარტს ტულონის პორტიდან ჯემი რომში ჩაიყვანეს, რაც კარგი შემოსავლის წყარო გახდა პაპის ხაზინისათვის **(İnalcık, 268);** აქამდე თუ ბაიაზიდი 45 ათას ოქროს ჰოსპიტალიერ რაინდებს სთავაზობდა, ახლა ეს წინადადება პაპისკენ გადაამისამართა. 1492 წლის 25 ივლისს პაპი ინოკენტუს VIII (კარდინალი ჩიბო, 1484-1492) გარდაიცვალა და 11 აგვისტოს კონკლავმა **(ხუბაშვილი, 2016:817-818)** ახალი პაპი, 60 წლის ალექსანდრე VI ბორჯა (ერისკაცობაში როდრიგო ბორჯა, 1492-1503) აირჩია, რომელიც პონტიფიქსების ისტორიის ავანსცენაზე ყველაზე ,,შავბნელ პიროვნებადაა აღიარებული **(ხუბაშვილი,2004:147).** ის მართლაც შავბნელი და საკმაოდ ცბიერი პიროვნება გახლდათ, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავდროულად იყო შესანიშნავი დიპლომატიც, რომლის პაპობის პერიოდსაც უკავშირდება რენესანსის განვითარების პიკი **(ხუბაშვილი,2004:147).** პაპმა ალექსანდრემ წმინდა პეტრეს ტახტზე ასვლისთანავე დაიწყო საკუთარი გეგმების განხორციელება; ძირითადად ეს ეხებოდა პაპის ტახტის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ჯარის შექმნას, რომელსაც მომავალში სათავეში ჩაუდგა მისი შვილი, ჩეზარე ბორჯა (1475-1507). ჩეზარეს გეგმებში მთელი იტალიის დაქვემდებარება და გაერთიანება

შედიოდა, რომლისთვისაც ძალ-ღონეს არ იშურებდა და მეტოქეებს ოსტატურად იშორებდა.

ალექსანდრე VI პოლიტიკა და დიპლომატია საკმაოდ წინდახედული იყო. როდესაც ჯემი ჯერ კიდევ შარლ VIII-ის კარზე იმყოფებოდა, მან სულთან ბაიაზიდს გაუგზავნა ელჩი – ჯორჯო ბოჩარდო (გენუიდან)–და მოუწოდა საფრანგეთის წინააღმდეგ გალაშქრება. ელჩმა სულთანს მოახსენა, რომ შარლი ჯემის პრეტენზიას აღიარებდა ტახტზე და თუ ის იტალიას დაიკავებდა, მაშინ ოსმალეთს საშიში ძალა გაუმეზობლდებოდა **(ხუბაშვილი, 2004:148).** პაპი ორმაგ და ცბიერ დიპლომატიურ თამაშს ეწეოდა, რადგანაც მან არა მხოლოდ ბაიაზიდს, არამედ შარლ VIII-სთანაც გააგზავნა ელჩები ჯემის რომში გადმოყვანის პირობით, რასაც მიაღწია კიდეც. 1494 წელს შარლ VIII-მ წამოიწყო იტალიური ომი, აიღო ლუკას საგრაფო, 29 ნოემბერს საზეიმოდ შევიდა ფლორენციაში (საფრანგეთის მეფის ლაშქრობა იტალიაში მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული მილანის ჰერცოგის ლოდოვიკო მოროს სახელთან და ფლორენციელ ბერთან, ჯიროლამო სავონაროლასთან, რომელიც ოთხი წელი სან მარკოს მონასტრიდან მართავდა ქალაქს), გაურიგდა მილანის მმართველებს ჯოვანი და კატერინა სფორცებს და მათთან ერთად, იმავე წლის 31 დეკემბერს რომს მიადგა. მაგრამ ჩეზარე ბორჯას მოხერხებული სამხედრო ტაქტიკის (იმის გამო, რომ რომს არ გააჩნდა ცეცხლსასროლი ზარბაზნების გამოსაჭედი სახსრები, რომელიც ფრანგებს მრავლად ჰქონდათ, ამიტომ ჩეზარემ მოიფიქრა გენიალური გეგმა: მან ყველა სამჭედლოს უბრძანა, რომ ზარბაზნები ჩვეულებრივი, მსხვრევადი ფირფიტებისგან გაეკეთებინათ) წყალობით ქალაქი გადარჩა **(Djuvara,2013:56).** 1495 წლის 22 თებერვალს საფრანგეთის მეფე ნეაპოლში შევიდა. გ. ჯუვარას გადმოცემით, ფრანგებს ალექსანდრე მეექვსესთვის ჯემის გადაცემა მოუთხოვიათ, რათა უკან, საფრანგეთში დაებრუნებინათ **(Djuvara,2013:57).** პაპის მიერ შარლ VIII-ის წინააღმდეგ წაქეზებულმა სულთანმა, საზღვართან 40 ათას კაციან ლაშქარს მოუყარა თავი. ამ დროს ფრანგების წინააღმდეგ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებიც გაერთიანდნენ (ვენეცია, მილანი, პაპის ოლქი) და 1495 წლის 31 მარტს შექმნეს *„წმინდა ლიგა“* და სასტიკად დაამარცხეს ფრანგები, შარლ VIII იძულებული გახდა,

ნეაპოლი დაეტოვებინა (1495 წლის 20 მაისი) (**Djuvara,2013:58**). მეფის სურვილმა, რომ უფლისწული ჯემი ტყვედ ჩაეგდო, ფიასკო განიცადა.

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ბაიაზიდსა და პაპ ალექსანდრე VI-ს შორის დიდი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, რომელიც უშუალოდ უფლისწული ჯემის საკითხს ეხებოდა. ბაიაზიდი პაპს სთავაზობდა, რომ ვატიკანში ძმის ტყვედ დატოვების სანაცვლოდ, ყოველწლიურად 40 000 დუკატს გადაუხდიდა ან ერთდროულად 300000 დუკატს, მაგრამ ამ უკანასკნელის გადახდის პირობა ჯემის მოკვლას და ცხედრის სტამბოლში გაგზავნას მოიაზრებდა (**ხუბაშვილი,2004:150**). ალექსანდრე VI ამ უკანასკნელს უფრო ემხრობოდა, რადგანაც იმ პერიოდში პაპის ხაზინა საკმაოდ დაცარიელებული იყო და პაპს ფული ჰაერივით სჭირდებოდა. გარდა ამისა, რომში მისი ქალიშვილის, ლუკრეცია ბორჯას ქორწილი იმართებოდა, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ჯემი საკმაოდ მძიმე ინტრიგების მსხვერპლი აღმოჩნდა. პაპი დათანხმდა 300000 დუკატს და 1495 წლის 25 თებერვალს უფლისწული მოაწამვლინა. გ. ჯუვარა ამ მოვლენას ათარიღებს 1496 წლის 25 თებერვლით (**Djuvara,2013:56**), მაგრამ უმრავლესობა მკვლევარებისა ემხრობა 1495 წლით დათარიღებას, მათ შორის ისეთი ისტორიკოსები, როგორებიც არიან ჰ. ინალჯიკი (**İnalcık, Devlet-i ʻAliyye, 268**), და მ. ემეჯენი (**Emecen, 2015:186**).

დასკვნა

ამგვარად, უნდა აღინიშნოს, რომ ჯემი პოლიტიკური და პირადი მიზნების სათამაშო იარაღად იქცა, რომლის ცხოვრებაც ნამდვილად ჰგავდა სამარადჟამო ტყვეობას. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ უფლისწულებს შესაძლოა, სხვა სახელმწიფოში პრინცის ტიტულით ბედნიერად და უდარდელად ეცხოვრათ, მაგრამ არა ოსმალეთში, სადაც ისინი მუდმივი საფრთხის ქვეშ იყვნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ahalkatsishvili, G. (2020). Biografiebi Osmaletis Sultnebisa da Stambolis Shesaxeb 1453-1700. Tbilisi). (ახალკაციშვილი, გ. (2020). ბიოგრაფიები ოსმალეთის სულთნებისა და სტამბოლის შესახებ 1453-1700. თბილისი);
2. Islami-Enciklopediuri Cnobari. (1999). G.JafariZis Redaqciit. Tbilisi). (ისლამი - ენციკლოპედიური ცნობარი.(1999). გ. ჯაფარიძის რედაქციით. თბილისი);
3. Svanidze, M. (2007). Turqetis Istoria. Tbilisi). (სვანიძე, მ. (2007). თურქეთის ისტორია. თბილისი);
4. Xubashvili, I. (2004). Veneciisa da Florenciis Diplomatia XIII-XV Saukuneebshi. Tbilisi). (ხუბაშვილი,ი. (2004). ვენეციისა და ფლორენციის დიპლომატია XIII-XV საუკუნეებში. თბილისი);
5. Xubashvili, I. (2016). Romis Pontifeqsebi da Mati Epoqa. Tbilisi). (ხუბაშვილი, ი.(2016). რომის პონტიფექსები და მათი ეპოქა. თბილისი);
6. Jafaridze, G. (2016). Saqartvelo da Egviptis Mamluqebi. Tbilisi). (ჯაფარიძე, გ. (2016). საქართველო და ეგვიპტის მამლუქები. თბილისი);
7. Ágoston G. Cem (Djem, Jem). Encyclopedia of the Ottoman Empire. 2009;
8. CiHAN YOKSEL MUSLU - OSMANLILAR VE MEMLUKLAR; iSLAM DONYASlNDA iMPARATORLUK DiPLOMASisi VE REKABET. 2014;
9. Fisher K. H. The Foreign Relations Of Turkey, 1481-1512. — UIP, 1948. — (Illinois Studies ist the Social Sciences, vol.XXX, №1);
10. Feridun M. Emecen. osmanlı İmparatorluğunun kuruluş ve Yukseliş Tarihi (1300-1600).2015;
11. Jane Hathaway - İki Hizbin Hikâyesi: Osmanlı Mısırı ve Yemeni'nde Mit, Bellek ve Kimlik. 2009;
12. Gibb E. J. W. A history of Otoman poetry. 1902. Vol. II. London. İbn Kemal, TAO: VIII. Defter, 2009;
13. İnalcık Halil. OSMANLI İMPARATORLUĞU KLÂSİK ÇAĞ (1300-1600). İstanbul. Mayıs 2003;

14. İnalcık Halil. Djem // Encyclopaedia of Islam, Second Edition / Edited by: P. Bearman, Th. Bianquis, C.E. Bosworth, E. van Donzel, W.P. Heinrichs.. Leiden: BRILL .Vol. II. 1991;
15. NICOLAE JORGA. OSMANLI İMPARATORLUĞU TARİHİ. 1908;
16. NECATİ LUGAL & ADNAN ERZİ - FATİH DEVRİNE AİT MÜNŞEAT MECMUASI. 1956;
17. Ord. Prof. İsmail Hakkı Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, C.II, Ankara, 1983;
18. RALPH S. HATTOX. Qaytbay's Diplomatic Dilemma Concerning the Flight of Cem Sultan (1481–82). HAMPDEN-SYDNEY COLLEGE. MAMLUK STUDIES REVIEW - VOL. VI, 2002;
19. Vatin N. A PROPOS DU VOYAGE EN FRANCE DE HUSEYN, AMBASSADEUR DE BAJAZET II AUPRES DE LOUIS XI // Journal of Ottoman Studies / Osmanlı Araştırmaları Dergisi. -Ist., 1984;
20. Margaret L. Venzke. The Case of a Dulgadir-Mamluk Iqṭāʿ: A Re-Assessment of the Dulgadir Principality and Its Position within the Ottoman-Mamluk Rivalry. 2000.

Cem "Sultan" fight for the throne And Pope Alexander VI Borgia

George Akhalkatsishvili
Historyan / Orientalist
Georgia, Tbilisi,
0000-0003-4011-0450
Georgeakhalkatsishvili@yahoo.com
599-87-24-31

Abstract

The discussion of the second half of the 15th century in the history of the Ottoman Empire and its diplomatic relations with Europe is inconceivable without the history of Jem "Sultan", as these processes played a major role in Ottoman-European relations, especially with Rome. This paper presents one of the most important events in Ottoman history, related to the struggle of Prince Jem against his brother Sultan Bayazid and his European voyage.

The struggle of Prince Jem for the throne has not been studied in detail in Georgian historiography.

There is only general information in the scientific literature on this issue, which led to the writing of this article. In the process of working on the paper, we tried Georgian, Turkish and foreign authors related to this issue (H. Inalcik, D. Emecen, I. H. Uzuncharshil and N. Yorga, G. Japaridze, I. Khubashvili, M. Svanidze, M. Makharadze and others.) We were informed of the opinions. As far as possible, we studied the sources and, through critical analysis, presented the content of the first extensive work on the tragedy of Prince Jem (who called himself "Sultan" for the rest of his life), which is a novelty in itself.

When working and translating foreign literature, we first maintained the accuracy of the information, compared it with other materials, and based our opinion on the arguments. This issue is relevant because it concerns not only the European policy of the Ottomans, but also the foreign policy of the Roman pontiffs and

European countries - Res Orientalis. The paper shows how all of them tried to use the Jem for their own mercantile and political purposes.

Finally, we must say that European-Ottoman relations are one of the most pressing issues in the history of the Middle Ages and are the subject of constant interest of scholars. So maybe the discovery of new sources will show us a completely different reality and turn another new page in history.

Keywords: Ottoman empire; Europe in the 15th Century; Roman pontiffs; Jem sultan; Pope Alexander VI Borgia.

ქართველები ჩინეთში XX საუკუნის პირველ ნახევარში

შალვა ჩიხლაძე
პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტი,
სინოლოგი, თსუ-ს მიწვეული ლექტორი
Orchid: ID: 0000-0001-8265-7847
shakochikhladze65@gmail.com
558365331

ოთარ ჭიღლაძე
ისტორიკოსი, სინოლოგი
პეკინის უნივერსიტეტის მაგისტრანტი
Orchid ID: 0000-0001-6112-2835
otaritchigladze@gmail.com
598302953

აბსტრაქტი

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოდან ნებით თუ ძალით წასული მოქალაქეები, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ევრაზიის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა სახელმწიფოებში, როგორც სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კუთხით. ამ მხრივ გამონაკლისი არც შორეული აღმოსავლეთი იყო, სადაც სხვადასხვა პერიოდში ქართველები ჩართულნი იყვნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში და დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ.

დანამდვილებით არავინ იცის თუ როდის და რა პირობებში მოხვდა შორეულ ჩინეთში პირველი ქართველი, თუმცა პირველი სათვისტომოს გაჩენა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და ქალაქ ხარპინს უკავშირდება. პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების გამო, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის იმპერიის

სხვადასხვა წერტილიდან იქ თავი მოიყარა სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფმა, მათ შორის ქართველებმაც. ქართული სათვისტომოს შესახებ ცნობები და საარქივო მასალები მეტნაკლებად ადრეც არსებობდა, თუმცა კვლევამ ბევრ ახალი ფაქტი გახადა ცნობილი, რომელიც უფრო ფართო სურათს ქმნის თუ რას და როგორ საქმიანობდა ქართული სათვისტომო აღმოსავლეთში. ქართული, ჩინური და რუსული წყაროების შედარებით დადგინდა რომ ხარპინის ქართველი მაცხოვრებლები ჩართული იყვნენ როგორც ეკონომიკურ და სამეწარმეო საქმიანობაში, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ როგორც ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში, ასევე კავშირში იყვნენ საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკასთანაც.

კიდევ ერთი ქართველი, რომელმაც საინტერესო კვალი დატოვა ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში იყო კომინტერნის წევრი ბესარიონ ლომინაძე. 1927 წელს დასრულდა სამწლიანი ეროვნული თანხმობა კომუნისტურ და ნაციონალისტურ პარტიას შორის და მათ შორის ანტაგონიზმი კიდევ უფრო გაიზარდა. სწორედ ამ პერიოდში კრემლმა ინსტრუქტაჟისთვის მიავლინა კომინტერნის ახალი დელეგაცია ბესარიონ ლომინაძისა და ჰეინც ნეუმანის ხელმძღვანელობით. კომინტერნის მეცადინეობით კომპარტიის ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადააყენეს ჩენ ტუსიოუ და აირჩიეს ახალი პოლიტბიურო. მეტიც, ლომინაძისა და ნეუმანის ჩართულობით ახალგაზრდა მაო ძედუნი დროებით წევრად შევიდა პოლიტბიუროში, რითითაც მისი გავლენა საგრძნობლად გაიზარდა. კომინტერნის საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა, მათ რეკომენდაციები გასცეს შეიარაღებული წინააღმდეგობის დაწყებასა და ადგილობრივ აჯანყებებზე, რომლის წარუმატებლობაც გარკვეულწილად გახდა დამოკლეს მახვილი ლომინაძის თავზე.

კიდევ ერთი ქართველი ბოლშევიკი, რომელიც ჩინეთის სამოქალაქო ომში კრემლის უშუალო წარმომადგენელი იყო ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძე გახლდათ. სვანიძე სტალინის პირველი ცოლის ძმა იყო, რომელიც სხვადასხვა დროს გავლენიან თანამდებობს იკავებდა. 1934 წელს როგორც სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი და დესპანი, სვანიძე სინძიანგში ჩადის და იქაურ

სამხედრო მმართველს შენგ შიცაის რეგიონის ეკონომიკურ, ფინანსურ და სამხედრო მოდერნიზებაში დირექტივებს აძლევს. სვანიძე რეგიონში გარკვეული პერიოდი რჩება და ორგანიზაციულ საკითხებს კურირებს, რის გამოც არაერთი ვერბალური თუ წერილობითი მადლობა მიიღო ადგილობრივი მმართველებისგან.

ქართულ აკადემიაში ზემოთხსენებული ეპიზოდები ფაქტობრივად არ არის შესწავლილი, არადა სვანიძეც და ლომინაძეც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივ პროცესებში როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. კვლევა პირველი მცდელობაა, თავი მოუყაროს ქართველების ჩართულობას ჩინეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, აღწეროს მათი პიროვნული და პროფესიული როლი ჩინეთის სამოქალაქო ცხოვრებაში. კვლევა ეფუძნება ქართულ, ინგლისურ, რუსულ და ჩინურ წყაროებს, რაც ერთიანობაში ფართო სურათს იძლევა და ფაქტების გადამოწმებას შესაძლებელს ხდის.

საკვანძო სიტყვები: ქართველები ჩინეთში, ხარპინი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კომინტერნი.

შესავალი

დღესდღეობით შეუძლებელია ზუსტად იმის დადგენა თუ ვინ იყო პირველი ქართველი ჩინეთში. არსებობს ვერსია, რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ჩახრუხაძე ესტუმრა შორეულ აღმოსავლეთს (ინგოროყვა, 1924), მაგრამ წყაროების სიმწირის გამო ამ საკითხზე რაიმეს თქმა გადაწყვეტით შეუძლებელია. პირველი ქართველი, ვინც დანამდვილებით გადაკვეთა ჩინეთის საზღვარი, იყო რაფიელ დანიბეგაშვილი. მან 1813-1820 წლებს შორის სამჯერ გადალახა თანამედროვე სინძიანგის რეგიონი დასავლეთ ჩინეთში (ხარაძე, 2008). თუმცა ორივე შემთხვევაში საუბარია მხოლოდ გავლით ყოფნაზე. თუკი გვინდა ჩინეთში მცხოვრები ქართველების ისტორიას შევეხოთ, მაშინ შედარებით გვიან, მე-19-20 საუკუნეების მიჯნიდან უნდა დავიწყოთ ათვლა, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, ქალაქ ხარპინში ჩამოყალიბდა ქართული სათვისტომო. ხარბინში ქართული სათვისტომოს

შესახებ ცნობები მეტნაკლებად არსებობდა აკადემიაში, თუმცა მთელი რიგი საკითხები მათ შორის მათი რაოდენობა, საქმიანობის ტიპები, კონტაქტები რეგიონალურ აქტორებთან არც თუ ისე მკაფიოდ იყო შესწავლილი. ხოლო, ცოტა მოგვიანებით, ქართველი ბოლშევიკების ჩინური მივლინებები ფაქტობრივად უცნობია ქართული აუდიტორიისთვის, არადა მათ თავის დროზე არც თუ მცირე კვალი დატოვეს ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებზე.

მეთოდი

სტატიაში პირველადი და მეორეული წყაროების შედარებითი ანალიზის მეშვეობით, გამოკვლეულია ქართული სათვისტომოს და ცალკეული პოლიტიკური პირების საქმიანობა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ჩინეთში. კვლევა ეფუძნება ქართულ, ინგლისურ, რუსულ და ჩინურ წყაროებს რაც ფართო სურათს იძლევა საკვლევი საკითხებისა.

შედეგები

კვლევამ გაცილებით დეტალური გახადა ქალაქ ხარპინში მცხოვრები ქართული სათვისტომოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები. სხვადასხვაენოვანი წყაროების გამოკვლევის შედეგად დაზუსტდა ქართული სათვისტომოს საქმიანობის სპეციფიკა როგორც უშუალოდ ჩინეთში, ასევე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და შემდგომში დევნილობაშ მყოფ მთავრობასთან.

სტატიაში აღწერილია ქართველი ბოლშევიკების აქამდე უცნობი ჩინური მივლინებების დეტალები, გამოკვლეულია მათი საქმიანობის მიზეზები და შედეგები.

მსჯელობა

ქართველები ხარპინში

მე-19 საუკუნის ბოლოს ჩინეთის ცინგის დინასტია არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა. საუკუნეების განმავლობაში კორუფციით, შიდა ეთნიკური და სოციალური დაპირისპირებებით, მოძველებული იდეებით დასუსტებული იმპერია ევროპის სახელმწიფოებისათვის სარგებლის მიღების შესანიშნავ სამიზნეს წარმოადგენდა. ამ სიტუაციით ისარგებლა რუსეთის იმპერიამაც და 1896 წელს ცინგის დინასტიასთან გააფორმა „ჩინეთ-

რუსეთის საიდუმლო პაქტი“, რომელიც ითვალისწინებდა, რომ რუსეთს გადაეცემოდა პრივილეგია ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, კერძოდ ხეილუნგძიანგისა და ძილინის პროვინციებზე გაეყვანა ე.წ. „აღმოსავლეთ ჩინეთის სარკინიგზო ხაზი“, რომლის ცენტრალურ ჰაბადაც სწორედ ხარპინი აირჩიეს (薛连举,1998).

ბუნებრივია, რუსეთის მიზანი სულაც არ ყოფილა ჩინეთს ინფრასტრუქტურის განვითარებაში დახმარებოდა. საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების მიხედვით რკინიგზის გასწვრივ ტერიტორია ფართო ავტონომიით ისარგებლებდა. რამდენიმე წელში რუსეთის ხელისუფლებამ ესეც არ იკმარა და ხარპინი ფაქტობრივად ჩინური იურისდიქციისაგან სრულიად დამოუკიდებელ ერთეულად აქციეს. ამგვარად შექმნეს ერთგვარი სახელმწიფო სახელმწიფოში(薛连举,1998). გარდა პოლიტიკური ავტონომიისა, ქალაქი დიდ ეკონომიკურ შეღავათებსაც ჰპირდებოდა ახალმოსახლეებს. შესაბამისად, არსებობის პირველ ორ ათწლეულში ხარპინის მოსახლეობა საოცარი სიჩქარით გაიზარდა.

ხელშეკრულების დადებისას ხარპინის ტერიტორიაზე რამდენიმე მცირე ზომის სოფელი არსებობდა, რომელთა საერთო მოსახლეობა 1 500 კაცს არ აჭარბებდა. რუსებმა სამშენებლო საქმიანობა 1898 წელს დაიწყეს და სულ რაღაც ხუთი წლის შემდეგ ქალაქის მოსახლეობამ 45 000 კაცს მიაღწია. რა თქმა უნდა, მათ შორის ჩინელებიც იყვნენ, მაგრამ უმეტესობა მაინც რუსეთის იმპერიის მოსახლეობით იყო წარმოდგენილი. მათ შორის იყვნენ რკინიგზის მუშები და მომსახურე პერსონალი, იმპერიის შიგნით პოლიტიკური ნიშნით დევნილი და გადასახლებული ხალხი, რამეთუ ხარპინი მათთვის ერთგვარი თავისუფლების მიწას წარმოადგენდა.

ქალაქის დაარსების პირველივე წლებში უნდა გამოჩენილიყვნენ აქ ქართველებიც. ზუსტად არ ვიცით ქართველი პირველმოსახლეების ვინაობა და რაოდენობა ხარპინში, მაგრამ 1904 წელს უკვე მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობდა აქ. 1904 წელს ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ხარპინელი ქართველების წერილი, რომელშიც ისინი რუსეთ-იაპონიის ფრონტზე გაწვეულ ჯარისკაცებს დახვედრასა და ყურადღებას ჰპირდებ-

ოდნენ (მესხიშვილი, 2017). აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში ხარპინის პრესაშიც დაიბეჭდა სტატია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქართველების მიერ ჩამოყალიბებული დანაყოფი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქის შემოგარენის ყაჩაღური დაჯგუფებებისაგან დაცვაში. ნათელია, რომ ხარპინში უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობა იყო დამკვიდრებული და მათ კიდევ ახალი ნაკადი შეემატათ რუსეთ-იაპონიის ომის დროს. აუცილებლად უნდა ვახსენოთ, რომ ხარპინში მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი იყო ეკონომიკური შეღავათები (张葳, 2020). უკვე აქ დამკვიდრებული ხალხი წერილებს გზავნიდნენ სამშობლოში და ოჯახის წევრებს, მეგობრებს იწვევდნენ ჩასასვლელად.

წყაროების სიმცირის გამო ფაქტობრივად შეუძლებელია XX საუკუნის პირველ ათწლეულში ხარპინელი ქართველების რაოდენობის დადგენა. მხოლოდ 1912 წელს ჩატარდა პირველი აღწერა, რომლის მიხედვითაც ამ დროისათვის ხარპინში 183 ქართველი ცხოვრობდა. ჩვენი აზრით რეალური ციფრი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, რადგან აღწერაში გარეუბნების მოსახლეობა არ შედიოდა. ხარპინის ნამდვილი ზრდა სწორედ 1910-იან წლებში დაიწყო. განსაკუთრებით ათწლეულის მიწურულს, როცა რუსეთში რევოლუციები მოხდა და შიდა პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. მრავალმა პოლიტიკურმა დევნილმა თუ უბრალო ხალხმა, ვისაც თავის გარიდება სურდა ქაოსისგან, თავი ხარპინს შეაფარეს. ამგვარად, 1921-1922 წლებში ხარპინში არაჩინელი მოსახლეობა 150 000-სს აჭარბებდა (季树太, 赵彤,2016). საბედნიეროდ ამ პერიოდის ხარპინელი ქართველების წერილებიც შემორჩა, საიდანაც ვგებულობთ, რომ 1921 წელს ხარპინსა და მის შემოგარენში 3 000-მდე ქართველი ცხოვრობდა (სცსსა 1864: 512,2,ფურც.4-9).

ქართული მასალებიდან შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ხარპინელი ქართველების საქმიანობასა და სოციალურ შემადგენლობაზე. 1921 წლის საარქივო მასალების მიხედვით ქართველთა 5% -ს უმაღლესი განათლება ჰქონდა, მათ შორის იყვნენ ადვოკატები, მასწავლებლები, ინჟინები, ექიმები და სხვა. 10%-ს დაბალი განათლება ჰქონდა მიღებული (სცსსა, 1864:

512,2,ფურც.5). ქართველების უმეტესობა ვაჭრობაში იყო ჩართული, ბევრს ჰქონდა უძრავი ქონება ან კერძო დაწესებულება. მაგალითად ლიმონათისა და ლუდის ქარხნები, ელექტრონული თეატრი, საბითუმო მაღაზიები, ფეხსაცმლის სამკერვალო, ჩართულნი იყვნენ ხე-ტყის ბიზნესში და სხვა **(გიორგაძე,2016)**. ძალიან მცირე ნაწილი იყო დასაქმებული რკინიგზასა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ქართული სათვისტომოს ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ხარპინის საქალაქო თვითმმართველობის საბჭოში, რომლის კვოტა 60 კაცი იყო და აქ ასარჩევად აუცილებელი იყო ეკონომიკური მდგომარეობის მაღალი კრიტერიუმები დაგეკმაყოფილებინა, 2 ქართველი შედიოდა **(სცსსა, 1864:512,2,ფურც.5.** ქართველები კულტურის დარგშიც აქტიურობდნენ, იყვნენ მწერლები და პოეტები. მაგალითად, ქართული სათვისტომოს მეთაურის- ივლიანე ხაინდრავას ქალიშვილი - ლიდია ხაინდრავა ცნობილი პოეტი იყო **(Крейд&Бакич,2001)**. მან ხარპინსა და შანხაიში საკუთარი პოეზიის რამდენიმე კრებული გამოაქვეყნა **(Забияко & Эфендиевой, 2012)**.

მოსახლეობის მატება აისახა ხარპინის ქართული მოსახლეობის ეროვნული საქმიანობის გააქტიურებაზე. 1905 წელს ჩამოყალიბდა ქართული ბიბლიოთეკა და სულ რაღაც სამ წელში იმავე შენობაში დაარსდა ხარპინის ქართული საზოგადოება, რომელიც ერთ-ერთი უძველესი იყო ხარპინში შექმნილ ეროვნულ სათვისტომოებს შორის **(გიორგაძე,2016)**. ქართული სათვისტომოს დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ივლიანე ხაინდრავას, რომელიც სათვისტომოს პირველი და უცვლელი თავმჯდომარე გახლდათ. ახალგაზრდობაში ტერორისტული აქტის ჩადენისათვის სახალინზე გადასახლებულმა ხაინდრავამ, კატორღის მოხდის შემდეგ ხარპინში დაიდო ბინა, რადგან რუსეთის იმპერიაში დაბრუნება აკრძალული ჰქონდა. ხარპინში ფული ჭკვიანურად დააბანდა ტყის დამუშავების ბიზნესში და ძალიან დიდი ქონება დააგროვა, რასაც ხშირად იყენებდა ხოლმე ეროვნული საქმისათვის **(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,2012)**.

ქართული სათვისტომოს საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო ქართული მენტალიტეტის დაცვისაკენ. სწორედ ამ მიზნით მათ დააარსეს ბიბლიოთეკა, გახსნეს ქართულენოვანი საკვირაო სკოლა, საქართველოდან და შემდეგ საფრანგეთიდან იწერდნენ ქართულ გაზეთებს, სახელმძღვანელოებსა და ლიტერატურა **(სსცსსა,1864:873,2,ფურც.3),** ეხმარებოდნენ გაჭირვებულ ოჯახებს და სწავლას უფინანსებდნენ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ სტუდენტებს **(სცსსა,1864:512,2,ფურც.13).**

ხარპინის სათვისტომოს ქართული სულისკვეთება ყველაზე კარგად ალბათ მაინც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივ მხარდაჭერაში გამოიხატა. 1918 წელსვე ხარპინში შედგა შორეული აღმოსავლეთის ქართველების ყრილობა, რომელმაც 2 წარმომადგენელი გამოგზავნა საქართველოში (გიორგაძე 2016). მათ თბილისში მთავრობასთან შეხვედრისას უპირველეს ყოვლისა გამოაცხადეს სრული მხარდაჭერა და სამომავლო პოლიტიკური და ეკონომიკური გეგმები შესთავაზეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო მათი შემუშავებული ეკონომიკური გეგმა, რომელიც საქართველოს შორეულ აღმოსავლეთთან დააკავშირებდა. ამ პროექტის მიხედვით საქართველოდან შორეულ აღმოსავლეთში უნდა გაეტანათ თამბაქო, ღვინო, მინერალური წყალი და სხვა პროდუქტები. ხოლო თავის მხრივ ხარპინის ქართველობა მთავრობას ჰპირდებოდა ამერიკული და იაპონური პროდუქტების შეძენაში დახმარების გაწევასგანსაკუთრებით კი იაპონური ხომალდების შეძენაში **(სცსსა, 1864: 512, 2,ფურც.7).** სამწუხაროდ ეს გეგმა მხოლოდ ფურცელზე დარჩა და რეალობაში გახორციელება არ დასცალდა.

სამაგიეროდ, წარმატებით განხორციელდა ხარპინში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენლობის გახსნა. ხარპინელი ქართველების წერილებში ეს წარმომადგენლობა საელჩოდ მოიხსენიება, თუმცა კი მთავრობის მხრიდან გარკვევით დაფიქსირდა, რომ ხარპინში გაიხსნებოდა არა საელჩო, არამედ საკონსულო **(სცსსა, 1864: 512,2,ფურც.4).** ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ეს იყო შორეულ აღმოსავლეთში საქართველოს პირველი ოფიციალური წარმომადგენლობა. პირველი ელჩი (კონსული) ხარპინში იყო ექიმი - ნიკოლოზ ჯიშკარიანი.

წარმომადგენლობის ცენტრად ხარპინი აირჩიეს, მაგრამ მისი მოქმედების არეალი გაცილებით ვრცელი გახლდათ და აღმოსავლეთ ციმბირსაც მოიცავდა. მის ფუნქციაში შედიოდა აქაური ქართველებისა და ზოგადად საქართველოს მოსახლეობის აღრიცხვა და საჭიროების შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევა.

სამწუხაროდ, რამდენიმე წელში ხარპინსა და საქართველოს გარშემო განხორციელდა ისეთი პოლიტიკური ცვლილებები, რომლებმაც ძალიან უარყოფითად იმოქმედა ორივე მხარეზე. ერთის მხრივ, საქართველოში წითელი არმია შემოვიდა და ხელისუფლება იძლებული გახდა საფრანგეთში გახიზნულიყო. მეორეს მხრივ, 1924 წელს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმების შემდეგ ხარპინმა დაკარგა ის პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობები, რაც ადრე გააჩნდა(石 et al., 2003) (Moustafine, 2013). შედეგად ქალაქის უცხოელების რაოდენობა პროპორციულად მცირდებოდა წლიდან წლამდე (薛连举, 1998). ამ ცვლილებებმა განსაკუთრებით ცუდად იმოქმედა ქართული ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლობაზე ხარპინში. ჯერ ერთი, საკუთრივ ხელისუფლება იყო გაძევებული საკუთარი ქვეყნიდან. ამასთან ერთად, აღმოსავლეთში ხშირად იცვლებოდა პოლიტიკური სურათი და ხშირ-ხშირად ხდებოდა საჭირო წარმომადგენლობის მანდატის განახლება. საბოლოოდ კი სწორედ 1924 წელს შეჩერდა ქართული წარმომადგენლობის მუშაობა ხარპინში (სცსსა, 1864:873,2, ფურც.2).

მიუხედავად სირთულეებისა და მარცხისა, ხარპინის ქართულ სათვისტომოს არ გაუწყვეტია კავშირი საფრანგეთში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან. მართალია საკუთრივ სათვისტომოს მდგომარეობაც გაუარესდა, მაგრამ მათ მაინც არ შეუწყვეტიათ ფულადი დახმარების გაგზავნა პარიზში, თავის მხრივ კი მათგან ქართულ პერიოდიკას ითხოვდნენ (სცსსა,1864:873,2,ფურც.3). ასე გაგრძელდა ვიდრე საფრანგეთა ოფიციალურად არ გაუუქმა სტატუსი პარიზში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. თანადროულად ხარპინი იაპონელების ხელში გადავიდა და პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა.

შედეგად ქალაქის არაჩინური მოსახლეობის შემცირების ტენდენცია კვლავ გაგრძელდა. 1940 წლისათვის ხარპინში მცხოვრები ქართველების რიცხვი 400-მდე იყო **(Забияко et al.,2015).** ხოლო შემდეგი ათწლეულის დასაწყისში კი ხარპინის ქართულმა სათვისტომომ საბოლოოდ შეწყვიტა ფუნქციონირება. ქართველების უმეტესობა შანხაიში გადავიდა, ზოგმა ამერიკას მიაშურა. ნაწილი საქართველოშიც კი დაბრუნდა. მაგრამ, საბჭოთა კავშირის მთავრობა მათ თბილად ნამდვილად არ შეხვედრია. 1937 წელს ჩაატარეს ე.წ. „ხარპინული ოპერაცია“, რომლის ფარგლებშიც დააკავეს ხარპინიდან ჩამოსული 120 პიროვნება, მათგან 61 დახვრიტეს **(იუნგე et al.,2015).**

1920-იან წლებში ჩინეთში ქართველების კიდევ ერთი ახალი ნაკადი შევიდა რუსეთის სამოქალაქო ომში დამარცხებული თეთრგვარდიელების სახით. კომუნისტებს გამოქცეულმა არაერთმა სამხედრომ თავი ჩინეთს შეაფარა. მათდა საბედნიეროდ ჩინეთი ამ დროს სარდლებს შორის იყო დანაწილებული და გამოცდილ მეომრებს ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ყოფილი თეთრგვარდიელების რეკრუტირებაში ჭანგ წუოლინმა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთს აკონტროლებდა. მის მიერ ჩამოყალიბებულ თეთრგვარდიელთა შორის იყო ქართველი გიროგი სიდამონიძეც. მან 1922 წელს პოლკოვნიკის ჩინით დატოვა რუსეთი **(გოგიტიძე & ბეჟიტაშვილი,2015).** მომდევნო წელს ჭანგ წუოლინის სამსახურში ჩადგა და გენერალ-მაიორის წოდებაც მიიღო **(Балмасов,2007).** მან მალევე გამოიჩინა თავი საბრძოლო მოქმედებებში და 1926 წელს დააჯილდოვეს „უდიდესი თავთავის“ მეორე ხარისხის ორდენით. 1949 წელს სიდამონიძემ დატოვა ჩინეთი და ამერიკაში გადავიდა. სავარაუდოდ, მის გარდა კიდევ სხვა თეთრგვარდიელი ქართველებიც აღმოჩნდებოდნენ ჩინეთში. ეს საკითხი დღემდე არაა საფუძვლიანად გამოკვლეული და აუთვისებელ მიმართულებას წარმოადგენს.

ქართველი კომუნისტები ჩინეთში

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ჩინეთის რესპუბლიკაში შექმნილმა ქაოტურმა პოლიტიკურმა დღის წესრიგმა ქვეყანაში გარე ძალების კონცენტრაცია კიდევ უფრო გაზარდა. ბოლშე-

ვიკური რევოლუციის შემდეგ, სოციალისტური იდეები აღმოსავლეთ აზიაშიც პოპულარული გახდა კოლონიალისტური წარსულის გამო. ამასთან ერთად საერთაშორისო სისტემაში ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად წამყვანი ქვეყნები ყველა ღონეს ხმარობდნენ საკუთარი გეოპოლიტიკური დღის წესრიგი გაეტარებინათ ჩინეთში, მით უფრო რომ სამხედრო მმართველებისგან დაყოფილ ქვეყანასთან, არც თუ ისე რთული იყო საკუთარი ინტერესების გატარება.

საბჭოთა კავშირის დაარსების შემდეგ, მოსკოვი ცენტრი გახდა სოციალისტური ჯგუფებისა და კომუნისტური ინტერნაციონალი იგივე კომინტერნიც მოსკოვიდან იღებდა როგორც ფინანსურ, ასევე იდეოლოგიურ მხარდაჭერასა და დირექტივას. კომინტერნი გახდა მძლავრი იარაღი კრემლის ხელში, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში ჰყავდა საკუთარი წარმომადგენლობა სოციალისტური დღის წესრიგი შესაქმნელად. გამონაკლისი არც ჩინეთი იყო, სადაც ჯერ ლენინის განკარგულებითა და შემდგომ უკვე სტალინის ხელძღვანელობით იგზავნებოდა კომუნისტი ისნტრუქტორები ადგლზე რევოლუციური საქმიანობის ხელშეწყობისთვის.ამასთან ერთად, ელემან ბრუისის გამოკვლევით ბოლშევიკებმა ჩინეთის ნაციონალისტურ პარტიასთან თანამშრომლობა, ჯერ კიდევ მანამდე დაიწყეს ვიდრე კომუნისტური პარტია ჩამოყალიბდებოდა, ხოლო ეს თანამშრომლობა სულ სხვა დონეზე ავიდა 1921 წელს, კომპარტიის დაარსების შემდგომ. ჩინეთის ნაციონალისტურ პარტიასთან (რომელიც უმეტესწილად სამხრეთ ჩინეთის ნაწილს აკონტროლებდა) და კომუნისტურ პარტიასთან თანამშრომლობით, საბჭოთა ხელისუფლება ერთი მხრივ პეკინში არსებულ ჩინეთის რესპუბლიკასთან ვაჭრობდა, უმეტესწილად მანჯურიული რკინიგის გამო, მეორე მხრივ კი წინასწარ იმზადებდა ნიადაგს ნაციონალისტურ პარტიასთან თანამშრომლობისთვის **(Elleman, 1995).**

ჯერ კიდევ 1924 წელს,კომინტერნის შუამავლობით გადაწყდა ორი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩინეთის ნაციონალისტური და კომუნისტური პარტიების ალიანსი, რათამათ ერთობლივად ებრძოლათ სამხედრო მმართველების წინააღმდეგ,

ალიანსს პირველი ერთიანი ფრონტი ეწოდა. კომპარტიის წევრები, რომლებიც რაოდენობრივად და რესურსებით საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ ნაციონალისტებს რიგით წევრებად შეუერთდნენ სუნ იატსენის პარტიას და სხვადასხვა თანამდობები დაკავეს **(Carver,1989).**

1925 წელს გარდაიცვალა სუნ იატსენი, რომელიც შემაკავშირებელ როლს თამაშობდა ნაციონალისტურ პარტიაში. ამ პერიოდიდან მოყოლებული კუომინტანგის შიგნით არსებულმა სხვადასხვა ფრაქციამ ძალაუფლებისთვის ბრძოლა იწყო, რაც კონსერვატული ფრთის გაძლიერებითა და კომუნისტური პარტიის შევიწროვებით მიმდინარეობდა. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა კიდევ ერთი ქართველის, ქუთაისელი ბოლშევიკის, ბესარიონ ლომინაძის ჩინური ვოიაჟი, რომელიც როგორც კომუნისტური ინტერნაციონალის წარმომადგენელი 1927 წელს საგანგებო მისიით (სტალინის უშუალოდ რეკომენდაციით) გაემგზავრა ჩინეთის რესპუბლიკის ქალაქ უხანში, სადაც ჩინეთის კომუნისტურ პარტიას დირექტივას აძლევდა სამომავლო საქმიანობის მხრივ. 1927 წლისთვის ძალაუფლების ვერ გადანაწილების გამო ჩან კაიშის კონსერვატიულმა ფრაქციამ შანხაიში მუშათა დემონსტრაცია საჯაროდ დაარბია, რასაც ასეულობით ადამიანი შეეწირა. ამის შემდგომ დაიწყეს კომუნისტებზე ნადირობა, ლომინაძის ვიზიტი სწორედ ამ პროცესებს უკავშირდებოდა. ბესარიონ ლომინაძე 1897 წელს ქუთაისში დაიბადა. 1913-1917 წლებში აქტიურად იყო ჩართული რევოლუციურ პროპაგანდისტულ საქმიანობაში. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ თავდაპირველად ცენტრალური კომიტეტის მესამე, ხოლო შემდგომ პირველი მდივანი იყო. 1925 წლიდან აქტიურად იწყებს მუშაობას კომუნისტურ ინტერნაციონალში სხვადასხვა თანამდებობაზე **(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,1983).**

ჩინეთის ნაციონალისტურ პარტიის კონსერვატიულ ფრთასთან გართულებული ურთიერთობის გამო, კრემლი ცდილობდა თამაშის ახალი წესები შემოეღო ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მით უფრო გეოპოლიტიკური ვითარება მოითხოვდა უზარმაზარი, თუმცა დასუსტებული ჩინეთის მეკავ-

შირეობას. შესაბამისად 1927 წლისთვის, იოსებ სტალინმა მოსკოვში წარადგინა გეგმა, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო რევოლუციური სცენარი. გეგმის თანახმად სასურველი იყო აქცენტი გაკეთებულიყო შემდეგ მიმართულებებზე:

- ფოკუსი გაკეთებულიყო ჩინეთის ნახევრადკოლონიურ სტატუსზე, სამხედრო მმართველებსა და მოღალატე ბურჟუაზიაზე
- საბჭოთა კავშირის მაგალითზე აქცენტი უნდა გაკეთებულიყო მუშების წარმატების შესაძლებლობაზე და გაძლიერებულიყო პროპაგადისტული სამუშაოები **(Davies,1981).**
- ამ ყველაფრის დასაგეგმად და განსახორციელებლად, ჩინეთში მზადდებოდა კომინტერნის ახალი დელეგაცია, რომელსაც რადიკალური, ინსტიტუციონალიზირებული და იდეოლოგიური ცვლილებები უნდა გაეტარებინა ჩინეთის კომპარტიაში, რომელიც შეიარაღებული წინააღმდეგობისთვის უნდა მოემზადებინათ. ამის ძირითადი მიზეზი საბჭოთა კავშირის ლიდერების ჩან კაიშისთან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო, ტროცკი მასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ითხოვდა, როდესაც სტალინი და მისი თანამოაზრეები ცდილობდნენ მიუხედავად ყველაფრისა შეენარჩუნებინათ კავშირი მასთან (**,2009:10).**

1927 წლის 23 ივლისს ჩინეთის ქალაქ უხანში (მაშინდელი ხანქოუს ზონაში) კომინტერნის დელეგაცია ჩადის, რომელსაც ბესარიონ ლომინაძე ხელმძღვანელობდა, მასთან ერთად დელეგაციაში ასევე შედიოდა გერმანელი სოციალისტი ჰეინც ნაუმანიც. სხდომა უკიდურესად გასაიდუმლოებულ ფორმატში მიმდინარეობდა, რადგან კომუნისტებზე საჯარო ნადირობა უკვე მთელ ჩინეთში მიმდინარეობდა.

კომინტერნის ისტორიული სხდომის მიმდინარეობა

მოსამზადებელი სამუშაოების შემდგომ, შვიდ აგვისტოს ქალაქ უხანში დაიწყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ისტორიული პლენუმი. ლომინაძემ გამოსვლა იმჟამინდელი თავმჯდომარის ჩენ ტუსიოუს კრიტიკით დაიწყო, რომელსაც ბრალი ედებოდა არათანმიმდევრულ ნაბიჯებში, ამასთან ერთად მან დაგმო კუომინტანგის მემარცხენე ფრთის ლიდერი ვანგ ძინგ-

ვეიც და ის მამერჯვენე რეაქციონერებთან კავშირში ამხილა. შვიდი აგვისტოს სხდომის შესახებ ინგლისურენოვან და რუსულენოვან წყაროებში ინფორმაცია გაბნეულია და ის ზოგადი ხასიათისაა, თუმცა ჩინური მკვლევარები დეტალურად აღწერენ სხდომის მიმდინარეობას, მეტიც ქალაქ უხანში დღეს სპეციალური მუზეუმიც არის გახსნილი, სადაც კომინტერნის წევრები და ჩინელი კომუნისტები კვირეების განმავლობაში ფარულად იკრიბებოდნენ. ლომინაძემ სხდომაზე რამდენიმე საკითხი გამოიტანა:

1. გააკრიტიკა ჩენ ტუსიუს საქმიანობა, განსაკუთრებით 1927 წლის აპრილიდან ივნისამდე, ხაზი გაუსვა რომ მისი მმართველობის ქვეშ პარტიამ დაკარგა დამოუკიდებლობა და გომინდანის სხვა ფრაქციებს ვერ უწევდა წინააღმდეგობას. ასევე დაიწუნა პარტიის რიგებში არსებული დემოკრატია და კოლექტიური ლიდერობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.
2. ასევე მისივე განცხადებით ჩინური ბურჟუაზიული კლასის ანალიზიის შედეგად ის ასკვნიდა რომ მხოლოდ ჩინურ პროლეტარიატს შეეძლო საბოლოო გამარჯვების მოპოვება, შესაბამისად აქცენტი მათზე უნდა გაკეთებულიყო.
3. ამასთან ერთად ლომინაძის რეკომენდაციით მხოლოდ პროლეტარიატის მმართველობის ქვეშ აქვთ გლეხებს გათავისუფლების უფლება, ამასვე უნდა დაფუძნებოდა „ლოკალური რევოლუცია“, რომელიც ჩინეთის ურბანული ნაწილიდან უნდა დაწყებულიყო.
4. კომპარტია უნდა გამოსულიყო კუომინ ჭენგფუდან იგივე ნაციონალისტური მთავრობიდან, თუმცა უნდა დარჩენილიყო კუომტინაგის რიგებში და მემარჯვენე რეაქციონერებთან ებრძოლა. მან დაადანაშაულა ვანგ ძინგვეი და კუომინტანგი რევოლუციური იდეის გაყიდვაში, მაგრამ აუცილებლობად მიიჩნია კუომინტაგის დროშის ქვეშ თანამშრომლობა.

5. მისი აზრით არც კომინტერნს და არც სტალინს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა პროცესებზე. პროცესების ამგვარ განვითარებაზე პასუხისმგებლობას ის კომპარტიის იმდროინდელ ხელმძღვანელობას აკისრებდა (ჟუ,2011:30).

კომინტერნის ინსტრუქცია რომ გადაეყენებინათ კომპარტიის დამაარსებელი და ერთ-ერთი პირველი თაობის ჩინელი კომუნისტი, სხდომის ყველა წევრისთვის მისაღები არ აღმოჩნდა. სახელდობრ, ტუსიოუს გადადგომას არ ეთანხმებოდნენ ი ლიჟონგი სია მინგხანი და ლუო ჭანლონგი (ჭჩ,2011:27). მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, ბესარიონ ლომინაძის, ჰეინც ნეუმანისა და ადგილობრივ კომუნისტების მეცადინეობით კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეობიდან გადააყენეს მისი ერთ-ერთი დამაარსებელი ჩენ ტუსიოუ. სწორედ ამ სხდომაზე გააჟღერა ახალგზრდა მაო ძედუნმა მისი ცნობილი ფრთიანი ფრაზა: „ძალაუფლება თოფის ლულებიდან მოდის“ (ჭჩ201 : 29). იმავე სხდომაზე იარჩიეს კომპარტიის დროებითი პოლიტბიურო მაო ძედუნი შევიდა, შეიძლება ითქვას რომ შვიდი აგვისტოს სხდომა იქცა კომუნისტების მხრიდან საბრძოლო წინააღმდეგობის დაწყების ათვლის წერტილად, შესაბამისად მისი როლიც ჩინეთის ისტორიაში საკმაოდ დიდია.

უხანის შემდგომ ლომინაძე შანხაიში მიემგზავრება და იქ აგრძელებს საკუთარ პოლიტიკურ საქმიანობასა და გადასცემს კრემლის დირექტივებს ჩინერ კომუნისტებს.1927 წლის 7-14 ნოემბერს შანხაიში პოლიტბიუროს სხდომები იმართება, რომელსაც საკუთარ მოგონებებში შემდეგნაირად იხსენებს ჩინეთის პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჭოუ ენლაი: „*1927 წლის 11 ნოემბერს ლომინაძის მიერ შემოთავაზებულმა პერმანენტული რევოლუციის იდეამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა პარტიაში და ასევე ზეგავლენა მოახდინა გევრ წევრზე*“(ჩჭ,2012:15) შემდგომში ყველასთვის ცნობილი „ტროცკისტული“ პერმანენტული რევოლუციის იდეა, ჩინურ საზოგადოებაში სწორედ კომინტერნის დელეგაციამ და თავად ლომინაძემ შეიტანა შანხაის პლენუმების მეშვეობით, თუმცა მისი სახელი დღევანდელი გადასახედიდან წინააღმდეგობით არის სავსე. კერძოდ, კომინტერნის ვიზიტის შემდეგ დაიგეგმა გუანჭოუს აჯანყება, რომელმაც სრული კრახი განიცადა და იქცა სისხლიან ეპიზოდად, სადაც კომუნისტური პარტიის ათასობით მხარდამჭერი ნაციონალისტების მხრიდან ფიზიკურად განადგურდა. ზუსტად არ არის ცნობილი, იყო თუ არა აჯანყება უშუალოდ ლომინაძის დაგეგმილი, ისტორიკოს

დევისის აზრით, აჯანყების დეტალებზე პასუხისმგებელი ნეუმანი უფრო იყო ვიდრე ლომინაძე, თუმცა მოგვიანებით აჯანყების ჩალფავება მის წინააღმდეგაც გამოიყენა სტალინმა **(Devies,1981)** საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდგომ, ბესარიონ ლომინაძის ურთიერთობა სტალინთან ეტაპობრივად ფუჭდება, ის თანდათანობით ჩამოაშორეს მნიშვნელოვან თანამდებობებს, საჯარო გაკიცხვისა და კრიტიკის ფონზე. ბესარიონ ლომინაძემ დაასწრო სტალინურ რეპრესიებს და 1935 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, თუმცა მის მიერ 1927 წელს განხორციელებული ცვლილებები დასაბამი გახდა, ჯერ შეიარაღებული წინააღმდეგობის დაწყების, შემდგომ კი კომუნისტების მიერ ძალაფულების ხელში აღების, სწორედ უხანის სხდომებმა გამოარჩია ახალგაზრდა მაო ძედუნი და გაუხსნა გზა პოლიტიკური მწვერვალებისკენ,რომელიც 1949 წელს მისი ერთპიროვნული მმართველობის დაწყებით დაგვირგვინდა.

კიდევ ერთი ქართველი, რომელიც მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ჩინეთში პოლიტიკური მისიით იმყოფებოდა ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძე იყო. სვანიძის ჩინურ მონაკვეთზე გაცილებით მწირი ცნობები მოიპოვება, თუმცა რუსული, ინგლისური და ჩინური წყარეობით მაინც შესაძლებელია მისი პოლიტიკური მისიის ზოგადი სურათის აღდგენა. ალიოშა სვანაძე, იოსებ სტალინის პირველი მეუღლის, კატო სვანიძის ძმა იყო, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ბოლშევიკების მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ალიოშა სვანიძე გერმანიაში, იენის უნივერსიტეტში სწავლობდა, ხოლო 1921-1924 წლებში იყო განათლებისა და ფინანსთა სახალხო კომისარი **(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1985:311).** პროფესიული თვალსაზრისით სვანიძე საკმაოდ საინტერესო ფიგურა ჩანს, ის ერთი მხრივ ძველი აღმოსავლეთის სპეციალისტი იყო, მეორე მხრივ კი აქტიურად იყო ჩართული ფინანსურ-ეკონომიკურ საქმეებში. სწორედ ამის გამო, ის სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ მისიებს ევრაზიის სხვადასხვა ნაწილში.

მეოცე საუკუნის 30-იან წლები ჩინეთის რესპუბლიკისთვის რთულად დაიწყო, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი იაპონიის მილიტარისტულმა რეჟიმმა დაიკავა, ხოლო დანარჩენ ნაწილს აკონტროლებდნენ როგორც კუომინტანგის ძალები, ასევე სხვადასხვა ჩინელი სამხედრო მმართველები. ქვეყნის უკიდურესი დასავლეთით მდებარე სინძიანის პროვინცია ნაწილობრივ მოწყვეტილი იყო დანარჩენ ჩინეთს, თუმცა იქ სხვადასხვა შიდა და გარე ძალების ინტერესი იკვეთებოდა. იაპონური ამბიციების გაცხადების შემდეგ, საბჭოთა კავშირი სინძიანის მმართველ სამხედრო მმართველებთან საკუთარ გავლენებს იმტკიცებდა, და არ ერიდებოდა როგორც სამხედრო ინტერვენციას, ისე ფინანსურ დახმარებასაც (**Wang, 2018**). 30-იან წლებში ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც დასავლეთ ჩინეთის დიდ ნაწილს აკონტროლებდა შენგ შიცაი იყო. სწორედ მის დასახმარებლად და საბჭოთა კავშირის გავლენის გასაძლიერლად მივლენილ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ალიოშა სვანიძე 1934 წელს.

1934 წლის ზაფხულში სსრკ-ს კომისია სახელმწიფო ბანკის ვიცე ხელმძღვანელის ალექსანდრე სვანიძის მეთაურობით ურუმჩიში ჩადის და თან ჩააქვს გეგმა რეგიონის რეაბილიტაციისთვის. გეგმა მოიცავდა როგორც ეკონომიკურ ნაწილს, ასევე ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულსაც. ამასთან ერთად, სვანიძეს სინძიანში ჩააქვს 5 მილიონი რუბლის ოქრო, რომელსაც სესხად აძლევს შენგ შიცაის. სვანიძე იყო პირდაპირი მაკავშირებელი სინძიანელ სამხედრო მეთაურებსა და სტალინს შორის (**Hasanli, 2021**). როგორც ირკვევა, სვანიძის სინძიანური მისია მრავალფეროვანი იყო, ის მოიცავდა როგორც ინფრასტრუქტურულ სამუშაობს ასევე მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიის გაზიარებას ჩინელ და უიღურელ მოსხლეობასთან. შენგ შიცაი სტალინისადმი გაგზავნილ წერილში მადლობას უხდიდა მას სვანიძის მივლინებისთვის და დახმარებისთვის, ასევე ითხოვდა ნებართვას მოსკოვში ვიზიტისთვის, საკუთარი ჯანმრთელობის გამო და ასევე სტალინის პირადად გასაცნობდა (**Hasanli, 2021**).

1934 წელს ჩან კაიში საკმაოდ ძლიერ პოზიციებზე დგას, კომუნისტური პარტიის წევრები ცენტრალური და სამხრეთ ჩინეთის ტყეებში გადამალულები და შევიწროებულები არიან, შესაბამისად შენგ შიცაი თავს იკავებდა კომპარტიში ოფიციალურად გაწევრიანებულიყო, თუმცა არწმუნებდა სვანიძესა და სტალინს რომ სრულად იზიარებდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს (**Dickens,1990**) ხაგასასმელია ის ფაქტიც რომ შენგ შიცაი არ იყო ერთპიროვნული მმართველი რეგიონის, შესაბამისად მოსკოვი სხვა სამხედრო მმართველებთანაც ცდილობდა კონტაქტს, რათა როგორმე აერიდებინა მანჯურიაში მძლავრად შემოსული იაპონიის რაიმე გააქტიურება დასავლეთ ჩინეთში. სვანიძის მისია დასავლეთ ჩინეთში ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო, სამწუხაროდ დეტალური ცნობები მისი საქმიანობისა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის მიკვლეული.

ბესარიონ ლომინაძის მსგავსად ალექსანდრე სვანიძის პოლიტიკური მომავალი ჩინური მისიის შემდგომ ეტაპობრივად იცვლება. ის 1937 წელს დააკავეს ნაციონალისტ-უკლონისტებთან და გერმანელებთან ჯაშუშობის ბრალდებით. ერთ დროს სტალინის უახლოესი მეგობარი და ფაქტობრივად ოჯახის წევრი ბერიას ბრძანებით დახვრიტეს 1941 წელს.

დასკვნა

მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი გამორჩეულია პერიოდი იყო ქართველების მოღვაწეობის მხრივ ჩინეთში. პირველად ისტორიაში ჩინეთის ტერიტორიაზე გამოჩნდა ქართველ მოსახლეთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რის შედეგადაც ასევე პირველად შეიქმნა ჩინეთისა და ზოგადად შორეული აღმოსავლეთის მიწაზე საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლობა. ქართული სათვისტომო ჩართული იყო მანჯურიის როგორც ეკონომიკურ ასევე კულტურულ ცხოვრებაში. მოგვიანებით, პოლიტიკური ურთიერთობების კუთხით კიდევ უფრო დიდი როლი ითამაშეს ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქართველმა კომუნისტებმა, განსაკუთრებით ბესარიონ ლომინაძე, რომლის ვიზიტმა ჩინეთის რესპუბლიკაში დაიწყო შეიარაღებული წინააღმდეგობის ახალი ეტაპი კომუნისტურ და ნაციონალისტურ პარტიებში. რაც

მთავარია, არსებულ მასალებზე დაყდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მიმართულებით კვლევას ნამდვილად პერსპექტიულია და კიდევ უფრო მეტ სიახლეს შემოგვთავაზებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Davies, R. (1981). The Syrtsov-Lominadze Affair. Soviet Studies, 33(1), 29-50. Retrieved March 30, 2021, from http://www .jstor.org/stable/151473;
2. Elleman, B. (1995). Soviet Diplomacy and the First United Front in China. Modern China,21(4), 450-480. Retrieved August 29, 2021, from http://www. jstor. org/stable/189387;
3. Garver, J. (1988). The Origins of the Second United Front: The Comintern and the Chinese Communist Party. The China Quarterly, (113), 29-59. Retrieved September 1, 2021, from http://www.jstor.org/stable/654264;
4. Gogit'idze, m. (2014). Chinetis Armiis Generali Si Da Ma – Goreli Giorgi Sidamonidze. Is t'oriani, 5, 70-71. (გოგიტიძე, მ. (2014). ჩინეთის არმიის გენერალი სი და მა - გორელი გიორგი სიდამონიძე. ისტორიანი, 5, 70–71).
5. Gogit'idze, m. Bezhit'ashvili, m. (2015). Samkhedro Pitsis Ertgulni. Shota Rustavelis Sakhelobis Erovnuli Universit'et'i. (გოგიტიძე, მ. ბეჟიტაშვილი, მ. (2015). სამხედრო ფიცის ერთგულნი. შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი).
6. Ingoroq'va, p'. (1924). Chakhrukhaisdze, P'oet'i, Mogzauri. K'avk'asioni, 1-2, 271-320. (ინგოროყვა, პ. (1924). ჩახრუხაისძე, პოეტი, მოგზაური. კავკასიონი, 1–2, 271–320).
7. Iunge, m. Tushurashvili, o. Bonvechi, b. (2015). Bolshevik'uri Ts'esrigi Sakartveloshi, T'omi I Didi T'erori K'avk'asiis P'at'ara Resp'ublik'ashi. (იუნგე, მ. თუშურაშვილი, ო. ბონვეჩი, ბ.

(2015). ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში, ტომი I დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში).

8. Kartuli Sabch'ota Entsiklop'edia: T'omi. 6. Tbilisi. 1983. Gv. 286. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტომი 6. თბილისი. 1983. გვ.286).
9. Kartuli Sabch'ota Entsiklop'edia: T'omi 9. Tbilisi. 1985. Gv. 311. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტომი 9. თბილისი. 1985. გვ.311).
10. Ke, W., & Fletcher, C. (2018). The East Turkestan Independence Movement, 1930s to 1940s. Hong Kong: The Chinese University of Hong Kong Press. doi:10.2307/j.ctvzsmbz2.
11. Kharadze. K, (2008). Otsdatormet'i Ts'eli Aziis Kveq'nebshi Rapiel Danibegashvilis Uchveulo Mogzaurobani (1795-1827). Tbilisi: Gamomtsemloba „Lega". (ხარაძე. კ, (2008). ოცდათორმეტი წელი აზიის ქვეყნებში რაფიელ დანიბეგაშვილის უჩვეულო მოგზაურობანი (1795–1827). თბილისი: გამომცემლობა „ლეგა")
12. Meskhishvili, j. (2017). Ruset-Iap'oniis Omi Da Kartveli Meomrebi (19004-1905), Tanamedrove Akhlo Aghmosavleti, 39-45. (მესხიშვილი. ჯ, (2017). რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველი მეომრები (1904–1905), თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი, 39–45).
13. Moustafine, M. (2013). Russians from China: Migrations and Identity. Cosmopolitan Civil Societies Journal, 5(2), 143–158.
14. Sakartvelos Erovnuli Tsent'raluri Sakhelmts'ipo Saist'orio Arkivi (Sts'ssa), Pondi 1864, Anats'eri 2, Sakme 512, P. 4-9. (საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 512, ფ. 4-9).
15. Sakartvelos Erovnuli Tsentraluri Sakhelmtsipo Saistorio Arkivi (Sts'ssa), Pondi 1864, Anats'eri 2, Sakme 512, P. 12-13.

(საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 512, ფ. 12-13)

16. Sakartvelos Erovnuli Tsentraluri Sakhelmts'ipo Saistorio Arkivi (Sts'ssa), Pondi 1864, Anats'eri 2, Sakme 873, P. 2-5. (საქართველოს ეროვნული ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 873, ფ. 2-5)
17. Sakartvelos Parlamentis Erovnuli Biblioteka. (2012). Ivliane Khaindrava. Nplgv.Gov.Ge.http://www.nplg.gov.ge/emigr ants/ka/00000074/.(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (2012). ივლიანე ხაინდრავა. Nplgv.Gov.Ge.http:// www.nplg.gov.ge/emigr ants/ka/00000074/).
18. Балмасов, С. (2007). Белоэмигранты на военной службе в Китае. Центрполиграф.
19. Забияко, А. А., & Эфендиевой, Г. В. (2012). Русский Харбин запечатленный в слове (5th ed.). Амурский государственный университет;
20. Забияко, А. А., Забияко, А. П., Левошко, С. С., & Хисамутдинов, А. А. (2015). Русский Харбин: опыт жизнестроительства в условиях дальневосточного фронтира. Амурский государственный университет;
21. Крейд, В., & Бакич, О. (2001). Русская поэзия Китая: Антология. Время;
22. 叶介甫（2012），共产国际代表罗明纳泽的倔强人生,《内幕秘闻》, 第4期, 9-18.
23. 孙国林(2011), 罗明纳兹在中国-“中共与共产国际”系列之六,《党史博采(纪实)》, 第8期, 27-31页;
24. 季树太,赵彤 (2016). 哈尔滨啤酒历史沿革. 酿酒期刊, 6, 5–11.;
25. 张葳. (2020). 20世纪初期俄侨在哈尔滨进出口行业中的商贸活动. 北方经贸, 3, 21–23.;

26. 石方, 刘爽, 高凌 (2003). 哈尔滨俄侨史. 黑龙江人们出版社.;
27. 薛连举 (1998). 哈尔滨人口变迁. 黑龙江人民出版社.;
28. 赵晓琳(2009），武大学生党员在“八七”纪念馆举行大型实践活动,《武汉文博》, 第3期, 48页;

Georgians in China in the first half of the 20th century

Shalva Chikhladze
Political Scientist, Sinologist
Visiting Lecturer of TSU
Orchid: ID: 0000-0001-8265-7847
shakochikhladze65@gmail.com
558365331
Otari Tchigladze
Historian, Sinologist
Graduate student of Beijing University
Orchid ID: 0000-0001-6112-2835
otaritchigladze@gmail.com
598302953

Abstract

For centuries, citizens who left Georgia voluntarily or by force have played an important role in various states in Eurasia, both militarily, politically, and economically. The Far East was no exception, where Georgians were involved in political and economic processes at various times and enjoyed influence.

it is unclear when and under what conditions the first Georgians arrived in distant China, although the emergence of the first community dates back to the second half of the nineteenth century and the city of Harbin. Due to political and economic factors, various ethnic groups, including Georgians, have gathered in the Far East from various parts of the Russian Empire. Information and archival materials about the Georgian community existed more or less before, but the study found many new facts that provide a broader picture of what and how the Georgian community operated in the East. According to Georgian, Chinese and Russian sources, the Georgian residents of Harbin were involved in both economic and entrepreneurial activities, they were actively involved in local political processes, as well as in connection with the Democratic Republic of Georgia.

Besarion Lominadze, a member of the Comintern, is another Georgian who has left an interesting mark on Chinese politics. Three-

year national consensus between the Communist and Nationalist parties finished in 1927, and the antagonism between them increased even more. It was during this period that the Kremlin sent a new Comintern delegation led by Besarion Lominadze and Heinz Neumann for instruction. Comintern Delegation forced Chen Duxiu to resign as party chairman. They also planned to elect the new politbureu of CCP. Moreover, with the involvement of Lominadze and Neumann, young Mao Zedong became a temporary member of the Politburo, thus significantly increasing his influence. The activities of the Comintern were not limited to this, they recommended the launch of armed resistance and local uprisings, the failure of Guangzhou uprising became Damocle's sworld on him.

Another Georgian Bolshevik who was the Kremlin's direct representative in the Chinese civil war was Alexander (Aliosha) Svanidze. Svanidze was the brother of Stalin's first wife, who held influential positions at various times. In 1934, as a representative and ambassador of the State Bank, Svanidze arrived in Xinjiang and gave instructions to the military ruler there on the economic, financial, and military modernization of the Sheng Shiqai region. Svanidze stays in the region for some time and oversees organizational matters, for which he has received numerous verbal or written thanks from local authorities.

The above-mentioned episodes have not been studied in the Georgian Academy, Georgian community in Harbin and Soviet individuals had an interesting role and missions in the Republic of China. The study is the first attempt to gather the involvement of Georgians in the political and economic processes of China in the first half of the twentieth century, to describe their personal and professional role in the civil role of China. The research is based on Georgian, English, Russian and Chinese sources, which gives a broad picture in unity and makes it possible to verify the facts.

Keywords: Geogians in China, Harbin, Republic of Georgia, Comintern.

ტალიბანის დაბრუნება - წინაპირობები და რეგიონულ აქტორთა ინტერესები

სიმონ გურეშიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი. საქართველო
ORCID identifieris 0000-0002-9545-8238
simongureshidze@gmail.com
59556612

აბსტრაქტი

სტატიაში განხილული და გაანალიზებულია ავღანეთში დღეს-დღეობით არსებული სიტუაცია. 2001 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ამ ქვეყანაში ტალიბების წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო ოპერაცია, 20 წლის შემდეგ ამ მოძრაობის დაბრუნებით დასრულდა. შეერთებულმა შტატებმა ავღანეთში არსებული ბოლო ორი დეკადის განმავლობაში 2,26 ტრილიონი დოლარი დახარჯეს ამ ქვეყნის წინაშე მდგარი სხვადასხვა გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით, რომელთა შორისაც იყო ავღანეთის 300 000-იანი არმიის წვრთნა შეიარაღება და ეკიპირება. თუმცა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ აღნიშნულმა არმიამ არ ისურვა ტალიბებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ამ მოძრაობამ უმოკლეს დროში დაამყარა კონტროლი მთელ ქვეყანასა და დედაქალაქ ქაბულზეც, რაც საბოლოოდ პრეზიდენტ აშრაფ ღანის ქვეყნის დატოვებით დასრულდა და მოგვიანებით დროებითი მთავრობაც დააკომპლეტეს.

სწორედ ამიტომ, მსოფიოს ყურადღება კვლავ მიპყრობილია ავღანეთისკენ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც ამ ქვეყანაში, ისევე მთელ რეგიონში თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ასევე კვლავ გახდება თუ არა ეს ქვეყანა ტერორისტული ორგანიზაციების პოლიგონი ან სხვადასხვა ეთნიკური და კონფ-

ესიური ჯგუფების დაპირისპირების კერა ტალიბების ხელახალი მმართველობის პერიოდში. აქედან გამომდინარე, სტატიის მიზანია, აშშ-ის სამხედრო ძალების მიერ ქვეყნის დატოვებამდე ავღანეთში არსებული სიტუაციის ხელახლა გააზრება და გაანალიზება.

შესაბამისად, სტატიაში განხილულია ტალიბების დროებითი მთავრობა და მისი წევრების მოკლე მახასიათებლები. ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით დაწყებული სამხედრო ძალების გამოყვანის წინაპირობები. ტალიბების, შიდა ავღანური და რეგიონული აქტროების ინტრესები: ტალიბანი, ჰაქანის ქსელი, ხორასანის პროვინციის ისლამური სახელმწიფო, ადგილობრივი ტომების შაიხთა გავლენა დაფაქტორი, ფანჯშერის პროვინციის ფენომენი. ასევე რუსეთი, ჩინეთი, ირანი, პაკისტანი, თურქეთი, კატარი. აშშ-ის ჯარების გასვლის შემდეგ ტალიბანის ხელში არსებული შეიარაღება და ფინანსების წყაროები. ბოლო ნაწილსა და დასკვნაში ფართოდ გაშლილი და ასახულია ის ძირითადი არგუმენტები, თუ რატომ შეიძლება იყოს როგორც აშშ-ისთვის, ისე ჩამოთვლილი რეგიონული აქტორებისთვის ტალიბანი ავღანეთის კონრტოლის მისაღები ძალა და არის თუ არა ეს მიზეზი ფანჯშერის პროვინციის დაცემის მიზეზი.

საკვანძო სიტყვები: ამერიკის შეერთებული შტატები, ტალიბანი, შიდა და რეგიონული აქტორები, ფანჯშერის პროვინცია.

შესავალი

აშშ-ის სამხედრო ოპერაციის 20 წლის თავზე ავღანეთში არსებულმა სიტუაციის ანალიზი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 2001 წელს დამარცხებული ტერორისტული ორგანიზაცია კვლავ დაბრუნდა და ქვეყანაზე სრული კონტროლი დაამყარა. აღნიშნულ პროცესს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა მასმედიასა და ანალიტიკურ წრეებში მსოფლიოს მასშტაბით. ნაწილის აზრით ავღანეთში არსებული დღევანდელი სიტუაცია აღიქმება როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაწეული მცდელობებისა და მიზნების სრულ მარცხად. საკითხის სიღრმისეული გაანალიზება კი სხვა შედეგების გამოკვეთისა და აღქმის საშუალებას იძლევა.

ავღანეთში არსებული სიტუაციის, ბოლო ორ დეკადაში აშშ-ისა და კოალიციური ძალების წინაშე მდგარ პრობლემებთან დაკავშირებით თანამედროვე ეტაპზე ქართულ ისტორიოგრაფიაში მასალები ძალზე მწირია და საჭიროა მეტი რაოდენობით საკითხთან დაკავშირებული ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომები.

წინამდებარე სტატიაში ავღანეთში დღეს არსებული სიტუაციის, წინაპირობების, ქვეყნის შიგნით მოქმედი მთავარი აქტორების, რეგიონული მსხვილი მოთამაშეების ინტერესთა და ურთიერთობების ანალიზი საკითხის უახლესი ისტორიის ასპექტისა და მისი დღევანდელი რეალობის აღქმის საშუალებას იძლევა. ასევე ვეცადე ცალკე გამომეტანა ის სპეციფიური გამოწვევები, რომლებმაც თავი იჩინეს ავღანეთის უახლეს ისტორიაში.

მეთოდი

სტატიაში წყაროების შეჯერების, ურთიერთ შეპირისპირებისა, შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია ავღანეთიდან აშშ-ის შეიარაღებული ძალების გასვლისა და ქვეყანაში ტალიბების მიერ კონტროლის აღდგენის შემდეგ არსებული სიტუაცია და მისი წინაპირობები. ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ ავტორიტეტულ გამოცემებში დაბეჭდილ სიახლეებზე, ანალიტიკურ მასალებსა და შესაბამის ლიტერატურაზე.

შედეგები

ავღანეთიდან შეერთებული შტატების სამხედროების გაყვანის შემდეგ არსებული სიტუაციისა და მისი წინაპირობების ანალიზის საკითხების შესწავლამ საშუალება მომცა ხალახლა დაუფრო ნათლად გამეაზებინა ქვეყანაში არსებული სპეციფიკის საკვანძო საკითხები და უახლესი ისტორიის ასპექტები.

სტატიაში გაშლილია როგორც ავღანეთში მოქმედი შიდა დაჯგუფებების და ადგილობრივი ტომების, ასევე რეგიონული მსხვილი აქტორების ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესები. ახლებურადაა დანახული ტალიბების დაბრინებისა და მათ მიერ ქვეყანაში კონტროლის დამყარების მიზეზები.

მსჯელობა

2021 წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 2001 წელს დაწყებული სამხედრო ოპერაციის 20 წლის თავზე, ამ ქვეყნის სამხედრო დანაყოფებმა ავღანეთი დატოვეს. გასულ წელს აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასა და ტალიბებს შორის დადებული შეთნხმების თანახმად, მიმდინარე წლის მაისი იყო გამოცხადებული ავღანეთის დატოვების თარიღად, მაგრამ ახლანდელი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის გადაწყვეტილებით, ვადამ 11 სექტემბრისთვის გადაიწია. ამ ცვლილებას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან ზემოთ ხსენებული სამხედრო ოპერაცია სწორედ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს მოჰყვა. ცნობილია, რომ აღნიშნული ტერაქტი ორგანიზაცია ალ-კაიდამ განახორციელა, რომლის ხელმძღვანელის უსამა ბინ ლადენის აშშ-ისთვის გადაცემაზე ტალიბებმა უარი განაცხადეს თავის დროზე.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთში თავისი ყოფნის 20 წლიან პერიოდში 2,26 ტრილიონი დოლარი [1](**Sabga, 2021**) დახარჯა ამ ქვეყნის წინაშე მდგარი სხვადასხვა გამოწვევების აღმოსაფხვრელად. ერთ-ერთი მიმართულება რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა, იყო ავღანეთის არმიის წვრთნა და აღჭურვა. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ მომზადებული, კარგად შეიარაღებული და ეკიპირებული 300 000-იანი [2](**Suliman, 2021**) ავღანური არმიის პირობებში ქვეყანა და მისი პროდასავლური ხელისუფლება საიმედო ხელში რჩებოდა. თუმცა, მოხდა ისე, რომ მიმდინარე წლის 15 აგვისტოსთვის ტალიბებმა ავღანეთის ყველა სტრატეგიული წერტილი დაიკავეს და საბოლოოდ დედაქალაქ ქაბულზეც დაამყარეს კონტროლი, რასაც ავტომატურად მოჰყვა ქვეყნის პრეზიდენტის აშრაფ ღანისმიერ ქვეყნის დატოვება, ხოლო იმ ავღანელთა ევაკუაცია, რომლებიც ამერიკელებთან და კოალიციური ძალების სხვა წევრებთან ერთად მუშაობდნენ, სრულ ქაოსში გადაიზარდა. ევაკუაციას მსხვერპლი მოჰყვა როგორც ქვეყნის დატოვების მსურველებს, ასევე ამერიკელ საზღვაო ქვეითებს შორისაც, როდესაც ავღანეთში მოქმედმა ხორასანის პროვინციის „ისლამური სახელმწიფოს“ თვითმკვლელმა ტერორისტმა ტერაქტი განახორციელა ჰამიდ კარზაის სახელობის ქაბულის სახელ-

მწიფო აეროპორტის სიახლოვეს [3](Gardner,2021). ტალიბების მიერ კონტროლის დამყარების შემდეგ, ავღანეთში რჩებოდა ფანჯშერის პროვინცია, სადაც ანტიტალიბური მოძრაობა იკრებდა ძალებს და ტალიბანის მმართველობისადმი შეურიგებლად განწყობილ ავღღანურ ძალებს მეთაურობდა 2001 წელს ტერორისტების მიერ მოკლული გენერალ აჰმად შაჰ მასუდის ვაჟიაჰმადი [4](Tanzeem,2021). პროვინციაში მიმდინარე მოვლენებისადმი საექსპერტო და ანალიტიკურ წრეებში არაერთგვაროვანი განწყობა სუფევდა. ნაწილი თვლიდა, რომ პროვინცია შეძლებდა თავის დაცვას და ქვეყნის აღნიშნული ნაწილი დარჩებოდა იმ „კუნძულად“ სადაც ტალიბების მმართველობა ფეხს ვერმოიკიდებდა. მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ პროვინციის დაცემა მხოლოდ დროის საკითხი იყო. 2021 წლის 7 სექტემბერს კი ტალიბებმა დროებითი მთავრობის დამტკიცებაც შეძლეს.

ამრიგად, სტატიის მიზანია მოხდეს იმ პროცესებზე თვალის გადავლება, რომლებიც წინ უძღვოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და კოალიციური ძალების მიერ ავღანეთის დატოვების შემდეგ არსებულ სურათს, რაც თავის მხრივ იძლევა იმის საშუალებას, რომ პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვებს: რამდენად მოსალოდნელი იყო ტალიბების მიერ მოკლე დროში მთელ ავღანეთზე კონტროლის დამყარება და თუ რატომ ვერ მოახერხეს ანტიტალიბურმა ძალებმა ფანჯშერის პროვინციის შენარჩუნება.

ტალიბების დროებითი მთავრობა

მუჰამმად ჰასან ახუნდი - ტალიბანის ერთ-ერთი თანადამფუძნებლის და ხელმძღვანელის, მუჰამმად (მულა)უმარის ასისტენტი და პოლიტიკური მრჩეველი, ორგანიზაციის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი და პირველი უმაღლესი ლიდერი, დაინიშნა ახალი დროებითი მთავრობის მეთაურად. იგი ასევე არის ტალიბთა უმაღლესი საბჭოს წევრი, ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი 1997-2001 წლებში ტალიბთა მმართველობის პერიოდში. იყო ტალიბთა გუბერნატორი ყანდაარის პროვინციაში. 1990-იან წლებში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრემიერ მინისტრის მოადგილის პოსტები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეყვანილი ჰყავს სანქცირებულ პირთა

სიაში [5](Chugtai,2021). ტალიბების მთავარი წარმომადგენლის, ზაბიჰულლაჰ მუჯაჰიდის განცხადების თანახმად, ახალი კაბინეტი დაკომპლექტდა ამ ორგანიზაციის „ძველი გვარდიის“ წარმომადგენლებით, რომელთა შორისაც ქალები არ შედიოდნენ.

აბდულ ღანი ბარადარი - ტალიბანის პოლიტიკური კაბინეტის ხელმძღვანელი, რომელიც იქნება ჰაქანის ქსელის დამაარსებლის შვილის, სირაჯ უდ-დინ ჰასანის, ტალიბების დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე (ჰაქანის ქსელზე სტატიაში უფრო ვრცლად იქნება საუბარი). ბარადარი თავის დროზე ყანდაარში იყო ზემოთ ხსენებული მუჰამმად ჰასან ახუნდის მოადგილე. მისი ცხოვრება, ისევე როგორც ბევრი ავღანელის, შეიცვალა 1970-იან წლებში ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის შემდეგ და იგი მებრძოლად ჩამოყალიბდა. მოარული ხმების თანახმად, იგი თავის დროზე მულაომარის მხარდამხარაც იბრძოდა.**მულა მუჰამმად ია'კუბი** - თავდაცვის მინისტრი. იგი არის ორგანიზაციის თანადამფუძნებლის მულა ომარის შვილი, რომელიც იმავდროულად ხელმძღვანელობს დაჯგუფების ძლიერ და გავლენიან სამხედრო კომისიას. მამამისის სახელი უკავშირდება ტალიბანის ლიდერის საკულტო სტატუსს, სწორედ ასეთი მემკვიდრეობა განაპირობებს იმას, რომ ტალიბანში მუჰამმად ია'კუბი ითვლება გამაერთიანებელ ფიგურადაც. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თავის დროზე ამერიკელებთან მოლაპარაკების მომხრე იყო [6] (**გურეშიძე, 2020**).

მავლავი ამირ ხან მუთაქი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი - მუთაქის ტალიბთა წინა ხელისუფლების დროს ერთდროულად ეკავა კულტურისა და ინფორმაციის, ასევე განათლების მინისტრის პოსტები. მოგვიანებით იგი გაგზავნეს კატარში სამშვიდობო კომისიის და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკებების მწარმოებელ მომლაპარაკებელთა გუნდის წევრის რანგში. ტალიბანის წყაროების მიხედვით, მუთაქი არც სამხედრო მეთაურია და არც რელიგიური ლიდერი. იგი მოწვევისა და ხელმძღვანელობის კომისიის წევრია, რომელიც აჯანყების პერიოდში ცდილობდა ეიძულებინა სამთავრობო ჩინოვნიკები და სხვა მთავარი ფიგურები, რათა მათ

დაეტოვებინათ დაკავებული პოსტები. ქაბულის დაცემის შემდეგ, რამოდენიმე კვირის განმავლობაში, სწორედ მუთაქი იყო ის მთავარი პირი, რომელიც ფანჯშერის პროვინციაში ანალოგიურ როლს ასრულებდა და ხეობაში გამაგრებულ მებრძოლებს მოუწოდებდა კონფლიქტის მშვიდობიანი რეგულირებისკენ.

ახალ კაბინეტში ასევე შედის **ჰედიათულლაჰ ბადრი** რომელიც ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი იქნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტალიბანის უმაღლესმა ლიდერის ჰიბათულლაჰ ახუნდზადეს განცხადების თანახმად, ავღანეთის ახალი მთავრობა იმუშავებს ქვეყანაში შარიათის კანონების შემოღებისა და დამკვიდრებისთვისაც.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეშფოთება გამოთქვა ახალ მთავრობაში შემავალი ზოგიერთი პირის გამო. თუმცა, იმედი დაიტოვეს, რომ ტალიბები დაიცავენ იმ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ავღანეთი არ გახდება საფრთხე სხვა ქვეყნებისთვის და შეუფერხებლად განხორციელდება ქვეყნის მაცხოვრებლებისთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება.

პარალელურად კონგოში ვიზიტის დროს, თავისი მოსაზრება გამოთქვა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიპ ერდოღანმა, რომლის თანახმადაც იგი ყურადღებით დააკვირდება ავღანეთში მიმდინარე პროცესებს, რადგან მან არ იცის თუ რამდენ ხანს შენარჩუნდება ახალი კაბინეტის ამჟამინდელი შემადგენლობა [7] **(Taliban, 2021).**

აშშ-ის ხელმძღვანელობით დაწყებული უცხოური სამხედრო ძალების გამოყვანის წინაპირობები

2001 წელს აშშ-ის მერ დაწყებული სამხედრო ოპერაციიდან 11 წლის შემდეგ, აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ტალიბების ერთმა ნაწილმა პაკისტანს შეაფარა თავი, ხოლო მეორე ნაწილი მთებში გაიხიზნა, ორგანიზაციის დამარცხებაზე ნაადრევი იყო საუბარი.

საბრძოლო მოქმედების დაწყებიდან ათი წლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ავღანეთის სამშვიდობო პროცესებზე მოლაპარაკებების დაწყება კატარში. აღნიშნულ პროცესში ერთ–

ერთ მხარედ მოიაზრებოდნენ ტალიბებიც. 2012 წლის აპრილში ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ხალიდ ბინმუჰამმად ალ–კატია შეხვდა თავის ავღანელ კოლეგას ზალამაი რასულს, შეხვედრის შემდეგ გამართულკ ონფერენციაზე ალ–კატიამ განაცხადა, რომ მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებდნენ ტალიბებიც. მან ასევე დაამატა, რომ მალე ხელი მოეწერებოდა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას და ქაბულში გაიხსნებოდა კატარის საელჩო. მან ასევე აღნიშნა ისიც, რომ ტალიბების ოფისის გახსნა დოჰაში, ბიძგს მისცემდა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას. ტალიბანმა ამ ქვეყანაში 2012 წლის იანვარში გახსნა თავისი პოლიტიკური ოფისი, ეს ნაბიჯი პოზიტიურად იქნა შეფასებული, რადგან იძლეოდა იმ პერიოდისთვის უკვე 10 წლიანი ომის დასრულებისთვის კომპრომისების მიღწევისა და ურთიერთშეთანხმების პოვნის გზების მოძებნის საშუალებას. მოლაპარაკებების დაწყების ერთ-ერთი წინაპირობა იყო გუანტანამოს ციხეში მყოფი ტალიბი ლიდერების გათავისუფლებაც. თუმცა, ამ ყველაფერს ხელი შეუშალა და შეაჩერა, ამერიკელი სამხედროს მიერ 16 მშვიდობიანი ავღანელის მკვლელობამ, რომელთა შორისაც იყვნენ არასრულწლოვნები. სულ მალე ტალიბებმა პირობა დადეს, რომ შურს იძიებდნენ დაღუპულთა გამო, ყოველივე ამას კი წინ უძღვოდა ამერიკელი სამხედროების მიერ ყურანის დაწვის ფაქტი, რასაც მოჰყვა საპროტესტო აქციები და შეტაკებები, რის შედეგადაც მომხდარით აღშფოთებულმა ავღანელმა პოლიციელმა ნატო-ს ორი უმაღლესი მრჩეველი მოკლა.

მოგვიანებით ტალიბებმა იერიში მიიტანეს სამთავრობო დაწესებულებებზე, საელჩოებსა და უცხოელი სამხედროების დისლოკაციის ადგილებზე ქაბულსა და სხვა ქალაქებში. პროვინცია ლოგარში თავდასხმა მოხდა სამთავრობო შენობებზე, ჯალალაბადში - აეროპორტზე და პოლიციის პუნქტებზე, ქალაქ გერდეზზე პაკტიის პროვინციაში. ბრძოლა გრძელდებოდა 17 საათის განმავლობაში, რის შედეგადაც დაიღუპა 36 ტალიბი და რვა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, დაშავდა 60 ადამიანი, აქედან 25 სამოქალაქოპირი.

ამ მოვლენების პარალელურად, ავღანეთის დაზვერვის ოფიცრის მიერ მოწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით, გავრც-

ელდა შემდეგი სახის ინფორმაცია: ტყვედ ჩავარდნილმა ერთერთმა თავდამსხმელმა აღიარა, რომ მათი დაჯგუფება იყო 200 კაციან თვითმკვლელთა რაზმის ნაწილი და მათ ოპერაციების განხორციელება დაევალათ ჩიკაგოში მოახლოებული ნატოს სამიტის წინ. ავღანელ და პაკისტანელ თვითმკვლელ ტერორისტთა ჯგუფი მომზადდა ბარდუდინ ჰაქქანის ხელმძღვანელობით მირამშაჰში - პაკისტანში, ჩრდილოეთ ვაზირისტანში. ეს ინფორმაცია დაადასტურა რაიან კროკერმაც, აშშ-ის ელჩმა ქაბულში და თქვა: „არანაირ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს თავდასხმა განახორციელა ტალიბანის ფილიალმა - კერძოდ კი ჰაქქანის ქსელმა“.

თავდასხმის მეორე დღეს, ავღანეთის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა რაჰმათულლაჰ ნაბილმა პარლამენტში განაცხადა, რომ მათ უწყებას წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელ საფრთხეზე, რადგან მათთვის ცნობილი იყო, რომ თავდასხმების რიცხვი იზრდება მაშინ, როდესაც პაკისტანის მედრესეებში (ისლამური სასწავლებლები) იწყება სეზონური არდადეგები. შედეგად, ავღანური პოლიცია საფრთხეს მომზადებული დახვდა. თავის მხრივ ჯავად ქოჰისტანმა, უსაფრთხოების საკითხების ანალიტიკოსმა და დაზვერვის ყოფილმა ოფიცერმა, მას-მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ სპეცსამსახურები არ იყვნენ მომზადებულები მსგავსი ტიპის თავდასხმების მოგერიებისათვის, რამაც გავლენა იქონია ადეკვატური რეაგირების ვერ განხორციელებაზე. გარდა ყოველივე ზემოთ თქმულისა, 2012 წელს გახშირდა შემთხვევები, რომლის დროსაც ავღანეთში ISAF–ის პროგრამის ფარგლებში მომსახურე ჯარისკაცი მოკლა დაუდგენელმა პირმა რომელიც ასევე ჩაცმული იყო ავღანური ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცის ფორმაში. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მსგავსი ხელწერით ჯამში უცხოეთისა და ავღანეთის არმიის 28 ჯარისკაცი მოკლეს. უცხოური სამხედრო კონტინგენტის წევრთა მკვლელობებსა და სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით, ტალიბანის ლიდერმა მულა ომარმა ტალიბთა ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა შვიდ გვერდიანი მიმართვა. მისი განცხადებით, ტალიბთა შეტევებმა აიძულა ამერიკელები და ავღანეთის ხელისუფლება დაეკავებინათ თავდაცვითი პოზიციები. რაც შეეხება ავღანური ძალების მიერ

განხორციელებულ თავდასხმებს ნატო-ს ჯარისკაცების წინააღმდეგ, ეს იყო ავღანეთის უშიშროების ძალებში ტალიბთა ჩანერგვის შედეგი. ტალიბთა შორის გაურკვევლობის გასაფანტად, აშშ-სთან სავარაუდო მოლაპარაკებების შესახებ უმარმა აღნიშნა, რომ „მოლაპარაკება არ ნიშნავს მორჩილებას ან ჩვენს მიზნებზე უარის თქმას“. მისი განცხადებით, მოლაპარაკებები იწარმოებდა ტყვეთა გაცვლაზეც, პოლიტიკური ოფისების გახსნასა და „საკუთარი მიზნების მიღწევებზე“. ტალიბები მოელაპარაკებიან სხვა ავღანურ დაჯგუფებებს მას შემდეგ, რაც ქვეყანას დატოვებენ დამპყრობლები. ტალიბები ყოველთვის უარს ამბობდნენ ჰამიდ კარზაის მთავრობასთან პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოებაზე. რაც შეეხება ქალების უფლებებს, უმარმა განაცხადა: ტალიბანის მთავრობა ქალებს მიანიჭებს ყველა კანონიერ უფლებას, რაც შეესაბამება ისლამის პრინციპებს, ნაციონალურ ინტერესებსა და ჩვენს კეთილშობილ კულტურას **[8] (გურეშიძე, 2013).**

ავღანეთში არსებული საერთო სურათის შევსების მიზნით, აუცილებლად მიმაჩნია მოკლედ შევეხო თვითონ ავღანეთის სპეციფიკასაც. უმრავლესობა სუნიტიმ უსლიმია, მაგრამ იქ ასევე ცხოვრობენ შიიტი ჰაზარელები, ზოგადად ქვეყანა მულტიეთნიკურია, მოსახლეობა დაყოფილია, ორმოცდაათამდე სხვადასხვა ენასა და დიალექტზე მოლაპარაკე, ორმოცამდე ტომად, რომელთათვისაც საერთო ეროვნულ ინტერესებზე მაღლა ტომობრივი ინტერესები დგას. ყანდაარში მცხოვრები პუშტუნები ყოველთვის პაკისტანის მიმართ იყვნენ ლოიალურები, ჰერათში დასახლებული სპარსულად მოლაპარაკე ჯგუფი თავის მოკავშირედ ირანს განიხილავს ყოველთვის. მაზარი შარიფის მკვიდრი უზბეკები, უზბეკეთთან ხედავენ მეტ საერთოს. აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე, ლინგვისტური, რელიგიური თუ პოლიტიკური ნიშნით დაყოფილი ავღანელი მოსახლეობა ხშირად ეძებდა თავიანთ მფარველებს ქვეყნის გარედან, რაც თავის მხრივ მსხვილ რეგიონალურ მოთამაშეებს ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩასარევად **[9] (გურეშიძე, 2020).**

ტალიბების, შიდა ავღანური და რეგიონული აქტორების ინტერესები

2019 წლისსექტემბერში, როდესაც აშშ-ის ექსპრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ტალიბებთან სამშვიდობო შეთანხმება „მოკვდა“[10] (**Afghan, 2019**), რის შემდეგაც ტალიბებმა რეგიონის ქვეყნებისგან პოზიტიური სიგნალები მიიღეს. იმავე წლის 28 ოქტომბრისთვის დაიგეგმა ტალიბანის დელეგატების ორ დღიანი ვიზიტი პეკინში. დონალდ ტრამპის განცხადების შემდეგ, ტალიბთა წარმომადგენლები ასევე ეწვივნენ მოსკოვს, თეირანსა და ისლამაბადს. პაკისტანის გარდა, ეს ქვეყნები 2001 წლამდე მხარს არ უჭერდნენ ტალიბების მიერ ავღანეთის კონტროლს. თუმცა, ბოლო დროს მათი დამოკიდებულება შეიცვალა.

1990-იან წლებში რუსეთის ინტერესებში შედიოდა ავღანეთიდან ისლამისტური იდეოლოგიის გავრცელების შეკავება ცენტრალურ აზიაში. თავის მხრივ ტალიბებს არასოდეს უცდიათ ამ მიმართულებით თავინთი პოზიციების გამყარება. იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც ცენტრალური აზიის ქვეყნების ახალგაზრდების ნაწილი დამოუკიდებლად მოიხიბლა ამ ორგანიზაციის იდეებით. მას შემდეგ რაც აშშ-ისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ძალებმა ტალიბთა მმართველობა დაამხვეს, რუსეთმა დამოკიდებულება შეცვალა და დაიწყო ურთიერთობების დამყარება აჯანყებულთა ხელმძღვანელობასთან, რომელთა უმრავლესობაც იმათი შვილები ან ნათესავები არიან, რომლებიც მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ რუსეთისთვის მთავარ საფრთხედ იქცა ხორასანის პროვინციის „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურება ავღანეთში. ამ მოვლენას უკავშირებდნენ ისინი მოსკოვში გამართულ სამ მნიშვნელოვან შეხვედრას, რომლის დროსაც ტალიბთა წარმომადგენლებთან და ავღანეთის იმ დროინდელ ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილეს ქვეყანაში მშვიდობისა და შემდგომი მოქმედების საკითხები [11] (**Khattak, 2019**).

რაც შეეხება ხორასანის პროვინციის „ისლამურ სახელმწიფოს“ ეს ორგანიზაცია მართალია გარკვეულწილად უკავშირდება ერაყისა და სირიის „ისლამურ სახელმწიფოს“, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაინც განსხვავებული დაჯგუფებაა.

აღნიშნულმა ორგანიზაციამ აიღო პასუხისმგებლობა 2021 წლის 26 აგვისტოს ქაბულის აეროპორტთან, შემდგომ კი სასტუმროში თვითმკვლელი ტერორისტის მიერ განხორციელებულ ტერაქტებზე, რომლებსაც ათეულობით მშვიდობიანი ავღანელი (მათ შორის ევაკუაციის მომლოდინე) და ამერიკელი სამხედრო ემსხვერპლა. ანალიტიკოსებისა და სპეციალისტთა აზრით, ხორასანის პროვინციის „ისლამური სახელმწიფოს“ ფენომენის სრულად გაგებას აუცილებლად ესაჭიროება ჰაქანისქსელის განხილვაც. განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ტერაქტის მანერა და განხორციელების დეტალები ერთდროულად მიანიშნებს როგორც პირველი, ისევე მეორე დაჯგუფების ხელწერაზე. თავის მხრივ ჰაქანის ქსელისაერთაშორისო დონეზე აკრძალული ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელსაც დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს ალ-კაიდასთან. მოარული ხმების თანახმად, ამ ორ დაჯგუფებას შორის სერიოზულ განხეთქილებას აქვს ადგილი, მაგრამ ავღანეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ამ ქვეყანაში გუშინდელი მტრები ადვილად ხდებიან მოკავშირეები საერთო მიზნის გამო, ან ყოფილი პარტნიორები ერთმანეთს დაუნდობლად უპირისპირდებიან. ხორასანის პროვინციის „ისლამური სახელმწიფო“ პირველად 2015 წელს გამოჩნდა ასპარეზზე, მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციის საგარეო ოპერაციების ხელმძღვანელმა აბუ ადნანიმ აუდიო მიმართვა გაავრცელა, რომლის თანახმადაც დაჯგუფება მიზნად ისახავდა „ხორასანის მიწების“ „ექსპანსიას“. ეს ტერიტორია არა მხოლოდ ავღანეთის ტერიტორიებს, არამედ მთელ სამხრეთ აზიასა და ჩინეთის გარკვეულ ნაწილსაც მოიცავს. ახალ წარმონაქმნს უნდა ერქვას ხორასანის ვილაიათი. ხსენებული ორგანიზაცია არ არის ისეთი ორგანიზებული როგორც ერაყისა და სირიის „ისლამური სახელმწიფო“, მაგრამ საკმაოდ საშიშ ძალას წარმოადგენს.

იმავე წლის 12 ივლისს დაჯგუფებამ ცადა ტალიბებისპოზიციების შესუსტება. მათ თავიანთ ჟურნალ „დაბიკში“ გამოაქვეყნს სტატია, სადაც ეწერა, რომ მუჰამმად უმარი (მულა უმარი) წლების წინ იყო მკვდარი. მხოლოდ ამის შემდეგ აღიარეს ტალიბებმა, რომ მულა უმარი მართლაც აღარ იყო ცოცხალი. ამ ნაბიჯით ხორასანის პროვინციის „ისლამურმა სახელმწიფომ“

ტალიბთა რიგებში განხეთქილება გამოიწვია. უმარის ადგილი ახთარ მანსურმა დაიკავა, მაგრამ მისი დანიშვნით გამოწვეული აზრთა სხვადასხვაობის დაძლევა ვერ შეძლო და გადავიდა ხორასანის „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს. 2016 წლის მაისში, ამერიკული დრონის მეშვეობით მანსურის ლიკვიდაციის შემდეგ, ხელმძღვანელისადგილი დაიკავა მავლავი ჰიბათულლაჰ ახუნდზადემ. თუმცა, მანაც ვერ შეძლო ხორასანის „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერთა ნაკადის შეჩერება. აღნიშნული მხარდაჭერა არა იდეოლოგიური მოტივებით, არამედ ძირითადად ლიდერობის, ტერიტორიების კონტროლისა და უკანონო გზებით ფინანსური არხების მოზიდვის (ნარკოტრაფიკი და ფულის გათეთრება) გამო ხდებოდა.

ამ დაჯგუფების ძირითადი ბაზა ავღანეთის ნანგანჰარია, ნარკოტრაფიკის მომგებიანი ტრანზიტული გზა, პაკისტანის საზღვართან ახლოს. ორგანიზაცია ხშირად თანამშრომლობდა ჰაქანის ქსელთან, რომლის მეთაური სირაჯ უდ-დინ ჰაქანიც ტერორისტადაა აღიარებული. იგი ასევე არის ტალიბანის ხელმძღვანელის მოადგილე და მჭიდრო კავშირშია ალ-კაიდასთან. ხორასანის „ისლამური სახელმწიფოს“ გამოჩენამდე, სწორედ ჰაქანის ქსელი იყო თვითმკვლელი ტერორისტების მეშვეობით ტერაქტების მომწყობი დაჯგუფება, რომლის ანგარიშზეც კოალიციური ძალებისა და აშშ-ის ათასობით ჯარისკაცის დაღუპვა და დასახიჩრებაა. ჰაქანის ქსელმა თავის დროზე მჭიდრო კავშირი დაამყარა პაკისტანის უწყებათაშორისი დაზვერვის სააგენტოსთან, რომელიც თავის მხრივ მათ წვრთნიდა და იარაღს აწვდიდა. იგივე სააგენტო უზრუნველჰყოფდა თავშესაფრით ტალიბების ხელმძღვანელობასაც, რომლებიც აშშ-ის ჯარების გასვლის შემდეგ დაბრუნდნენ ავღანეთში. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჟურნალ „დაბიკ“-ში სტატიის გამოქვეყნებისა და აღწერილი მოვლენების შემდეგ გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ ხორასანის „ისლამურ სახელმწიფოსა“ და ტალიბებს შორის დაპირიპირებას ჰქონდა ადგილი. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ტალიბანს გააჩნია რამოდენიმე ფრთა და მათი ავტონომიური ხელმძღვანელობა, არ გამოირიცხება ის აზრიც, რომ ტალიბების რომელიმე ფრთასა და აღნიშნულ დაჯგუფებას შორის უკვე არსებობს გარკვეული კავშირი, ვინაიდან

მათ საერთო მოწინააღმდეგეები ჰყავთ: ავღანეთის ყოფილი ხელისუფლება და დასავლეთი [12] (Gohel, 2021).

რაც შეეხება ჩინეთს, ეს ქვეყანა ჩუმ და უხილავ, მაგრამ აქტიურ როლს თამაშობს ავღანეთში. ამ ქვეყნის მთავარი მიზანია ექსტრემისტული იდეოლოგიის შეკავება და საკუთარი ინვესტიციების დაცვა რეგიონში. ჩინეთ-პაკისტანის 60 მილიარდი დოლარის ღირებულების ეკონომიკური დერეფანი არის უკვე არსებული და მომავალი ინვესტიცია როგორც ავღანეთში, ისევე პაკისტანში. ავღანეთში მშვიდობის დამყარების ინტერესი ჩინეთს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ უსაფრთხოების კუთხითაც აქვს. ამ ქვეყანას სურს ავღანეთზე გავლით გაიყვანოს რკინიგზა ირანამდე და მეორე მარშრუტი ავღანეთის ჩრდილოეთში, ყუნდუზიდან თორხამის საზვრამდე, პაკისტანთან. გარდა ამისა ჩინეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს როგორც ხორასანის პროვინციის „ისლამური სახელმწიფოს“, ისევე უიღურთა დაჯგუფებების გაძლიერება, არასტაბილურ ავღანეთში. რაც შეეხება ტალიბანს, ეს ორგანიზაცია არასოდეს დასხმია თავს ჩინურ საინვესტიციო პროექტებს და არცერთხელ გამოუხატავს საჯარო მხარდაჭერა უიღური მუსლიმებისთვის.

თეირანი იყო მესამე დედაქალაქი რომელმაც ტალიბთა დელეგაცია მიიღო, ზემოთ ხსენებული მოლაპარაკების ჩიხში შესვლის შემდეგ. ბოლო დროს ირანი ნაკლები სიფრთხილით ეპყრობა ტალიბებს, წინა პერიოდისგან განსხვავებით. ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ირანი მხარს უჭერდა ანტიტალიბურ ალიანსს, რისი მიზეზიც 9 ირანელი დიპლომატის მკვლელობა გახდა ქალაქ მაზარი შარიფში 1998 წელს. სწორედ ხორასანის პროვინციის „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურებამ, გადაფარა წარსულში მომხდარი დაპირისპირების მიზეზი ირანსა დატალიბებს შორის, რასაც ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯავად ზარიფის 2019 წელს გაკეთებული განცხადება მოწმობს: ავღანეთის მომავალი წარმოუდგენელია ტალიბების რაიმე სახის როლის გარეშე.

თავის მხრივ ირანიც ძალზე მნიშვნელოვანი აქტორია ტალიბანისთვის, ვინაიდან ამ ქვეყანას კარგი ურთიერთობები აქვს ავღანეთში არსებულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ირანი მჭიდრო კავშირში იყო ტალიბების დიდი ხნის მოწინააღმდეგე,

ავღანეთის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურთან, ეთნიკურად ტაჯიკ აბდულ აბდულთან, რომელმაც სწორედ ირანის გავლენით გასულ წელს შეარბილა თავისი პოზიციები ტალიბების მიმართ. ექსპრეზიდენტ აშრაფ ღანის პუშტუნურმა წარმომავლობამ არავითარი სარგებელი არ მოუტანა ტალიბებს. ამის მაგალითი იყო 2020 წელს, როდესაც ტალიბებმა უარი თქვეს ცეცხლის შეწყვეტაზე, მაგრამ მზადყოფნა გამოთქვეს „ძალადობის შემცირებაზე“, ამ განცხადებას პოზიტიურად შეხვდა აბდულ აბდული, აშრაფ ღანი კი სკეპტიკურად. თუმცა, ირანმა მაინც მოახერხა ღანისთან საერთო ენის გამონახვა.

ირანს და ტალიბანს ასევე საერთო მოწინააღმდეგეებიც ჰყავთ. ამერიკის შეერთებული შტატები და „ისლამური სახელმწიფო“. ირანის მიერ განსაკუთრებული წვლილის შეტანა ერაყისა და სირიის „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხებაში, ხორასანის პროვინციის „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურება ავღანეთში, სწორედ ეს ორი ფაქტორი აახლოვებს ირანსა და ტალიბანს **[13] (Khattak, 2019).**

თურქეთი - 2021 წლის 19 აგვისტოს თურქულ გამოცემა Dailysabah-ში გამოჩნდა სტატია სათაურით: „ავღანეთში მეტი თურქული ბიზნესი შეიძლება გამოჩნდეს, თუ სტაბილურობა იქნება უზრუნველყოფილი“. სულეიმან ჩილივმა, თურქეთის საგარეო ეკონომიკურ ბორდთან არსებული თურქეთ-ავღანეთის ბიზნეს საბჭოს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ შიდა კონფლიქტისა და არეულობების წლებმა არ მისცა ამ ორ ქვეყანას იმის საშუალება, რომ საქონელბრუნვა სათანადო დონეზე განხორციელებულიყო. მისივე სიტყვების თანახმად: „ბოლო წელს ვაჭრობის სარგებელმა 200-დან მხოლოდ 300 მილიონ დოლარამდე მიაღწია“. მან ასევე დასძინა, რომ სამთავრობო ძალებსა და ტალიბებს შორის დაპირისპირების გამო თურქი ინვესტორები ავღანეთში კაპიტალის დაბანდებას თავს არიდებდნენ, მაგრამ თუ კონფლიქტები შეწყდება და სათანადო ბიზნეს გარემო დაისადგურებს, ავღანეთში ბევრი თურქი წარმატებული ბიზნესმენი ჩავა **[14] (Afghanistan, 2021).**

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წელს თურქეთმა პაკისტანთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება დაიწყო. 2020 წლის 13 თებერვალს რეჯეფ თაიფ ერდოღანი 2 დღიანი ვიზი-

ტით ეწვია პაკისტანს, სადაც მონაწილეობა მიიღო პაკისტან-თურქეთის ბიზნესისა და ინვესტიციების ფორუმში. გარდა ამისა, პრემიერი მრანხანთან იგეგმებოდა ისეთი საკითხების განხილვა, როგორებიცაა, ორივე ქვეყნის მიერ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება თავიანთი მოსახლეობისთვის და მომავალი სამხედრო თანამშრომლობ **[15] (გურეშიძე,2020).**

პაკისტანი - ანალიტიკოსთა და ექსპერტთა აზრით ტალიბების დაბრუნება ავღანეთში გაართულებს პაკისტანისა და აშშ-ის ურთიერთობებს. პაკისტანის ადამიანის უფლებათა მინისტრმა შირინ მაზარიმ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც არნიშნა რომ „მისი ქვეყანა აღარ იქნებოდა სხვების შეცდომების განტევების ვაცი“. ეს ქვეყანა მიუხედავად იმისა, რომ ტალიბების მხარდამჭერად და ეს ითვლებოდა და იყო აშშ-პაკისტანის ურთიერთობებში უკმაყოფილების მიზეზი, პკისტანმა 2001წლის შემდეგ აშშ-ისგან დახმარების სახით მიიღო 30 მილიარდი დოლარი, მაგრამ ამჟამად შეერთებული შტატები ნაკლებადაა დაინტერესებული რაიმე სახის დახმარება აღმოუჩინოს ამ ქვეყანას **[16](Khan, 2021).**

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ კატარის როლი მხოლოდ მოლაპარაკებებით არ დასრულებულა და ეს ქვეყანა კვლავ რჩება მნიშვნელოვან მოთამაშედ ავღანეთში. სწორედ კატარი იყო პირველი ქვეყანა, რომლის ტექნიკური დახმარების პერსონალი ჩაფრინდა ქაბულის აეროპორტში აშშ-ის შეიარაღებული ძალების გასვლის შემდეგ. აღნიშნულმა ჯგუფმა უნდა მოაწესრიგოს და აღადგინოს დაზიანებული ჰამიდ კარზაის საერთაშორისო აეროპორტი**[17](Vidon,2021;Qatari,2021;Kabul,2021).**

აშშ-ის ჯარების გასვლის შემდეგ ტალიბების ხელთ არსებული შეიარაღება და ფინანსების წყაროები.

73 საფრენი აპარატი, 100-მდე სამხედრო დანიშნულების სატრანსპორტო საშუალება და სხვა სახის ეკიპირება აღმოჩნდა ტალიბების ხელში 2021 წლის აგვისტოს მონაცემებით. თუმცა, აშშ-ის ცენტრალური სარდლობის მეთაურის გენერალ მაკენზის განცხადების თანახმად საფრენი აპარატები და დანარჩენი ტექნიკაც სრულადაა მწყობრიდან გამოყვანილი და ვეღარასოდეს მოხდება მათი აღდგენა. დატოვებული ჯავშანმანქანებიც არავითარ სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს იმ შემთ-

ხვევაშიც კი, თუ მათი აღდგენა მოხდება, ვინაიდან აღნიშნული ტრანსპორტი სადაზვერვო ჯგუფებისთვის გამოიყენება ისიც ახლო ბრძოლების საწარმოებლად [18] (**Afghanistan, 2021**).

ფინანსების თვალსაზრისით, 2016 წელს ფორბსის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, ტალიბანი უმდიდრესი ტერორისტული ორგანიზაციების ხუთეულში შედიოდა. სიის სათავეში იყო ერაყისა და სირიის „ისლამური სახელმწიფო“ წელიწადში 2 მილიარდი დოლარის შემოსავლით, ხოლო ტალიბანი 400 მილიონი დოლარის აკუმულირებას ახდენდა ყოველ წლიურად. ნატოს კონფიდენციალური ანგარიშის თანახმად, რომელიც რადიო თავისუფალმა ევროპამ/რადიო თავისუფლებამ მოიპოვა, ბოლო 4 წლის განმავლობაში ტალიბანის შემოსავლები 400%-ით გიზარდა და 2019-2020 წლებში 1,6 მილიარდ დოლარს მიაღწია. ორგანიზაციის შემოსავლის ძირითადი წყაროებია: 1) შახტები და სასარგებლო წიაღისეული-464 მილიონი დოლარი, ცნობილია რომ ავღანეთი მდიდარია ძვირფასი ქვების, ლითონებისა და მინერალების საბადოებით, რაც ჩინეთის განსაკუთრებული ინტერესის კიდევ ერთი მიზეზია. 2) ნარკოტიკები-416 მილიონი დოლარი, 3) უცხოური შემოწირულობები-240 მილიონი დოლარი, 4) გადასახადები (რეკეტი და გამოძალვა)-160 მილიონი დოლარი, 5) უძრავი ქონება-80 მილიონი დოლარი და ა.შ. [19](**Azami, 2021**) რაც შეეხება იმ შეკითხვას, რამდენად იყო მოსალოდნელი ის ფაქტი, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალების დატოვების შემდეგ ტალიბები ავღანეთზე კონტროლს დაამყარებდნენ, ამის პასუხი მიმაჩნია, რომ ადვილი გასათვლელი იყო შემდეგი ფაქტორების გამო: 1) მაღალი კორუფციის და ნეპოტიზმის ფონზე ერაყის შეიარაღებულ ძალებში მიღებული ჯარისკაცებისა და ოფიცრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რომელთა ერთადერთ მოტივაციას ხელფასი წარმოადგენდა, არ იბრძოლა ერაყისა და სირიის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ [20] (**Cockburn, 2016; 431-432**). მსგავსი სცენარის გათვლა მიმაჩნია, რომ მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იყო ავღანეთშიც. 2) ნათესაური კავშირები, რომლის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ეთნიკურად ტაჯიკი საველე მეთაური ათა მუჰამმადი, რომელიც დაქორწინებულია პუშტუნზე და მისი სიცოცხლე დამოკიდებულია ცოლის ნათესავებზე, რაც გარკვეულ

ვალდებულებებსაც უქმნის მას [21] (**Gureshidze, 2019**). 3) საფრაგეთი - ამ ქვეყანამ მათ საელჩოში მომუშავე ავღანელების, ასევე ფრანგული ორგანიზაციებისა და მათი ოჯახის წევრების ევაკუაცია ჯერ კიდევ 2021 წლის მაისში დაიწყო, რომელთა საერთო რაოდენობამაც 623 ადამიანი შეადგინა. ფრანგული მხარის აღნიშნულმა ქმედებამ გააჩინა ის მოსაზრება, რომ ფრანგმა მზვერავებმა რაღაც ისეთი იცოდნენ წინასწარ, რაც ამერიკული მხარისთვის უცნობი იყო. თუმცა საფრანგეთის ოფიციალური პირები და ამ ქვეყნის დამოუკიდებელი ანალიტიკოსები აცხადებდნენ, რომ მათ ზუსტად იგივე სადაზვერვო მონაცემები ჰქონდათ რაც ამერიკელებს და დანარჩენ აქტორებს. განსხვავება მხოლოდ აღნიშნული მონაცემების შეფასებაში იყო და საფრანგეთი უარესი სცენარისთვის მოემზადა. შილერის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორის, მირიამ ბენრაადის განცხადების თანახმად, ამერიკული დაზვერვის ჩავარდნა გამოიწვია არა იმან, რომ სათანადოდ არ იყო შეფასებული ტალიბანის შესაძლებლობები, არამედ ამერიკულმა მხარემ ზედმეტად გადააფასა ავღანეთის არმიის შესაძლებლობები [22] (**Mallet, 2021**).

აღნიშნული მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე: 2012 წლიდან დოჰაში დაწყებული მოლაპარაკებები ტალიბებთან, ავღანეთის არმიაში ჩანერგილი აგენტურა, ავღანეთის მულტიეთნიკური და მულტიკონფესიური სპეციფიკა, ნათესაური კავშირები, რეგიონული აქტორების ინტერესები, სავარაუდოა, რომ არ გამორჩებოდათ ამერიკელ ანალიტიკოსებსაც. საკითხის უკეთ გაშუქების მიზნით, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მსხვილი რეიგონალური მოთამაშეები ბოლო დეკადაში ერთმანეთთან დაპირისპირებას ამჯობინებენ გავლენის სფეროების გადანაწილებას, მოლაპარაკებასა და ინტერესთა ბალანსს, რომლის ნათელი მაგალითიც სირიაა. ამ ქვეყანაში თითქმის 10 წლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ გავლენის სფეროები გადაინაწილეს ისეთმა დაპირისპირებულმა მხარეებმა როგორებიც არიან ირანი, თურქეთი, აშშ, რუსეთი და ასადის რეჟიმი, არ არის გამორიცხული, რომ მსგავსშეთანხმებასაც ჰქონდეს ადგილი ავღანეთთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც, საბოლოოდ

მაინც ტალიბები არიან ის ძალა რომელიც ავღანეთში სტაბილურობას შეინარჩუნებს. ამ ვარაუდს აქვს იმის საფუძველი, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ტალიბანი ბოლომდე პოპულარული იყო პროვინციებში. გარდა იმისა, რომ თითქმის ყველა მუსლიმურ ქვეყანაში პერიფერიებში მაცხოვრებელთა შორის მისაღებ ძალად ითვლებიან ისლამისტები თავის სამივე გამოვლინებით: ზომიერი, რადიკალი, თუ ექსტრემისტული, ტალიბანმა მოახერხა ადგილობრივი ტომების შაიხებთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარება, ვინაიდან ამ ორგანიზაციამ გაითვალისწინა აშშ-ის შეცდომა, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მშენებლობის მაგივრად, მათ ადგილობრივი ტომების მეთაურები დაარწმუნეს, რომ ავღანეთისთვის დეცენტრალიზებული მართვის მოდელი უფრო მისაღები იქნებოდა [**23**] **(Suri,2021).** აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ე.წ. „დიდ სახელმწიფოთა მმართველობის“ მცნება. ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის, ლონდონის ეკონომიკის სკოლის და ოქსფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი ჰედლი ბული დიდი ძალის სახელმწიფოებსთავის „ანარქიულ საზოგადოებაში“ ასე განმარტავს: „დიდი ძალის სახელმწიფოები არიან ისინი, რომლებიც სხვებმა ცნეს, რომ მათ გააჩნდეთ გარკვეული სახის განსაკუთრებული უფლებები და ვალდებულებები“. ასეთი სახელმწიფოები ხელს უწყობენ წესრიგის შენარჩუნებას, „რასაც მართავენ ერთმანეთთან ურთიერთობის მეშვეობით“ და უზრუნველყოფენ „მთლიან საერთაშორისო საქმეებში გამოკვეთილი ცენტრალური მიმართულებების ხარისხიანობას.“ დიდ სახელმწიფოთა მმართველობა არ არის მხოლოდ პოლიტიკური პროცესების ნაკრები; ეს არის „პირველადი ინსტიტუცია“ საერთაშორისო სისტემაში, წესებისა და ნორმების ნაკრები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ წესრიგს ანარქიაში.

პროფ. ბული თავის ნაშრომებში ორიენტირებული იყო დასავლეთ ევროპაზე, ხოლო ბარიბუზანმა, რომელიც ლონდონის ეკონომიკის სკოლის ემერიტუსი პროფესორია (იგი ასევე კოპენჰაგენის და ჯილინის უნივერსიტეტების საპატიო პროფესორიცაა), აღნიშნული თეორია ახლო აღმოსავლეთზეც გადმოიტანა[**24**] **(გურეშიძე, 2020).** მითუმეტეს, როცა ანალიტიკოსთა ნაწილი უკვე თვლის, რომ ტრანსფორმირებული ტალიბანი მშვიდობიანი

ავღანეთის საწინდარია ჩინეთისთვის, იგივე ლოგიკით მსგავსი სცენარი არ იქნება მიუღებელი სხვა რეგიონული აქტორებისთვისაც. თუ კი აღნიშნულს დავუმატებთ იმასაც, რომ ავღანეთის დროებითი მთავრობის ზემოთ ხსენებული აბდულ ღანი ბარადარი იმ პირთა შორის იყო, რომლებმაც თავის დროზე აღნიშნული ორგანიზაცია დააფუძნეს მულა ომართან ერთად. 2001 წელს აშშ-ისა და კოალიციური ძალების მიერ ტალიბების მმართველობის დამხობის შემდეგ, ბარადარი იყო იმ მცირე რიცხვოვანი დაჯგუფების წევრი, რომლებმაც ავღანეთის მაშინდელ დროებით ლიდერს ჰამიდ კარზაის მიმართეს პოტენციური გარიგებით, რომლის სანაცვლოდაც აღნიშნული ჯგუფი ცნობდა ქვეყნის ახალ ადმინისტრაციას. 2010 წელს ბარადარი დააკავეს პაკისტანში და პატიმრობაში იმყოფებოდა მანამ, სანამ აშშ-ის ზეწოლის შედეგად არ მოხდა მისი გათავისუფლება და შემდგომ იგი გადაყვანილ იქნა კატარში. ოდნავ მოგვიანებით აბდულ ღანი ბარადარი დაინიშნა ტალიბანის პოლიტიკური ოფისის ხელმძღვანელად და კურირებდა ავღანეთიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გასვლის შეთანხმების ხელმოწერას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ავღანეთის ეკონომიკა კოლაფსის წინაშე დგას [25](**Afghan,2021**). შესაბამისად ტალიბების მომავალი მმართველობისთვის აუცილებელია ინვესტიციები და ეკონომიკის გამოცოცხლება, ამისათვის მათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტორები უნდა დაარწმუნონ იმაში, რომ ავღანეთი არ გახდება ტერორისტული დაჯგუფებების თავშესაფარი და არც შიდა კონფლიქტების ხალი კერა. ამიტომ მათ მეტ-ნაკლებად უნდა დაიცვან ყველა შიდა აქტორის ინტერესი. ტალიბანმა ასევე უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ 1997 წელს, მათი მმართველობის დროს აშშ-სთან შეთანხმებული თურქმენეთ, ავღანეთ, პაკისტან, ინდოეთის მილსადენის ხელახალი პროექტის არსებობა მათზეა დამოკიდებული, რაც ქვეყანას დამატებით ინვესტიციებს მოუტანს [**26**] (**გურეშიძე, 2020**). შესაბამისად ლოგიკას მოკლებული არ იქნება დასკვნა იმაზეც, რომ ფანჯშერის პროვინციის ანტიტალიბური მოძრაობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიად დატოვება, რაც ავღანეთის დეფაქტო ფრაგმენტაციას გამოიწვევდა, სწორედ

რეგიონული აქტორების ინტერესებში არ შედიოდა. შესაბამისად აჯანყებულმა ძალებმა ვერავითარი ქმედითი მხარდაჭერა ვერ მიიღეს ავღანეთის საკითხებში ჩართული მსხვილი რეგიონალური მოთამაშეებისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Sabga P.** (2021). The US spent $2 trillion in Afghanistan – and for what? https://www. aljazeera.com/economy/2021/8/16/the-us-spent-2-trillion-in-afghanistan-and-for-what;
2. **Suliman, A.** (2021). Nearly 20 years of war, 10 days to fall: Afghanistan, by the numbers. https://www.washingtonpost.com/world/2021/08/20/afghanistan-war-key-numbers/;
3. **Gardner, F.** (2021). Afghanistan airport attack: Who are IS-K? https://www.bbc.com/news/world-asia-58333533;
4. **Tanzeem, A.** (2021). Taliban Claim Victory Over Resistance, but Massoud Vows to Fight. https://www.voanews.com/south-central-asia/taliban-claim-victory-over-resistance-massoud-vows-fight;
5. **Chugtai, A.** (2021). Who are the men leading the Taliban's new government? September 7, 2021. https://www.aljazeera.com/news/2021/9/7/who-are-the-men-in-the-taliban-acting-government
6. **Gureshidze, S.** (2020). **US-Taliban peace deal, successful move or the beginning of new challneges? გურეშიძე, ს.** (2020). აშშ-ტალიბანის სამშვიდობო შეთანხმება, წარმატებული ნაბიჯი თუ ახალი გამოწვევების დასაწყისი? 2020.https:// openjournals. ge/index.php/ hos/article/view/2752/2911;
7. **Taliban** announces new government in Afghanistan. (2021). https://www.aljazeera.com/ news/2021/9/7/taliban-announce-acting-ministers-of-new-government;
8. **Gureshidze, S.** (2013). „Taliban" and „the big game in Afghanistan". **გურეშიძე, ს.** (2013). „თალიბანი" და „დიდი თამაში" ავღანეთში. iliauni. edu.ge/wp-content/uploads/2017/04/N-3-2013.pdf;

9. **Gureshidze, S.** (2020). US-Taliban peace deal, successful move or the beginning of new challneges? **გურეშიძე, ს.** (2020). აშშ-ტალიბანის სამშვიდობო შეთანხმება, წარმატებული ნაბიჯი თუ ახალი გამოწვევების დასაწყისი?https://openjournals.ge/index.php/hos/a rticle/view/2752/2911;
10. **Afghan** peace deal: Trump says Taliban talks are 'dead'. (2019). https:// www.bbc.com/ news/world-us-canada-49642655;
11. **Khattak, D.** (2019). The Taliban's Diplomatic Reemergence. https:// thediplomat. com/2019/ 10/the-talibans-diplomatic-reemergence/;
12. **Gohel, A. M.** (2021). The Taliban Are Far Closer to the Islamic State Than They Claim. https://foreignpolicy.com/2021/08/26/afghanistan-kabul-airport-attack-taliban-islamic-state/;
13. **Khattak, D.** (2019). The Taliban's Diplomatic Reemergence. https://thediplomat.com/2019/10/the-talibans-diplomatic-reemergence/;
Hussain, K. (2020). Why the Taliban Won't Cut Ties with Iran. https://thediplomat.com /2020/ 02/why-the-taliban-wont-cut-ties-with-iran/?fbclid=IwAR2pCQacNK1kRI4bZibccb4Npmx7S Mjo2RrATaDnoVO1PTnknSsF7QXvKdc;
14. **Afghanistan** may see more Turkish business if stability is assured. (2021).https://www.dailysabah.com/business/economy/afghanistan-may-see-more-turkish-business-if-stability-is-assured? fbclid =IwAR0gaMqzrruw24xqsxnrqUt-PkxasQ7cNuvmeEtpLbz4K8 MDRqgPuOX4CBw;
15. **Gureshidze, S.** (2020). US-Taliban peace deal, successful move or the beginning of new challneges? **(გურეშიძე, ს.** (2020). აშშ-ტალიბანის სამშვიდობო შეთანხმება, წარმატებული ნაბიჯი თუ ახალი გამოწვევების დასაწყისი? https://openjournals.ge/ index.php/ hos/article /view/2752/2911;
16. **Khan, S.** (2021). How the Taliban's Afghanistan takeover could hurt US-Pakistan ties. https://www.dw.com/en/how-the-talibans-afghanistan-takeover-could-hurt-us-pakistan-ties/a-58971659?fbclid=IwAR3Ly6SWfGFt56S2SV_yUAlRMS_U0ljOezA Th7Ks5TxIkR5uHomfnDccjpc;

17. **Vidon, T.Sh.** (2021). Qatar emerges as central player in West's relationship with Afghanistan. https://www.france24.com/en/middle-east/20210905-qatar-emerges-as-central-player-in-west-s-relationship-with-afghanistan;
18. **Qatari** aircraft carrying technical team lands in Kabul airport. (2021).https://www.dailysabah.com/wor ld/asia-pacific/qatari-aircraft-carrying-technical-team-lands-in-kabul-airport?f bclid =IwAR0eIFbYGfhauOdQhH2uXsbxH3Xb6WG-dLxLD29mzbCffq dXY0X5mw ZguVs;
19. **Kabul** airport reopens to receive aid: Qatar's Afghanistan envoy. (2021).https://www.dailysabah.com/world/asia-pacific/kabul-airport-reopens-to-receive-aid-qatars-afghanistan-envoyfbclid =IwAR2DWkR5YzM03PRQK0P0AzzVt3B8Xzsu7L-iMc7 5eIy V_5Oa1J9Jg0 8E6eU;
20. **Afghanistan:** What was left behind by US forces? (2021). https://www.bbc.com/news/world58393763?at_medium=custom7 &at_campaign=64&at_custom2=facebook_page&at_custom4=FAC 9FA14-0A66-11EC-9B3541303A982C1E&at_custom3=BB C+ Ne ws&at_custom1=%5Bpost+ type%5D&f bclid=IwAR09eujA CiQUcAxX0DElyORYX88aUl6wKWTSmeadl-FdVoMTpc-mRYBIIj0;
21. **Azami, D.** (2021). Do you know How Rich is Taliban? Find out here.https://militaryview.com/do-you-know-how-rich-is-tal iba n/?fbclid=IwAR0rktGJhHghWX3hpXGaBONF-hoZjj4B_O7Z WOz5XfWGOO69eUl1P_IiIu4;
Azami, D. (2021). Afghanistan: How do the Taliban make money? https://www.bbc. com/news/world-46554097;
22. **Cockburn, P.** (2016). The Age of Jihan-Ilsmaic State and the great war for the Middle East. NY: Verso, Page: 431-432.;
23. **Gureshidze, S.** (2019). Libya and the Impact of Tribal Conflict on the "Arab Spring. https://www.tsu.ge/asse ts/media/files/48/ konferenciebi/Politika_Kavkasiis_Garshemo_5.pdf;
24. **Mallet, V.** (2021). Why France was more clear-eyed about Afghanistan than the US. https://www.ft.com/content/fcf46b6d-f650-482b-8a7a-f862cb4f3626;

25. **Suri, J.** (2021). Why Afghanistan's Tribes Beat the United States Tightly bound kinship networks aren't vestiges of the pas. https://foreignpolicy.com/2021/08/16/afghanistan-taliban-tribes-state-withdrawal/;
26. **Guგreshidze, S.** (2020). The model of Big power management in Syria on the example of Iran-Turkey relations. **გურეშიძე, ს.** (2020). დიდ სახელმწიფოთა მმართველობის მოდელი სირიაში, ირან-თურქეთის ურთიერთობის მაგალითზე. https://iliauni.edu.ge/uploads /other/58/58647.pdf;
27. **Afghan** economy likely to collapse after chaotic US exit. (2021). https://www.dailysabah.com/business/economy/afghan-economy-likely-to-collapse-after-chaotic-us-exit?fbclid=IwAR29UlFDvNKq0CSMD0KohkgjZLPH6NW26yM2FWRgjQ-3E1YRda7xYQ9M-QE;
28. **Gureshidze, S.** (2020). US-Taliban peace deal, successful move or the beginning of new challneges? **გურეშიძე, ს.** (2020). აშშ-ტალიბანის სამშვიდობო შეთანხმება, წარმატებული ნაბიჯი თუ ახალი გამოწვევების დასაწყისი?https://op enjournals. ge/index.php /hos/article/view/2752/2911.

Return of the Taliban – Preconditions and the interests of regional key players

Simon Gureshidze
Ilia state university. G. Tsereteli
Institute of Oriental Studies. Georgia.
ORCID identifieris 0000-0002-9545-8238
simongureshidze@gmail.com
59556612

Abstract

The article discusses and analyzes the current situation in Afghanistan. The military operation launched by the United States against the Taliban in this country in 2001, after 20 years ended with the return of this movement. The United States has spent 2.26 $ trillion over the past two decades in Afghanistan to eliminate a variety of challenges facing the country, one of these efforts included training and arming the 300,000-strong Afghan army. However, contrary to expectations, the army was reluctant to resist the Taliban, and the movement soon gained control of the entire country and the capital Kabul, which eventually ended with the departure of President Ashraf Ghani and new caretaker government was announced by the Taliban.

Because of these reasons, world's attention remains focused on Afghanistan. Particular interest is the development of events in this country and throughout the region. One of the main question is, will this country become a polygon of terrorist organizations again or a center of confrontation between various ethnic and religious groups during the reign of the Taliban? Therefore, the purpose of the article is to rethink and analyze the situation in Afghanistan before withdrawal of the US troops.

Accordingly, the article discusses the Taliban interim government and brief characteristics of its members. Preconditions for the withdrawal of US troops. The interests of the Taliban, internal Afghan and regional actors: the Taliban, the Haqqani network, the Islamic State of Khorasan Province, the influence and factor of the sheikhs of the local tribes, the phenomenon of Panjshir Province. Also the interests of Russia, China, Iran, Pakistan, Turkey, Qatar. Weapons and sources of funding in the hands of the Taliban since the withdrawal of U.S. troops.

The final section and conclusion broadly outline the main arguments why the Taliban could be an acceptable force for control of Afghanistan for the US and for the listed regional actors, and was the interests of the regional key players the main reason for the fall of Panjshir province.

Keywords: USA, Taliban, internal and regional actors, Pnjshir province.

თურქეთი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე

ზაზა ბერიძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი
საქართველო, ბათუმი
ORCID identifieris 0000-0002-4876-0434
zazaberidze@bsu.edu.ge
591985810

აბსტრაქტი

XX საუკუნის 20-იან წლებშ თურქეთში დაწყებულმა მოვლენებმა, კერძოდ ქემალ ათათურქის გაპრეზიდენტებამ და მის მიერ თურქეთის რესპუბლიკის შექმნამ და თურქი ერის ახალ ევროპულ ვექტორზე გადაყვანამ საფუძველი ჩაუყარა თურქეთ ევროპის შემდგომი ურთიერთობის გაღრმავებას. თურქეთ ევროკავშირის ურთიერთობები ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში არსებულ, თურქეთ ევროპის თანამეგობრობასთან ურთიერთობით იწყება; რომლის წევრობაზეც თურქეთმა განაცხადი ჯერ კიდევ 1987 წელს შეიტანა. ევროკავშირში გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით თურქეთმა 1990-იან და 2000-იან წლებში არაერთი რეფორმა გაატარა, რამაც შედეგიც გამოიღო და 1995 წლის მიწურულს თურქეთი გახდა ევროპის საბაჟო კავშირის წევრი. მიუხედავად ამისა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას იმთავითვე დიდი წინააღმდეგობები შეხვდა, საუკუნის მიწურულს, ჩატარებულმა ლუქსემბურგის, კარდიფის და ჰელსინკის სამიტებმა, რომელზეც განიხილებოდა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება შედეგი ვერ გამოიღო, რაც გახდა კიდეც თურქეთის უკმაყოფილების მიზეზი.

2002 წლის შემდეგ, ხელისუფლებაში სამართლიანობისა და აღმავლობის პარტია მოვიდა. რომელიც ამ პერიოდში თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციას საკუთარ პოლიტიკურ პრიო-

რიტეტად აცხადებდა და ამგვარად, აქტიურად გააგრძელა რეფორმის პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა ფართო მასშტაბიან საკონსტიტუციო და ზოგად საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლის საშუალებითაც თურქეთი უნდა გამხდარი იყო ევრო კავშირის წევრი.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას, რიგი დამაბრკოლებელი საშინაო თუ საგარეო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხები უშლიდა ხელს. მაგალითად, ისეთები როგორიც იყო, საბერძნეთის პოზიცია და კვიპროსის საკითხი, თურქეთის ეკონომიკური არასტაბილურობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ასევერიგი ევროპის ქვეყნები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ უფრთხოდნენ თურქეთის სიდიდის ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის შემთხვევაში მისი როლის მნიშვნელოვან ზრდას შიდაევროპულ საქმეებში, ასევე თვლიდნენ, რომ თურქეთი, რელიგიური, კულტურული თუ სხვა ფაქტორების გამო განსხვავდებოდა ევროკავშირის გქვეყნებისაგან. ამდენად თურქეთის მრავალწლიანი მცდელობა ევროკავშირში გაწევრიანებისა ზემოთაღნიშნულმა ფაქტორებმა შეაფერხა.

საბოლოოდ 2016 წლის 15 ივლისის შემდეგ დაწყებული რეპრესიების და თურქეთის ავტორიტარულ საპრეზიდენტო სისტემაზე გადასვლისას, ევროკავშირმა თურქეთს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა, ხოლო 2019 წლის მარტში ევროპარლამენტმა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების შეჩერებას დაუჭირა მხარი. მიუხედავად დღეს არსებული ურთიერთობისა,სადაც აშკარად ჩანს, რომ თურქეთის სწრაფვა ევროკვშირში გაწევრიანებაზე შფერხეფულია, ვფიქრობთ ამ ორ სუბიექტს შორის მჭიდრო კავშირები მაინც შენარჩუნდება, რაც როგორც თურქეთისთვის ისე ევროპის ქვეყნებისათვის მეტად ხელსაყრელი იქნება.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, ევროკავშირი.

შესავალი

თურქეთ - ევროკავშირის ურთიერთობების საკითხების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სწორედ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში თურქეთსა და ევრო კავშირს დაეძაბათ და გაურთულდათ ურთიერთობები, რაც საქართველოსთვის ნიშანდობლივი და დამაფიქრებელია, რად-

განაც თურქეთიც და ევროკავშირიც საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორები არიან.

როგორც ევროკავშირს თურქეთთან, ასევე თურქეთსაც გააჩნია საკუთარი ინტერესები ევროკავშირთან. ძირითად ინტერესთა სფეროს სწორედ ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს.და ასევე ის არსებული ენერგო რესურსები რომელიც თურქეთის გავლით გაედინება ევროპაში. თურქეთის მრავალმხრივი მცდელობა გამხდარი იყო ევროკავშირის წევრი კრახით დასრულდა.

თურქეთ - ევროკავშირისურთიერთობების შესწავლას თანამედროვე ეტაპზე ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა, არ მოგვეპოვება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფუნდამენტური სამეცნიერო შრომები.

წინამდებარე სტატიაში პრობლემას უწყვეტ ჯაჭვში განვიხილავთ თურქეთ - ევროკავშირის ურთიერთობის განვითარების ასპექტებს, რაც საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვადგინოთ როგორც საკითხის ისტორიული ასპექტი, ისე მისი დღევანდელი რეალობა. ჩვენ შევეცადეთ მკვეთრი ზღვარი გაგვევლო იმ პრობლემებზე, რომლებმაც აქტიურად იჩინეს თავი თურქეთ - ევროკავშირის ურთიერთობებზე თანამედროვე ეტაპზე.

მეთოდი

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია თურქეთ - ევროკავშირის ურთიერთობები საუკუნის მიჯნაზე და დღეს. ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

შედეგები

თანამედროვე ეტაპზე თურქეთ-ევროკავშირის საკითხის შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა, ნათლად გაგვეაზრებინა ამ ორი სუბიექტის ურთიერთობების საკვანძო საკითხები და ისტორიული ასპექტები.

სტატიაში გამიჯნულია თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობის დაწყებისა და განვითარების ეტაპები და ახლებურადაა წარმოდგენილი თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა.

მსჯელობა

თურქეთ ევროკავშირის ურთიერთობები ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში არსებულ, თურქეთ ევროპის თანამეგობრო-

ბასთან ურთიერთობით იწყება; რომლის წევრობაზეც თურქეთმა განაცხადი ჯერ კიდევ 1987 წელს შეიტანა , ევროპის ეკონომიკური კავშირის შეთანხმების თანახმად ამის გაკეთების უფლება ყველა ევროპულ სახელმწიფოს ქონდა საბჭომ თურქეთის განცხადება იმავე წლის 27 აპრილს დასკვნის მოსამზადებლად კომისიას გადაუგზავნა, ამგვარი გადაწყვეტილება თურქეთისთვის იმედის მომცემი იყო.კომისამ თავისი დასკვნა 1989 წლის 18 დეკემბერს მოამზადა, მასში ნათქვამი იყო, რომ არსებულ რეალობაში თურქეთთნ გაწევრიანობაზე მოლაპარაკება ნაადრევი იყო. კომისიამ მოიყვანა,როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური მიზეზები. ასევე საბერძნეთსა და თურქეთს შორის დავის არსებობა. კვიპროსში არსებული მდგომარეობა. კომისიის დასკვნაში ეკონომიკური პრობლემები შემდეგი სახით იყო მოცემული.

- სტრუქტურული უთანასწორობა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში.
- მაკრო ეკონომიკური ბალანსი.
- სამრეწველო პროდუქციაზე მაღალი ხარისხის პროტექციონიზმი.
- სოციალური დაცვის დაბალი ხარისხი.

1990 წლის 5 თებერვალს კომისის დასვნა საბჭომ დაამტკიცა, რომლის თანახმად თურქეთი შესაფერისი გარემოს შექმნის შემდეგ მიიღებდა ევროკავშირის წევრობას. ევროკავშირში გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით თურქეთმა 1990-იან და 2000 იან წლებში არაერთი რეფორმა გაატარა.რამაც გარკვეულ წილად შედეგი გამოიღო და 1995 წლის 13 დეკემბერს ევროპარლამენტა საბაჟო კავშირის შექმნას მწვანე შუქი აუნთო, საბაჟო კავშირის შეთანხმება ძალაში 1996 წლის 1 იანვარს შევიდა, შეიქმნა საბაჟო კავშირის ერთობლივი კომიტეტი. საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ 1996 წელს თურქეთის იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან მნიშვნელოვნად გაიზარდა. საბაჟო კავშირის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პროდუქცია ევროკავშირსა და თურქეთს შორის თავისუფლად გადაადგილდება. საბაჟო კავშირი თურქეთსა და ევროპის კავშირის დაახლოებაში გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იყო თურქეთთან დაახლოებით ევროპის კავშირმა ისლამურ სამყა-

როს აჩვენა, რომ ინტეგრაციისათვის რელიგიური განსხვავება არ არის ხელის შემშლელი ფაქტორი, თავის მხრივ თურქეთში განმტკიცდა ევროპისაკენ სწრაფვა. თურქეთში დემოკრატიული რეფორმების გატარებისათვის საბაჟო კავშირი შესანიშნავი სტიმული იყო, რამაც დასავლეთთან ინტეგრაციის მომხრეებს პოლიტიკური ბერკეტი მისცა. თურქეთის ევროკავშირისკენ სვლის ერთ ერთ შემაფერხებელ ფაქტორად იქცა 1996 წელს წამოჭრილი თურქეთ საბერძნეთის პრობლემა, ასევე მნიშვნელოვან შემაფერხებელ რგოლად განიხილებოდა კვიპროსის პრობლემა და ადამიანთა უფლებების დაცვა თურქეთში.

თურქეთ ევროკავშირის აქტიურ ურთიერთობაზე საუბრისას ათვლა 1997 წლის დეკემბრის ლუქსემბურგის სამიტიდან უნდა დავიწყოთ. ეს სამიტი მნიშვნელოვანი ათვლის წერტილი იყო, ასევე მომდევნო კარდიფისა და ჰელსინკის სამიტები თურქეთ ევროკავშირის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თურქეთი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე უკმაყოფილო იყო იმით, რომ მან ჯერ კიდევ 1959 წელს გამოთქვა სურვილი ევროპასთან ინტეგრაციის. ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომელთაც საუკუნეს მიწურულს დაიწყეს ეს პროცესი უფრო მიუახლოვდნენ ევროპას ვიდრე თურქეთი. ეს აშკარად სწორედ ლუქსემბურგის სამიტზე გამოჩნდა სადაც ევროპის მიერ მომავალი გაფართოვების პროცესიდან თურქეთი გამოირიცხულ იქნა. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ თურქეთი კვლავ განმცხადებელ სახელმწიფოდ დარჩა და არა როგორც სხვები, სრულუფლებიანი კანდიდატი. ლუქსემბურგის სამიტის შემდეგ თურქეთის ლიდერების უკმაყოფილებამ და ხისტმა პოზიციამ შედეგი გამოიღო და1999 წლის 10 დეკემბერს თურქეთს კანდიდატის სტატუსი მიენიჭა.მიუხედავად იმისა რომ ჰელსინკის შეთანხმება თურქეთისთვის არ იყო სრულად მისაღები და უფრო მეტს ითხოვდნენ ამ შეთანხმებიდან, ნებისმიერ შემთხვევაში ჰელსინკის შეთანხმება თურქეთ - ევროკავშირის ურთიერთობაში ერთგვარი წყალგამყოფი გახდა, რომელმაც გარკვეულ წილად განსაზღვრა ამ ორი სუბიექტის მომავალი. და ასევე გავლენა მოახდინა თურქეთის შიდა განვითარებაზეც **(სურმავა,2013:3).**

ხოლო 1999 წელს თურქეთი ოფიციალურად გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. თურქეთის ევროპასთან დაახლოებაში, ეკონომიკურის გარდა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკური ფაქტორები, მათ შორის 1990 წელს, სამხრეთ კვიპროსის მიერ შეტანილი განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში თურქეთმა არაერთი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმა გაატარა , რომლებმაც უფრო დიდ მასშტაბებს 2002 წლის შემდეგ მიაღწია, როცა ხელისუფლებაში სამართლიანობისა და აღმავლობის პარტია მოვიდა. რომელიც ამ პერიოდში თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციას საკუთარ პოლიტიკურ პრიორიტეტად აცხადებდა და ამგვარად, აქტიურად გააგრძელა რეფორმის პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა ფართო მასშტაბიან საკონსტიტუციო და ზოგად საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა პირველი პაკეტიც 2004 წელს შევიდა ძალაში **(ხოზრევანიძე, 2019:63).**

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა პროცესის ფორმალურ მხარესაც, მაგალითად 2011 წელს დაარსდა ევროკავშირის სამინისტრო. მიუხედავად თურქეთის მცდელობისა, ევროინტეგრაციის პროცესი საკმაოდ პრობლემატური იყო, პირველ რიგში ევროპის ქვეყნებისთვის, რომლებიც, გარდა იმისა, რომ უფრთხოდნენ თურქეთის სიდიდის ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის შემთხვევაში მისი როლის მნიშვნელოვან ზრდასშიდაევროპულ საქმეებში, ასევე თვლიდნენ, რომ თურქეთი, რელიგიური, კულტურული თუ სხვა ფაქტორების გამო განსხვავდებოდა ევროკავშირის გქვეყნებისაგან, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას, გარდა მისი ტრადიციული ოპონენტის - საბერძნეთისა, ასევე სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ევროპის კონსერვატიული და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიები და ნიშანდობლივია, რომ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საწინააღმდეგო პირველი სერიოზული განცხადება 1997 წელს, ბრიუსელში ჩატარებულ ქრისტიან - დემოკრატიული პარტიების სამიტზე გაჟღერდა. ამ და მსგავსმა განცხადებებმა, თავად თურქეთშიც გააჩინა აზრი, რომ ევროკავშირი „ქრისტიანული კლუბი“ გახლდათ და თურქეთთან მიმართებაში ევროპის ქვეყნების პოზიციაზე რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. თურქეთის ეჭვები, რომ ევროკავშირი დიდად მოწადინებული

არ იყო თურქეთი საკუთარ რიგებში მიეღო, განსაკუთრებით გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ყოფილი აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნები - ბუგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი და სხვები ევროკავშირის წევრები გახდნენ. თურქეთის ხელისუფლებამ და საზოგადოებამ, ეს რელიგიურ და კულტურულ დისკრემინაციად აღიქვა, მით უფრრო იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთი უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ევროპასთან დაახლოების პოლიტიკას ატარებდა და მის ფარგლებში არაერთი რეფორმა გაატარა. ევროკავშირის მიერ გაცხადებული ოფიციალური მიზეზები იმის თაობაზე თუ რატომ არ იყო თურქეთი მზად გამხდრი იყო ევროკავშირის წევრი სხვადასხვანაირი იყო **(2,2000:5).**

ქრისტიან-დემოკრატიული და ევროპული ტრადიციონალისტური მოძრაობები მიიჩნევდნენ, რომ თურქეთი არ მდებარეობდა ევროპაში და კულტურულ-რელიგიური კუთხით ახლო აღმოსავლეთის ნაწილი იყო. თუმცა ოფიციალურად, მთავარი მიზეზები გახლდათ ადამიანის უფლებების დარღვევა თურქეთში, თავდაპირველად ქურთებთან ან მორწმუნე მუსლიმებთან მმართებაში, კვიპროსის საკითხი და მოგვიქანებით განსაკუთრებით 2016 წლის 15 ივლისის მოვლენების შემდეგ, ასევე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტორიც, რომ თურქეთის ხელისუფლება, ევროკავშირის მოთხოვნებს რეფორმების გატარებასთან დაკავშირებით ხშირად საკუთარი ინტერესებისათვის იყენებდა და მათი საშვალებით ქმნიდა ნიადაგს ქვეყნის შიგნით საკუთარი პოლიტიკური გავლენის გასაზრდელად საჭირო მანევრების ლეგიტიმაციისათვის. მაგალითად, სწორედ ევროკავშირის ფაქტორი იქნა გამოყენებული ე.წ. ერგენეკონის პროცესისათვის პოლიტიკური ლეგიტიმაციის მისაცემად. ევროკავშირი აუცილებელ პირობად აყენებდა შეირაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის ჩამოყალბებას და სწორედ ეს მოთხოვნა, კარგად იქნა გამოყენებული იმ პერიოდში დიდი პოლიტიკური გავლენის მქონე თურქეთის შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიზაციისათვის **(მანჩხაშვილი, 2014:85).**

ევროკავშირი ასევე შეშფოთებას გამოთქვამდა თურქეთში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევის, ცენზურის, ეკონომიკური არასტაბილურობის და ადამია-

ნის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვაასხვა პრობლემების გამო. 2013 წლის გეზის პარკის მოვლენებისა და თურქეთში მზარდი ავტორიტარული ტენდენციების ფონზე ჩანდა, რომ უკვე თავად თურქეთიც იცვლიდ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს. საბოლოოდ 2016 წლის 15 ივლისის შემდეგ დაწყებული რეპრესიების და თურქეთის ავტორიტარულ საპრეზიდენტო სისტემაზე გადასვლისას, ევროავშირმა თურქეთს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა, ხოლო 2019 წლის მარტში ევროპარლამენტმა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების შეჩერებას დაუჭირა მხარი.

დასკვნა

მიუხედავად დაძაბული ურთიერთობისა , ევროკავშირი და თურქეთი იძულებულნი არიან ითანამშრომლონ ფუნდამენტალურ საკითხებზე.შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტნიორობა. ევროკავშირისთვის თურქეთის სრულად იზოლაცია არახელსაყრელია, რადგანაც თურქეთი დიდ წილად აკონტროლებს შავ და ხმელთაშუა ზღვებს და აბალანსებს რუსეთს რეგიონში. ამავ დროს თურგეთი ერთ-ერთი უმთავრესი ენერგო გზაგამტარია, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ევროპისათვი.

თავის მხრივ თურქეთსაც გააჩნია საკუთარი ინტერესები ევროკავშირთან. მისთვის პრიორიტეტულია სტრა¬ტეგიული პარტნიორობა და არსებული პროექტები. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური პროექტები, ევროპის საბაჟო კავშირის წევრობა, რომელიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ დოვლათს ქმნის თურქეთისათვის.

როგორც ავღნიშნეთ თურქეთის მთავარი ფაქტორი, რომელიც მას აიძულებს ითანამშრომლოს ევოკავშირთან ეკონომიკაა. ევროკავშირი თურქეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია; მაგალითად, 2018 წელს, თურქეთის მიერ ექსპორტირებული პროდუქცის ნახევარი ევროკავშირის ქვეყნებში გავიდა. ასევე თურქეთისთვის დიდ მნიშვნელობას ატარებს ის თანხა, რომელსაც ევროკავშირის ქვეყნები 2016 წელს დადებული შეთანხმების საფუძველზე , თურქეთს უხდიან, რომ ამ უკანასკნელმა დააბრკოლოს სირიელი თუ სხვა არაევროპელი დევნილებისა და შრომითი მიგრანტების მიერ ევროკავშირის საზღვრების გადა-

კვეთა. ანუ თურქეთი მაქსიმალურად ჩაუკეტავს საზღვრებს პოტენცურ არალეგალურ მიგრანტებს და დათანხმდება მათ რეპატრიაციას ვინც გარკვეულ პერიოდამდე თურქეთიდან არალეგალურად გადკვეთა ევროკავშირის საზღვრები, სანაცვლოდ კი, ეტაპობრივად 6 მილიარდი ევროს ოდენობის ფულად დახმარებასთან ერთად, იგი მიიღებს ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის უფლებას და ასევე თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებულ გარკვეულ შეღავათებს. მართალია შეთანხმება ერთი შეხედვით წარმატებული გამოდგა მაგრამ იგი მალევე იქცა თურქეთის ხელისუფლების ხელში შანტაჟის იარაღად და თურქეთის პრეზიდენტი ევროპისაგან ფინანსური ან სხვა სახის მხარდაჭერის სანაცვლოდ, დევნილების ფაქტორს ხშირად ევროპის ქვეყნების დასაშანტაჟებლად იყენებს. ამგვარ ხისტ დამოკიდებულებას კი კვლავ ჩიხში შეჰყავს პროცესი, რომელსაც თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციას ვუწოდებთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Manchkhashvili, m. (2014). turqetis sagareo politika 1990-2008. Tbilisi. (მანჩხაშვილი, მ. (2014). თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008. თბილისი);
2. Saqartvelos strategiuli kvlevebisa da ganvitarebis erovnuli centri, (2000) Turqet evrokavshiris urtiertobebi, Biuleteni №41. Tbilisi. (საქართველოს სტრატეგიისა კვლევებისა და განვითარების ეროვნული ცენტრი, თურქეთ ევროკავშირის ურთიერთობები, ბიულეტენი №41. თბილისი;
3. Khozrevanidze, l. (2019). Turqetis Sagareo Politikis Aspeqtebi. Tbilisi. (ხოზრევანიძე,ლ. (2019). თურქეთის საგარეო პოლიტიკის ასპექტები. თბილისი;
4. Surmava, Teona. (2013). Turqetis Evro Kavshirtan Urtiertoba da Regionuli Lideroba. Tbilisi, 9 marti, 2013. http://ydcgblog. blogspot. com/2013/03/blog-post.html; (სურმავა.თ, (2013). თურქეთის ევროკავშირთან ურთიერთობა და რეგიონული ლიდერობა. 9 მარტი, 2013 წელი. http://ydcgblog. blogspot. com/ 2013 /03/blog-post.html.;

Turkey on the road to European Union

Zaza Beridze
Academic Doctor of History
Georgia, Batumi
ORCID identifieris 0000-0002-4876-0434
Zazaberidze@bsu.edu.ge
591985810

Abstract

The relationship between Turkey and European Union was started by the commonwealth relationship between Turkey and Europe and Turkey applied for its membership yet in 1987. The committee has prepared its resolution on December 18, 1989 in which it was stated that the negotiation with Turkey on becoming a member was premature. The committee brought the economic, as well as the political reasons for that, also the fact that there was a dispute between Turkey and Greece and the existing events in Cypress. On February 5, 1990 the committee approved the resolution, according to which Turkey would become a member of the European Union after creating the appropriate environment.

In order to meet the necessary criteria for becoming a member of the European Union Turkey has carried out several reforms in 1990s and 2000s that were successful to some degree and on December 13, 1995 the Euro parliament gave the green light to the creation of the customs union. The customs union was a serious step toward Turkey and the European Union getting closer. By getting closer to Turkey the European Union showed the Islamic world that religion is not a hindering factor for the integration. In turn, an aspiration to Europe was strengthened in Turkey. The customs union was an excellent incentive for passing democratic reforms in Turkey that gave political leverage to the supporters of integration in the west.

During talking about the relationship between Turkey and European Union we should start counting from the Luxemburg summit of December of 1997. This summit was a significant starting point. The following summits that were held in Cardiff and Helsinki

were also significant steps forward.In the process of integration in the European Union, Turkey has passed several economic and political reforms that gained the big scales after 2002 when Justice and Development Party came to power that was declaring the integration of Turkey into the European Union as its political priority and has actively continued the reforms, which included the wide-scale constitutional and general legal changes and their first package was enforced in 2004.

Despite Turkey's attempts, the Euro integration process was so problematic first of all for European countries. In the case of integration of a large country like Turkey, they besides were afraid of significantly increasing its role in the internal affairs of Europe, they also thought that Turkey was different from the European Union countries due to religious, cultural, or other factors. These and similar statements created the thought in Turkey that the European Union was a "Christian Club" and the religion was playing a significant role in determining the position of the European countries with regard to Turkey.

Finally, when Turkey has transferred toward the authoritarian presidential system after the repressions that started on July 15, 2016 the European Union stopped sending the financial help to Turkey and in March of 2019 the European Parliament supported suspension of the negotiations on Turkey membership in the European Union.Despite the tense relationship the European Union and Turkey are forced to cooperate on the basic issues. It can be said that the political partnership is very important for both parties.

Full isolation from Turkey is not desirable for the European Union, because Turkey controls large parts of Black and Mediterranean seas and balances Russia in the region. At the same time Turkey is one of the main energy pass way that is vitally important to Europe. Turkey has in turn its interests with the European Union. The strategic partnership and existing projects have high priority for Turkey. We mean the economic projects, membership of the European Customs Union that creates a significant economic welfare for Turkey.

As we mentioned the main factor for Turkey that forces it to cooperate with the European Union is the economy. The European Union is a large trading partner for Turkey. For example half of the goods exported from Turkey were exported to the European Union in 2018. The amount the European Union countries pay to Turkey on the basis of the agreement made in 2016 in order to stop Syrian or other non-European labor immigrants from passing borders of the European Union is also very important. Turkey will close the borders to potential illegal migrants and will agree on repatriation of the individuals for certain period who illegally cross the European Union borders, in exchange Turkey will receive 6 billion Euros in different stages, together with the non-visa movement right to the European Union countries and certain advantages in the process of Turkey becoming a member of the European Union. It is true that at one glance the agreement turned out to be successful, but it soon became a blackmail tool for the Turkish government and the president of Turkey often uses the migrant factor to blackmail the European Union countries in order to receive financial or other kind of support. Such strict attitude brings the process that we call the integration to the European Union to a dead end.

Keywords: Turkey;European Union.

ლაზები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეთნოკულტურული ასპექტები)

ლუკა თანდილავა
თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული და
სოციალური ანთროპოლოგიის მაგისტრანტი
Orcid.org/0000-0003-3593-6661
lukatandilava@gmail.com
555412556

აბსტრაქტი

ლაზები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეთნოკულტურული ასპექტები)“ - მიზანი და ამოცანაა გააცნოს მკითხველს აჭარაში მცხოვრებ ლაზთა ტრადიციული ყოფის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეთნოკულტურული ასპექტები. ნაშრომში, საველე-ეთნოგრაფიული მასალებისა თუ წერილობით წყაროებთან შედარების მეშვეობით, გაანალიზებულია აჭარაში მცხოვრებ ლაზთა მატერიალური თუ სულიერი კულტურის და, საერთოდ, ტრადიციული ყოფის სხვადასხვა ასპექტი. კერძოდ, დასახლების გეოგრაფიული არეალი, სტრუქტურა, სოფლის ტოპონიმიკა და ისტორია, ლაზური სახლის ეთნოგრაფიული თავისებურება. გაანალიზებულია ლაზური სამზარეულოს სპეციფიკა და თევზის განსაკუთრებული ადგილი ლაზურ სამზარეულოში.

ნაშრომი ძირითადად აგებულია საველე კვლევაზე, რომელიც ჩემს სოფელ - სარფში ჩავატარე. საველე კვლევების განმავლობაში შევხვდი სოფლის უხუცესებს, რომლებთანაც მქონდა საუბარი ჩემი საკვლევი საკითხების ირგვლივ და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით შევასრულე თემა.

ნაშრომში მაქვს გამოყენებული მდიდარი ვიზუალური მასალა, რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ეთნოლოგიური კვლევის პროცესში სათანადო ილუსტრაციების ჩართვა, საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: ლაზები; აჭარა; ეთნოგრაფია.

შესავალი

ლაზები/ჭანები/ ერთ-ერთი ძველი და ძლიერი ქართული თემია, რომელიც ოდითგანვე წამყვან როლს ასრულებდა საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში. ლაზთა უმეტესობა ამჟამად ქართული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაა მოქცეული, მაგრამ მეტყველებით, ისტორიითა და კულტურით ისინი ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

დღეს ისტორიული ჭანეთის (ლაზეთი) ნაწილი შედის საქართველოს შემადგენლობაში (ხელვაჩაურის რაიონი) და თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილში შემავალ რაიონებში - ხოფის, ბორჩხისა და არჰავის ილჩეებში. ასევე, რიზეს ილის, ფინდიკლის, არდაშენის, ფაზარისა და ჩამლიჰემშინის ილჩეებში. ჭანეთში ტოპონიმიისა და მიკროტოპონიმიის უდიდესი ნაწილი ქართველურია, თუმცა, ქართული რუკებისგან განსხვავებით, თურქულ რუკებზე ამჟამად სრულიად გამქრალია ქართველური ტოპონიმია **(თანდილავა, ლაბაძე, ფუტკარაძე, 2005).**

ერთ-ერთი ადგილი საქართველოში, სადაც დღეს ლაზებს შეხვდებით არის სოფელი სარფი. სწორედ აქ ცხოვრობენ „ლაზები - მელითონეობის საქმის ოსტატები, ლაზები - საუკეთესო ხითხუროები და ქვითხუროები, ხისა და ქვის განთქმული მეჩუქურთმენი, ეკლესია-მონასტრების მშენებელნი, გამორჩეული ნავთმშენებელნი, მამაცი ნაოსნები და მეზღვაურები, კარგი მხვნელ-მთესველები საქართველოში სიმინდის შემომტანი და გამავრცელებლები, თამბაქოს მოვლა-მოყვანის სპეციალისტები“.

ლაზები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეთნოკულტურული ასპექტები) საკითხების შესწავლას თანამედროვე ეტაპზე ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა, და იშვიათად გვხვდება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფუნდამენტური სამეცნიერო შრომები.

წინამდებარე სტატიაში ლაზები აჭარაში, მის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ეთნოკულტურულ ასპექტების ანალიზს უწყვეტ ჯაჭვში განვიხილავთ, რაც საშუალებას გვაძლევს ნათლად წარმოვადგინოთ როგორც საკითხის ისტორიული ასპექტი, ისე მისი დღევანდელი რეალობა. მკითხველის განსასჯელია, თუ რამდენად შევძელით ეს.

მეთოდი

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდით შესწავლილია ლაზები აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეთნოკულტურული ასპექტები). ნაშრომი დაფუძნებულია საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე და ძირითადად საველე კვლევაზე.

შედეგები

ლაზები აჭარაში საკითხების შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა, ნათლად გაგვეაზრებინა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეთნოკულტურული საკვანძო საკითხები და ისტორიული ასპექტები.

მსჯელობა

1921 წელს, ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე, სარფი ორ ნაწილად გაიყო, დადგენილების მიხედვით საზღვარი მდინარე ტიბაშზე გაივლო. თურქეთის მხარეს დარჩენილ ტერიტორიასაც სარფი ეწოდება. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სარფი შორეულ წარსულში სამ ნაწილად იყოფოდა: მოლენი (გამოღმა), მელენი (გაღმა) და მეზრე **(სიხარულიძე, 1977:34)**. გაყოფის შემდეგ მელენი და მეზრე თურქეთის ტერიტორიაზე დარჩა, ხოლო მოლენი - თავის დედასამშობლოს შემადგენლობაში. საზღვარზე მიმოსვლა მხოლოდ სარფელებს შეეძლოთ სპეციალური საშვის დახმარებით. 1937 წელს კი, როცა საზღვარი ჩაიკეტა, მიმოსვლას რომ თავი დავანებოთ, იქითკენ გახედვაც კი საშიში იყო.

პავლე ინგოროყვას აზრით, სარფი „აფსარის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. „სარფი - ფსარეფი მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით, არის სახენაცვალი ფორმა ძველი სახელწოდებისა აფსარი“ **(ინგოროყვა, 1954:204)**. ფლავიუს არიანეს აზრით, „აფსაროსი“ მედიას ძმის აფსირტეს სახელთან იყოს დაკავშირებული **(არიანე, 1961:63)**.

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის, მკვლევარ ომარ მემიშიშის აზრით, სიტყვა „სარფი“ თურქულიდან ნარეობს, ხოლო თურქულში ეს სიტყვა არაბულიდან დამკვიდრდა. იგი, აგრეთვე, იგონებდა, რომ ამ სიტყვის არაბული წარმოშობის შესახებ მისი წინაპრები ხშირად საუბრობდნენ. ამ მნიშვნელობით სიტყვა „სარფი“ აღნიშნავს კლდოვან და შემოსაზღვრულ ადგილს. არსებობს მოსაზრებაც, რომ სარფი//სარფა - არაბული ტერმინია და გამორჩენას, მოგებას, ხეირის ნახვას ნიშნავს **(მემიშიში, 2015).**

სოფლის უხუცესთა ინფორმაციით, ძველად სოფელში ხუთი ეკლესია ყოფილა, ამათგან მხოლოდ ორის ნანგრევებია შემორჩენილი, ერთ-ერთი ქილისეს (ეკლესია) ადგილას დღეს-დღეითობით დედათა მონასტერია.

სარფის შემოგარენს წარმოადგენს „კალენედერეც“ სახელწოდება თურქული უნდა იყოს („კალნიდერე“ - სისხლიანი მდინარე). როგორც ამბობენ, ეს მდინარე იმ ლაზების სისხლით შეიღება, რომლებიც წინ აღუდგნენ ისლამის მიღებას და ქრისტიანობას შესწირეს თავი. ნიშანდობლივია, რომ 2003 წელს, პატრიარქის კურთხევით სწორედ იქ ჩატარდა ლაზთა მასობრივი ნათლობა, რომელთა შორის ჩემი ოჯახის წევრებიც იყვნენ.

სოფლის ტოპონიმების შესახებ საინტერესოა სარფში მცხოვრები უხუცესების მოსაზრებებიც:

„ხემშილული“ - ნიშნავს ადგილს, სადაც ეროვნებით ხემშილები ცხოვრობდნენ. ეს ადამიანები გამუსულმანებული სომხები ყოფილან, რომლებიც შემდეგ აზიაში გადაასახლეს. ხემშილებს ერთი პატარა სოფლისოდენა ადგილი ეკავათ. ისინი მაღლობზე ცხოვრობდნენ და ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. ამბობენ, რომ ლაზები ადიოდნენ იმ სოფელში და რძის პროდუქტზე უცვლიდნენ თევზს ან სხვა .

„ქვაკამა“ - ლაზური სიტყვაა და ნიშნავს ქვის აკვანს. იმ ადგილზე, რომელსაც დღეს „ქვაკამა“ ეწოდება, მართლაც არის დიდი ქვები, რომელშიც ერთ-ერთს აქვს აკვნის ფორმა. ამ ქვის სიახლოვეს მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები ჰქონდა, რომლებსაც ამუშავებდნენ. ამ პროცესის დროს შვილებიც თან ჰყავდათ და იქვე, ხეზე ჩამობმულ საქანელაზე აძინებდნენ. დედები შვილებს ასე უმღეროდნენ:

„ონწელიში კამარაჭიტა ბიჭი ვარ იმგარა“(აკვანს გირწევ პატარა ბიჭო, არ იტირო)

„ქვახეხი“ - ქვის ფორმა, რომელიც წააგავდა ხერხის კბილებს.

„ღეჯი ტალახონა“ - ღორის მიერ ატალახებული ადგილი.

„ოკანდალე“ - ნიშნავს ადგილს, სადაც ძველად ხალხი საკანდელე მასალას მოიპოვებდა.

„ცხემლული“ - ნიშნავს ცხემლის ხეებით დაფარულ ადგილს.

„მანდრათი“ - ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს პირუტყვის სადგომს.

„ცარა“ - მრავალი ვერსია აქვს ამ სახელწოდებას, თუმცა ყველაზე მართებულად შეიძლება ჩავთვალოთ ორი ვერსია - უნაყოფო მიწა და ნისლიანი ადგილი.

„ქვაჭაჭი“ - დანაოჭებულ ქვას უნდა ნიშნავდეს.

„ოჭალანე“ - ნიშნავს საკიბორჩხალეს.

„მაჯგინი“ - ადვილად დასამუშავებელი მიწა.

„ხემშილული“ - ნასოფლარი კალენდერესთან, სადაც ძველად ხემშილები ცხოვრობდნენ.

„ფუჯონჯერე“ - ძროხების სადგომს ნიშნავს.

„დუზი“ - ვაკე ადგილი.

„მონტრაცა“ - ნიშნავს ნაშვავებ ადგილს.

საკუთარი სახელები აქვთ სარფში არა მარტო გეოგრაფიულ ადგილებს, არამედ ზღვის ლოდებსაც კი.მათგან ყველაზე ცნობილი ტოპონიმია „ქვაომხაზე“.

„ქვაომხაზე“ - დიდი ლოდია, რომელიც სარფის სანაპიროზე თითქოს ზღვიდანაა ამოზრდილი. მის ზედაპირზე იკრიბებოდნენ სარფელი მებადურები, ზღვაოსნები, მოხალისეები. აქ ხდებოდა სხვადასხვა ასაკის მამაკაცთა შეკრება, მათი მამაცობის, მოხერხებულობისა და გულადობის შემოწმება. ამ ქვის ირგვლივ ეწყობოდა შეჯიბრებები ზღვაში ხტომაში, ცურაობასა და ყვინთვაში. ამგვარი გამოცდის გამოუვლელი კაცი სარფში იშვიათად იყო **(აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნე-**

ობითი რესურსები, 2015:181). ტოპონიმს, მათი თქმით, ორი განმარტება შეიძლება ჰქონდეს. პირველი ის, რომ მასში ასახულია სიტყვა „ხაზირი“, რაც ნიშნავს გამზადებულს და დადებულს, მეორე განმარტებით - „ხაზეი“, რაც დახაზულს ნიშნავს და ეს ქვა მართლაც დახაზულის შთაბეჭდილებას ტოვებს. „ქვაომხაზე“ სარფის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს. ტერმინის განმარტების საინტერესო ვერსიას ვხვდებით 1998 წელს გამოცემულ ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში „ქირონის ფლოქვი ქვაომხაზეზე“: „ქვაომხაზე - ასე ეძახიან ადგილობრივნი გიგანტურ ობოლ ლოდს, რომელიც კოსმოსიდან წყვილი ასტეროიდივით ჩამხობილა ზღვის ნაპირთან მიწაში და ალბათ ათასეული წლებია, მხოლოდ ტალღები ულოკავს ბიბლიურ შუბლს.

ვინ უწყის ქვაომხაზესთან ორთაყვირების ხმაზე რამდენ ანტიკურ ხომალდს ჩაუშვია ღუზა, რამდენ რომაელ ლეგიონს ჩაუვლია მწყობრად, რამდენი მგზავრი, ბერი თუ მეროჭიკე ჩამუხლულა.

იქნებ ბრძენმა ცხენკაცმა, კენტავრ ქირონმაც სწორედ ქვაომ-ხაზემდე უმეგზურა „ოქროს საწმისის“ გზაზე შემდგარ, თავის აღზრდილ იაზონს, იქნებ სწორედ ამ ლოდს დასცა ფლოქვი, დღესაც ნაოჭებად რომ ამჩნევია დადაღულ ქედზე...

ქვაომხაზე ფიქრი და სევდაა. იგი ცივია, ვითარც დასტურ ლოდი. უტყვია, როგორც ქვა და კენჭი, მაგრამ მრავლის მომსწრე და მნახველია. ყოველი მისი ნაკაწრი და ნაპრალი იმ პერგ-ამენტივითაა, რომლის გულზე ამოტვიფრულ ანალებსაც გაშ-იფვრა არ უწერია.

ქვაომხაზე ჩვენი მითიცაა და სინამდვილეც, იგი დაუნ-დობელიცაა, რამეთუ ეპოქები ჩაიჩუმქრა მისი ხსოვნის სალა-როში, თავად კი მორჭმით დავანებული, ოლიმპიური სიმშვი-დით, შეუტოკებლად გასცქერის ამა სოფლის ამაოებასა და ორომტრიალს. დიახ, ჰელიმიშის არ იყოს, დროც ბავშვივითაა, ბოლოს თეთრდება, ქვაომხაზე კი მკაცრიც და უძლურიც, ძლე-ვამოსილიც და უტყვიც, დგას ნირშეუცვლელად. ნიშნად და ნიშატად კაცობრიობის წარსულის, აწმყოსა და მომავლის კაბა-დონზე.“ ამ სტატიას თან ახლავს ცნობილი ლაზი მელექსე და მხატვარი ხასან ჰელიმიშის ლექსი:

„ჰე, ქვაომხაზო, შენ არ ბერდები,
გიცნობ, თუ ხსოვნის მომაგე ბინა.
მე, გუშინდელი ბავშვი, ვთეთრდები,
შენ დგეხარ, როგორც იდექი წინათ.
მთხრობელი ნინო დარჩია-თანდილავა.

„ქვაჩეჩმე“ - ქვა საპირფარეშო, რომელსაც ბუნებრივად საპირფარეშოს ფორმა აქვს.

„ქვაოწუდე“ - თაროებიანი ქვა.

„ქვალლეპი“ - ხავსიანი ქვა.

„კალენდერე“ - თურქულად „სისხლიან მდინარეს“ ნიშნავს. ამბობენ: როდესაც ამ ტერიტორიაზე თურქი დამპყრობლები შემოვიდნენ, იმ ადგილას სადაც ახლა არაოფიციალური სოფელი „კალენდერეა“, თავი მოუყარეს მდინარის პირას ლაზებს და უბრძანეს მიეღოთ ისლამი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის მოჭრით ემუქრებოდნენ. ლაზებმა კი ერთხმად შესძახეს: „დუდი კვათა“ და უარყვეს მათი ბრძანება. გადმოცემის თანახმად ამ სამას ლაზს თავები მოჰკვეთეს და მდინარეში გადაყარეს. მდინარე გაწითლდა და ამიტომ შეარქვეს „სისხლიანი მდინარე“-ო **(ვანილიში, ბათუმი, 2017).**

„სუმ ჯუმა“ - მდებარეობს დღევანდელ თურქეთის სარფში. ჩვენამდე მოაღწია ლეგენდამ, რომ მანამ, სანამ თურქეთ-საქართველოს შორის საზღვარი არ იყო, სარფის იქითა მხრიდან

აქეთ მხარეს ნავით მოჰყავდათ დედოფალი, ნავში მეფე, დედოფალი და მეჯვარე ისხდნენ. მოაღწია თუ არა ნავმა სარფის საზღვარზე, დედოფალმა შემოუთვალა დედამთილს: - „სახლის ყველა გასაღები გამომიგზავნე“-ო. გაბრაზდა დედამთილი: - „ჯერ სახლში არ მოსულა და გასაღებებს მთხოვს, ღმერთო სამივენი ქვად აქციე“-ო. უსმინა ღმერთმა და სამივე ქვად გადააქცია **(სარფი, 2015).**

„ოხორი“ (ლაზური სახლი)

„ლაზური სახლი“ ანუ „ოხორი“მთელ აჭარაში ფართოდ გავრცელებული საცხოვრებელია. ასე იმიტომ ეწოდა, რომ ლაზი ოსტატები აგებდნენ. ლაზები, ვახუშტის დახასიათებისთ იყვნენ

„ხელოვანნი ხის მუშაკობითა“. ლაზურ სახლში შერწყმულია ხის და ქვის ან ხის და აგურის კონსტრუქციები. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ტიპიური ლაზური ორსართულიანი სახლი ძველი, ადრეული საცხოვრებლის განვითარების შედეგია. თავდაპირველად იგი ერთსათავსოიანი უნდა ყოფილიყო, მიწური იატაკითა და შუაცეცხლით. სწორედ ასეთ სახლს ეწოდებოდა „ოხორი“ **(მიქელაძე, 1967:34)**. დღეს სარფში, სამწუხაროდ, არ არის შემორჩენილი უძველესი ლაზური სახლი, ამიტომ გადავწყვიტე მომეძებნა ის ადამიანები, რომელთაც ახსოვდათ თუ როგორ შენდებოდა ლაზური სახლი ან როგორ არჩევდნენ სამოსახლოს. ამ საქმეში დიდი დახმარება გამიწია სოფლის უხუცესმა ქალბატონმა ნურიე ნარაკიძემ. მისი მონათხრობის მიხედვით, როცა ოჯახი სახლის აშენებას დააპირებდა, შეარჩევდა „ოჯაქიერის“ (სამოსახლო ადგილს). ის უნდა ყოფილიყო მზით კარგად განათებული ადგილი. ხალხში არსებულა ასეთი ტრადიციაც, სამოსახლო ადგილზე დადებდნენ ქვას, გარკვეული დროის შემდეგ მას შეამოწმებდნენ, თუ მის ქვეშ ჭიაყელა იყო დაბუდებული, ე.ი. ეს ადგილი ნესტიანი იყო და იქ სახლს არ ააგებდნენ.

ხოლო თუ ჭიანჭველა იყო დაბუდებული, ეს ადგილი ვარგისი იყო სამოსახლოდ. ნადის დახმარებით ამოთხრიდნენ საძირკველს, სადაც ყრიდნენ ფუძეს. შესაძლებელი იყო დაეკლათ შესაწირავიც. საყრდენად იყენებდნენ ნათალ ქვებს, რომელიც მდინარის პირიდან ამოჰქონდათ. კედლები ამოჰყავდათ ქვის ჰორიზონტალური წყობით. იყენებდნენ კირს.

ოხორის მეორე სართული მთლიანად ხის მასალისგან იყო აგებული, რომელსაც ერთი ან ორი წლით ადრე ამზადებდნენ ტყეში. ორი წლით ადრე ნოემბერ - დეკემბერში ჭრიდნენ წაბლის სწორ ხეებს. სახლს ორივე მხარეს ქვისგან გაკეთებული კიბეები ჰქონდა, რაც ლაზური სახლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ლაზური სახლი თავისი არქიტექტურული აღნაგობით შეფარდებული იყო, როგორც სასოფლო - სამეურნეო, ისე საზღვაო - სამეურნეო პირობებთან. ეს იმას ნიშნავდა, რომ სახლს აუცილებლად ჰქონდა სათევზაო - სანაოსნო ინვენტარის შესა-

ნახი ადგილები. ლაზური სახლის საინტერესო სათავსოს წარმოადგენდა სამზარეულო, მიწური იატაკით, ბუხარით, ან შუა ცეცხლით, რომელსაც „ოხორშქაგური“ ეწოდებოდა.

დღეს ლაზური ტიპის სახლად მოიხსენიებენ ორსართულიან სახლს „დოლმიანი //ტოლმიანი ფასადით“. იგი ხის კონსტრუქციების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჭდობით შექმნილ უჯრებში, რიყის ქვის კვადრატულად ჩამომტვრეული ბლოკების კირით ჩადუღებებითან მშრალად ჩაწყობითაა მიღებული. კედლის კვადრატულ უჯრებად დაყოფის გარდა ცნობილია სამკუთხედებად და მართკუთხედებად ხის კარკასით დანაწევრებული კედლის ქვის ნამტვრევებით ან აგურით ამოშენების შემთხვევები, რაც ლაზეთში შედარებით მომეტებული რაოდენობით ყოფილა **(ვანილიში, 1978)**.

ლაზური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების დამახასიათებელი ელემენტია ორნამენტი. მათ დეკორატიულ დანიშნულებასთან ერთად მითოლოგიური შინაარსიც აქვთ. ლაზურ ორნამენტში ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებია ასახული. განსაკუთრებით სჭარბობს მცენარეული ორნამენტი. გამორჩეულია „სიცოცხლის ხის“ მოტივი, რომელიც ლაზური ორნამენტის დამახასიათებელი ნიშანია **(ჩიტაია, 2001:495-501, ვარშალომიძე, 1979)**.

ლაზური ხიდი

ლაზური ხიდი (ლაზ. ხინჯი) ერთ-ერთი ულამაზესი ნიმუშია ლაზური არქიტექტურისა. ის გავრცელებულია მთელი ლაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც მე-15 საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიამ შეიერთა და მე-19 საუკუნის დასასრულამდე ვერ შეძლო მისი სრული გამუსლიმება. დღემდე შემორჩენილია ეს საოცრად გამძლე ნაგებობები, რომლელთა დიდი ნაწილი თამარ მეფის დროინდელი ან უფრო ძველია. თუმცა ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ლაზური ტიპის ხიდები უშუალოდ სარფში არ გვხვდება **(ლაზური არქიტექტურა, 2018)**.

ლაზური სამზარეულო

ისტორიის მრავალსაუკუნოვან გზაზე მრავალმა უბედურებამ გადაურა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა მაინც შეძლეს თავისი თვითმყოფადი სახის შენარჩუნება კულტურის ყველა დარგში. ეროვნული სამზარეულოეროვნული კულტურისგანუყოფელი ნაწილია. მასზე გავლენას ახდენს გეოგრაფიული მდებაროება, კლიმატური და ეკონომიკური პირობები. ქართულმა სამზარეულომ, თავისი თავისებურებით და უნიკალურობით, განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა მსოფლიოს მრავალფეროვან კულინარიაში.

ქართულ სამზარეულოში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლაზურ სამზარეულოს, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მომზადების თავისებური ტექნოლოგიით, ძირძველი ტრადიციებით.

ლაზურ სახლში („ოხორი“) სამზარეულოს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. „ოხორ შქაგური“ ანუ სახლის გული, ასე ეწოდებოდა სამზარეულო ფართობს მიწური იატაკით, სადაც დაცული იყო შუა ცეცხლის ადგილი - „ოკრებულე“, კერიის შუა ნაწილი, სადაც შეშას ცეცხლი ეკიდა - „ოდაჩხირე“ და „ოკიცე“ - კერიის მარცხენა ნახევარი, სადაც დებდნენ კეცს მჭადის („მჭკიდის“) გამოსაცხობად.

სამზარეულოს მარჯვენა კარებთან ადგილს ეწოდებოდა „ოწკარე“.აქ იდო ბრტყელი, თლილი ქვა, რომელსაც ჰქონდა ნახვრეტი, საიდანაც ნარეცხი წყალი გარეთ გაედინებოდა. აქვე დგამდნენ წყლის ჭურჭელსაც.

„ოხორ შქაგუის“ მარცხენა მხარეს ყოფილა „ხარო“ ე.წ. ფიცრის ყუთი, სადაც ინახავდნენ სხვადასხვა პროდუქტს. კერიის მარცხენა კედელზე მიჭედებული ყოფილა საკოვზე, კოვზების დასაწყობად. ზემოთ ყოფილა ღია თაროები - „ოწუდე“, სადაც გარეცხილ თეფშებს აწყობდნენ.

„ოხორ შქაგუის“ ჭერზე გადებული ყოფილა ოთხკუთხედად გათლილი ხე - „ონგორე“, საიდანაც ორთავე მიმართულებით აწყობდნენ ჯარგვლებს, რომლებიც გამოიყენებოდა სიმინდის, კაკალის გასახმობად. ერთ-ერთ ჯარგვალს ეწოდებოდა „ოკრებულე“, რომელზედაც კიდებდნენ ჯაჭვს კარდალის დასაკიდად. ჯაჭვს „კემული“ ეწოდებოდა.

სამზარეულოს ინვენტარს წარმოადგენდა „ტაბლა“ და პატარა სკამები. მოგვიანებით ტაბლა მაღალმა, ჩვეულებრივმა მაგიდამ შეცვალა. სამზარეულო ჭურჭელს კი, ძირითადად წარმოადგენდა სპილენძის ნაკეთობები: დოქები - ე.წ. „კუკუმა“, თეფშები, სინები, ხის კოვზები, რომლებიც ბზისაგან („ჩამჩიი“) მზადდებოდა. ფაიფურის ჭურჭელი იშვიათობას წარმოადგენდა. გამოიყენებოდა თიხის ჭურჭელიც.

სპილენძის ჭურჭელს, წელიწადში ერთხელ მაინც, სპეციალური ნივთიერებით დამუშავება სჭირდებოდა. ამისთვის სოფელში ჩამოივლიდნენ ე.წ. „კალაიჯები“, რომლებიც გაჩერდებოდნენ რომელიმე მოსახლესთან და მთელი სოფლის მცხოვრებთ მათთან მიჰქონდათ ჭურჭელი მოსაკალად.

ლაზური სამზარეულო მრავალფეროვანი კერძებით გამოირჩევა, მაგრამ მასში განსაკუთრებული ადგილი უკავია თევზეულს. ეს არცაა გასაკვირი. ლაზები ხომ ოდითგანვე ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ და განთქმული მეთევზეები იყვნენ.

თემის მომზადების პერიოდში ამ მიმართულებითაც ჩავატარე საველე კვლევები ჩემს მშობლიურ სოფელ სარფში. მოვინახულე ხანდაზმულები, რომლებმაც დეტალურად აღმიწერეს ლაზური კერძები. განსაკუთრებული ადგილი მინდა მივანიჭო ერთ-ერთ ლაზურ კერძს - „ქაფშია გეტაღანეი“ (შემწვარი ხამსა მწვანილებში), რომელიც, ჩემი აზრით, ლაზური სამზარეულოს სავიზიტო ბარათია. იგი მზადდება დამარილებული ხამსიისაგან („ქაფშია“), რომელსაც

სეზონზე ბლომად ამარილებენ. მას გაარჩევენ, კარგად გარეცხავენ, ხოლო როცა დაიწრიტება, ბლომად მარილში ამარილებენ. ზემოთ აღნიშნული საჭმლის მოსამზადებლად დამარილებულ ხამსას კარგად გარეცხავენ, აცლიან ძვალს, დაჭრიან წვრილად, გაურევენ ბლომად დაჭრილ მწვანილს (პრასა, ქინძი, ოხრახუში), აგრეთვე ხახვს, ბულგარულს, პამიდორს, წითელ ფხალს

(„სოტოლია“), გაურევენ მჭადის ფქვილს, დააკრავენ ზეთიან ტაფაზე და წვავენ ორივე მხრიდან.

დამარილებული ხამსიისაგან აკეთებენ, აგრეთვე, ხამსიან მჭადს („ქაფშიონი მჭკიდი“): დამარილებულ და ძვალგაცლილ ხამსას წვრილად დაჭრიან, დაუმატებენ წვრილ - წვრილად დაჭრილ ხახვს, პრასას, ქინძს, ოხრახუშს, მჭადის ფქვილს, მოზელენ როგორც ჭადს. გამოცხობის წინ გაურევენ მწვანე, კურკაგამოცლილ ტყემალს, რომელიც კერძს სასიამოვნო, მომჟავო გემოს აძლევს. როგორც ჩვეულებრივ მჭადს, ხამსიან მჭადსაც კეცზე აცხობდნენ. კეცს კარგად გააცხელებდნენ (წამოამხობდნენ ცეცხლზე პირჩაღმა), შემდეგ დააკრავდნენ ჭადს, ზემოდან დააწყობდნენ შქერის ფოთლებს, დაახურავდნენ სახურავს და დააყრიდნენ გავარვარებულ ნაკვერჩხლებს, ასე ცხვებოდა უგემრიელეჭადი („ქაფშიონი მჭკიდი“).

ლაზურ ტკბილ კერძებს შორის განსაკუთრებული, განსხვავებული, პიკანტური გემოთი გამოირჩევა ე.წ. „ბურეღი“. ეს ალბათ ქართულ და ლაზურ კერძებს შორის ერთადერთია, რომელსაც სიტკბოსთან ერთად სიმწარის გემოც დაჰყვება, რადგანაც კერძს შავ პილპილს ურევენ. თითქოს ეს კერძი ჩვენი ხალხის, ლაზეთის ისტორიის ტკბილ და მწარე, ტანჯულ ისტორიას შეგვახსენებს.

სარფის მკვიდრის ნურიე ნარაკიძის გადმოცემით, აღნიშნული კერძი შემდეგნაირად მზადდება: „ფქვილის, გამდნარი კარაქის, კვერცხისა და ცოტა მარილით მოვზელთ ცომს. ვაკეთებთ 12 გუნდას, რომელიც გაგვყავს როგორც ბაქლავის ფენები. ვამზადებთ აგრეთვე ბურეღის გულს, ანუ ფაფას. რძეში გავხსნით ფქვილს, დავამატებთ კვერცხს, შაქარს, ერთ მუჭა სიმინდის წვრილად გაცრილ ფქვილს, ვდგამთ ცეცხლზე და კარგად ვურევთ, ის არ უნდა იყოს ძალიან სქელი. ლანგარზე რიგრიგობით დავაფენთ 6 ფენას, (თითოეულ ფენას ვუსვამთ გამდნარ კარაქს), ვასხამთ გამზადებულ ფაფას, რომელსაც ვამატებთ ათქვეფილ კვერცხს, შაქარს, დაფქვეულ შავ პილპილს გემოვნებით და გამდნარ კარაქს. ზემოდან დავაფენთ დარჩენილ

6 ფენას და ვწვავთ ღუმელში. ხალხში ამბობენ: „ნამდვილი ბურელი ის არის, რომელიც აჭრილიაო“ ანუ, ბურელის შიგთავსი - ფაფა დუღილის დროს აუცილებლად უნდა აიჭრას. გამომცხვარ ბურელს სჭრიან ოთხკუთხედებად. ზოგი მას ცხლად მიირთმევს (კოვზით), ზოგს კი ცივი უყვარს“.

აჭარის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს ხაჭაპური, რომელიც

„აჭარული ხაჭაპურის“ სახელწოდებით არის ცნობილი, მაგრამ როგორც ლაზები ამბობენ, მისი წარმოშობის ისტორია ლაზებს გვიკავშირდება. პირველად სწორედ მათ დაუმზადებიათ ნავის ფორმის ხაჭაპური, რომელიც მათ ძირითად საქმიანობას - ნაოსნობას დაუკავშირეს, ხოლო ხაჭაპურში მოთავსებული კვერცხი - ნავში ჩამწყვდეულ მზეს შეადარეს.

ნინო დარჩია - თანდილავას და ნურიე ნარაკიძის მონათხრობით, აღნიშნული ხაჭაპური შემდეგნაირად მზადდება: მოვზილოთ საფუარიანი ცომი, სანამ ცომი კარგად აფუვდება, მოვამზადოთ ყველის გულსართი, ამისთვის ავიღოთ ახალი ყველი, დავჭყლიტო ხელით, ავურიოთ კვერცხი, მოვჭრათ ცომი, დაახლოებით 200 გრ. გავაბრტყელოთ 2-3 სმ-ის სისქემდე, მივცეთ ოდნავ მოგრძო ფორმა, დავდოთ ყველის გულსართი ისე, რომ ირგვლივ სამი სანტიმეტრი ცარიელი დარჩეს. შემდეგ გადავაფაროთ ნაპირები ყველის გულსართს და ასეთნაირად მომზადებული დავადოთ თუნუქის ფურცელზე. ნაპირებზე წავუსვათ კვერცხი და შევდგათ ღუმელში გამოსაცხობად, როდესაც შეწითლდება, ხაჭაპურის შუაგულში ჩავდოთ მთლიანი კვერცხი და კიდევ გავაჩეროთ 2-3 წუთი, შემდეგ დავადოთ კარაქის ნაჭერი და გემრიელად მივირთვათ.

როგორც სარფელმა ხანდაზმულმა დიასახლისებმა მიამბეს, ძველად ლაზები უგემრიელეს ბადრიჯნის მჟავეს ამზადებდნენ, რომელიც დღეს იშვიათად მზადდება და რატომღაც მივიწყებულია. ბადრიჯანს კარგად გარეცხავდნენ, მოაჭრიდნენ ყუნწს და შუაზე გაჭრიდნენ, მაგრამ არა ბოლომდე, შემდეგ მოწალავდნენ, გარეცხავდნენ ცივ წყალში, გაწურავდნენ ისე, რომ თეს-

ლი გამოსულიყო, შემდეგ წაუსმევდნენ დაჭყეტილ ნიორს, პილპილს და მარილს. ჩატკეპნიდნენ თიხის დერგში, დაასხამდნენ ცივ მარილიან წყალს და დაადებდნენ სიმძიმეს.

ლაზები უგემრიელეს საჭმელებს ამზადებდნენ ბრინჯისგან, რომელიც ადრე თვითონვე მოჰყავდათ. ბრინჯის კონებს გაახმობდნენ, შემდეგ აძრობდნენ თავთავებს და ჩაყრიდნენ საცეხველში („ონჩამურე“), რომლის შუა ადგილი კონუსური ფორმის იყო. აქ გროვდებოდა ბრინჯის თავთავები, რომელსაც დინგით ცეხვავდნენ და ასე აშორებდნენ ქერცლს.

ბრინჯისგან ამზადებდნენ „ფილაის“ (ფლავს), „ბრინჯონს“, რომელსაც ხორციანსაც აკეთებდნენ და უხორცოსაც.

ლაზურ საჭმელებს მიეკუთვნება: „მაკაინა“, „ყვალი ტაღანეი“ (შემწვარი ყველი), „ლუყუ“ (ფხალი), რომელსაც როგორც გავიგე ძველად ცხვრის დუმასაც ურევდნენ, „აღნე ლობია“ (ჭყინტი ლობიო), „ქოთუმეშ დოლმა“ (მოხარშული ქათამი), რომელსაც შიგნეულს გამოაცლიდნენ, მოხარშული ბრინჯით შეავსებდნენ და მოხარშავდნენ, ეს კერძი ძველად აუცილებლად უნდა წაეღო სიდედრს სიძესთან სტუმრობისას. ის ქორწილშიც დიდ მოწონებას იმსახურებდა.

ლაზები ამზადებდნენ ფელამუშს („ფეფეცურა“), ჩურჩხელას, ბაქლავას და სხვა კერძებსაც.

ჩემი მიზანი იყო ბევრი რამ გამეგო, შემესწავლა მშობლიური სამზარეულოს შესახებ, რადგანაც ეროვნული კერძების შესწავლა და მომავალი თაობისთვის გადაცემა ჩვენი კულტურის, ისტორიის და თვითმყოფადი სახის შენარჩუნებაა.

ლაზური გართობა - თამაშობანი

ხალხური გართობა-თამაშობანი ტრადიციული ყოფის განუყოფელი ნაწილია. თამაშები ხალხური აღზრდის მძლავრ საშუალებასაც წარმოადგენდა. თამაშების მეშვეობით ბავშვს უყალიბებდნენ არსებობისათვის აუცილებელ ჩვევებს და უნარებს. ლაზურ თამაშებაცს ეროვნული და ტრადიციული ხასიათი აქვს. აქ მრავალგვარი თამაში და გართობა-სანახაობა იყო გავრცელებული. ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ იმ თამაშებზე,

რომელიც ბიჭებს მეომრისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს უვითარებდა. „ქართველ კაცს პატარაობიდანვე უნერგავდნენ საბრძოლო სულს. ამას მოწმობს საქართველოში გავრცელებული სპორტული და სახალხო თამაშობები, რომლებიც სამხედრო ელემენტებს შეიცავს“ **(სამუშია, 2014).**

უძველესი ლაზური თამაშობანია: „მილოონი“, „ჩულიკოონი“, „ტოპაჯი“ და სხვა. აღნიშნული თამაშები არამარტო გართობის საშუალებები იყო, არამედ ზრდიდა მომავალ მეომარს, რომელიც სამშობლოს ერთგული მცველი უნდა გამხდარიყო. „მილოონი“ - ამ თამაშს თამაშობდნენ გუნდურად, წყვილ-წყვილად ან ორნი პირისპირ. მილოონის სათამაშოდ ხისგან უნდა დამზადდეს შესაბამისი ჯოხები: ერთი პატარა, ცხვირაწეული, რომელსაც „მილი“ ეწოდებოდა, მეორე უფრო დრეკადი - მილის გასაქნევად და მესამე - დასარტყმელი, რომელიც შედარებით მყარი მასალისაგან მზადდებოდა. საჭირო იყო აგრეთვე წვრილი ჯოხი „დოდგიმალე“.

„ჩულიკოონიც“ ძველი ლაზური თამაშების ერთ-ერთი სახეობაა. მის სათამაშოდ საჭიროა მრგვალი, პატარა ბურთი და შვიდი მრგვალი ბრტყელი ქვა ერთი მეორეზე პატარები.

უძველესი თამაშების ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა „ტოპაჯი“, რომლის სათამაშოდ ხისგან გამოითლებოდა ძაბრის ფორმის საგანი, რომელსაც თავში უნდა ჰქონოდა ბაწრის დასახვევი. თამაშისთვის საჭირო იყო მათრახის გაკეთებაც. მათრახს ახვევდნენ ტოპაჯზე, ქაჩავდნენ და ისე ატრიალებდნენ. გამარჯვებული იყო ის, ვინც მათრახის საშუალებით უფრო დიდხანს დაატრიალებდა ტოპაჯს.

ყურადღებას იპყრობს ისეთი სათამაშო ინვენტარი, როგორიცაა შურდული, რომელიც ძველად საბრძოლო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში იყო. შურდულს ამზადებდნენ ხის ქერქისა და ტყავისაგან. ქერქს წნავდნენ, შუაში ათავსებდნენ ტყავის ბუდეს, სადაც ქვა იდებოდა. „ბრძოლისას შურდულის თასმის ერთ ბოლოზე გაკეთებულ ყულფს შუა და არათითზე ჩამოიცმევდნენ, ხოლო მეორე თასმის განასკვნულ ბოლოს საჩვენებელი და ცერა თითით იჭერდნენ. რამდენჯერმე დატრიალების შემდეგ ნასკვნიან ნაწილს გაუშვებდნენ, შურდული გაიშლებოდა და ბუდიდან ამოვარდნილი გაიტყორცნებოდა.“

ლაზური სამოსი

ლაზური სამოსის შესახებ ლიტერატურა საკმაოდ მცირეა. მასალები, ძირითადად, სოფლის უხუცესებისგან შევკრიბე. ძველად მოსახლეობა სამოსისთვის იყენებდა უფრო ისეთი ბუნებრივი მასალისაგან დამზადებულ ქსოვილებს, როგორიც არის ცხვრის მატყლი, ბამბა, სელი და კანაფი. მოგვიანებით დაიწყეს ცხვრის, კვერნის, კურდღლის, მელიის და სხვა ცხოველების ტყავის გადამუშავება, რომლისგანაც კერავდნენ თბილ ტანსაცმელს, ქალამნებს და ქამრებს.

როგორც სოფლის უხუცესმა ომარ მემიშიშმა მიამბო, ლაზები ქსოვილის დასამზადებლად იყენებდნენ კეფს (კანაფი). დათესავდნენ კანაფს, ხოლო როდესაც გაზრდილი მცენარე ხმობას იწყებდა, მოჭრიდნენ, დააწყობდნენ ცალ-ცალკე, შემდეგ ღეროებად დახლეჩდნენ, რთავდნენ ძაფებად.

„კოლხებს თავებზე დის მუზარადი ჰქონიათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფაჩუჩი და მოკლე შუბები. ამის გარდა - დანები“ წერდა ჰეროდოტე.

ლაზი მამაკაცები იცვამდნენ წუღას, შარვალს უბე სრული ჰქონდა, ბარძაყს ზევით ანაოჭებული. ატარებდნენ ჩოხას, ხოლო ჩოხის შიგნით სხვადასხვა ფერის პერანგს. იდაყვებზე, სახელოებზე და მხრებზე დაკერებული ჰქონდათ ტყავის ნაჭრები. თავზე იხურავდნენ ფაფახს ან ყაბალახს.



რაც შეეხება ლაზ ქალებს, ისინი სხვადასხვა ფერის განიერ კაბებს იცვამდნენ. ზემოდან კი წელში გამოყვანილ გრძელ ხალათს. „გარდა ამისა, თეძოების ქვევით, კაბის წინა ნაწილის კალთა ცალკე ჰქონიათ დატანებული. საჭიროების დროს (მაგ. მუშაობის დროს) წელზე ამოიკეცავდნენ. კაბა უმთავრესად ატლასისა იყო. წელზე შემოხვეული ჰქონდათ აბრეშ-

უმის ორტყაფუ (სარტყელი). უბრალო ჩითის კაბას მხოლოდ სახლში იცმევდნენ“ **(ვანილიში, თანდილავა, 1964:96).**

ლაზი ქალებისა და მამაკაცების ეროვნული სამოსი, ჩაცმულობა კარგადაა გამოსახული ლაზი თვითნასწავლი მხატვრის ჰ. ჰელიმიშის შემოქმედებაში.

თევზაობა და მასთან დაკავშირებული ტრადიციები

სარფში ერთ-ერთი უძველესი საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალება იყო ერთ ხეში გამოთლილი ნავი. მოჭრიდნენ დიდ კუნძს, მის შუაგულს ამოიღებდნენ და ამით დადიოდნენ ზღვაზე. მოგვიანებით ასეთი ნავი გადაკეთდა და ეწოდა „ფელუკა“. ერთ ხეში ამოჭრილი ნავებით ზღვაში დიდხანს ცურვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ლაზებმა უფრო დიდი ზომის ნავების დამზადება დაიწყეს, რომელსაც „კამარა“ ეწოდებოდა. ფელუკას ემატებოდა დამატებითი ფიცრები და აფრა. აფრა გრძელ მანძილზე გადაადგილების კარგი საშუალება იყო. ნავის დამზადება დღეს სოფელში მხოლოდ ერთმა ადამიანმა - სულიკო ნუმანიშვილმა იცის. როგორც მან მიამბო, რომ ნავი მზადდება წაბლის ხისაგან, რომელსაც შემოდგომით ჭრიან, როცა ფოთოლცვენა დამთავრებულია. მორი უნდა დაიხერხოს ფიცრებად, ფიცრის სისქე განისაზღვრება ნავის სიდიდის მიხედვით. ფიცარი ეწყობა სიმაღლეზე ვერტიკალურად. დროთა განმავლობაში წვიმა რეცხავს ფიცარში არსებულ მჟავე შენაერთს, რომელიც მერქანშია. ამას ჭირდება თითქმის ხუთი თვე. პირველ რიგში მზადდება ცხვირისა და კიჩოს დეტალები, რომელთაც „პოტოსტომა“ ეწოდება. ამის შემდეგ უნდა დამზადდეს ძირითადი ფსკერის ძელი. ფორმის აღება ხდება სპეციალური ხელსაწყო შაბლონით, შემდეგ იჭედება ნავის გვერდითი ნეკნები. გამზადებული ნავი კარგად უნდა გამოშრეს. ფიცრებს შორის ღრიჯოები ივსება ფისში გაპოხილი ბამბით. როგორც წესი, ჩვენს მხარეში მზადდებოდა სამწყვილნიჩბიანი ნავები. ძველად, როდესაც ლაზებს უხდებოდათ გრძელ მანძილზე მოგზაურობა, იყენებდნენ იალქნიან ნავებს. დღეს ასეთი ნავები ძრავიანმა ნავებმა ჩაანაცვლა.

ლაზი მებადურები თითოეული სახეობის თევზის დასაჭერად ორნაირ ბადეს იყენებდნენ: წვრილთვლებიანს - პატარა თევზის დასაჭერად და მოსას - კამბულას დასაჭერად. ძაფის დართვა ქალების საქმიანობა ყოფილა, ხოლო ბადეს კაცები ქსოვდნენ. დამზადებულ ბადეს თოკს გაუყრიდნენ ზედა მხარეს მსუბუქ ხის ნაჭრებს ამაგრებდნენ, ხოლო ქვედა მხარეს ტყვიებს ან ქვებს კიდებდნენ.

ძველად ლაზები, თურმე, დელფინებზეც ნადირობდნენ და სპეციალურ ქარხნებში აბარებდნენ, სადაც ხდებოდა დელფინის ქონისა და ხორცის განცალკევება. დელფინის ქონისგან ამზადებდნენ ზეთს, რომელსაც ნავთის მაგივრად იხმარებოდა. მას ლაზურად „დელფინაშ იაღი“ ეწოდებოდა და იყენებდნენ ლამპის მაგარ ჭურჭელში-კანდელში ჩასასხმელად. როგორც ქსენოფონტე აღწერს, მოსინიკების, იგივე სანების (ჭანების), სახლებში დახვდა დიდ ქილებში ჩადებული „ნაჭრებად დაქნილი და დამარილებული დელფინის ქონი, რომელსაც მოსინიკები ისევე იყენებდნენ, როგორც ელინელები ზეითუნის ზეთს“ **(მიქელაძე, 1967:44).**

ლაზები მდინარეზეც თევზაობდნენ. ამისათვის სპეციალური ხელსაწყო „კალათი“ ჰქონდათ, რომელიც ღარის მსგავსი იყო და დაწნული ყოფილა თხილის ხის წნელებით. სარფელი მეთევზეები იყენებდნენ, აგრეთვე, კამანგს - ხის გრძელტარიან ჭვილთებს, რომლებსაც ჩანგლის ფორმა ქონდა და ექვსი კბილი გააჩნდა. კამანგით, ძირითადად, ღამით, კოცონების ან ჩირაღდნების შუქზე თევზაობდნენ **(თანდილავა, 1976).**

სათევზაოდ წასვლა ერთგვარი რიტუალი იყო. თევზის ჭერის დაწყების პირველ დღედ მიჩნეული იყო „საპატონი“ (შაბათი). ხშირად დელფინზე თოფითაც ნადირობდნენ. თუ რამდენიმე დღეს დელფინს ვერ მოკლავდნენ, მიიჩნევდნენ, რომ თოფს თვალი ეცაო და შეალოცვინებდნენ.

ძველად მეთევზეს ერთი სეზონიდან მეორე სეზონამდე უნდა ჰქონოდა შენახული და დამარილებული თევზი, რომელსაც კასრებში ან ქვევრებში ინახავდა. მსხვილ თევზებს კი კარგად დასუფთავებულს, კერიასთან დაჰკიდებდნენ და ახმობდნენ **(სარფი, 2015).**

მიმინოთი ნადირობა

ლაზები გაწვრთნილი მიმინოთი ნადირობდნენ ხოხობზე, „ოტრიკეზე“ (მწყერი). დღეს ნადირობის ეს სახე თითქმის მივიწყებულია. მასზე ბევრი რამ მიამბო 78 წლის ვასილ კაკაბაძემ, რომელიც ახალგაზრდობაში ნადირობდა ამ ხერხის გამოყენებით. მისი თქმით, ნადირობის სამზადისი ძირითადად ივლისის თვეში იწყება. მიმინოს დასაჭერად ჯერ ჩიტი „ღაჭო“ (ჩიტბატონა) უნდა დაეჭირათ. ღაჭოს დასაჭერად კი „ღვაპა“ (მახრა) - მწერი. ცოცხალ მახრას აბამდნენ თოკზე და დებდნენ მახეში, რომელსაც კიდეებზე ბადეები ქონდა გაკეთებული. ჩიტმა მწერი კარგად უნდა დაინახოს. როგორც კი ღაჭო დააფრინდება მახრას, შესაჭმელად მახეში მოემწყვდევა.

დაჭერილ ღაჭოს ორივე თვალზე პლასტელს ან გუდრონს დააწებებდნენ, რომ ზემოთ ვერ აეხედა და მოფრენილი მიმინო ვერ დაენახა. ღაჭოს მონადირეები სატყუარად იყენებდნენ აგვისტოს თვეში და ხაფანგში იტყუებენ. დაჭერილ მიმინოს მონადირეები მკლავზე ჯდომას აჩვევდნენ, ფეხებზე უკეთებენ სპეციალურ ეჟვნებს. როდესაც იგი აფრენილ მწყერს დაედევნება, ფეხებზე მობმული ეჟვანი დაიწყებს ჟღარუნს. შეშინებული მწყერი ამ ხმაზე უკან მოიხედავს, რის გამოც ფრენის სიჩქარე ეცემა და მიმინო ახლო მანძილზე დაიჭერს. ნადირობის ეს სახე დღეს თითქმის მივიწყებულია.

ლაზური საკრავები (ქემენჩე, პილილი)

ქემენჩე და პილილი უძველესი ლაზური საკრავებია. ქემენჩეს ძირითადად თურქეთში მცხოვრები ლაზები იყენებენ. მას ვიოლინოს ფორმა აქვს, სამი სიმი და მომჭერები. ინსტრუმენტს თან ახლავს სპეციალური ჯოხი, რომლითაც ხდება მისი აჟღერება. ქემენჩე მზადდება თუთის ხისგან.

პილილი ჩასაბერი საკრავია. მას თურქეთში „ზურნას“ ეძახიან. იგი მზადდება მრავალწლიანი მცენარის „კამპარას“ (დიდგულას) ახალგაზრდა ტოტისგან. პილილს გააჩნია ორი მხარე და

ექვსი ნახვრეტი. პილილს ძლიერი ჰაერის ჩაბერვა სჭირდება, ამიტომ მასზე ძირითადად მამაკაცები უკრავდნენ.

ლაზური ფოლკლორი დღეს

სარფში, ლაზური ფოლკლორის შენახვასა და პოპულარიზაციაში, აქტიურად ჩართულია სარფის საჯარო სკოლა, სადაც ფუნქციონირებს ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები „ზღვის შვილები“ და „ლაზეთი“. ასევე, სოფლის კლუბში სოფლის ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული ფოლკლორული ანსამბლი „კოლხა“. ლაზური კულტურის, ტრადიციების გამომზეურებას უკავშირდება „კოლხობის“ დღესასწაული, რომელიც პირველად 1978 წელს ჩატარდა „ქვაომხაზობის“სახელით. 1979 წლიდან სარფის სანაპიროზე „კოლხობის“ სახელი მიიღო. ის უკავშირდება ძველ ლაზურ ტრადიციას. ლაზეთში ოდითგან იყო გავრცელებული ზღვაში მასობრივი ბანაობის ტრადიცია. ეს რიტუალი მე-20 საუკუნის პირველ მესამედშიც კი სრულდებოდა სარფში. მას „მზოღას ონჩვიუში დღა” (ზღვაში ბანაობის დღე) ეწოდებოდა და „მარაშინაშ შქვითში” (მარიამობის შვიდში) ანუ 20 აგვისტოს იმართებოდა.ზღვაზე საბანაოდ მასიურად მიმავალ ქალებს თან მიჰქონდათ სხვადასხვაგვარი ხილი, ახალშემოსული ყურძენი, მოხარშული კვახი და ზღვის ნაპირთან მიირთმევდნენ. ამ დღესასწაულს შესწრებია მოგზაური და მკვლევარი ნიკო მარი, რომელმაც 1910 წელს ლაზური ენის შესწავლის მიზნით იმოგზაურა ლაზეთში და ეს რიტუალი დააფიქსირა ლაზეთის ზოგიერთ კუთხეში, კერძოდ, ხოფა-სარფის ზონაში. იგი ამ რიტუალს „მომაკვდავ ხალხურ დღესასწაულს“ უწოდებს და ლიტროპ// მიტროპ-ის სახელით მოიხსენიებს. იგი ამ დღესასწაულს იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღეს უკავშირებს. რაც შეეხება სახელწოდება ლიტროპ//მიტროპ-ს, მკვლევარი ზ. თანდილავა მას ბერძნულიდან მომავალ ტერმინად მიიჩნევს. ეს დანაშაულის გამოსყიდვის, მონანიების, ცოდვისაგან განწმენდის აღმნიშვნელი ტერმინია და უნდა უკავშირდებოდეს წყალში მასიურ განბანვას, როგორც წყლით განწმენდის, განათვლის სიმბოლურ გამოხატულებას **(თანდილავა, 1996).** სწორედ ეს რიტუალი გააცოცხლეს „კოლხობის“ დღესასწაულით აჭარაში მცხოვრებმა ლაზებმა. თუმცა, დღეს „კოლხობის“ დღესასწაულს სახალხო ხასიათი აქვს. პირველ „კოლხობაზე“ ორგანიზატორებმა გააც-

ოცხლეს კოლხებისა და ბერძნების ურთიერთობის ისტორიული პერიპეტიები და თეატრალიზებულად წარმოადგინეს „არგონავტების“ მოგზაურობისა და კოლხ მეედეას მოტაცების ისტორია. დღესაც, კოლხობის დღესასწაულზე ეწყობა თეატრალური წარმოდგენა, აცოცხლებენ „ოქროს საწმისის“ ლეგენდას, გამოდიან სხვადასხვა ფოლკლორული ანსამბლები. სახელდახელოდ მზადდება ლაზური კერძები, უმასპინძლდებიან მოწვეულ სტუმრებს (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები **(აჭარა), 2009).**

ლაზური რეპერტუარის მაქსიმალურად გამდიდრებისთვის იღწვის ანსამბლი „ათძალი“. ანსამბლს ხელმძღვანელობს სარფის მკვიდრი, ქალბატონი ლილი აბდულიში. მისი დამსახურებით დღეს არსებობს ათეულობით ლაზური სიმღერა, რომელიც დავიწყებას იყო მიცემული.

ლაზური საცეკვაო ფოლკლორის მშვენებაა „ლაზ მეთევზეთა“ ცეკვა, რომელსაც „მებადურთა ცეკვის“ სახელთაც მოიხსენიებენ. ცეკვა ლაზთა უძველეს საქმიანობას - მეთევზეობა-ნაოსნობას ასახავს. მას აჭარაში, ძირითადად, სარფში ცეკვავდნენ. იგი სრულდებოდა ჩასაბერი(სტვირი ანუ „ოსტვინადე”, სალამური ანუ „კაკალი”)და დასარ-ტყმელი ინსტრუმენტებისა და სიმღერის თანხლებით. „ლაზურის”(„ლაზხორუმის”) გარდა, ლაზებში სხვა ცეკვებიც იყო გავრცელებული: „ოთირთი ნანო”, „მენჯელიში”, „მხუჯიში” და ა.შ. **(აჭარა. ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები:2015).**

დასკვნა

ლაზეთის, ისტორიული ჭანეთის უმთავრესი ნაწილი ამჟამად საქართველოს საზღვრებს მიღმაა. საქართველოს ტერიტორიაზე ლაზთა მხოლოდ ერთი სოფელი - სარფია დარჩენილი. წერილობითი წყაროები, მატერიალური თუ სულიერი კულტურის ელემენტები, ნივთიერი კულტურის ძეგლები თუ ტოპონიმები კარგად ინახავენ უძველეს ლაზურ ტრადიციებს და ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ლაზებმა, სხვა ქართველ ტომებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს პოლიტიკურ - სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ჭანების//ლაზების შესახებ მრავლად მოგვეპოვება ქართული თუ უცხოური წერილობითი წყაროები. არაერთი ქართველო

მკვლევარის ნაშრომი მიეძღვნა ამ მხარის ისტორიას. თუმცა ნაკლებადაა ნაშრომები ლაზთა ეთნოკულტურის შესახებ. ჩვენი ნაშრომი სწორედ ლაზთა ტრადიციული ყოფის ისტორიულ-ეთნოლოგიურ ასპექტებს ეძღვნება.

მიუხედავად თავს დატეხილი არაერთი ავბედობისა, აჭარაში მცხოვრებმა ლაზებმა ტრადიციული სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის არაერთი ელემენტი შემოინახეს. ამდენად, ჩვენი საკვლევი რეგიონი, თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობითა და მდიდარი ისტორიული წარსულით, იმ წვლილით, რაც მას მიუძღვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და მთლიანად საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, მრავალფეროვანი ტრადიციულ-ყოფითი კულტურით, მატერიალური კულტურის ძეგლებით, მდიდარი ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მემკვიდრეობით მეტად საინტერესოა. აქ შემორჩენილია კულტურის ბევრი ისეთი ელემენტი, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილ ლაზთა ყოფიდან თითქმის მთლიანად გამქრალი ან ძალზე ტრანსფორმირებულია. ამდენად ეს ფასდაუდებელი მასალაა ლაზური ტრადიციული ყოფის შესწავლის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ariane flavius (1961). Mogzauroba Shavi Zgvis Garshemo, (Targmna, gamokvlevebi, Komentarebi da Ruka Natela Kewekmadzisa), Ucxouri Wyaroebi Saqartvelos Shesaxeb, Wigni II, Tbilisi. (არიანე ფლავიუს, (1961). მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, (თარგმანი, გამოკვლევები, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაყმაძისა), უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი II, თბილისი);
2. Adjara (2015). Turistul-Mxaretmcodneobiti resursebi, Batumi. (აჭარა. (2015). ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, ბათუმი);
3. Baqradze, R. (1971). Sabchota Sarfi. Batumi. ბაქრაძე, რ. (1971). საბჭოთა სარფი, ბათუმი;
4. Varshalomidze, J. (1979). Ornamenti xeze, Batumi. (ვარშალომიძე, ჯ. (1979). ორნამენტი ხეზე, ბათუმი);

5. Vanilishi, M. Tandilava, A. (1964). Lazeti. Tbilisi. (ვანილიში, მ. თანდილავა, ა. (1964). ლაზეთი“, თბილისი);
6. Vanilishi, G.(1978). Lazuri Sacxovrebeli da Sameurneo Nagebobani, - SDSYK, V, Tbilisi. (ვანილიში, გ. (1978). ლაზური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, – სდსყკ, V, თბილისი);
7. Vanilishi, G. (2017). Erti Mosazreba Toponim „Dudikvatas“ Sesaxeb, Saqartvelos Etnologiis Problemmebi, Batumi.(ვანილიში, გ. (2017). ერთი მოსაზრება ტოპონიმ „დუდიკვათას“ შესახებ, საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, ბათუმი);
8. Tandilava, Z. (1976). Metevzeebis Leqsikidan,- Kr.: Ajaris Dialeqtis Dargobrivi Leqsikidan, Tbilisi. (თანდილავა, ზ. (1976). მეთევზეობის ლექსიკიდან, – კრ.: აჭარის დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან, თბილისი);
9. Tandilava, Z. (1996). Wylis Kulti da Qartuli Folklori, Batumi.(თანდილავა, ზ. (1996). წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, ბათუმი;
10. Tandilava, I. Labadze, M. Futkaradze, T. Lazetis mkvidr Qartvelta (Lazta) Enobrivi-Etnikuri Identuri Sakitxebi. (თანდილავა ი., ლაბაძე მ., ფუტკარაძე ტ., ლაზეთის მკვიდრ ქართველთა (ლაზთა) ენობრივი-ეთნიკური იდენტური საკითხები.-http:// dl. sangu. edu.ge/ pdf/qapvols/qap_v1_18.pdf);
11. Tandilava, L. (2018-2021). Sarfi, Savele Etnografiuli Dgiurebi.(თანდილავა, ლ. (2018-2021). სარფი, საველე ეთნოგრაფიული დღიურები);
12. Tandilava, L. (2018-2021). Materialuri Kultura, Savele Etnografiuli Dgiurebi. (თანდილავა, ლ. (2018-2021). მატერიალური კულტურა, საველე ეთნოგრაფიული დღიურები);
13. Tandilava, L. (2018-2021). Lazuri Gartoba-Tamashobani, Savele Etnografiuli Dgiurebi. (თანდილავა, ლ. (2018-2021). ლაზური გართობა-თამაშობანი, საველე ეთნოგრაფიული დღიურები);
14. Tandilava, L. (2018-2021). Samosi, Savele Dgiurebi. (თანდილავა, ლ. (2018-2021). სამოსი, საველე დღიურები);
15. Tandilava, L. (2018-2021). Samzareulo, Savele Dgiurebi. (თანდილავა, ლ. (2018-2021). სამზარეულო, საველე დღიურები);

16. Tandilava, L. (2018-2021). Nadiroba, Savele Dgiurebi. (თანდილავა, ლ. (2018-2021). ნადირობა, საველე დღიურები);
17. Ingoroyva, P. (1954). Giorgi Merchule, Tbilisi. (ინგოროყვა, პ. (1954). გიორგი მერჩულე, თბილისი);
18. Lazuri Arqiteqtura, (2018). ლაზური არქიტექტურა, (2018). http:/ /intermedia. ge/%E1%83 %A1%E1%83%A2%E1% 83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/102806%E1%83% 9A%E1%83%90%E1%83% 96%E1%83%A3%E1%83%A 0%E1 %83%98%E 1%8390%E1%83%A0 %E1%83%A5%E1%83%98% E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E 1%83 %A3 %E1%83%A0%E1%83%90/48/;
19. Memishishi, O. (2015). Lazuri Andazebi da Idiomebi. Batumi. (მემიშიში, ო. (2015). ლაზური ანდაზები და იდიომები, ბათუმი);
20. Miqeladze, T. (1967). Qsenofontis Anabasasisi, Tbilisi. (მიქელაძე, თ. (1967). ქსენოფონტის ანაბასისი, თბილისი);
21. Miqeladze, J. (1982). Sacxovrebeli da Sameurneo Nagebobani Ajarashi, Batumi). მიქელაძე, ჯ. (1982). საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი);
22. Sarfi, (2015). Batumi.(სარფი, (2015). ბათუმი);
23. Samushia, J. (2014). Omi da Meomrebi, Tbilisi). სამუშია, ჯ. (2014). ომი და მეომრები, თბილისი);
24. Samxret-Dasavlet Saqartvelos Istoriis Narkvevebi,(2019).Ajara.II, Batumi. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (2019). აჭარა, II, ბათუმი);
25. Sixarulidze, I. (1977). Chaneti. Batumi.(სიხარულიძე, ი. (1977). ჭანეთი, ბათუმი);
26. Chitaia,G.(2001). Lazuri Ornamentebi, Shromebi,T.3.Tbilisi).(ჩიტაია,გ. (2001). ლაზური ორნამენტი, შრომები, ტ.3, თბილისი).

The Lazs in Adjara (historical, ethnographic and ethnocultural aspects)

Luka Tandilava
TbilisiIvane JavakhishviliState University
Undergraduaate of Cultural and Social Anthropology
Orcid.org/0000-0003-3593-6661
lukatandilava@gmail.com
555412556

Abstract.

The purpose and task of the scientific work "The Lazs in Adjara (historical, ethnographic and ethnocultural aspects)" is to acquaint a reader with the historical, ethnographic and ethnocultural aspects of the traditional life of the Laz people living in Adjara. The article deals with various aspects of the material and spiritual culture of the Lazs, as well as their traditional way of life in general, by comparing them with ethnographic materials or written sources, in particular, the geographical area of the settlement, structure, rural toponymy and history, ethnographic features of the Laz house. The specificity of the Laz cuisine and the special place of fish in the Laz cuisine are analyzed. The article is mainly based on a case study that I conducted in Sarpi village. During the research, I met with the elders of the village, with whom I talked about my research problems, and based on the information they provided, I have conducted the research on the present topic. In the work, I have used a rich visual material, which once again convinces us that the inclusion of relevant illustrations in the process of ethnological research makes it possible to draw interesting conclusions.

Key words: the Lazpeople; Adjara; ethnography.

საერთო სემანტიკის მქონე ქართულ და თურქულ იდიომთა სტრუქტურა

ანა ახალაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტის დოქტორანტი
საქართველო, ბათუმი.
ORCID identifier is 0000-0001-5469-1124
aakhaladze@cu.edu.ge
577 30 41 30

აბსტრაქტი

ნაშრომში, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით, განხილულია ქართული და თურქული იდიომების სტრუქტურა როგორც სემანტიკური, ისე სტილისტიკური თვალთახედვით, იმის გათვალისწინებით, რომ თურქულში იდიომი ფრაზეოლოგიზმისგან მკაცრად გამიჯნული არაა და სიტყვა deyim-ის ქვეშ („იდიომი“ იქ ნაკლებად გამოიყენება) მოქცეულია ყველა ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც ანდაზა-აფორიზმისგან განსხვავებულია. საინტერესოა, რომ თურქულში ვხვდებით ერთსიტყვიან იდიომებსაც, თუმცა, თურქ მკვლევართა უმრავლესობა, როგორც წესი, იდიომად განიხილავს სულ მცირე ორი სიტყვის კომბინაციას.

როგორც ირკვევა, ორ, სამ და ოთხ სიტყვიანი იდიომები თურქულში შეადგენს საერთო რაოდენობის 95%-ს, რომელთაგან უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ორსიტყვიანია. ქართულ ენაში, ისევე როგორც თურქულში სჭარბობს ზმნური იდიომები, სახელური (სუბსტანტური) იდიომები კი გაცილებით ნაკლებია.

კიდევ უფრო მოკრძალებულადაა წარმოდგენილი ამ ენებში ზმნისართული (ადვერბული) იდიომები. თურქულ იდიომებში მრავლად გვხვდება გაორმაგება, ანუ მოვლენა, როცა ერთი და იგივე სიტყვა სრულად, უმეტეს შემთხვევაში - ნაწილობრივ მეორდება. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი სიტყვები პირდაპირ არ ითარგმნება.

მიუხედავად იმისა, რომ იდიომი სიტყვათა მყარი, უცვლელი ერთობაა, ქართულში, თურქულისგან განსხვავებით, სიტყვათა რიგითობის პრინციპი, ცალკეულ შემთხვევებში, ირღვევა. სიტყვათა ჩანაცვლება და რედუქცია-გავრცობა კი შეინიშნება როგორც ქართულ, ისე თურქულ ენაშიც, რაც ამ ენების ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში რთული დასადგენია ხოლმე, თუ იდიომის რომელი ფორმაა ამოსავალი - რედუცირებული თუ გავრცობილი.

საკვანძო სიტყვები: იდიომი; ფრაზეოლოგიზმი; ქართული ენა; თურქული ენა; კომპონენტი; სტრუქტურა; რედუქცია.

შესავალი

იდიომის რაობასთან დაკავშირებით ენათმეცნიერებაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. საერთო აღიარებით, ესაა სიტყვათა ფიქსირებული ჯგუფი (მინიმუმ ორკომპონენტიანი), რომლის მთავარ მახასიათებლად გვევლინება მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც არ მიიღება შემადგენელი ლექსემების მნიშვნელობათა მექანიკური დაჯამებით. იდიომს ბევრი საერთო აქვს ფრაზეოლოგიზმთან, მაგრამ მისგან განსხვავებით იდიომში ხდება მთელი გამოთქმის მეტაფორიზება, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში კი - მხოლოდ ნაწილის დაე.წ. საყრდენი სიტყვა ახალი შინაარსის ფორმირებაში მთავარ როლს თამაშობს.

მეთოდი

ნაშრომი ეფუძნება ქართული და თურქული იდიომების ტიპოლოგიურ, სემასიოლოგიურ ანალიზს. გამოყენებულია სამეცნიერო სფეროში ფართოდ გავრცელებული და აღიარებული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინდუქციური და დედუქციური მეთოდების, დაკვირვებისა და ემპირიული მიდგომების ერთობლიობას. ჯერ ვახდენდით მასალების მოპოვება-სისტემა-

ტიზაციას. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება როგორც ქართული, ისე თურქული იდიომები. შემდგომ ეტაპზე ვაჯერებდით და ვაანალიზებდით ემპირიულ მასალას, ვიკვლევდით მათ შორის მიმართებებს. საბოლოოდ კი, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე ვაკეთებდით შესაბამის დასკვნებს.

შედეგი

კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა გვეპოვა ის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რაც საერთო სემანტიკის მქონე ქართულ და თურქულ იდიომებს ახასიათებთ. კერძოდ, სიტყვათა რიგითობის პრინციპს, ქართულისგან განსხვავებით, მყარად იცავს თურქული იდიომი, სიტყვათა ჩანაცვლება და რედუქცია-გავრცობა კი შეინიშნება ორივე ენის იდიომებში. რა თქმა უნდა, აღნიშნული მსგავსება-განსხვავება გამომდინარეობს ამ ენათა ბუნებიდან.

მსჯელობა

ქართულისგან განსხვავებით, თურქულში იდიომი ფრაზეოლოგიზმისგან მკაცრად გამიჯნული არაა. სიტყვა deyim-ის ქვეშ იგულისხმება ყველა ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც ანდაზა-აფორიზმისგან განსხვავებულია. თავად სიტყვა „იდიომი“ ნაკლებად გამოიყენება. საინტერესოა, რომ თურქულში აქაიქ ვხვდებით ერთსიტყვიან იდიომებსაც, უფრო სწორად, ზოგიერთები ცალკეულ შედგენილ სიტყვებს ასეთად მიიჩნევენ, თუმცა, თურქ მკვლევართა უმრავლესობა, როგორც წესი, იდიომად განიხილავს სულ მცირე ორი სიტყვის კომბინაციას.

მკვლევარმა აჰმედ თურან სინანმა შეისწავლა 17 ათასზე მეტი ფრაზეოლოგიზმი თუ იდიომი და დააჯგუფა ლექსემათა რაოდენობის მიხედვით. მისი დაკვირვებით: ორსიტყვიანი იდიომები თურქულში საერთო რაოდენობის 63%-ია; სამსიტყვიანი - 23%-მდე; ოთხსიტყვიანი - 9%; ხუთსიტყვიანი - 2,5%; ექვს, შვიდ, რვა და ცხრასიტყვიანი იდიომების რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა **(Sinan, 2001: 95-96).**

პროცენტულად, ალბათ, ძნელი დასადგენია, მაგრამ ფაქტია, ორ და სამსიტყვიანი იდიომები ქართულშიც უფრო მრავლად გვხვდება. ქვემოთ, ძირითადად, სწორედ ასეთ იდიომებზე გავამახვილებთ ყურადღებას და განვიხილავთ მათ სტრუქტურას

ორივე ენაში, ძირითადად, კონცეპტ „დრო და სივრცის“ მაგალითზე.

ქართულში იდიომები, უმრავლეს შემთხვევაში, ზმნურია, მათი დიდი ნაწილი კი – ორკომპონენტიანი. მაგალითად:

- *სამარისკენ იყურება*– მალე მოკვდება, მისი დღეები დათვლილია;
- *დრო მოჭამა*– დაბერდა, დაძველდა.

შედარებით ნაკლებია სახელური ანუ სუბსტანტური (სუბსტანტიური)იდიომები:

- *ცხრა მთას იქით* –ძალიან შორს;
- *კუს ნაბიჯით* –ზლაზვნით, ძალიან ნელა.

ქართულში კიდევ უფრო ნაკლებია ზმნისართული, ანუ ადვერბული (ადვერბიალური) იდიომები:

- *თავზე საყრელი* –ძალიან ბევრი, უხვად;
- *წრეს გადასული* –უზომო, უნორმო, გადაჭარბებული.

ქართულის მსგავსად, თურქული იდიომების უმრავლესობაში სახელისა და ზმნის კომბინაციაა (მრავლად გვხვდება მასდარის ფორმით -mak, -mek). მაგალითად:

- *Vadesi gelmek* – (პირდ.: ვადის, დროის მოსვლა) – სიცოცხლის დასრულება, გარდაცვალება;
- *Ağzı açık kaldı*(პირდ.: პირი ღია დარჩა) – ძალიან გაუკვირდა, გაოცდა. ქართველები იგივე მნიშვნელობით სწორედ ამ იდიომს ვიყენებთ და არც თუ ისე იშვიათად.

ზმნური იდიომების გვერდით, არც ისე მრავლად, გვხვდება სახელური იდიომებიც. მაგალითად:

- *Uçsuz bucaksız*- უსაზღვროდ დიდი, ფართო
- *Ayağının tozuyla* (პირდ.: თავისი ფეხის მტვრით) – მაშინვე, დაუყოვნებლივ. ქართული შესატყვისია: *სულის მოუთქმელად.*
- *Ağız tadı*(პირდ.: პირის გემო) – სისუფთავის, წესრიგის, სითბოს ან კომფორტის მდგომარეობა ოჯახში ან ნებისმიერ საზოგადოებაში (ანუ გემრიელი ყოფა). ქართულში გვაქვს გამოთქმა – *პირის გემო იცის,* რაც ჭამის მოყვარულს ნიშნავს.

მცირეა თურქული ზმნისართული იდიომების რიცხვიც:

- *Ağzı bozuk*(პირდ. ცუდი პირი) – ყიამყრალი, უხამსი.

➢ *Dirsek çürütmüş (იდაყვ გაცვეთილი) – განსწავლული, ნაკითხი. ქართულში ანალოგიური მნიშვნელობით ვიყენებთ გამოთქმას – წიგნის ჭია.*

➢ *Ayaklı kütüphane* (პირდ.: მოსიარულე ბიბლიოთეკა) – ძალიან ნაკითხი, ყველაფრის მცოდნე, განათლებული. ქართულში მისი შესაბამისი იდიომებია: *მოსიარულე ენციკლოპედია, უგზო-უკვლოდ განათლებული.*

აქვე, საინტერესოა, რომ თურქულ იდიომებში მრავლად გვხვდება გაორმაგება, ანუ მოვლენა, როცა ერთი და იგივე სიტყვა სრულად, უმეტეს შემთხვევაში -ნაწილობრივ მეორდება. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი სიტყვები პირდაპირ არ ითარგმნება. მაგალითად:

➢ *Abur cubur*– არეულ-დარეული, დომხალი, უაზრო (გამოიყენება საკვებთან, საქმესთან და ლაპარაკთან მიმართებაში).

➢ *Abuk sabuk konulmak*–მოუფიქრებელი, დაულაგებელი, უაზრო საუბარი.

➢ *Dobra dobra söylemek*–პირდაპირ და ღიად ლაპარაკი.

➢ *Eften püften*– მალფუჭებადი, ყალბი, დამპალი.

➢ *Patır kütür*– ხმაურით, ძლიერად, სწრაფად **(Deyimler sözlüğu).**

იდიომის სტრუქტურასთან დაკავშირებითგანსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. მკვლევართა **(თაყაიშვილი, 1961; ცეცხლაძე, 2018...)** მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე, გამოვყოფთ სამ სპეციფიკურ მახასიათებელს და განვიხილავთ მათ ქართულ-თურქული მაგალითების მოშველიებით:

1) მიჩნეულია, რომ იდიომში, როგორც სიტყვათა ფიქსირებულ, მყარ ერთობაში სიტყვათა რიგითობა ურღვევია. უმრავლეს შემთხვევაში ეს ასეცაა, მაგრამ ეს პრინციპი ქართულში ზოგჯერ ირღვევა. მაგალითად: *ჭურში ზის-* შეუცვლელია, *გული მოუვიდა - მოუვიდა გული* - ცვალებადია. ზოგიერთი მკვლევარი ამას ხსნის განსაკუთრებული სტილისტიკურობით. სიტყვათა რიგის ცვალებადობა ენის ბუნებაზეა დამოკიდებული, გარკვეულ თანამიმდევრობას ემორჩილება. ქართულში „სიტყვათა რიგის თავისუფლება გვაქვს. ის განსაზღვრული წყობა, რომელსაც მაინც იცავს ქართული, იდიომის ბუნებიდან კი არ

გამომდინარეობს, არამედ თვით ენის ტენდენციიდან - გარკვეული თანამიმდევრობა დაიცვას შესიტყვებაში“ **(თაყაიშვილი, 1961: 22).**

ამ მხრივ თურქულში განსხვავებული სიტუაციაა. თურქულ იდიომებში, ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, სიტყვათა რიგი პრაქტიკულად არ იცვლება, მაგალითად:

➢ *Vaktini öldürmek* (პირდ.: დროის მოკვლა)– არაფრის კეთება. ამ შესიტყვებაში სიტყვათა ადგილების შეცვლა შეუძლებელია, რადგან იკარგება არა მარტო იდიომური გაგება, არამედ ირღვევა თურქული ენის გრამატიკის ნორმა და პრინციპი. ეს ეხება არა მარტო ზმნურ იდიომებს. სიტყვათა წყობის მუდმივობა ურღვევია სახელურ იდიომებშიც. მაგალითად:

➢ *Sabahın köründe*(პირდ.: დილის ბინდი) – ძალიან ადრე, გათენებამდე.

➢ *Çarşamba pazarı*(პირდ.: ოთხშაბათის ბაზარი) – ღია, ქაოსური სივრცე, ადგილი.

2) როგორც ცნობილია, იდიომი მყარი სტერეოტიპული გამონათქვამია, რომელშიც სიტყვათა ჩანაცვლება დაუშვებელია. თარგმანმცოდნეობის სახელმძღვანელოს ავტორის, ხ. ბერიძის მიხედვით, დაუშვებელია იდიომში კომპონენტების წყობის შეცვლა, სიტყვის ამოგდება, ჩამატება ან ჩანაცვლება, გრამატიკული წყობის დარღვევა **(ბერიძე, 2018:107).** ეს მოსაზრება ძირითადად მიღებული და გავრცელებულია ლინგვისტიკაში. თუმცა, როგორც ირკვევა, ქართულში შეიმჩნევა გამონაკლისებიც. მაგ.: *ენა წინ უსწრებს, ენა წინ გაურბის.* უსწრებს ჩაანაცვლა ზმნამ გაურბის. გარდა ზმნური კომპონენტის ჩანაცვლებისა ხშირია „სემანტიკური ფუძის“ სინონიმური ჩანაცვლებაც - *ფეხს მოიტეხს, კისერს მოიტეხს* **(კანდელაკი, 1955:53).**

როგორი ვითარებაა ამ მხრივ თურქულში: მკვლევარ ო. აქსოის აზრით, იდიომის სიტყვების შეცვლა სხვა სიტყვებით, ასევე, სინტაქსის დარღვევა შეუძლებელია, თუნდაც იგივე გაგებით **(Aksoy,1988: 38).** ამ საკითხზე იგივე მოსაზრება აქვს იუსუფ ზია ბაჰადინლის. მისი აზრით, იდიომებს გააჩნიათ ღრმა ფესვები და ამიტომ მათი გამოყენებისას არ უნდა დავამახინჯოთ ისინი **(Bahadınlı,1971:5).** თავის მხრივ, ვ. ჰათიფოღლუ აცხადებს,

რომ იდიომების სტერეოტიპული მახასიათებელი უფრო მოქნილია და მიუხედავად იმისა, რომ იდიომი მყარი შენაერთებია, სიტყვები შეიძლება შეიცვალოს. მან ხაზი გაუსვა, რომ ამის მიზეზი არის ის, რომ ზოგიერთ სიტყვას იდიომებში შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული უღლება **(ballı,2019:37).**

იდიომებში ლექსემათა ჩანაცვლების შესაძლებლობაზე მიუთითებს. სინანიც, რასაც ავტორი ენის, როგორც სოციალური ინსტიტუტის განვითარებას უკავშირებს. იგი ამ, სიტყვაცვლადი კატეგორიის იდიომებს სამ ნაწილად ყოფს:

1. იდიომები, რომლებშიც ცვლადია პირველი სიტყვა. მაგალითად:

➢ *Kadın//avrat ağızlı* (პირდ.: ქალივით მოლაპარაკე) – სექსისტური, დამამცირებელი გამონათქვამია– ჭორიკანა მამაკაცი.

➢ *Kazık// baston yutmuş gibi* (პირდ.: ყავარჯენ გადაყლაპულივით).

გამოიყენება ზედმეტად გამართულად მოსიარულე ადამიანთან მიმართებაში. შდრ.: *სარგადაყლაპული.*

2. იდიომები, რომლებშიც ცვლადია ბოლო სიტყვა. მაგალითად:

➢ *Bir kıyamettir gitmek// kopmak* (პირდ.: მეორედ მოსვლა) – იდიომური მნიშვნელობა: ძალიან ბევრი ხმაური, აურზაური.

➢ *Bülbül gibi konuşmak/ konuşturmak, okumak, ötmek, söylemek, söyletmek* (პირდ.: ბულბულის ხმით მოსაუბრე, მგალობელი, მთქმელი). იდიომური მნიშვნელობა: ტკბილ-მოუბარი **(მამულია,2006: Deyimler sözlüğu).**

3. იდიომები, რომლებშიც სიტყვა იცვლება შუაში. ამ ტიპის იდიომებშიც ჩანაცვლება ხდება სინონიმური, ან მსგავსი ტიპის და მნიშვნელობის სიტყვებით. მაგალითად: *arkasına-ardına* (უკან-ზურგში), *ağzını-gözünü* (პირი-თვალი), *ayağını-bacağını* (ხელი-ფეხი), *başını-sakalını* (თავი-წვერი), *cehenneme-ateşe* (ჯოჯოხეთი-ცეცხლი), *göbeğine-karnına* (მუცელი-კუჭი), *oğlana-çocuğa* (შვილი-ბავშვი), *şüphesi-kuşkusu* (ვარაუდი-ეჭვი)... **(Sinan, 2009:2005-2008).**

3) იდიომის რედუქცია-გავრცობის შეუძლებლობა. მეცნიერთა აზრი ამ შემთხვევაშიც იყოფა, ნაწილს შეუძლებლად

მიაჩნია იდიომის შემადგენელი ნაწილების რედუქცია ან ჩამატება. ეს, მათი აზრით, იდიომის დაშლას იწვევს **(ონიანი, 1954:58-59)**. არადა, ქართულში ხშირად ვხვდებით ამ მოვლენას. მაგ.:

- *გულში ჯავრი ჩარჩა* –ჯავრი ჩარჩა,
- *გულის ჯავრი იყარა* –ჯავრი იყარა.
- *კისერი უტეხია - კინჩხი და კისერი უტეხია* **(ცეცხლაძე,2018)**.

ზოგჯერ რამდენიმე კომპონენტი ვარდება, მაგრამ მისი მხატვრულობა არ ირღვევა (ხდება როგორც მთავარი, ასევე მეორეხარისხოვანი კომპონენტის ამოვარდნა). რედუქციის პარალელურად, იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით იდიომის კომპონენტთა გავრცობას. მაგ.: *წელი აქვს* - მაგარი წელი აქვს. *ფეხზე დააყენა* - ფეხზე მაგრად დააყენა. ასეთ სიტუაციაში რთული დასადგენია, იდიომის რედუქცირებული, თუ გავრცობილი ფორმაა ამოსავალი.

რედუქცია-გავრცობის შემთხვევები გვაქვს თურქულშიც. მაგალითად:

- *Anadan (yeni) doğmuşa döndü*(პირდ.: ახალ დაბადებულს დაემსგავსა)–ყოველგვარი უსიამოვნებისგან, ავადმყოფობისა და ტკივილისგან გათავისუფლდა, შვებით ამოისუნთქა. ქართული შესატყვისია: *ხელახლა დაიბადა.*
- *(Üstünden) ağır bit yuk kalktı*(პირდ.: (ზემოდან) მძიმე ტვირთი მოშორდა) – ეშველა, ამოისუნთქა. ქართული შესატყვისია– *გულიდან ლოდი მოშორდა.*
- *Başını (ortaya) koyar* (პირდ.: თავი დადო) – ყოველ ღონეს იხმარს, გადაჭყვება, გადააკვდება. *ქართული შესატყვისიც იგივეა: თავი გადასდო, თავი გაწირა* **(მამულია,2006)**.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ სამივე შემთხვევაში ამოსავალია გავრცობილი ფორმა და დროთა განმავლობაში მოხდა მისი რედუქცირება.

დასკვნა

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ იდიომი სიტყვათა მყარი, უცვლელი ერთობაა, ქართულში, თურქულისგან განსხვავებით, სიტყვათა რიგითობის პრინციპი, ცალკეულ შემთხვევებში, ირღვევა. სიტყვათა ჩანაცვლება და რედუქცია-გავრცობა კი შეინ-

იშნება როგორც ქართულ, ისე თურქულ ენაშიც, რაც ამ ენების ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტეს შემთხვევაში რთული დასადგენია ხოლმე, თუ იდიომის რომელი ფორმაა ამოსავალი – რედუქცირებული თუ გავრცობილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Beridze,X. (2018). Targmantmcodneoba, Batumi. (ბერიძე, ხ. (2018). თარგმანმცოდნეობა, ბათუმი);
2. Takaishvili, A. (1961). qartuli frazeologiis sakitxebi, Tbilisi. (თაყაიშვილი, ა. (1961). ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი);
3. Kandelaki, Q. (1955). Inglisuri metaforuli idiomebi da mati qartuli ekvivalenti(tanamedrove targmanebis mixedvit), Tbilisi). (კანდელაკი, ქ. (1955). ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები (თანამედროვე თარგმანების მიხედვით), თბილისი);
4. Mamulia,E.(2006). Turqul-Qartuli frazeologiuri leqsikoni, Tbilisi). (მამულია, ე. (2006). თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი);
5. Oniani, AL (1966), Qartuli idiomebi, Tbilisi). (ონიანი, ალ. (1966). ქართული იდიომები, თბილისი);
6. Qartuli enis idiomebisa da andazebis fondebis monacemta baza), (ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა, http://idioms.tsu.ge);
7. Cecxladze,N.(2018). Frazeologizmta kvlevis aspeqtebi, Tbilisi).(ცეცხლაძე,ნ.(2018). ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, თბილისი);
8. Aksoy Ö. A. (1988). Atasözleri ve Deyimler Sözlüğü 1-2, İnkılâp Kitabevi, İstanbul.
9. Bahadınlı, Y. Z. (1971). Türkçe Deyimler Sözlüğü, İstanbul.;
10. Ballı E.(2019). Devrek yöresinden derlenmiş atasözleri ve deyimlerin tematik açidan değerlendirilmesi, Yüksek Lisans Tezi, Zonguldak.;

11. Deyimler sözlüğü, https://www.dilbilgisi.net/deyimler-sozlugu;
12. Sinan A. T.(2001). Türkçenin Deyim Varlığı, Kubbealtı Yay., Malatya.;
13. Sinan A. T. (2009). Deyimlerin yapisi değişir mi? Turkish Studies, International Periodical for the Languages, Literature and History of Turkish or Turkic, Volume 4/8.

The Structure of Georgian and Turkish Idioms With the Same Semantics

Ana Akhaladze
PhD student,
The Department of Georgian Philology
Batumi Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi, Ninoshvilist. 32/35
ORCID identifier is 0000-0001-5469-1124
aakhaladze@cu.edu.ge
577 30 41 30

Abstract

The paper, based on relevant examples, discusses the structure of Georgian and Turkish idioms from a semantic and stylistic point of view, given that the idiom in Turkish is not strictly separated from phraseology and the word „deyim" ("idiom" is rarely used there) covers all phraseological units, which is different from proverb-aphorisms. It is interesting, that we also find monosyllabic idioms in Turkish, although most Turkish scholars usually consider a combination of at least two words as an idiom.

As it turns out, two-, three-, and four-word idioms make up 95% of the total number in Turkish, most of which are of course two-word.Verbal (predicative) idioms predominate in both Georgian and Turkish, but Nominative idioms are much fewer. Adverbial idioms are even more modestly represented in these languages.In Turkish idioms we often find a doubling, ie an event when the same word is fully, in most cases - partially repeated. In some cases such words are not translated directly.

Although the idiom is a solid, unchanging unity of words, in Georgian, unlike in Turkish, in some cases the principle of word order is violated. Word replacement and reduction-expansion is observed in both Georgian and Turkish languages. The reason for everything is to be found in the nature of these languages. It should also be noted that

in most cases it is difficult to determine which form of idiom is primary- reduced or widespread.

keywords: Idiom; phraseology; Georgian language; Turkish language; component; structure; reduction.

ზმნა და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი მარადიდულ კლარჯულში

ნათელა ფარტენაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქ.32/35
ORCID identifieris0000-0001-7919-8635
natia.phartenadze@bsu.edu.ge
+995 577 179 744

აბსტრაქტი

მარადიდელთა მეტყველებაში იშვიათია **პირის ნიშანთა** გაუჩინარება (ეს ეხება მხოლოდ პირველი სუბიექტური პირის ვ-პრეფიქსს, ბაგისმიერი უ' ხმოვნის წინ და მესამე ირიბი ობიექტური პირის პრეფიქსების დაკარგვის შემთხვევებს ყრუ თანხმოვნების წინ), მაგრამ საკმაოდ ხშირია პირის ნიშანთა მონაცვლეობანი. ფუნქციურად ყველაზე მეტად დატვირთულია **-ენ** და **-ან** მრავლობითის მესამე სუბიექტური პირის ნიშნები და სხვა აფიქსთა ნაცვლად მათი გამოყენების სიხშირეც ამაზე მეტყველებს. ის არ არჩევს წყობას, პირთა კომბინაციასა და რიცხვს.

გვ-' პრეფიქსს ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად ცვლის **მ – ან; მ – ენ, მ-ეს, მ-ონ** კონფიქსები. **-თ** სუფიქსი კი, ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად, თითქმის არ დასტურდება.

-ან, -ენ სუფიქსთა მონაცვლეობა მხოლოდ მარადიდული მეტყველებისთვის და ზოგადად კლარჯულისთვის არაა დამახასიათებელი, ის შეიძლება საერთო ქართველურ მოვლენად გავიგოთ, რადგან გვხვდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც,

მაგრამ ასეთი სიხშირით მათი გამოყენება სწორედ სამხრული დიალექტების და კერძოდ, მარადიდულისთვის ნიშანდობლივ მოვლენად შეიძლება ჩავთვალოთ.

არც **ზმნისწინთა** მონაცვლეობაა კანონზომიერი, რადგან ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მათ ახსნაც მოეძებნოს, მაგრამ ზოგადად ეს მოვლენა ძალზე საინტერესოა, რადგან სხვადასხვა დიალექტში მსგავსი ფორმების გვერდით გვხვდება ბევრი განსხვავებული წარმოება და საინტერესო ფორმები. ზმნისწინთა შენაცვლებას უნდა იწვევდეს ფუნქციათა ერთიანობა. ზოგჯერ ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება რამდენიმე ზმნისწინით გადმოიცეს; ამას გარდა შეიძლება ერთ რომელიმე მიმართულებაზე ორი განსხვავებული ზმნისწინი მიუთითებდეს. გარკვეულ სიტუაციაში ზმნისწინები ერთმანეთის მაგივრობას ეწევიან.

დამატებითი ნიუანსების გამოხატვა ყველა ზმნისწინს არ შეუძლია, ის მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის სპეციფიკური ნიშან – თვისება შეიძლება იყოს.

ზმნისწინის დამატებითი ნიუანსები სრული ასპექტის გამოხატვას უკავშირდება. ყველა ის ზმნური ფორმა, რომელიც რაღაც სპეციფიკურ შინაარსს შეიცავს და დამატებითი ნიუანსები გააჩნია, უპირველეს ყოვლისა, სრული ასპექტისაა.

თემის ნიშანთა სისტემა ყველაზე არამყარი, ცვალებადი სისტემაა. თუ ამ მხრივ დავაკვირდებით მარადიდულ მეტყველებას, სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავია. ერთთემიანზმნებს ხშირად ერთვის თემის ნიშნები და პირიქით: თემისნიშნიანი ფორმების ნაცვლად დასტურდება უთემისნიშნო წარმოება. გვხვდება თემის ნიშანთა რედუცირებული (**გაწურვენ, დარეხვენ; მომკიდვიდა, გაყიდავდა**...) და თემისნიშანთა მონაცვლეობის მრავალფეროვნება (**-ავ, -ებ//-ი; -ებ//-ავ; -ამ//-ავ; -ავ//-ებ; -ავ//-ევ; -ებ//-ოფ; -ებ//-ობ; -ობ//-ოფ (-ეფ); -ავ//-ებ (-ეფ)**...

საკვანძო სიტყვები: დიალექტი; ზმნა; ზმნისწინი; პირის ნიშნები; თემის ნიშნები.

შესავალი

მარადიდი ორად გაყოფილი კლარჯული სოფელია. ზემო მარადიდი თურქეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული, ქვემო მარადიდი – საქართველოს.

მუჰაჯირი მარადიდლები და მათი ჩამომავლები თაობებს გადასცემდნენ წინაპართა სოფელში გაგონილ ისტორიებს, ფოლკლორს, ტრადიციებს...

შეიძლება ითქვას, რომ მარადიდელ მუჰაჯირთა სოფლებში ქართული ენის ცოდნის მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც მუჰაჯირთა სხვა სოფლებში, კერძოდ: ქართული იცის უფროსმა თაობამ, საშუალო თაობას უჭირს, მაგრამ ლაპარაკობს წინაპართა ენაზე, ახალმა თაობამ საერთოდ არ იცის ქართული.

მარადიდელთა მეტყველებას ჩვენ მარადიდული ,,კლარჯული ვუწოდეთ“. ვფიქრობთ, ტერმინი კარგად გამოხატავს მარადიდული ქართულის არსს. მარადიდელ მუჰაჯირთა მეტყველება კიდევ – მარადიდული კლარჯულის ნაწილია უცხო მხარეში შემონახული. მარადიდელთა ლინგვისტური პორტრეტი სრული ვერ იქნება მუჰაჯირ მარადიდელთა ქართულის გათვალისწინების გარეშე.

ჩვენ ლინგვისტურად გავაანალიზეთ მრავალფეროვანი მასალა, რომელიც ჩავიწერეთ ზემო და ქვემო მარადიდში. ამჟამად კი წარმოვადგენთ მხოლოდ ზმნასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

მეთოდები

წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: დიალექტური მასალის ლინგვისტური ანალიზი სინქრონიისა და დიაქრონიის ჭრილში, სტრუქტურული ანალიზი, დედუქცია, ინდუქცია, მორფოლოგიური ანალიზი.

მსჯელობა და შედეგები

პირისა და რიცხვის ნიშნები. პირველი სუბიექტური პირის ნიშანი **ვ-** დაკარგულია ბაგისმიერი **უ’** ხმოვნის წინ უფრო მეტად ზმნისწინიან ფორმებში: ჩვენ ქათმებ სიმინდი **დუუყრით** (ბალაგანსირთი); ჩალიღერში **ჩუუკიდე** და დავწვი (შერეფიე); აქიდამა წეჲ–მეთქი, **გუუშვი**..., თუმცა უზმნისწინო ფორმებშიც გვხვდება

ვ-ინის გაუჩინარების შემთხვევები, მაგრამ მსგავსი შემთხვევები არ არის უცხო ზეპირმეტყველებისთვის (ბაგისმიერი ხმოვნების წინ არ ისმის კბილბაგისმიერი **ვ**' თანხმოვანი): მე ვარი **უთხარი** მეგერ წასლაზე; ამა ღელე **უძახით ჩვენ** (ულიბეი)... იშვიათია ვ-ინის გაუჩინარება სხვა შემთხვევებში: ამსოჲ კაცებ დევაკავებდით, ასკერ **ჩაბარებდით** (შერეფიე)... ასევე იშვიათად გვხვდება ვ-მ პირის ნიშანთა მონაცვლეობა: ისე ნათქვამი არ **მამიწყდება** (ერდემლი)...

სუბიექტური მესამე პირი აწმყოში გამოხატულია არა **-ს**' სუფიქსით, არამედ **-ა**' ფორმანტით, რომელიც **-ან** სუფიქსიდან უნდა მომდინარეობდეს. მაგალითად: თუ კაცს ბედი **აქვა**, იმ გზაზე წასლიხან ფეხი წამოიკრავს (ახჩაგოჯა); ყველი მაქინა **მაქვა** (ბერძნევი); მაჲა **მაქვა** შრატისა (ქვემო მარადიდი)... ,,ჩვენებურების ქართულში" გვხვდება **მყავა**' ფორმაც: ჰიჩ ვინმე არ **მყავა;** დუქანში ვინმე არ **მყავა...** (ჩვენებ. 258).

მათ გვერდით გვხვდება აგრეთვე უსუფიქსო ფორმებიც, რომლებშიც ზოგჯერ სუფიქსთან ერთად იკარგება ფუძისეული **ვ**' თანხმოვანიც, ეს ძირითადად ეხება ქონა–ყოლის გამომხატველ ზმნებს: ნენეჲდან მახსოვს, დანახული არ **მაქ** (ეშმე ახმედიე); ახლა იმფერი ფიქრი ჰა **მაქ** (ხინწკანა); სიცოცხლეში ერთი'ნა გადმოვდე, ჰამა ქეჲფი არ **მაქ** (ულიბეი); ძროხა გვყავს, ბახჩა **გვაქ**, სიმინდი **გვაქ;** ახლა ი ჭკვა არ **მაქ**, დავბერდი და (ნურუ ოსმანიე); ბახჩა **გვაქ,** სიმინდი **გვაქ** (ჩიჩექფინქრი)... ასევე სხვა ფუძეშიც: მოპარვა ახლაც **არი** (გოზლუქი); ეს ჩემი შილი **არი** (ხინწკანა); ჩოქელეღიც არი, ჩლეჩილი ფეჲნირიც **არი**, კურუთი აკეთავენ...; სიმინდობა **არი** ახლა (ქვემო მარადიდი)...

უკუთქმით კონსტრუქციებში **არი**(ს) ზმნა დისიმილირდება უარყოფითი ნაწილაკის თანხმოვნის გავლენით და გვაძლევს **არი**(ს) >**ალი**'(ს) ფორმას: აქ ისე **არ ალი** (ერდემლი); მისი სულისთინ უკითხებენ, ღვინო-მინო **არ ალი** (ნუსრეთიე)...

მაქვს' და **მყავს**' ზმნები გამორჩეულია პირის ნიშანთა წარმოების მრავალფეროვნებით. კერძოდ, აღნიშნული ფუძე დაირთავს **-ან** სუფიქსს განურჩევლად წყობისა, პირთა კომბინაციისა და რიცხვისა. მაგალითად: სხვა ენა არ **აქვან** (ხება); ჲაღი ის ემე **აქვან** და მორეკებენ; ახლა გელინებს საქმე არ **აქვან** (ახმედიე); მეტი კაჲ თურქჩე არ **აქვან**; ყველაფერი **მაქვან** მე...; რა

მაქვან იმფერი? (ბერძნევი); სიმინდი მოვთხრი, ჩაჲ გვაქ, თხილი **მაქვან;** ქალაქშიც სახლი **მაქვან,** ბორჩხაში (ბალაბანსირთი); პური არ **მაქვან** ჩვენ (ეშმე ახმედიე); თამარაჲ გაგონილი **გაქვან?** (ერდემლი); ჩვენ სახში ძროხა **მყავან**; მეიქ ტაჲაშვილები **მყავან;** აქიდან რძალი **მყავან** ჩვენ (ნუსრეთიე); ბევრი ჭანი გელინები **მყავან;** ჭანებთან მიცემული გოგვები **მყავან** (ახჩაგოჯა); საქონელი არ **მყავან** (ბალაბანი)...

აღნიშნული სუფიქსი მაშინაც გვხვდება, როცა არა მარტო სუბიექტი, არამედ ობიექტიც კი არ დგას მრავლობითში: მე მაქინა **მაქვან;** ბაბოჲ არ **მყავან;** მე სიძე **მყავან** (ადლიე)... აღნიშნული ფორმები რეალური სუბიექტის მრავლობითობას ორმაგი სუფიქსაციითაც აწარმოებს: მიწა ბევრი **მაქვანან** (შერეფიე); ლამაზი სოფელი **მაქვანან;** ყანები ბევრი **მაქვანან** (ქვემო მარადიდი); გასაყიდელი რამე **გაქვანან?** (ხინწკანა)... ორმაგი სუფიქსაცია გვხვდება **უნდა'** ზმნაშიც: ძე **უნდანან,** მაწონი **უნდანან,** ძროხა არ **უნდანან** (ქვემო მარადიდი); რაცხა **უნდანან** ის ეჲღებენ; თქვენი ნავალი დანახვა **მინდანან** (ერდემლი)...

„უნდა' ზმნის რეალური სუბიექტის მრავლობითობის ორმაგი სუფიქსაცია ახასიათებს ზემოაჭარულსაც“ (ნოღაიდელი, 1972:56).

საერთოდ, **აქვს'** ზმნა ერთ–ერთი უძველესია, რომელსაც ბევრი თავისებურება შემოუნახავს და ამიტომაცაა მასთან დაკავშირებული ფორმათა წარმოების ნაირგვარობა კლარჯულში: **აქვს →აქ//აქვა//აქვან//აქვანან.**

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მრავლობითი რიცხვისა - **ან** სუფიქსი ყველაზე ხშირად ინვერსიულ ზმნებში, ობიექტური წყობის პირველი თურმეობითის მესამე პირის მრავლობითის ფორმებში გვხვდება **-თ'** სუფიქსის ნაცვლად:

> იმსოჲ მარანქოზობა **უქნიან** (შერეფიე); უსტობაზე დე'სი **მუუცემიან** (მაჰმუდიე); ძველი ინსნები ჩვენზე წმინდა საქმე **უკეთებიან** (ბალაბანსირთი); **უთქმიან,** აქიდან საცხა დააბეს და იქ ისე **წუულიანო** (ბერძნევი); აქ რაცხა სახელებია იქაც **დუურქმიან** (ულიბეი); სალდათებ **უთქმიან**, ამიდან ხოჯა არ იქნებაო, წესულან (მურადიე); უსტობაზე დე'სი **მუუცემიან;** ჯამეში მივეჲ, წალდი, ცული

დუუკიდიან; გზა მკეთებელებმა **უთქმიან** (ერდემლი); ისე **გუუკეთებიან** გზა (ქვემო მარადიდი)...,

თუმცა არა მხოლოდ პირველ თურმეობითში დასტურდება მსგავსი მონაცვლეობა, არამედ მყოფადის ფორმებშიც:

ჩიტებ **გუუხარდებიან**, მოვლენ...; კაჲ ლამაზი სახლები **გექნებიან,** ჩვენი არ **მოგწონდებიან**! (ხინწკანა); ამნებს არ **ახსოვან**; ილაჯი **გეცოდნებიან** ყველამფერი; ჩემტოლი არ **ეცოდინებიან** (შერეფიე)...

პროფ. შუშანა ფუტკარაძე იმერხეულის მაგალითზე დაკვირვებით ასკვნის: ,,ობიექტური მეორე და მესამე პირების მრავლობითობის აღსანიშნავად **-თ**' ბოლოსართის გამოყენების ერთეული მაგალითებიც არ შეგვხვედრია იმერხეველთა მეტყველებაში“ (ფუტკარაძე, 2010:115), არც მარადიდელთა მეტყველებაში დადასტურებულა მსგავსი ფორმები, თუმცა ,,კლარჯეთის ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში რამდენიმე შემთხვევა გვხვდება, როცა ერთმანეთის გვერდიგვერდ დასტურდება როგორც **-ან**' სუფიქსიანი, ისე **-თ**' სუფიქსიანი ფორმები: უკრაინელი როცა ქი მეზერში **წუუყვანიან**, მაშინ **უტირიათ** (კრ. VI, 240); აქ არ **ცოდნიან**// არხველებს ბევრი რაცხაები **ცოდნიათ** (კრ. VI, 239)...“ (ფარტენაძე, 2014: 40-44).

მარადიდულ კლარჯულში შეიმჩნევა მყოფადის **-ენ** და **-ან** მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა მონაცვლეობაც: ებბედი ერთი საათი არ შეჲნახვენ აქ, **ჩაფლიან** (ზემო მარადიდი); ერთი ძროხა შვიდი ვინცხას შეეტოლები და **დაკლიან** (ქვემო მარადიდი)... და პირუკუ შემთხვევაც - -ან სუფიქსს ენაცვლება -ენ. მეჲვას ეჲღებენ, მარკეტში **გაყიდავენ** (ბალაბანსირთი);იქ ყველამფერი **დეჲწავლებენ**; მობილაების გაღებვა **დეჲწავლებენ** (აქჩაკოჯა)...

თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ აღნიშნულ სუფიქსთა მონაცვლეობა ფუძეში მომხდარმა ცვლილებებმაც (თემის ნიშნის დაკარგვა (ჩა-ფლ-**ავ**-ენ> ჩა-ფლ-ი-ან...) და გაჩენა (და-ი-სწავლ-ი-ან> დე-ჲ-წავლ-**ებ**-ენ...) განაპირობა, თუმცა დასავლურ (გურული, იმერული, ლეჩხუმური და ქვემორაჭული) დიალექტებში ,,მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის **-ან** სუფიქსი ყოველთვის შეცვლილია **-ენ** სუფიქსით: არიენ, ჩამოსულენ,

შევლიენ, იციენ, გაქცეულარიენ, მიძახიენ,...“ (მიქიაშვილი, 1986: 57–58).

ზოგადად, ქართული ენის დიალექტებში **-ან** და **-ენ** სუფიქსთა ფუნქციის საკითხი ძალზე საინტერესო და ამასთანავე უსისტემოა, რადგან მათი გამოყენების არე მეტად ფართოა. პროფ. მამია ფაღავა აღნიშნავს, რომ ,,კლარჯულში **-ან, -ენ** სუფიქსები იმდენად სხვადასხვა პირის კომბინაციებში იხმარება რიცხვის განურჩევლად, რომ შეუძლებელია რაიმე კანონზომიერების დადგენა. **-ან**, **-ენ** სუფიქსთა ფუნქცია უნდა განვსაზღვროთ კონტექსტის მიხედვით“ (კლარჯეთი, 2016: 550). მსგავსი მოვლენების შესახებ ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ ,,დიალექტში შეიძლება მოხდეს ფორმანტთა ფუნქციური გადააზრება“ (ჯორბენაძე, 1989: 428).

-ენ’ - სუბიექტის მრავლობითის სუფიქსი, შეიძლება ითქვას, ყველაზე აქტიური და მრავალფუნქციური აფიქსია მარადიდულ კლარჯულში, რაზეც მეტყველებს შემდეგი გარემოებანი. კერძოდ, ის გვხვდება **დ’**, **-ოდ’** სავრცობიან ფორმებში, განურჩევლად სუბიექტისა და ობიექტის რიცხვის მნიშვნელობისა: იმის გოგო ძლათ **მყავდენ** (ზემო მარადიდი); წუხელი ქორწილი **მქონდენ** (ბალაბანსირთი); ინჟინერი იყო ჩემი ბიჭი ხულოში არხები **გაყავდენ** (ქვემო მარადიდი); ძველათ ებბედი ფეხზე რამე არ **მქონდენ,მცივოდენ,** ფუხრობა იყო; ნენეს ფეშტემალი **მქონდენ** (ნურუ ოსმანიე); ელქენჯებს არ **ყავდენ** ნავი; აქავრელებს **ყავდენ**... (ეშმე ახმედიე); დედამთილმა ადექითო **მეტყოდენ**, იმან არ **იტყოდენ**(ულიბეი); ჰაივანი **მყავდენ,** ახლა არ კადრულობენ (შერეფიე); ერთმანები **უყვარდენ** და მეიყვანა, ასეა ახლა... (ერდემლი); კაცმა **დეეწიკებოდენ** მას (გულდიბი); დიდმა იცის და პაწა ბიჭმავერ **ლაპარიკობენ** (ადაფაზარი); გოგოს და ბიჭს ერთმანები **მოწონდებოდენ** და იქნებოდა ქორწილი; არ **მოწონდებოდენ** და რამე არა...

-ენ სუფიქსი გვხვდება აგრეთვე წყვეტილში ობიექტის პირველი, მეორე და მესამე პირის მრავლობითის ფორმებთან: **დამაბიწყენ** ყველამფერი ჩვენ დეჯალმა (ნურუ ოსმანიე); ხუთმეტი წლისა ვიყავი, ბეჭედი რომ **მიმიტანენ** (ულიბეი); დილას **გეძინენ** თქვენ (ადლიე)? რატუმ ისე **ჭნენ** ა’ ვიცი; ერთსხვაჲ წევდა, რომ არაბაჲა**ართვენ,** სახლიც **აართვენ** და დარჩენ

ორთაში, გითთი (ნურუ ოსმანიე); ახლა იმის მამამისმა ძალიან დიდი პატივი **მეცენ; მეყვენ** იშტე, მეყოფიან;ახლა თუ **დამჭირდენ** სახლის მოწყობა? (ბალაბანი)...

-ენ' სუფიქსი გამოიყენება წყვეტილში, უწყვეტელსა და ძირითადად ხოლმეობითში **-ნენ'** სუფიქსის ნაცვლად:

> კვამლი დიდხან ყოფილიყო და **წევდენ**... რუსებმა ქილისე **ეძებდენ;** ...**ტიროდენ, ლაპარიკობდენ, დეეწიკებოდენ** (ზემო მარადიდი)... დიდვანებმა სელი ვეტყვით, **დათესევდენ,** გეჲზდებოდა, **მოჭრიდენ, დაჩეჩვიდენ,** ძაფი **გამოჲღებდენ**, ქალებმა **დაართავდენ** და ქილიმი **გააკეთებდენ** (ხება); სირეღით შუაჲსკენ **მიაწვებოდენ** (გოზლუქი); ჩვენი დიდვანებმა რუსებისთვინ გონჯი არ **იტყოდენ** (ნუსრეთიე); ჩამოვლაჲ, ისე ჲოლჯი **მოყავდენ**, ბათუმამდე **ჩევდოდენ** (ჩუბუქლუბალა)...

თუმცა უნდა ითქვას, რომ ისტორიულად ეს ფორმები მართებული იყო და სწორედ ამ დიალექტებმა შემოგვინახა ისინი.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი მონაცვლეობენ: **-ნენ'** //**-ენ'** //**-ეს'**. შ. ფუტკარაძე კი იმერხეულში ადასტურებს როგორც **-ეს'**სუფიქსს, ისე **-ნენ'** საც, და მიიჩნევს, რომ ეს კილო ,,გარკვეულად ემიჯნება დასავლურ ქართულ ხალხურ მეტყველებას და უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს როგორც ძველ ქართულთან, ისე აღმოსავლეთ საქართველოს კილოებთან" (ფუტკარაძე, 2010: 111–112).

მაჭახლელი მუჰაჯირების მეტყველებაში **-ენ'**იან ფორმათა გვერდით დადასტურებულ -ეს სუფიქსს პროფ. მამია ფაღავა უჩვეულოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ: ,,-ენ ნიშნიან ფორმათა გვერდით უჩვეულო ჩანს **შეეშინეს** (=შეეშინათ), მათ გვერდით მოსალოდნელი იყო **შეეშინენ'** ფორმა" (ფაღავა, 2014:230).

-ეს' სუფიქსი ახალ ქართულში მხოლოდ მოთხრობითბრუნვიანი სუბიექტის მქონე ზმნის წყვეტილში გვხვდება (დაწერ**ეს** მათ, თქვ**ეს** მათ...), სხვა შემთხვევაში ჩაენაცვლა **-ნენ'** (მოვიდ**ნენ**, დაემალ**ნენ**...). მარადიდულ კლარჯულში, და ზოგადად სამხრულ დიალექტებში, **-ეს** სუფიქსი წყვეტილში საერთოდ აღარ გვხვდება, მათ ყველგან ჩაენაცვლა **-ენ'** სუფიქსი: ოქრო **დამალენ**... ჰა **დამალენ** არ ვიციო (შერეფიე); ქილისე მაღლა

გააკეთენ, ჯამიეც მაღლა **გააკეთენ** (ბალაბანსირთი); ჩვენ დიდვანებმა **გამათხოვენ** (ხება); აქა რომელმა **გითხრენ?**; რუსებმა ბევრი შაჭმელი **მიცენ** (ზემო მარადიდი); [მთვრალი] **ამწიენ,** გახიდული ჩამომიყვანენ; გზაში კეკებეშნიკმა დეეწია, ჩვენებმა **დაასწრენ** (ზემო მარადიდი); სამი დღე **შეჱნახენ,** მისი სულისთვინ **დალიენ** (ბერძნევი); ქუნჩალი **დაანთენ** ოჯახში, კვამლი დიდხან ყოფილიყო და **წევდენ** (ერდემლი)...

ეს მოვლენა მეტ–ნაკლებად ახასიათებს დასავლურ კილოებსაც. ფართოდაა გავრცელებული ქვემოიმერულშიც (ფანჩვიძე, 1945: 846).

საინტერესოა **-ენ** (> -ნენ) სუფიქსთა გვერდით **-ონ** სუფიქსიანი ფორმების არსებობა მარადიდელთა მეტყველებაში: **იყონ** და, მოსაფირი არიან, **დაჟდონ** (ქვემო მარადიდი)...

-ავ, -ევ და **-ამ** თემისნიშნიან ზმნებს პირველ თურმეობითში ყველგან აქვს **-ია** დაბოლოება, თემისნიშნიანი ფორმა არსად დასტურდება: ამის ხისიმს გაღმა სახლი ქონია, ყორე გამუუჭრია, ალთუნი **დუუმალია** (ბალაბანსირთი); აქ ბეგაჲ რომ მოვდოდა, მაშინეზე დედესთვინ **უთქმია** (ზემო მარადიდი); ორი კოჭობი წითელი **წუურთმია** (ეშმე ახმედიე); მე არ **დიმინახია,** ჩემი კაცი ჩემი ბიცოლას კუთხეა, ჩემი ბაბას ნენესი (ბერძნევი)...

რაც შეეხება ობიექტური პირის ნიშანთა სისტემას, ამ კუთხითაც საინტერესო მონაცვლეობა დასტურდება მარადიდულ კლარჯულში. კერძოდ: პირველი ობიექტური პირის სიმრავლის გამოსახატავად **გვ-** პრეფიქსის ნაცვლად ყველა შემთხვევაში დასტურდება **მ-** პრეფიქსი: დიდნენემა ასე **მეტყოდა** ჩვენ (ბერძნევი); ორი-სამი წელიწადი ერთმანები **მიყვარდენ** და წავყევი (ულიბეი); ბიცოლა-ბიძას **მიძახდენ** ჩვენ და იმათ დედიკოს... ქვემო მარადიდი); **დამაბიწყენ** ყველამფერი ჩვენ დეჯალმა (ნურუ ოსმანიე); ჩვენ არ **დამალაპარიკებდენ** ძმებმა (ქვემო მარადიდი)...

როგორც მ. ცინცაძე აღნიშნავს, ,,კირნათ-მარადიდულ თქმაში **გვ-** სუფიქსს ცვლის **მ-ან, მ-ენ, მ-ეს** (კავშირებითში - **მ-ნ**) ცირკუმფიქსი: **მიყვარ-ან,მიყვარდ-ენ, გემეთენებიე-ს**...“, რომელიც სისტემის ზემოქმედებითაა ახსნილი (ცინცაძე, 1954: 67). ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებში დადასტურდა **მ-ონ** კონფიქსიანი ფორმებიც: რატონ მოხველი და ახლა შიმიყვარდენ და არ'ნა

დამავიწყონ (ხინწკანა); (დედას) ხუთი ღარჭი ყავდა, რომელი'და **დამაძინონ** (ხება); ბეჭედი მე'ნა **მაჩუქონ** (ზემო მარადიდი)...

მეორე სერიაში მეორე პირის მრავლობითობა გამოხატულია -**ნ** სუფიქსით: ღმერთმა კაჲ ფული **მოგაგებიონ**, ღარჭებს კაჲ**გაჭმევიონ**, კაჲ**გამყოფონ**; ლამაზი ქალი ხარ, თვალი არ გაცემო. **გაცოცხლონ, გახარონ,** შენც და შენც; მანქანაში ძიხართ, ჰადმე ყეზა არ გექნენ, კა[რ]გობით **წიგიყვანონ**, კა[რ]გობით ყველა ჲერი **გაწერიონ** (ხინწკანა); ღმერთმა კარქობა **მოქცონ**, მუბაარექმა (ხინწკანა)...

მეორე ობიექტური პირის **გ**- პრეფიქსი მკვეთრების წინ ყრუვდება და ისმის კ' ან ქ': კიდევ კაჲ, ზექერიავ, გოგო არ **კყავს** (ნურუ ოსმანიე); **მოქწონდენ** აქავრობა? (ხინწკანა)...

მესამე ირიბი ობიექტური პირის პრეფიქსის ხმარების მაგალითებს მნიშვნელოვნად სჭარბობს მისი დაკარგვის შემთხვევები. მარადიდულ კლარჯულში O3 პირის პრეფიქსი ძირითადად იკარგება ყრუ თანხმოვნების წინ: ნავს **ქონდა** ერთი ორმოზდაათი მეტრო თოკვი (მურადიე); დედეჲ თუჯარი იყო, მაღაზა **ქონდა** (ბალაბანსირთი); ბაღანას გონჯი ავადევლობა **ქონდა** (ზემო მარადიდი); ამას კოკოლეთხევი **ქვია**; სალდათმა ფიშელი **მიცა**; მოზობელმა თუთხმეტი კვადრატი სახლი **მიცა** საჩუქრათ; თავრობამა არ **მიცემდა** (გულდიბი); პურმა თავი **მიცემს,** იმა შიან პარკები **მიცემს** (შერეფიე)... O3 პირის პრეფიქსი იკარგება ყრუ მკვეთრი თანხმოვნების წინაც: ამ კაც ქალი **ყავდა** და მუუკდა; იმა რა **ჭირს**? (ახჩაგოჯა)...; ნენეს ხუთი ბაღანა **ყავდა;** ქალი დამალული **ყოლია** (ახმედიე)...

ზმნისწინი. მარადიდელთა მეტყველებაში ზმნისწინთა მონაცვლეობა არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თუმცა დასტურდება – საინტერესო შემთხვევები. კერძოდ: **შე-** ზმნისწინი **მი-** ზმნისწინის ნაცვლად: ერთი ძროხა შვიდი ვინცხას **შე-ეტოლები** და დაკლიან, მოქცემენ, გაანაწილებენ (ქვემო მარადიდი); აირანი **შე-წოდე** (მი-აწოდე) (ულიები). მიდი, ახლოდან **შე-წოდე** (ერდემლი)...

მსგავს ფორმებში აშკარად ფუნქციათა ერთიანობასთან გვაქვს საქმე, რადგან მი-, შე- ზმნისწინები საიქითო მოქმედებაზე მიუთითებს.

ზოგჯერ **გა-** ენაცვლება **შე-** ზმნისწინს როგორც ზმნებში, ისე ნაზმნარ სახელებში: **გა–ვპირდი** ჩევდენა იქა, ვუშველო (გოზლუქი); ჩემი ძმა **გა-წუხებულია** ეს თვე (შერეფიე); არ **გა-აწუხოს**, კარი მიაძრევია; არ **გა–წუხდე**, მოვალ, დეგეხმარები– მეთქი (ადლიე); თურქებ **გუ–უწუხებია**; არ ვარ **გა–წუხული** (ზემო მარადიდი)...

საინტერესოა **მო:და-** ზმნისწინთა მონაცვლება: ზამთრისთვინ **და-ვამარაგეთ** (ეშმე ახმედიე); ყველამფერი ჰაზირობა შეჲნახვენ, აბა... ტონტურიში დადეფ, სიმინდი სერენში შეჲნახ, ყველამფერი გააკეთავ, ჰაზირობა იქავ, **დე-იმარაგეფ** (ნურუ ოსმანიე); რატონ **და-მატყვილე**, გო, შენი ბაღანა ვიყავ? (ადაფაზარი); სიცოცხლეში **დე-მენატრენ** ბაღნები (ხება); ლენინმა **და-ატყვილა** იქაური ხალხი, შენი თავი გვინდაო; თქვენი ქილისე იქეთაა, აქეთ არააო, **და-ატყვილენ** (ზემო მარადიდი)...

დასახელებულ ფორმებში, მართალია, **მო-** ზმნისწინი ჩანაცვლებულია **და-** ზმნისწინით, მაგრამ ეს მონაცვლეობა შეიძლება გარკვეულწილად განაპირობა ინტენციობის შინაარსის ელემენტის შეტანამ, რადგან აღნიშნული მოქმედება ერთ საგანზე არ ვრცელდება.

გა:ჩა: მალე **ჩა-ჩუმდენ** ისნები (ბალაბანი); ათი წელი **ჩა-ჩუმებული** ვიყავ, მერე ვთქვი (ზემო მარადიდი)...

ასეთ ფორმებს შეიძლება სხვაგვარი ახსნა მოვუნახოთ, **ჩაჩუმდნენ** - დროებით, არა სამუდამოდ, თუმცა ეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში.

შე:და: ჩემი ბიძაშვილი წყალში ჩავარდა, **და-შინდა,** ღამეში ადგებოდა, კედელზე გადიოდა (ბერძნევი); მე ჯაიღ ვიყავ, რამ არ ვიცოდი, იმსოჲდა-მაწავლა ყველამფერი. დედამა არ **და-აწავლიდა,** ისე **და-მაწავლა** შილმა (ხინწკანა)... ეს უკანასკნელი ფორმები სალიტერატურო ქართულში გვხვდება ან უზმნისწინოდ, ან შე- ზმნისწინიანი ფორმით. ასევე უზმნისწინო ფორმას ენაცვლება გა- ზმნისწინიანი: ჩვენ **გა-ვკითხავთ,** ხელნაწერი გაქვა, კაჲ ხარ; დალაპარიკნა დეჲწყებენ, **გა-კითხავ,** იმის პასუხი გააგძელებენ.

ა:შე: რატუმ **შე-ჩქარდი;** ნუ **შე-ჩქარდები**, რას შიჭამთ, რა მეგენდომებიან (ხინწკანა); მაყარი არ **შე-ჩქარდებოდა** (ზემო მარადიდი)...

და:მო (>მე): მე-ვღალე იშტე...; მაშინ ერთი კაჲ გამოვცხე, **მო-მღალა, მო-მღალა,** მეტი **მო-მღალა;** ისინი გურჯი არიან, ყური **მო-მიგდე**; თუ არაა, ვერ შეჭამ, **მოგარჩობს;** [მენავეებს] ხალხი მიყავდენ, ყაზიჲაღი, მარილი (ნურუ ოსმანიე); **მო-ჭვირთავდენ,** წამოვდოდენ (ქვემო მარადიდი)...

ეს უკანასკნელი ფორმა შეიძლება **და-ტვირთა'** და **მო-იტანა'**სკონტამინაციად მივიჩნიოთ.

მო:გა (>გე): ორასი მანათი მუუცემია ქაზიმასთინ, რომ **გე-ახმარეთო** (კლარჯ., 937); აქ თურქი მაგას არ **გე–იკითხავს** (იქვე, 938)...

ჩა:და: ბაბამ ცეცხლი **და-აქრობია** (კლარჯ., 939)...

წა:ჩა: ჩალიღერში **ჩუ-უკიდე** და დავწვი...

და:წა: წე-ვჭედებოდით თხილი გაფენილში...

და:გა: ძროხა **გე-ეჩვია** (გა-ეჩვია) სიმინდი ჭამას; დილას ჭამაზე **გა-ჩვევლია;** წუხელ **გა-სველდით,** გო?; **გა-მსუბუქდა; გა-გაწყნარო; გე-ისვენო...**

და:შე: ჰამა ჭადიქვეშ **შე-ემწყრია** მან (კლარჯ., 929)...

ამ უკანასკნელ ფორმებში ზმნისწინთა მონაცვლეობა კერძოობითი ხასიათისაა და უნდა იწვევდეს ფუნქციათა სიახლოვე.

მარადიდელთა მეტყველებაში დადასტურდა ისეთი ზმნური ფორმები, სადაც ერთმანეთს ენაცვლება **მი–** და **მო–** ზმნისწინები. მართალია, ზოგჯერ ის თავისი ძირითადი, პირვანდელი მნიშვნელობით არის გამოყენებული, მაგრამ მათ გვერდით გვხვდება საპირისპირო ფორმებშიც. როგორიცაა, **მი–მიპარა, მი–მიტაცა, მი-მიკტა...** აქ ერთი წრევლს ტაჲაჲ**მი-მიკტა** და ჩემი თეიზეს შვილები ამოვდენ თეელი; მე ექსი ბაღანა მყავდა და ერთი ამ ბარაქჩი ყაზა იქნა და **მი-მიკტა** ერთი შვილი, მეზელული იგზეა (ზემო მარადიდი); **მი-მიკტა** კაცი ამდონი წელი (შერეფიე); მალე მიხვალ **მი-გირჩება,** თუ არ მიხვალ **მი-გიკტება** (შელოცვა)... მაგრამ: ხვალ და ზეგ ინშალლა რამე ზარალი არ **მიმივლენ'და;** ვერ **მი-ვაფერე,** არ იქნა; არ ვიცი, ჩემი თავი ნიშნენ (ერდემლი); **მი-მიტანენ,** გამაშინჯია შილმა მოვდა (ეშმე

ახმედიე); **მი-მიტანენ** ორი თანე ლირა, ერთი ბეშლი, ერთი იუზული (სამაჯური) **მი-მიტანენ** (ხება); ახლა ლამაზი თეელი გითხარევით, ხვალ და ზეგ ინშალლა რამე ზარალი არ **მი-მივლენ'და;** მოვდა ერთი ჰაჯი, **მი-ეწონა** ცხენი; დეიწყო კაცმა ჭამა, არ **მი-ეწონა** (ადლიე)...

რაც შეეხება ზმნისწინთა დამატებით ფუნქციებს, უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი ნიუანსების გამოხატვა ყველა ზმნისწინს არ შეუძლია, ის მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის სპეციფიკური ნიშან – თვისება შეიძლება იყოს.

ზმნისწინის დამატებით ფუნქციებს ასპექტის კატეგორიასთან კავშირში განიხილავენ. ზ. ჭუმბურიძე ზმნისწინის მიერ ასპექტის წარმოების მრავალფეროვნებას იმით ხსნის, რომ ზმნისწინს რამდენიმე ფუნქცია აკისრია და ერთბაშად ყველას შესრულება უძნელდება. ამიტომ წინა პლანზე დგას ხან ერთი, ხან მეორე ფუნქცია, დანარჩენი კი იჩრდილება. მეორე მხრივ, ასპექტის გამოხატვის ზოგი თავისებურება დამოკიდებულია ზმნათა შინაარსზეც, რომელიც ყოველთვის ვერ იგუებს ასპექტის გაგებას. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ძალაშია ძველი სისტემის ნაშთიც (ჭუმბურიძე, 1967:57).

ბ. ჯორბენაძის აზრით, ,,ასპექტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვინემ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი. ასპექტი გულისხმობს არა მარტო მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობას, არამედ ერთგზისობა–მრავალგზისობას, წყვეტილებრივ-განგრძობითობას. ასპექტის სრული სახის დამატებითი სემანტიკური მახასიათებლებია: ოდნაობა, უნებლიობა, მოჩვენებითობა, ფინალობა, ზღვრულობა, არაზღვრულობა, მოქმედების დაწყებითობა-ინხოატივი და ა. შ. (ჯორბენაძე, 1989: 259).

ამდენად, ზმნისწინის დამატებითი ნიუანსები სრული ასპექტის გამოხატვას უკავშირდება. ყველა ის ზმნური ფორმა, რომელიც რაღაც სპეციფიკურ შინაარსს შეიცავს და დამატებითი ნიუანსები გააჩნია, უპირველეს ყოვლისა, სრული ასპექტისაა.

მოქმედების ოდნაობაზე ძირითადად მიგვითითებს წა–, წამო– ზმნისწინები: **წა–ავლეფ** თოკზე ხელს; დილაზე სახლს **წა–გავს**; **წა–ბურე**; თავი **წა–ხსენი**; ხელი **წა–კრა;** კარზე **წა–მოდვა**; **წა–თლიმა;** ერთ არ **წამო–ქხედავ**...

ამავე ფუნქციას ასრულებს **მო-** და **შე-** ზმნისწინებიც: ისი დავდეფ, პაწაია**მო-თფება,** მაჲა მაქვა შრატისა. ეივსება, **მო–ვშუშავთ**, მერე **მო–ვხრისავთ** და ჩავტენავთ; ჩემ დედემა ყველა იერზე წყალ **მა-აშხაპებდა**; **მო–სვა; მო–წვა; მო–ვღალე; მო–ვწორდი**... არ **შე–გეხათროთ**, არიან აქ (კლარჯ., 939); დავხრესავთ და იმა შეში გობებში **შე–თბება** (იქვე, 941)...

ინტენსიობა, როგორც წესი, გადმოიცემა **და–** ზმნისწინით და ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც ხდება ცალ-ცალკე: კიტრ **და-ვთოფავთ**; პური მარცვალ გარცხა და ისე **და-კაზმა**; აკვანები **და-ვარწევდით**, ვუმღერდით; გოგვები **და-ვათხვე;** დიდვანები **და–კტენ;** ამუმავალ ალაგას ნავი გატეხილა, ხალხი **და-ლუმპვილა,** იტყოდენ. **და–ასტავლე, და–ატყვილე, და–ღობე, და–ცრი, და–ტეხე, და–სივდა, და–აშრო**...

და- ზმნისწინი გამოხატავს აგრეთვე გარდაქცევას, სხვა ვითარებას: ზამთარში შეინახდენ, **და-ფქვილდებოდა**...

გვარი. კონტაქტი

გვხვდება დ'ონიანი ვნებითის ნაცვლად ენიანი წარმოება: ახლა მისით **ეთხოვებიან** (ნუსრეთიე)...

ჩანს ი'ნიანი ვნებითის ნაცვლად დ'ონიანი ფორმები: ყურძენების არეში იზდება და **გახარდება** (ზემო მარადიდი)...

თვალში საცემია ზმნის გართულებული ფორმები: საკა-შვილი აქ რომ მოვდა, იმან **თარჯიმანობა გააკეთა** (ნუსრეთიე); კარი'ნა დუუტიო, **დანდლიშობა ქნას...;** მე **თემიზობას ვაკეთავ** (ნურუ ოსმანიე); ორი კაცმა **ლაპარიკს იჯებიან,** ჩვენი ფეიღამბერმა გადიარა იქა, მოტრიალდა ერთი საათის უკან, შუუხედია, რომ ერთმანეთს წაკინდლებიან არკადაშები (ნუსრ-ეთიე)...

შუალობითი კონტაქტის **-ინ** სუფიქსი უმეტესად ოდენ ხმოვნით არის წარმოდგენილი: დოდოფალ ხანჯლებში გაარუნი-ებდენ, კედელზე დაასობდენ და ისე. მერე თეფშს **გაატეხიებდენ;** ბაქლავა **მოატანიებდენ**, ქათამი **მოატანიებდენ**...(ზემო მარადიდი)...

თემის ნიშანთა მონაცვლეობა. მარადიდული მეტყველება საინტერესოა თემის ნიშანთა მონაცვლეობის მრავალფერო-ვნებით. როგორც გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს: „თემის ნიშანთა სისტემა ყველაზე არამყარი, ცვალებადი სისტემაა. თუ

თანამედროვე ქართული ენის დიალექტებს ამ მხრივ გადავხედავთ, სურათი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება“ (გოგოლაშვილი, 2012:667).

თემის ნიშანთა გამოყენებისა და გავრცელებულობის მხრივ კლარჯულში ჭირს რაიმე კანონზომიერების დადგენა. სურათი მეტად ჭრელია. შეიძლება ითქვას, რომ პარალელურ ფორმათა უმეტესობა სწორედ თემის ნიშნებთან არის დაკავშირებული (ფაღავა, 2014:3-8).

ამ მხრივ არც მარადიდული კლარჯული მეტყველება განსხვავდება. აღნიშნულ კილოშიც გვხვდება საერთოდ სამხრული მეტყველებისთვის დამახასიათებელი თემის ნიშანთა მონაცვლეობის საინტერესო შემთხვევები. კერძოდ: ერთთემიან, **-ი** სუფიქსიან ზმნებს ერთვის **-ავ**’ თემის ნიშანი: ამერიკამა რა **გიშველავს** აქა? (ზემო მარადიდი); მარტო ჩაჲ, თხილი **ვყიდავთ** (ნუსრეთიე)...

-ავ’ თემის ნიშანი დასტურდება სხვა უთემისნიშნო ზმნებთანაც: ჲემექს დუუყრის, **ჭამავს**, ეამება... (შერეფიე); ჯილველოს **ვმღერობთ** (ულიბეი); ვერ **ტანულოფს**, არ უყვარს (ერდემლი);მახარებელაჲ რომ მოვა, რახი **მეჲთხოვავ,** ხილი **მეჲთხოვავ,** ბაქლავა **მეჲთხოვავ,** ქათამი **მეჲთხოვავ** (ზემო მარადიდი)... ასევეგვხვდება ფუძედრეკად ზმნებშიც:იმან **იჭირავს,** ქალმა **იჭირავს** (ეშმე ახმედიე); ჩვენ **ვკრიფავთ,** ცოტაა და მეტი ბევრი რომ არაა, ერთი ტონა, ისე იმისთინ ჩვენ **ვკრიფავთ** (ადლიე)...

გვხვდება პირუკუ შემთხვევებიც, თემისნიშნიანი ფორმების ნაცვლად უთემისნიშნო წარმოება. ძირითადად **-ავ**’ და **-ამ**’ თემისნიშნიანი ზმნები პირველ თურმეობითში **-ია** დაბოლოებიანია, რაც უცხო არ არის ზეპირმეტყველებისთვის:**უთქმიან,** დაგკარქონ’დაო თურქეთშიო (ბერძნევი); ქალისთინ **უთქმია** ამ კაც, კაჲ საჭმელი გააკეთევო (მურადიე); აქ ბეგაჲ რომ მოვდოდა, მაშინეზე დედესთვინ **უთქმია** (შერეფიე); წიგიყვანოთ’დაო, **უთქმიან** ამ კაცისთინ (ახჩაგოჯა); სალდათებ **უთქმიან,** ამიდან ხოჯა არ იქნებაო, წესულან (გულდიბი); ვოტკა **უსმია** და სული გუდუურჩენია ხოჯას (ახჩაგოჯა)...

აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთმანეთის გვერდიგვერდ უთემისნოშნო ზმნა თემის ნიშნითაა გაფორმებული და თემისნიშნიანი უთემისნიშნოდაა წარმოდგენილი:კაცებმა **დაკლიდა,** ხორცი

გაყიდავდა (ხება); იმის მერე ჰიჩ რამ არ **გავყიდავთ** (ბალაბანსირთი); აქ **დაბადულია** და არ იცის (გულდიბი); სალდათები ერთმანებ **უყურვენ** (ადლიე)...

თემის ნიშანი რედუცირებულია შემდეგ ფორმებში: ფხალი **გაწურვენ,** ლაფერაჲთ **დარეხვენ**; რაფერ **მომკიდვიდა** მე ხელი... (ბერძნნევი); დედემა გააკეთებდა, **გაყიდვიდა...** (ეშმე ახმედიე), თუმცა პარალელურად გვხვდება:ხორცი **გაყიდავდა**. იმის მერე ჰიჩ რამ არ **გავყიდავთ** (ეშმე ახმედიე)...

-ავ, -ებ//-ი: ქედქედელმა კაცი **მოკლიდა** ძველათ; ქლასკურელებმა წალდით კაცი **დაკლიდენ** (შერეფიე); აქ ძველათ ალთუნის ფინჯანით ყავეს **სმიდენ** (ბალაბანი); მე **დუუძახდი;** ასე, ზომო, სოფლებისკე ქალი არ მიცემდენ, არ **გავათხოვდით** (ზემო მარადიდი)...

-ებ//-ავ: ჩვენ თურქჩე **დევლაპარიკავთ;** რუსის ჯარი **გვიყურავს** დურბინით (ზემო მარადიდი); ჲოქ, არ **ვიჩხუბავთ**; აქავრი ხალხი არ **იჩხუბავდა;** ნენეჲ დაჟდებოდა, **იტირავდა** (ზემო მარადიდი); ბედჲავა ნიჩაბს **ატყაპუნავ,** გზა არ მივა (მურადიე); ამა ჩვენ ხალხმა **ვუყურავდით,** ახლა თავრობამა **უყურავს...** (შერეფიე); წაბლი ვინმემ არ **უყურავს**; ამ ქალმა **მალაპარიკავს** (ბერძნევი); ჩვენ არ **ვაკეთავთ** (ჩაის) (ულიბეი); დილაჲგააკეთავდი შუადიხან შეჭამდიბაბა ანეს მაქინა ქონდა, ხელით **დაატრიალავდა** (ახმედიე); ერხელა **ვითამაშავდით,** ოკეჲვითამაშავდით თელი მამამთილთან (ეშმე ახმედიე); იმაჲ ნენეს **უყვირავდა, გააგულიანავდა** ნენეჲ (ხება); ოჯაღი **გააკეთავს,** ცეცხლი **გაანთავს,** ხორცი **გადააწითლავს;** ჭამისთინ **გავაკეთავთ,** თაფლიც ჩვენი ჭამისთინ (ხინწკანა)...

-ამ//-ავ: რომ არ დეჲყვიროს, ფული ვერ **აართვავს** (გოზლუქი); ვინმემა ქართული გვარი ვერ **დეჲრქვავს** (გულდიბი)...

-ავ//-ებ: ჩაყრიან თორბაში, **გამოწურებენ,** სუზმე გახდება (ეშმე ახმედიე); დაირე მიცემული მაქვა, **ძინებენ;** აქ გამოვდოდა, აქ **ილოცებდა** (ხება); ჩვენთან ყუსური იყოს **დაფარებენ** (მურადიე); ჲაღი ის ემე აქვან და **მორეკებენ;** ჲაღი ის ემე აქვან და **მორეკებენ,** ზოგმა ჲულურთი, ჲაღი გამეჲღებენ, დარჩება აირანი, აადუღებენ, სუზმე გააკეთებენ (ულიბეი); მისი სულისთინ **უკითხებენ,** ღვინო-მინო არ ალი... (ბერძნევი); ერთმანებ

დუუძახდით, ავდგებოდით, **ვიმარხებდით** (ერდემლი);ჩაყრიან თორბაში, **გამოწურებენ;** სელს **დავთესებდით**, პური **დეთესებდით** (ზემო მარადიდი)...

-ავ//-ევ: სიმინდის ჩენჩში **დამალევდენ** (ულიბეი); ახლა ფხალი გაკეთებული მაქ, კაჲ, **გაჭმავთ?** (ეშმე ახმედიე)... ამგვარი მონაცვლეობა ძირითადად ხდება ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითში.

-ებ//-ოფ: რავა **დეჲწყოფ** სიცილს ...

-ებ//-ობ: ე ომი რომ **დაწყობილა**, ჩვენი ორი ბიძაჲ, ოთხი ძმაჲდან, სამი ბათუმში დუუკავიან (ზემო მარადიდი)...

-ობ//-ოფ (-ეფ): მოვხარშავ. მოხარშულ დავფშნი, სიმინდი გავხდი, **გავახმეფ, დავაფქვევ,** ისე არ შეჭამენ (შერეფიე)...

-ავ//-ებ (-ეფ): ისი ყველა ოჯაღში ვერ **ნახეფ** (ბერძნევი); ყანებში კარტოფილი **დავარგებდით,** სიმინდი **დავარგებდით** (ახცაგოჯა); გაზი მაქ, **დავახურეფ, გადავაბრუნეფ, გადმოვაბრუნეფ,** გამოცხვება და ვჭამ ცხელ-ცხელი (გულდიბი)...

დასკვნა

ჩვენ შეძლებისდაგვარად აღვწერეთ და გავაანალიზეთ ისმრავალფეროვანიმასალა, რომელიც ექსპედიციის ფარგლებში ჩავიწერეთ ზემო და ქვემო მარადიდში. ვაჩვენეთ ის მნიშვნელოვანი თავისებურებანი რომლებიც ზმნას უკავშირდება და შეიძლება ითქვას, რომ ამ თავისებურებათა დიდი ნაწილი საერთოა სხვა სამხრულ კილოებთან, თუმცა გამოიკვეთა ისეთი ფორმებიც, რომელიც მარადიდული მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი. ზმნის კატეგორიათაგან საინტერესო სურათი შეიქმნა პირის ნიშნების გამოხატვასა და თემის ნიშანთა მონაცვლეობაში, რომელთაც სისტემური ხასიათი აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gogolashvili, G. (2012). Tanamedrove qartuli enis morfologia. Tbilisi (გოგოლაშვილიგ.(2012). თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი).
2. Phagava, M., Tsintsadze, M., Baramidze, M., Chokharadze, M., Sioshvili, T., Mamuladze, Sh., Khalvashi, R., Mgeladze, N., Shashikadze, Z., Karalidze, J., (2016). Klarjeti. Tbilisi (მ. ფაღავა, მ.

ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, (2016) კლარჯეთი, თბილისი.

3. Miqiashvili, O. (1986) qartuli enis dialeqtebis urtiertsherevisa da interferenciis sakitkhebi. Tbilisi (მიქიაშვილიო.(1986) ქართული ენის დიალექტების ურთიერთშერევისა და ინტერფერენციის საკითხები. თბილისი).
4. Nogaideli, J. (1972). Narkvevevbi da chanacerebi, I. Tbilisi. (ნოღაიდელი ჯ.(1972). ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი).
5. Phanchvidze, V. (1945). Mravlobiti rickhvis agnishvnisatvis zmnashi imeruli kilos mikhedvit, saqartvelos mecnierebata akademiis moambe, t. VI, #10. Tbilisi (ფანჩვიძევ. (1945). მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, #10. თბილისი).
6. Phartenadze, N. (2014). Piris nishnebi da pirta kombinaciebi klarjulshi. Batumi (ფარტენაძენ.(2014). პირის ნიშნები და პირთა კომბინაციები კლარჯულში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, VIII, ბათუმი).
7. PHaghava, M. (2014). Temis nishanta monacvleoba klarjulshi. Batumi (ფაღავამ.(2014). თემის ნიშანთა მონაცვლეობა კლარჯულში, ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, IX, ბათუმი).
8. Phutkaradze, Sh. (2010). Zmnuri formebis warmoebastan dakavshirebuli taviseburebani imerkheulshi. Batumi (ფუტკარაძეშ. (2010). ზმნური ფორმების წარმოებასთან დაკავშირებული თავისებურებანი იმერხეულში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულება, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, XI, ბათუმი).
9. Phutkaradze, Sh. (1995). Qartuli enis samkhrul-dasavluri dialeqtebis taviseburebebi istoriuli tao-klarjetisa da muhajiri qartvelebis metkvelebis mikhedvit. Tbilisi (ფუტკარაძე, შ.(1995).

ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებები ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადისერტაციო მაცნე, თბილისი).
10. Phutkaradze, Sh. (1993). Chveneburebis qartuli, I, Batumi (ფუტკარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი).
11. Phagava, M., Sioshvili, T., Mamuladze, Sh.,Tsintsadze, M., Chokharadze, M., Shashikadze, Z., Tsetskhladze Nugzar, Phutkaradze T., Baramidze, M., Karalidze, J., Chokharadze, V., (2011). Shavsheti. Tbilisi (2016) (მ.ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ.ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თ. ფუტკარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, მონოგრაფია, თბილისი).
12. Tsintsadze, M.(1954). Kirnat-maradidis metkvelebis tavisebureban i, Batumi. (ცინცაძე მ.(1954). კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი).
13. Chumburidze, Z. (1967). Aspeqtisa da moqmedebis sakhis mimartebisatvis qartulshi. Tbilisi. (ჭუმბურიძე, ზ.(1967). ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში, კრ. ,,ორიონი", თბილისი).
14. Jorbenadze, B. (1989). Qartuli dialeqtologia. Tbilisi (ჯორბენაძე, ბ.(1989). ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

Verb peculiarities in Maradid Klarjuli

Natela Phartenadze
Assoc. Professor
Department of Georgian Philology,
BatumiShotaRustaveliStateUniversity
Georgia, Batumi, Ninoshvili st. 32/35
ORCID identifieris0000-0001-7919-8635
natia.phartenadze@bsu.edu.ge
+995 577 179 744

Abstract

Disappearance of **person markers**is rare (it refers to only ვ- prefix of the first subjective person, before labial უ' vowel and the cases of the loss of the third indirect objective person prefixes before voiceless consonants), while the alternations of person markers are quite common. Functionally the most loaded are -ენ and -ან person markers of the third subjective person in plural. The frequency of their use instead of other affixes also points to it. It does not distinguish structure, combination of persons and number.

To express the plurality of objects, გვ-' prefix is replaced by**მ-ან; მ-ენ,მ-ეს, მ-ონ**confixes. -თsuffix is almost never confirmed for depiction of object plurality.

Alternation of -ან, -ენ' suffixes is not typical for only Maradidi speech or general Klarjuli speech. It can be understood as a common Georgian phenomenon as far as it is met in other dialectsof the Georgian language. However, their use with such frequency can be considered as a significant feature for southern (Samkhruli) dialects, Maradidi speech in particular.

Neither the alternation of **preverbs** is lawful, as in some cases they can be explained but in general, this phenomenon is very interesting because in different dialects there are many different derivations and interesting forms. The unity of functions should lead to the substitution of preverbs. Sometimes the same function can be conveyed by several preverbs; in addition, two different preverbs can

indicate one and same direction. In certain situations, the preverbs can replace one another.

Not all the preverbs van express additional nuances, it can only be the specific feature of one of them. Additional nuances of the preverb relate to the expression of the perfective aspect. All the verbal forms that contain some specific content and have additional nuances are, first of all, of perfective aspect.

The system of theme suffixes is unstable and changeable. If we scrutinize the speech of Maradidians, the problem will be visible and there fore much more impressive. Verbs with one themeoften have theme suffixes and vice versov – verb forms with theme suffixes need no suffix at all.

In the speech of Maradidians , there are reduced forms of theme suffixes (gatsurven, darekhven, momkidvida, gakidavda...) and variety of theme suffixes are found (-ავ, -ებ//-ი; -ებ//-ავ; -ამ//-ავ; -ავ//-ებ; -ავ//-ევ; -ებ//-ოვ; -ებ//-ობ; -ობ//-ოვ (-ევ); -ავ//-ებ (-ევ)...

Keywords: dialects; verbs; preverbs; person markers; theme suffixes.

თურქული ელემენტები მარადიდის მეტყველებაში

ლილე თანდილავა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35
ORCID ID/0000-0002-0118-2075
lile.tandilava@bsu.edu.ge
593348990

აბსტრაქტი

არ არსებობს ენა, რომელშიც არ არის ნასესხობანი. ამ მხრივ არც ქართული ენაა გამონაკლისი. ქართულმა ენამ უამრავი ისტორიული ბედ-უკუღმართობა გამოიარა, რომლებმაც ჰპოვეს ენის ლექსიკაში ასახვა. როგორც ვიცით სამხრეთ საქართველოსა და ლაზეთის ტერიტორიების უმეტესი ნაწილი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეა. აქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობა კი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეა და ორ ენაზე საუბრობს, ერთი მშობლიური ქართულია და მეორე კი ქვეყნის სახელმწიფო ენა თურქული, რომლითაც ის ურთიერთობს ქვეყნაში არსებულ ყველა ინსტიტუტთან. თურქული გახდა მათთვის დომინანტი ენა. მისი გამოყენების არეალი არის უფრო ფართო. აქედან გამომდინარე, ენამ მოახდინა თურქული ლექსიკის შემოდინება მათ სასაუბრო ქართულში.

1921 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის მოხდა ოფიციალური საზღვრი გავლება. საქართველოს ორ სოფელს - „მარადიდსა“ და „სარფს“ ერთნაირი ბედი ეწია, ისინი გაიყო შუაზე. გაიყო არა მარტო სოფელი, არამედ ოჯახები, ნათესავები და სამშობლო. ეს დიდი ტკივილი არ შუშდება და გადაეცემა თაო-

ბიდან თაობას. სოფელ „მარადიდს“ თურქები „მურათლის“ ეძახიან. ზუსტად საუკუნის გასვლის შემდეგ მოხერხდა პირველად ამ სოფელში ბათუმის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის შესვლა და „მარადიდის“ მონოგრაფიისთვის მასალების მოძიება, ჩაწერა და გამოცემა.

მონოგრაფიაში შეტანილი მასალით დავინტერესდი და მინდა გამოვიკვლიო თუ რა დოზით არის თურქული ლექსიკა შესული ქართულში, რომელსაც ამ კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში ლაპარაკობენ. კვლევის დროს საინტერესო გრამატიკულ და ფონეტიკურ ცვლილებებს წავაწყდი: გამოსაკვლევ მასალაში ძირითადად სესხება ეხება ენის სახელად ნაწილებს, რომელთაც მოსდით გამჟღერება, დაყრუება, ბგერის გადასმა ან კიდევ ბგერის დამატება. რაც შეეხება სესხებას ზმნურ ნაწილში არის საკმაოდ მცირე. მარადიდის ქართულში შედარებით ნაკლები თურქული ლექსიკაა ხმარებაში შემოსული, ვიდრე ლაზურ დიალექტში;

მივედი შემდეგ დასკვნებამდე :

მარადიდულზე საუბრისას ხმარობენ პარალელურ ნასესხებ სიტყვებს, როგორც ქართულს ისე თურქულს. ქართული ჯერ კიდევ ახსოვთ, მიუხედავათ ასი წლის გავლისა;

შენარჩუნებულია ძველი ნასესხები ლექსიკა, რომელიც არ შეიძლება ჩავთვალოთ ახალ ნასესხებათ, რადგან იგივე ლექსიკა აქაურ კილოკავებშიც იხმარება. (სავარაუდოთ ეს ძველი გაყოლილი ნასესხები ლექსიკაა);

ახალი ლექსიკის სესხება მცირე დოზითაა, რომელიც ჩვენს კილოკავებში არ მოიძებნება და არ იხმარება.

ყველაზე სასიხარულო და საამაყო ფაქტი ისაა, რომ შენარჩუნებული აქვთ ქართული ზმნის ფორმები, რასაც ვერ ვიტყვით ლაზურზე. ამ ზღვა მასალაში მხოლოდ რამდენიმე ზმნაა ნასესხები თურქულიდან, ხოლო ლაზურს უამრავი ზმნა აქვს ნასესხები და ლაზური გრამატიკისათვის დამახასიათებელ ყალიბში აქვს ჩასმული. იგულისხმება ზმნის ძირი, რომელიც არის თურქული, წარმოება კი ლაზური. ეს ტენდენცია ეხება არა მარტო მხოლოდ ლაზურს, არამედ თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ დიალექტებსა და კილოკავებსაც.

აღსანიშნავია კიდევ ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულ ენაში აღარ გვაქვს ასო-ბგერა „იოტა“, მაგრამ აქ, მარადიდულ ქართულში აღდგენილია ძველი ასო-ბგერა. შესაძლებელია ეს გამოწვეული იყოს თურქულ ენაში არსებული ასო-ბგერის „იოტის“ ხმარებით. მაგრამ ეს მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში არ გვხვდება, იგი ქართულ დიალექტშიც იხმარება. რაც აშკარად იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ შეიძლება ჩაითვალოს ასო-ბგერის გამოყენება ძველი ქართულიდან შენარჩუნებულად.

თურქულში გვაქვს უმლაუტიანი ხმოვნები, ქართულში მისი არ არსებობის გამო, იგი ენაში შესაბამისი ქართული ხმოვნებით გადმოდის, დარღვეულია თურქული ენისათვის დამახასიათებელი ჰარმონია.

საკვანძო სიტყვები: თურქული ელემენტები მარადიდის მეტყველებაში

შესავალი

როგორც ვიცით სამხრეთ საქართველოსა და ლაზეთის ტერიტორიების უმეტესი ნაწილი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეა. აქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობა კი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეა და ორ ენაზე საუბრობს, ერთი მშობლიური ქართულია და მეორე კი ქვეყნის სახელმწიფო ენა თურქული, რომლითაც ის ურთიერთობს ქვეყნაში არსებულ ყველა ინსტიტუტთან. თურქული გახდა მათთვის დომინანტი ენა. მისი გამოყენების არეალი არის უფრო ფართო. აქედან გამომდინარე, ენამ მოახდინა თურქული ლექსიკის შემოდინება მათ სასაუბრო ქართულში.

მეთოდი

ნაშრომი ეფუძნება თურქულიდან ნასესხებ ლექსიკას მარადიდულ ქართულში. გამოყენებულია სამეცნიერო სფეროში ფართოდ გავრცელებული და აღიარებული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს დაკვირვებისა და ემპირიული მიდგომების ერთობლიობას. ჯერ ვახდენდი მასალების მოპოვება-სისტემატიზაციას. აქ, ბუნებრივია, იგულისხმება თურქული ნასესხობები. შემდგომ ეტაპზე ვაჯერებდი და ვაანალიზებდი ემპირიულ მასალას, ვიკვლევდი მათ შორის მიმართებებს. საბოლოოდ კი, მიღე-

ბული შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე ვაკეთებდი შესაბამის დასკვნებს.

შედეგი

კვლევამ შესაძლებლობა მომცა მეპოვა ის განმასხვავებელი ნიშნები, რაც საერთო სემანტიკის მქონე ნასესხებ თურქულ სიტყვებს ახასიათებთ. კერძოდ, დარღვეულია თურქული ენისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა ჰარმონია, ასევე ცვლილებებია ბევრ ფონეტიკურ პროცესებში. მასალაში აღმოჩნდა უამრავი ნიმუში დაყრუების, გამჟღერების, თანხმოვნის დაკარგვის, მეტათეზისის, ასიმილაციისა და დისიმილაციის.

მსჯელობა

არ არსებობს ენა, რომელშიც არ არის ნასესხობანი. ამ მხრივ არც ქართული ენაა გამონაკლისი. ქართულმა ენამ უამრავი ისტორიული ბედ-უკუღმართობა გამოიარა, რომლებმაც ჰპოვეს ენის ლექსიკაში ასახვა. როგორც ვიცით სამხრეთ საქართველოსა და ლაზეთის ტერიტორიების უმეტესი ნაწილი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეა. აქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობა კი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეა და ორ ენაზე საუბრობს, ერთი მშობლიური ქართულია და მეორე კი ქვეყნის სახელმწიფო ენა თურქული, რომლითაც ის ურთიერთობს ქვეყნაში არსებულ ყველა ინსტიტუტთან. თურქული გახდა მათთვის დომინანტი ენა. მისი გამოყენების არეალი არის უფრო ფართო. აქედან გამომდინარე, ენამ მოახდინა თურქული ლექსიკის შემოდინება მათ სასაუბრო ქართულში.

1921 წელს თურქეთსა და საქართველოს შორის მოხდა ოფიციალური საზღვრის გავლება. საქართველოს ორ სოფელს - „მარადიდსა“ და „სარფს“ ერთნაირი ბედი ეწია, ისინი გაიყო შუაზე. გაიყო არა მარტო სოფელი, არამედ ოჯახები, ნათესავები და სამშობლო. ეს დიდი ტკივილი არ შუშდება და გადაეცემა თაობიდან თაობას. სოფელ „მარადიდს“ თურქები „მურათლის“ ეძახიან. ზუსტად საუკუნის გასვლის შემდეგ მოხერხდა პირველად ამ სოფელში ბათუმის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის შესვლა და „მარადიდის“ მონოგრაფიისთვის მასალების მოძიება, ჩაწერა და გამოცემა.

მონოგრაფიაში შეტანილი მასალით დავინტერესდი და მინდა გამოვიკვლიო თუ რა დოზით არის თურქული ლექსიკა

შესული ქართულში, რომელზეც ამ კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონში ლაპარაკობენ. კვლევის დროს საინტერესო გრამატიკულ და ფონეტიკურ ცვლილებებს წავაწყდი: გამოსაკვლევ მასალაში ძირითადად სესხება ეხება ენის სახელად ნაწილებს, რომელთაც მოსდით გამჟღერება, დაყრუება, ბგერის გადასმა ან კიდევ ბგერის დამატება. რაც შეეხება სესხებას ზმნურ ნაწილში არის საკმაოდ მცირე. მარადიდის ქართულში შედარებით ნაკლები თურქული ლექსიკაა ხმარებაში შემოსული, ვიდრე ლაზურ დიალექტში;

მიველი შემდეგ დასკვნებამდე:

მარადიდულზე საუბრისას ხმარობენ პარალელურ ნასესხებ სიტყვებს, როგორც ქართულს ისე თურქულს. ქართული ჯერ კიდევ ახსოვთ, მიუხედავათ ასი წლის გავლისა;

1.მარჯვენაჲ კოლი, ხელი ხარ ჩემიო.(888)

Kol ხელი.(861) K>კ.

2.ამან ბუკი არ აძლევს, ჲუზი არ აძლევს.(890)

Yüzსახე, პირი.(1510) Ü>უ.

3.ერთ ამხანაგთან კონუშუორ, ლაპარაკობთ, ერთ კაცთან გურჯულაჲ.(898)

Konuşmak საუბარი.(867)

4.დაფქვილი ჯევიზი ჩავაყრით, კაკალი ჩავაყრით.(837)

Ceviz კაკალი. (211)

შენარჩუნებულია ძველი ნასესხები ლექსიკა, რომელიც არ შეიძლება ჩავთვალოთ ახალ ნასესხებათ, რადგან იგივე ლექსიკა აქაურ კილოკავებშიც იხმარება. (სავარაუდოთ ეს ძველი გაყოლილი ნასესხები ლექსიკაა);

ქილისე იყო, ერთ ღამეზე აქაურა ხალხმა დაანგრიენ.(800)

Kilise ეკლესია, ტაძარი(8520) უცვლელია

დედს ხუთი ყაჲნი იქა.(801)

Kayın მაზლი.(808) K > ყ I>ი

ამის ხისიმს გალმა სახლი ქონია.(801)

Hısım ნათესავი.(613) I> ი

ამის ძველ სახლში სანდუღით ფარა ნახა, ერთი ჩვალი ფარა იყო.(801)

Sandıkსკივრი,ზანდუკი;(1215) I>ი

Çuval ტომარა.(293)Uდაკარგულია

Para ფული, მონეტა;(1150) უცვლელია

ქალები დაართავდენ და ქილიმი გააკეთებდენ.(804)

Kilim ფარდაგი;(852) უცვლელია.

ახალი ლექსიკის სესხება მცირე დოზითაა, რომელიც ჩვენს კილოკავებში არ მოიძებნება და არ იხმარება;

მე მარანკოზი ვარ, შიშის კარები ვაკეთებდი.(803)

Marangoz დურგალი(942) G>კ

ისე ჲოლჯი მოყავდენ, ბათუმამდე ჩევდოდენ.(804)

Yolcu მგზავრი;(1495) ბოლოკიდურიU>ი არ დაემორჩილა ხმოვანთა ჰარმონიას

მაშინ ბუზდოლაბი ზათი არ იყო.(805)

Buzdolabı მაცივარი(188) I>ი

თამარა ყოფილა, აქაური ქრალიჩესი, დიდი კაცის შვილი, შვიდი ყათირი ალთუნი მიქონდა.(808)

Kral +içe დედოფალი.(881)

Katırჯორი(802)k>ყ I>ი

დედეჲ თუჯარი იყო, მაღაზა ქონდა.(809)

Dede ბაბუა, პაპა.(312)

Tüccar ვაჭარი.(1379) Cდაკარგულია Ü>უ

Mağaza მაღაზია.(923) უცვლელია

4. ყველაზე სასიხარულო და საამაყო ფაქტი ისაა, რომ შენარჩუნებული აქვთ ქართული ზმნის ფორმები, რასაც ვერ ვიტყვით ლაზურზე. ამ ზღვა მასალაში მხოლოდ რამდენიმე ზმნაა ნასესხები თურქულიდან, ხოლო ლაზურს უამრავი ზმნა აქვს ნასესხები და ლაზური გრამატიკისათვის დამახასიათებელ ყალიბში აქვს ჩასმული. იგულისხმება ზმნის ძირი, რომელიც არის თურქული, წარმოება კი ლაზური. ეს ტენდენცია ეხება არა მარტო მხოლოდ ლაზურს, არამედ თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ დიალექტებსა და კილოკავებსაც.

არ მყოფნიან და იდარე ვიჯები.(824)

İdare etmek მართვა.(654) სახელადი ნაწილი უცვლელია , ხოლო ზმნა ქართულია ანუ კალკირებული ფორმაა;

ამან ბუკი არ აძლევს, ჲუზი არ აძლევს.(890)

Yüzსახე, პირი.(1510) Ü>უ

ნავით ბათუმში წევდოდნენ ალიშ-ვერიში იქდენ, მოვდოდნენ.(896)

Alışveriş yapmakვაჭრობა(52)I>ი

4. ღმერთმა გაგაფაქოს.(875)

Paklamak გაწმენდა, გამართლება, მოსპობა(1148)

ეს ზმნა ნასესხები აქვს აჭარულსაც და ლაზურსაც .გაფაღება/გაფაქება-- ოფაღუ(ლაზ)

5. გუბრებმა მიწა დააზაიფა.

Zayıflamak-გახდომა, დასუსტება. (1522) ეს ზმნაც ნასესხები აქვს ლაზურს - ოზაიᲪუ.

5. აღსანიშნავია კიდევ ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულ ენაში აღარ გვაქვს ასო-ბგერა „იოტა“, მაგრამ აქ, მარადიდულ ქართულში აღდგენილია ძველი ასო-ბგერა. შესაძლებელია ეს გამოწვეული იყოს თურქულ ენაში არსებული ასო-ბგერის „იოტის“ ხმარებით. მაგრამ ეს მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში არ გვხვდება, იგი ქართულ დიალექტშიც იხმარება. რაც აშკარად იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ შეიძლება ჩაითვალოს ასო-ბგერის გამოყენება ძველი ქართულიდან შენარჩუნებულად.

სოდადები ჩედწერონნა.(800)

Soyadı -გვარი(1267) I>ი

დედს ხუთი ყადნი იქა.(801)

Kayın მაზლი (808) K > ყ I>ი

დერი იყიდება ოცდა ექს ყირმიზ ალთუნათო.(801)

Yer დედამიწა,მიწა, ადგილი;(1479) უცვლელია

დოღურთი, სინორი, ლობიო დაბექმეზი.(803)

Yoğurt მაწონი;(1492)

ზედან კადალული იყო.(803)

Kaya +lıkკლდე+იანი ბოლოკიდური k>ღ I>ი.

6.აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თურქულში არსებული თავკიდური K-ქ ბგერა აჭარულ დიალექტში გადმოდის ყ, ხ, კბგერებად. ლაზურში ტენდენცია შეცვლილია, აქ თურქული თავკიდური ბგერა K -ქ მკვეთრდება და კ ბგერით გადმოდის. თურქულში ასევე ბოლოკიდურ K-ქ მჟღერდება ხმოვნის დართვისას და იგი გამჟღერებული ფორმით ღ ბგერით გადმოდის

ორივე კილოკავში. ამიტომ იგი ხშირ შემთხვევაში ამ ფონეტიკური კანონზომიერებით იხმარება ლაზურ და მარადიდულ მეტყველებაში;

1.თამარა ყოფილა, აქაური ქრალიჩესი, დიდი კაცის შვილი, შვიდი ყათირი ალთუნი მიქონდა. (808)

Katır ჯორი.(802)K>ყ I>ი

2.დაწერილი მაქს სახში, არჩივიდან ევღე ქახიდი.(879)

Arşiv არქივი. (71) Ş>ჩ ეს შეიზლება ძველ ქართული ლექსიკიდან წაღებული იყოს.

Kağıt ქაღალდი. (762) K>ხ

3.მარჯვენაჲ კოლი, ხელი ხარ ჩემიო.(888)

Kol ხელი.(861) K>კ

4.სიძეს ჲუზული დავაბი.(899)

Yüzük ბეჭედი.(1513) Ü>უ K>ღ

5.უწინ იღმერავდენ, ყარში-ბერი იღმერავდენ.(909)

Karşı beri მოპირდაპირე(794) K>ყ

7. გვაქვს ბგერის დაყრუების შემთხვევებიც;

1.საღამოზე ხაჩი ჩანს, სინათლეები ენთებიან.(818)

Haç ჯვარი.(568) H>ხ.

2.ახლა დრო კაია, ძველი დროს ფუხროზა იყო, არ იყო რამე.(828)

Fukara ღარიბი, ღატაკი.(494) K> ხ; მაწარმოებელი ქართული - ობა

3.ჩემი ბაბა ანეს ტათლი ქვიოდა.(870)

Baba anne ბებია (მამის დედა.) (101)

Tatlı (აქ) ქალის სახელია

4.მარჯვენაჲ კოლი, ხელი ხარ ჩემიო.(888)

Kol ხელი.(861) K>კ.

5.საჯი დაბურავდნენ, ღველფი დაყრიდენ.(897)

Saç თუნუქი.(1201)Ç>ჯ

8. თურქულში გვაქვს უმლაუტიანი ხმოვნები, ქართულში მისი არ არსებობის გამო, იგი ენაში შესაბამისი ქართული ხმოვნებით გადმოდის, დარღვეულია თურქული ენისათვის დამახასიათებელი ჰარმონია;

1.ქოქიდან ამუუყრია, გახეთქილა, ხმება.(815)

Kök ფესვი.(875)Ö>ო.

2.ძველი დუგუნები სახლებში იქნებოდა.(811)

Düğün ქორწილი.(391)Ü >უ.Ğ>გ.

3.ჲოგურთი შევაყენავ, ჲაღი გავაკეთავ, ფეჲნირი გავაკეთავ, სუთლი გავაკეთავ.(841)

Sütlü რძე+ იანი. (1167) Ü >უაქაც უმლაუტიანი ხმოვნების არ ქონების გამო გადმოდის ქართული უ ან ი ხმოვნით

4.აქ სოფელი ყოფილა, გოლის ძირში/ფსკერზე ახლაცაა ნანგრევები.(876)

Göl ტბა, ტბორი, გუბურა.(538)

5.სიძეს ჲუზუღი დავაბი.(899)

Yüzük ბეჭედი. (1513) Ü>უ K>ღ

9. თურქულ ენაში ნასესხები სიტყვა „SİGARA“ ამ კილოკავსა და ლაზურის კილოკავში ძ ბგერით გადმოდის S>ძ; ასეთი ნასესხები აქვს აჭარულ დიალექტს. შეიძლება ეს იყოს ძველი ნასესხები.

ძიგარას ვსვავ.(839)

Sigara პაპიროსი, სიგარეტი.(1257) ეს სიტყვა ევროპულია, ჩვენთანაც ნასესხებია, ლაზურშიც და აჭარულშიც ერთნაირად იცვლის ფორმას.

თოთხმეტი თერძხანე იყო მარადიდში.(849)

Tersane დოკი,(135) S>ძ თავდაპირველი ფორმა ამ ტიპის სიტყვებისა არის Tershane, hastahane, postahane და სხვა, მაგრამ შემდგომში თავად თურქულმა ენამ დაკარგა H ასობგერა. ჩვენს მაგალითში ჰ ბგერა აღდგენილია, ანუ ძველი ფორმითაა.

H ბგერის ნაცვლად იხმარება ყრუ ხშული .H>ხ

10. იქ სადაც გვაქვს თურქული და ქართული ენებისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა და თანხმოვანთა თანხვედრა, მაშინ ნასესხები ლექსიკა უცვლელი ფორმით შემოდის ენაში.

1.ახალ გელინებს საქმე არ აქვან.(838)

Gelin პატარძალი(515)/

2.ამა ჲარამაზი (ცელქი) იყო, ბოზუღი იყო.(840)

Yaramaz ცელქი (1457)/

3.ჲარიჯები მყავან, ისინი საქმობენ. (844)

Yarıcı მოიჯარე (1460) I>ი/

4.ჭკვა ნოქსანი მქონდენ.(886)

Noksan ნაკლი, უკმარისობა.(1073)

5.კარის უკან ბიბრები.(899)

Biber წიწაკა, პიმპილი.(150)

11. ასევე ნასესხებია ლექსიკა თურქულიდან და დართული აქვს ქართული -ები და -ობა სუფიქსები.

1.ძველი დუგუნები სახლებში იქნებოდა.(811)

Düğün ქორწილი.(391)Ü >უ Ğ>გ.

2.ახლა დრო კაია, ძველი დროს ფუხრობა იყო, არ იყო რამე. (828)

Fukara ღარიბი, ღატაკი(494) K> ხ; მაწარმოებელი ქართული - ობა.

3.ყველამფერი გააკეთავ, ჰაზირობა იქავ.(831)

Hazır მზა, მზამზარეული(602) I>ი; მაწარმოებელი- ობა.

4.კარის უკან ბიბრები.(899)

Biber წიწაკა, პიმპილი(150).

5.გუბრებმა მიწა დააზაიფა.

Gübre ნაკელი (554) Ü>უ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „Maradidi“(2020). Batumi). („მარადიდი“, (2020). ბათუმი);
2. Turqul-Qartuli Leqsikoni, (2001). L.Chlaidze. Stambol. (თურქულ-ქართული ლექსიკონი (2021). ლ. ჩლაიძე. სტამბოლი).

Turkish elements in Maradidi's speech

Lile Tandilava
Batumi Shota Rustaveli State University
Oriental Studies Department,
Associate professor
32/35 Ninoshvili St., Batumi
ORCID ID/0000-0002-0118-2075
lile.tandilava@bsu.edu.ge
593348990

Abstract

In the world, there is no language without borrowed words. The Georgian language is not an exception in this regard. It has undergone many historical upheavals, which arereflected in the language vocabulary. As it is known, most of the territories of South Georgia and Lazeti are located on the territory of modern Turkey, and the Georgian population, living there, are citizens of the Republic of Turkey, who speak two languages, one of which is the native Georgian language, and the other is Turkish, the state language of the country, through which people communicate with all existing institutions in the country.Turkish has become the dominant language for them, and its scope is much wider. Thus, the Turkish vocabulary was introduced into the spoken Georgian language.

In 1921, the official border was drawn between Turkey and Georgia. Two villages of Georgia - "Maradidi" and "Sarpi" shared the same fate: they were divided in half. Not only the villages were divided, but also families, relatives and homeland. This severe pain has not been healed and was passed down from generation to

generation. Turks call the village of Maradidi "Muratli". Exactly one century later, a group of scientists from Batumi University came to this village for the first time. They found, recorded and published materials for the monograph "Maradidi".

I was interested in the material included in the monograph, and I set out to find out how much Turkish vocabulary is included in the Georgian language, which is spoken in this particular geographic region. In the course of the research, interesting grammatical and phonetic changes were found: in the research material, borrowings mainly refer to the nominative parts of the language, where there occurs deafening of voiced sounds, their alternation and addition.The borrowings in the verb part are quite few.In the Georgian Maradidi dialect,there is relatively less Turkish vocabulary than in the Laz dialect.

The following conclusions can be drawn:

1. In Maradidi, there are used parallel,borrowed words, both Georgian and Turkish. Still, 100 years later, people remember and speak Georgian;

1.დაფქვილი ჯევიზი ჩავაყრით, კაკალი ჩავაყრით.(837)

Ceviz კაკალი. (211) – (walnut)

2. The old borrowed vocabulary is preservedand cannot be regarded as new borrowed words, because the same vocabulary is used in the local dialects (perhaps this is an old extant borrowed vocabulary);

1.ქილისეიყო, ერთ ღამეზე აქაურა ხალხმა დაანგრიენ.(800)

Kilise ეკლესია, ტაძარი.(8520) (the word "Kilise" – „Church, Cathedral" remains unchanged).

Borrowing new vocabulary, what is not characteristic to our dialects, occurs in small doses;

1. მარანკოზი ვარ, შიშის კარები ვაკეთებდი.(803)

Marangoz დურგალი.(942) G>კ - (Carpenter)

2.არ მყოფნიან და იდარე ვიჯები.(824)

İdare etmek მართვა. (654) - (Management) -the nominal part is unchanged, while the verb is Georgian or it is a calcified form;

4. It is also noteworthy, that in the modern Georgian language, we no longer have the letter "iota", but in Maradidi Georgian, this old letter has been preserved. This may be due to the use of the letter "iota", which exists in the Turkish language. However, this is found not only in borrowed words, but also in the Georgian dialect, which unequivocally gives the right to say that this letter has survived from the ancient Georgian and is still used today.

1.სოჲადები ჩეჲწერონ ნა.(800)

Soyadı -გვარი(1267) I>ი - (Surname)

5. It is also noteworthy that theletter „K"at the end of a word in Turkish is conveyed by letters„ყ,ხ,კ" in the Adjarian dialect. In the Laz language, the trend has changed: the final Turkish letter „K" is more clearly pronounced as the sound / k /. In Turkish, the final „K" becomes voiced in front of a vowel, and is pronounced ღ - / gh / in both dialects. Therefore, it is often used in accordance with this phonetic pattern in Laz and Maradidi speech.

1.უწინ იღმერავდენ, ყარში-ბერი იღმერავდენ.(909)

Karşı beri მოპირდაპირე.(794) K>ყ - (opposite)

2.ბოლაშუღები გავრეცხავ.(830) (do the washing-up)

Bulaşık ჭურჭელი.(182) U>ო; I >ი; K >ღ;- (dishes)

There have also been found some cases of making consonant voiceless:

1.საღამოზე ხაჩიჩანს, სინათლეები ენთებიან.(818)

Haç ჯვარი.(568) H>ხ - (cross)"

In the Turkish language there are umlaut vowels, due to their absence in the Georgian language,they are transmitted by the corresponding Georgian sounds, thus, the harmony characteristic of the Turkish language is violated;

1. სოფელი ყოფილა, გოლის ძირში/ფსკერზე ახლაცაა ნანგრევები.(876)

Göl ტბა, ტბორი, გუბურა.(538) – (Lake, pond)

8. In the word "SİGARA", borrowed from the Turkish language, the letter „S"is pronounced as Georgian "ძ" - / dz / in the Maradidi and

Laz dialects; the Adjarian dialect has a similar borrowing. Perhaps, this is an old borrowing.

1. ძიგარას ვსვავ.(839)

Sigara პაპიროსი, სიგარეტი(1257) – (Cigarette)is a European word, it is also a borrowed word in the Georgian language; it changes its form in the same way in the Laz and Adjarian dialects.

If we have a combination of vowels and consonants, typical for the Turkish and Georgian languages, then the borrowed vocabulary enters the language without changes.

ქილისე იყო, ერთ ღამეზე აქაურა ხალხმა დაანგრიენ.(800)

Kilise ეკლესია,ტაძარი.(8520) -(Church, Cathedral) is unchanged.

There are words with Georgian affixes as well.

1.ძველი დუგუნები სახლებში იქნებოდა.(811)

Düğün ქორწილი.(391)Ü >უ/u/ Ğ>გ /g/ - (wedding).

Key words: Turkish elements in Maradidi's speech.

თევფიქ ფიქრეთი (1867-1915) – „ნისლი“

ასმათ ჯაფარიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი
Orcid ID : 0000-0001-6594-6049
ელ-ფოსტა : japaridzeasmat@yahoo.com
ტელ:599503356

თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ

აბსტრაქტი

ახალი თურქული ლიტერატურის წარმომადგენელია. განიცდის ფრანგული ლიტერატურის გავლენას. მან დაარღვია ბეითის მთლიანობა, რომლის თანახმადაც აზრი ბეითში უნდა დასრულებულიყო. თავის ადრინდელ შემოქმედებაში მისდევდა პრინციპს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, მოგვიანებით დაწერილ ლექსებში კი სოციალური პრობლემებითაც დაინტერესდა.

თევფიქ ფიქრეთი ლექსში „ნისლი“ გამოხატავს სიძულვილს სტამბოლისადმი და მას მეძავ ქალს უწოდებს. ასეთი რამ პირველად მოხდა თურქულ ლიტერატურაში. ცნობილია, რომ ძველი თურქული ლიტერატურის წარმომადგენლები სტამბოლს მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრად მიიჩნევდნენ და ხოტბას ასხამდნენ მას.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა; სტამბოლი; „ნისლი“.

„ნისლი“

პიქუშ ნისლში გახვეულხარ, ქალაქო,
მძიმე ნისლი შენს ჰორიზონტს დაჰფენია,
ყველაფერი არსებული წაუშლია,
აღარაჩანს ეს ქალაქი რაფერია.
შენ გარშემო ჭუჭყიანი ჰაერია,
შენთან მოსვლით შეშინებულ მსურველების,
გეფიცები, სათვალავი ამერია.
ღირსი კი ხარ შენ, ქალაქო, ამ სიბნელის,
სწორედ შენზე გამოჭრილა ეს მანტია,
ილუზიის ტყვეობაში რომ გვამყოფებ,
ნატამალი სინდისისაც დაგკარგვია.
აქ დაირწა ის აკვანი ბრწყინვალების
ამ ვნებიან დედოფალს რომ გამოზრდიდა,
დიდების და ბრწყინვალების სასაფლაოვ,
შენ პირიდან სიძვის სისხლი გადმოგდინდა.
მარმარილოს ზღვის სარტყელში გახვეულო,
მკვდართა მსგავსად დაეძინათ ცოცხალ ბორცვებს.
ბიზანტიავ, შე ბებერო ჯადოქარო,
ათას ქმართან ნამყოფო და თან ქალწულო,
ერთი მითხარ, მე იმედი როგორ მქონდეს.
ჯერ კიდევ გაქვს იმის ძალა, ჯადოქარო,
რომ მნახველი მოხიბლო და დაიმონო,
ვინც არ გიცნობს და შორიდან შემოგხედავს,
ვნებიანი თვალებით რომ დაატყვევო.
მეძავი ხარ, მრუში, კახპა, თან ბინძური,
გულგრილი ხარ სხვის დარდთან და ტკივილებთან
უთუოდ შხამს რას მერევდნენ საძირკველში
ამ ქალაქს რომ აშენებდნენ სულპირველად!
ძველი წყევლა ურევიათ კირითხუროთ,
აშენებდნენ როს შენობებს შენსას, ალბათ,
თვალთმაქცი ხარ, ბინძური და შენს წუმპეში
სიწმინდისას ვერა ნახავ ვერც ნატამალს.
ორგულობა, შური ბუდობს შენს წიაღში-

ამით გინდა მაღლდებოდე, საზიზღარო?
ვინც იპოვის სამკვიდრებელს აქ, ქალაქო,
უმალ ვიტყვი, სიწმინდეს და სისუფთავეს ღალატობსო!
სურვილი მაქვს, დაიფაროს, დე, ეს სცენა,
სამუდამოდ დაიძინოს ბებერ კახპამ,
დასამარდეს ეს დიდება, ფუფუნება,
ეს კოშკები, ციხეები შთანთქოს ბნელმა.
დე, ჩაინთქას მეჩეთები უკუნეთში,
აქ ყოველი უღირსია სიცოცხლისა,
ეს სვეტები დევებივით მდგარი კენტად,
ამბავს მხოლოდ რომ ყვებიან წარსულისას,
უსიამო გრძნობას ბადენ ჩვენს გულებში
და უკბილო ბებერს ჰგვანან მხოლოდ, გჯერათ?
გუმბათები, სასახლენი დიდებულნი,
მინარეთნი, ჭეშმარიტების მქადაგნი,
მედრესენი, სასამართლო დარბაზები,
კვიპაროსის შავჩრდილებ ქვეშ შეფარულნი,
მათხოვარნი მოწყალების მოლოდინში,
წარწერებით ქვები საფლავს დადებული,
„აცხოვნოსო ზეციერმა“ რომ გვაუწყებს,
ზედწარწერა, მოგონებების ამშლელი.
განისვენებს აქ სულები წინაპართა,
მაგრამ მაინც მტვრიანია ყოველივე, უნიათო;
ტალახიან და ჭუჭყიან შენს ქუჩებში
ნანგრევები ჩვენ გვიმზერენ უსიამოდ.
ადგილები, სადაც სძინავთ მხოლოდ ველურთ,
დანგრეული და მდუმარე სასახლენი,
შავ სახურავთ გლოვის ნიშნიდა სჩნევიათ;
ყვავ-ყორანის შეკედლება თუ გამხდარა
სევდიან და თან გამურულ ბუხართ ხვედრი.
ბევრი წელი გარდასულა მას შემდეგ, რაც
არ უნახავთ ბუხრის კედლებს ცეცხლის ალი,
და არც კვამლი ამოსულა საბუხრედან.
ჰო, ეს არის, რაც კი დარჩა მისგან კვალი.

გახრწნილია, ვინც კი ცხოვრობს ამ ქალაქში,
მშვიდად ნთქავენ ყოველივე სიბინძურეს,

კუჭის მონად უქცევია ქალაქს ყველა,
ნათელია, მათ აქეთკენ ვინც უბიძგებს.
ყველა უქმი და მშიერი მკვიდრობს შენთან,
არ რის მქონე, უსაქმური, სალახანა,
ეს კი მაშინ, როს სიმდიდრე ბუნებისა,
ნამდვილად გვაქვს, ვერ ვიყენებთ ამას, მართლაც.
მიზეზს მკითხავთ? ამ მიზეზსაც მოგახსენებთ:
ჩვენი ხალხი ციდან ელის მოწყალებას,
უსაქმურნი, ამაოდ რომ წუწუნებენ,
არ ცდილობენ არც ერთ წამით თვით განძრევას.
სიყალბეა მათ მზერაში, მათ სიცილში,
სიძულვილი გამოსჭვივის თვალებიდან,
პატიოსან და ღირსეულ კაცზე თქმული,
დამიჯერე, მხოლოდ ძველი ზღაპრებია.
ფეხზე ამბორს მისჩვევია ჩვენი ხალხი,
დალხენილო ყოფა მოაქვს ამას, ალბათ,
თოფით ხელში თავზე გვადგას მოძალადე,
ობოლს და ქვრივს ირჩევს იგი, როგორც ნადავლს.
და კანონით უკანონობს? - ეს ვიკითხოთ,
ის ხომ უნდა გვხდიდეს ყველას თავისუფალს,
ერთადერთი რის ნებასაც იგი გვაძლევს,
არის სუნთქვა, ისიც მხოლოდ შეზღუდულად.
სიტყვას ტეხენ და ცრუობენ უსინდისოდ,
ფეხქვეშ თელავს სასამართლო თვით სამართალს,
ეჭვით აღვსილთ, ბოროტებით დაბრმავებულთ
მხოლოდ ყურნი სხვის სასმენად მოუმართავთ.
შიში მეფობს ქვეყანაში უსასრულო,
ასი თვალი მომართულა მათ მზვერავად,
მოდუნებულ ჩვენს ეროვნულ ენერგიას
პატიმარი ეს კალამი ვეღარ ძალავს.

დავიწყებას მისცემია სათნოება,
არც სიკეთე ახსოვს ვინმეს ჩვენში, ალბათ,
ორად მოხრილ ვირთხასა ჰგავს მთელი ერი,
შიშისგან რომ იკლაკნება სადღაც საწყლად.
სახილველად ამაზრზენი სურათია,
ოი, მკვიდრნო ამ ქალაქის, თქვენ მოგმართავთ,

ახალგაზრდა ქალბატონო, მომისმინეთ!
თქვენც გეხებათ, თქვენ, ყმაწვილო, მოითმინეთ,
ამ მშვენიერ ქალის კვალს რომ მიჰყოლიხართ.
დედავ, შვილთან განშორებით დაზაფრულო,
თქვენც მოგმართავთ, თქვენც, ცოლ-ქმარნო, უბრად მყოფნო!
და ბავშვებო, უთვისტომნო, უპოვარნო,
პირველ რიგში თქვენ გეხებათ ეს მომართვა...

ო, ნისლებო, გევედრებით, რომ დაფაროთ
სამუდამოდ ეს სიბილწის ავანსცენა;
დავაძინოთ, დავაძინოთ ეს როსკიპი,
ბებერი და თან გარყვნილი ძველი კახპა.

Tevpik Pikreti (1867-1915) – „Fog“

Asmat Japaridze
Tbilisi Ivane Javakhishvili State Universitu
Georgia, Tbilisi
Orcid ID : 0000-0001-6594-6049
E-mail : japaridzeasmat@yahoo.com
Tel: 599503356

Translated from Turkish by Asmat Japaridze

Abstract

He is a representative of new Turkish literature. The influence of French literature can be traced in his work. In his early works, he adhered to the principle of "art for art's sake", and in his later poems he became interested in social problems.

In the poem "The Fog", Tevpik Pikreti expresses hatred for Istanbul and calls it a prostitute. This is the first time such anthis attitude towards Istanbul is found in Turkish literature. It is known that representatives of ancient Turkic literature considered Istanbul the center of world civilization and extolled it.

Keywords: new Turkish literature; poem; fog.

რეცენზია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ნანი გელოვანის მონოგრაფიაზე - „თბილისის მუსლიმური თემი“ (1801-1917), თბილისი, 2021.



ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულად პირველადაა შესწავლილი და გაანალიზებული 1801-1917 წლებში თბილისის მუსლიმური თემის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი.

ნაშრომის პირველ თავში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას და თბილისში ამიერკავკასიის მუსლიმთა (შიიტური და სუნიტური) სასულიერო მმართველობების ჩამოყალიბებას და საქმიანობას, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია რუსული ხელისუფლების ურთიერთობაზე რეგიონის მუსლიმური საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილთან - სასულიერო წოდებასთან და გამოვლენილია არსებითი პრობლემები ამ ურთიერთობის პროცესში.

მეორე თავში - თბილისის მუსლიმური თემი 1801-1917 წლები, მიმოხილულია მუსლიმი მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები, სპარსული და აზერბაიჯანული თემების საქმიანობა, ტერმინების („აზერბაიჯანი“, „აზერბაიჯანელი“, „თათარი“, „აზერბაიჯანელი თურქები“) ურთიერთმიმართება. გაშუქებულია თბილისში 1832-1917 წლების აზერბაიჯანული პრესა. მიმოხილულია თბილისის მეჩეთის საქმიანობა და ისლამური დღესასწაულები.

მესამე თავში - განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თბილისის მუსლიმურ სასწავლებლებს. სიღრმისეულადაა გაშუქებულია რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკა და თბილისში მუსლიმი თემის საქმიანობა. სადაც განსაკუთრებული

ყურადღება ეთმობა შიიტური და სუნიტური მუსლიმური სასწავლებლების საქმიანობას, გორის სამასწავლებლო სემინარიის აზერბაიჯანულ განყოფილებას, როგორც ძირითად ცენტრს მასწავლებელთა მოსამზადებლად და სხვა.

მონოგრაფიაში კომპლექსურადაა შესწავლილი თბილისის მუსლიმური თემის ისტორიის მრავალი ასპექტი. ნაშრომი ეყრდნობა ძირითადად საარქივო მასალებს, რომელთა დიდი ნაწილი პირველადაა წარმოდგენილი სამეცნიერო მიმოქცევაში.

ნანი გელოვანის მონოგრაფია მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული და იგი დიდი შენაძენია აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსების, სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის, მკვლევარებისა და საზოგადოების ფართო წრისათვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

რეცენზია
REVIEW

რეცენზია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ჯაბა სამუშიას მონოგრაფიაზე - „ დიდგორის ბრძოლა“ ძლევაჲ საკვირველი, თბილისი, 2021.

დიდგორის ბრძოლა ქართველი ერის ყველაზე დიდი ბრძოლაა მისი არსებობის ისტორიაში.

დიდგორმა გადაწყვიტა საქართველოს მომავალი და რომ არა ეს უდიდესი გამარჯვება, შესაძლებელია, დღეს სულ სხვა მოცემულობა ყოფილიყო და საერთოდ „გამქრალიყო ხსენება ქართველთა“. ამიტომაც იყო, რომ მემატიანემ ამ ომს „ძლევაჲ საკვირველი“ უწოდა, ხოლო ამ უბრწყინვალესი გამარჯვების შემოქმედს, საქართველოს ისტორიაში განუმეორებელ პიროვნებას, დავით IV აღმაშენებელს და მის მახვილს კი „მესიის მახვილი“ უწოდა.

2021 წელს შესრულდა 900 წელი ქართველთა ამ უდიდესი გამარჯვებიდან და რაოდენ სასიამოვნოა, რომ საზოგადოებამ მიიღო ამ უდიდეს მოვლენასთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პროფესორ ჯაბა სამუშიას, დიდებული მონოგრაფია - „დიდგორის ბრძოლა“.

ბატონმა ჯაბამ კიდევ ერთხელ გააცოცხლა ეს უდიადესი ისტორიული მოვლენა. მის ნაშრომში შესანიშნავად არის წარმოჩენილი დიდგორამდე განვითარებული მოვლენები. დღეს ხშირად არის კამათი იმის შესახებ, თუ ლოკალურად სად მდებარეობს დიდგორი, რაოდენ ჭკვიანურად შენიშნავს ბატონი ჯაბა: „რა მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ადგილის ძიებას და ამაზე

დროის ხარჯვას, ამით ხომ არაფერი დააკლდება ან მოემატება დიდგორზე მომხდარ „ძლევაჲ საკვირველს“, თანაც იქვე აგრძელებს, რომ ბრძოლის ადგილის მოძიება, ეს არის წმინდა სამეცნიერო საკითხი. სხვა მხრივ კი დიდგორის ბრძოლის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში დიდი ხანია განსაზღვრულია.

ჯაბა სამუშიას ეს შესანიშნავი ნაშრომი, რომელიც გამოსცა გამომცემლობა ,,პალიტრა L''-მა, შედგება თორმეტი თავის, ბოლოთქმისა და შენიშვნებისაგან.

ნაშრომის პირველ თავში საუბარია თურქ-სელჯუკთა შემოსევებზე საქართველოში და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არსებულ უმძიმეს დროზე, რომელსაც „დიდი თურქობა“ ეწოდება. უამრავი ისტორიული წყაროს სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანით ავტორი აღწერს თურქ-სელჩუკთა თავდაპირველ საცხოვრისს, მათ დაპყრობით ომებს და საქართველოსა და სელჩუკთა დამოკიდებულებას, მათ შორის ბრძოლებს და საქართველოში დატრიალებულ უბედურებებს, როდესაც სელჩუკებმა დაამარცხეს ქართული ჯარი და კალიასავით მოედნენ ჩვენს ქვეყანას, სწორედ აქედან იწყება ის ავადმოსაგონარი „დიდი თურქობა“, რომელმაც გადაშენების პირას მიიყვანა ქართველი ერი.

უაღლესად საინტერესოდ და საყურადღებოდ არის დაწერილი მეორე თავი, რომელიც დავით აღმაშენებლის მეფობის დასაწყისს ეხება. აქ ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული, რომელიც ანგარიშგასაწევია, ეს არის ცნებები „თანამოსაყდრეობა“, „თანამეფობა“ და ა. შ. საყურადღებოა ასევე ბატონი ჯაბას მოსაზრება, თუ რა გზით გახდა დავითი მეფედ სახელმწიფო გადატრიალებისა თუ მამის, მეფე გიორგი მეორის, ნებასურვილით. რა თქმა უნდა ამის შესახებ ადრეც იყო გამოთქმული მოსაზრება ისტორიკოსთა მიერ, მაგრამ ბატონი ჯაბა მიიჩნევს და სამართლიანადაც, რომ გიორგი მეორემ თავადვე გადაულოცა ხელისუფლება დავითს.

ძალიან საინტერესოა ნაშრომის მესამე თავი „ჯვაროსნები და საქართველო“. ამ საკითხზე ბატონ ჯაბას ადრეც არაერთხელ გამოუქვეყნებია როგორც სამეცნიერო სტატიები, ასევე ნაშრომებიც. ამ თავში სიღრმისეულადაა განხილული ჯვაროსნული ომების დაწყება, ლაშქრობები აღმოსავლეთისაკენ, თვით ომები მაჰმადიანებთან და, რაც მთავარია, ჯვაროსნების დამოკიდე-

ბულება საქართველოსთან, ჯვაროსანთა რაინდების საქართველოში ჩამოსვლა, მოლაპარაკებები დავით აღმაშენებელთან და ბევრი სხვა. ნაშრომის ეს ნაწილი უაღრესად საყურადღებოდაა განხილული და წარმოდგენილი.

ასევე საინტერესოდაა შესწავლილი ნაშრომში დავით IV აღმაშენებლის ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ (თავი IV) და დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმა (თავი V). თურქ-სელჩუკთა წინაარმდეგ საბრძოლველად მეფემ მთელი ქართველი ერი დარაზმა. ჯერ იყო პარტიზანული ბრძოლები, შემდეგ უფრო მსხვილი შეტაკებები და ა. შ. ნაშრომში აღწერლია თითოეული ბრძოლის პერიპეტიები, დავითის საბრძოლო გეგმები, პანიკა, რომელიც დათესა მან სელჩუკებში და ა. შ. ბატონი ჯაბა დაწვრილებით აღწერს ყოველივე ამას და მკითხველს გადაუშლის იმ დიდ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ პერიოდში.

ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ერწუხის ბრძოლას და აქ ქართველთა მიერ მოპოვებულ უდიდეს გამარჯვებას. ასევე შესანიშნავადა აღწერლი ის რეფორმები, რომელიც მეფემ გაატარა და რომ არა ეს, გაჭირდებოდა დიდგორზე ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება. დავითის გენიის წყალობაა მუდმივი ჯარი, რომელსაც მაშინ ყივჩაღთა ჯარსაც უწოდებდნენ, მონა-სპა, სასაზღვრო ჯარი და ბევრი სხვა, თითოელ ამის შესახებ ბატონი ჯაბა უაღრესად საინტერესოდ საუბრობს.

საყურადღებოდაა დაწერილი ნაშრომის მეექვსე თავი, რომელიც ეხება დიდგორის ბრძოლის ასახვას ქართულ ისტორიოგრაფიაში, აქ ავტორს არ გამორჩენია არცერთი ნაშრომი, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ისტორიოგრაფიაში, რომლებიც კი ამ საკითხს ეხება და თითოეულ მათგანს შესაფერის პატივს მიაგებს.

საინტერესოა ნაშრომის მეშვიდე თავი, რომელიც ეძღვნება დიდგორის ბრძოლის ორგანიზატორებს, სადაც გვხვდება ავტორისეული შეფასებები. ასევე ითქმის ნაშრომის მერვე თავზე „მებრძოლი მხარეები-სარდლობა, ჯარების რაოდენობა“, სადაც წარმოდგენილია ავტორის მიერ გამოთქმული ბევრი სიახლე.

ავტორი უაღრესად საინტერესოდ წარმოაჩენს ნაშრომის მეცხრე თავში ქართველთა ლაშქრის მოქმედებას დიდგორის გადამ-

წყვეტი ბრძოლის წინ (თრიალეთში მომხდარი პირველი ბრძოლის საკითხისათვის), აქ ბევრი ავტორისეული შეხედულებაა გამოთქმული, რაც ნამდვილად საყურადღებო და ანგარიშგასაწევია.

ნაშრომის მეთერთმეტე თავში საუბარია იმ საკითხზე, თუ სად მოხდა დიდგორის ბრძოლა, ხოლო მეთორმეტე თავში კი აღწერილია უშუალოდ დიდგორის ბრძოლა. ეს თავები საინტერესოდ და საყურადღებოდ არის წარმოჩენილი.

ბოლოთქმაში შეჯამებულია დიდგორის ბრძოლამდე მიმავალი გზა და თვით დიდგორი, ქართველთა სათაყვანებლი და საამაყო ადგილი.

ჯაბა სამუშიას მონოგრაფია, მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული და იგი დიდი შენაძენია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისტორიკოსების, სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის, მკვლევარებისა და საზოგადოების ფართო წრისათვის.

პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

იუბილე
JUBİLEE

ლილე თანდილავა - 60

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორ ლილე თანდილავას, დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა.

ქალბატონი ლილე თანდილავა დაიბადა 1961 წლის 12 მაისს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში. 1977 წელს დაამთავრა სარფის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, თურქული ენისა და ლიტერატურის და თურქული ენის მასწავლებლის სპეციალობით, რომლის სრული კურსი დაასრულა 1982 წელს.

ქალბატონი ლილე თანდილავა 1983-1987 წლებში მუშაობდა სარფის საშუალო სკოლაში - ჯერ დაწყებითი კლასის ხოლო შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1992 წლის სექტემბრიდან ქალბატონმა ლილემ მუშაობა დაიწყო გონიოს კოოპერატიულ ინსტიტუტში თურქული ენის მასწავლებლად, ხოლო 1994 წლიდან დღემდე მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის მასწავლებელი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2015 წლიდან დღემდე მოღვაწეობს აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტში.

ლილე თანდილავამ 2004 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა თურქული ენის სპეციალობით და მიენიჭა ფილო-

ლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური ხარისხი. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროს წარმოადგენს თურქული ენის, თურქულ- ლაზური ენობრივი ურთიერთობების კვლევა.

ლილე თანდილავა ერუდირებული, მაღალკვალიფიცირებული ლექტორია. წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თურქული ფილოლოგიის სპეციალობაზე.

ლილე თანდილავას 30 წლის პედაგოგიური სტაჟი აქვს; გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები; მონაწილეობს საერთაშორისო სემინარებში, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში; საგრანტო პროექტებში; გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია.

2021 წლის 12 მაისს, ქალბატონ ლილე თანდილავას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა და აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასობით სპეციალისტის აღმზრდელ, ღვაწლმოსილ პედაგოგს, ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისა და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის, ლილე თანდილავა დააჯილდოვა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მადლობის სიგელით.

ქალბატონო ლილე, გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ქვეყნის სამსახურში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

პროფესორი ემზარ მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
აღმოსავლეთმცოდნეობის
დეპარტამენტი